

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს აკად. ს. ჭავჭავაძეს სახელობის სახალხო მუზეუმი

თეიმულაზ ბარიე

პველი თბილისის გარეუბნების ისტორია



გამოცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1977

ნაშრომი მოიცავს იმ უბანთა და ქალაქისპირა სოფლების ისტორიას, რომლებიც ამჟამად თბილისის ფარგლებში შემოდიან და ერთიან ქალაქს ქმნიან.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განძილებელი მრავალი სოფელი გამქრალა სამუდამეამოდ, ზოგიერთი გრიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა შარა-გზად, ხოლო ბევრი ღილი ქალაქი დაბა-სოფლად ქცევლა. თბილისი, მიუხედავად მრავალგზის დარბევა-აწიოკებისა, ყოველთვის ქალაქობდა.

თბილისის წარსულის სრულყოფილად წარმოდგენა უკუჩესებლია ქალაქისპირა სოფლების ისტორიის გაუთვალისწინებლად.

ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი გვიანშუასაუკუნეების თბილისის შემოგარენში მდებარე სოფელთა თუ უბანთა ეტი-მოლოგია, სამეურნეო ხასიათი, მოხელენი, და სხვა.

© 2024 სისტემა ლი

ქართულ ისტორიოგრაფიაში თბილისის შემოგარენში მდებარე
სოფელთა თუ უბანთა ისტორია (ქალაქთან ურთიერთობიმართებაში)
მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია, თუმცა ამასთან დაკავშირებულ
ცალკეულ საკითხებს თუ ფაქტებს (ძირითადად ამა თუ იმ
უბნის, სოფლის დასახელების ეტიმოლოგის დადგენას და ეკლესი-
ების აგების თარიღს) სხვადასხვა დროს საგანგებო წერილები, გა-
მოკვლევები უძლვნეს თემურაზ ბაგრატიონმა, პ. იოსელიანმა,
ღ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა, ა. ხახანაშვილმა, ი. ჯავახიშვილმა,
ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ლ. მე-
ლიქეთ-ბეგმა, ნ. ბადრიაშვილმა, შ. მესხიამ, ღ. გვრიტიშვილმა,
შ. ჩხეტიამ, ვ. ბერიძემ, მ. ლორთქიფანიძემ, გ. ლომთათიძემ, ღ. ქო-
რიძემ, ვ. ჯაფარიძემ, ო. ჯაფარიძემ, ნ. ლომოურმა, ლ. ჭილაშვილმა,
ო. ცქიტიშვილმა, მ. ბერძნიშვილმა და ა. შ.

შესაძლო გამეორებების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქის-პირა სოფელთა, უბანთა შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის განხილვას საგანგებოდ გამოყოფილი ქვეთავი არ მივუძლვენით, ნაშრომში ყველას სათანადო ადგილას ვეხებით და ვიზილავთ.

წინამდებარე წიგნში ისტორიული წყაროების (გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი), აქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, კარტოგრაფიული (თბილისის გეგმები) მასალის თავმოყრის და მთლიანობაში განხილვის მეშვეობით მონოგრაფიულად შესწავლითა გვიანდუასაუკუნეების ხანის თბილისის შემოგარენის ისტორია.

ასანიშნავია, რომ შესწავლილი სოფლებით და უბნებით არ განისაზღვრება ქალაქის სანახებში მდებარე დასახლებულ პლატა რაოდენობა. ქალაქისპირა სოფლების ისტორიის კალევისას პრინციპით გვექონდა შეგვესწავლა იმ სოფლებისა და გარეუბნების ისტორია, რომლებიც ამჟამად თბილისის ფარგლებში შედიან და ერთიან ქალაქს ქმნიან.

ნაშრომზე დართული ქალაქისპირა სოფლებისა და უბნების გეგმები ჩვენ მოერაა შედგენილი, ხოლო მათი გრაფიკული შესრულება ეკუთვნის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების ორქეოლოგიის განყოფილების მხატვარს ნათელა ველიაშვილს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

X—XI სს. დასრულდა ფეოდალური ქალაქების ზრდა-წარმო-შობის პერიოდი¹. ამ დროისათვის თბილისი თავისი ქალაქის რამდენიმე ასეულ წელს ითვლიდა, რომელსაც უკან პერიდა მოტოვებული უცხო დამპყრობთა (იჩანელთა, ბერძენთა, ხაზართა, არაბთა) არაერთგზის შემოსევა და აწიოკება, რაც ეპევგარეშეა შეაფერხებდა ქალაქის ზრდა-განვითარებას. მაგრამ X ს-ში თბილისი უკვე სახელოვანი ქალაქია.

ალ-მუკადასი (X ს.) თბილისის შესახებ გადმოგვცემს: „თბილისი გორათა შორის სიმაგრეა, მას კვეთს მდინარე მტკვარი, იგი ორივე ნაპირზეა გადაჭიმული და ხიდითაა შეერთებული“².

იბნ ჰაუკალი (X ს.) კი თბილისს ასე აგვიწერს: „თბილისი ქალაქია, ბაბ ულ-აბვაბზე მცირეა, მას ალიზის ორი კედელი აკვრია, სამი კარით. ეს ქალაქი ნაყოფიერია და მდიდარია იაფადღიჩებული სანოვაგით, რომელიც ხარისხით ბევრად უკეთესია, ვიღრე სხეა სახელმწიფოების სანოვაგე“³.

X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქალაქს „...საკვირველნა-შენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედაქალაქს“ უწოდებს⁴.

ესაა აღრეფეოდალური ხანის დამამთავრებელი საუკუნე. ამ დროისათვის თბილისი უკვე ჩამოყალიბებული ფეოდალური ქალაქია, მის საქალაქო მეურნეობაში ხელოსნობასა და ვაჭრობასთან ერთად ღომინიჩებული აღვილი სოფლის მეურნეობასაც უკავია.

¹ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970, გვ. 82, კ. გაბაშვილი, აღრეფეოდალური ხანის ახლოაღმოსაულური ქალაქი, მახლ. აღმ. ისტ-ის საკითხები, II, 1972, გვ. 19.

² СМОПМК, вицп. 38 (1), 1908, с. 8.

³ СМОПМК, вицп. 38 (1), 1908 с. 89.

⁴ უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებთავან, სომხური ტაქტიკი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსაცავი, ზაზა ალექსიძემ, 1975, გვ. 67.

როგორც ცნობილია, არაბებშა ქართლში თითქმის ოთხასი წელი იბატონეს. უცხო ელემენტის ასეთ ხანგრძლივად გაბატონებულ მდგომარეობაში ყოფნას არ შეეძლო არ შეეცვალა ეროვნულ-ეთნიკური სახე, გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის გეოგრაფიაზე.

X—XI სს. ქართლის ამირა ფაქტიურად მხოლოდ ქალაქ თბილისს მპყრობელია — 1045 წ. თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცალების შემდეგ „ქალაქის ბერების“ მოწვევით დასაცლეთ საქართველოდან თბილისის „დაქაცერად“ მოდის მეფე ბაგრატ IV, „მატიანე ქართლისა“ მოვეითხობდა: „წარემართა ტფილისად და მოეგებნებ ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანი დიღმისა ველა, და ყოველი ერი ქუეთი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმჩავლე იყო მოედანს“.⁵ მოტანილ მონაცევეთში ქალაქის პირას ვხვდებით მეტად საინტერესო ტოპონიმს „უმედეულა“. სამწუხაროდ, ადგილი ამ სახელწოდებით სად მდებარეობდა არ ვაციო. წყაროს მიხედვით ის დიღმის ველსა და თბილისს შორებს თავსდება. ამ სახელისათვის ყურადღება მიუქცევია ივ. ჯავახიშვილს. რომელიც მხოლოდ ფაქტის აღნიშვნას სჯერდება — „ტფილისის მიღამოებში იქმნებოდა „უმედეული“⁶.

XII ს., თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინებასთან დაკავშირებით, ქართულ წერილობით წყაროებში თბილისის შემოგარენში ჩნდება ადგილი დიღუბის სახელწოდებით: „...და მოვიდეს სრასა დიღუბისასა, სანახებსა და ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქორწილია...“⁷.

გამოხდა ხანი, 1225 წელია.

ჩინგისხანისაგან დევნილი ხვარაზმის უკანასკნელი მბრძანებელი სულთანი ჯალალედინი აურაცხელი ლაშქრით საქართველოს საზღარებს მოადგა.

საქართველოს მეფე გიორგი ლაშა სამი წლის გარდაცვლილი იყო. მეფობდა თამარ მეფის ასული რუსულანი.

1226 წ. თბილისი ჯალალედინის ჯარით იყო გარემოცვლი. ჯალაქის მეციხოვნენი მას თავდაღებით იცავდნენ. თბილისში მცხოვრები სპარსელების გაცემით და დახმარებით დამპყრობელმა თბილისი აიღო და დააზია. მტერმა ხელთ იგდო რა ქალაქი და

⁵ ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 299.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 34.

⁷ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქ—ს, ვ—ა, 11, გვ. 47.

შისი ციხე-სიმაგრენი, მანამდე ჩაღაც არნახული სისასტიკე გამო იჩინა.

„უამთააღმწერელი“ თბილის თაესდამტყდარ ამ უბელურებას მსოფლიო ისტორიაში უძებნის მაგალითს და მისასადაგებელ ამბად მოაქვს იმპერიატორ ვესპასიანესის და მისი შეილის, რომელთა ჯარის მხედართ-მთავრის ტიტეს მიერ ქალაქ იერუსალიმის დარბევა და მისი აღგვა პირისაგან მიწისა — „და ესევითარნი ჰირნი მოიწიონეს, რომელ არაოდეს ძუელთა საღმე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ“. მათ ამბის თვითმხილველი ქალალედინის პირადი მდივანი ან-ნა-სავი მოგვითხრობს, რომ თბილისის აღების შემდეგ სულთანს დარჩა, ხელში ჩაუვარდა საუკუნეების მანძილზე ქალაქში დაგროვილი სიმდიდრე. მისივე სიტყვით, თბილისში განძეული იმდენად ბევრი ყოფილა, რომ მისი აღწერა და გრაგნილებში შეტანა შეუძლებელი გამხდარა — «Крепость сдалась. И получил он (султан) все, что было здесь собрано веками. Всего этого не пересчитали бы пальцы самого искусенного знатока, а в стопках реестров стало бы тесно от перечисления»⁸.

ქალალედინს ბუვლიან მონღოლები; ისევ რბევა, ტყვევნა და ა. შ. სწორედ ამ შემმუსვრელი შემოსევების შედეგია, რომ მომდევნო ხანის თბილისი ტერიტორიალურად მცირდება.

1948—1949 წწ. ქალაქის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ძველი ზღვდის მახლობლად, „300 არაგველის“ სახელობის ბალის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს მეტად საინტერესო მასალა: თიხის კურტლის გამოსაწვავი ქურები, მოჭიქული და მოუჭიქავი ქურქლის ნაშთები, თონე, და სხვა. ძეგლის გამთხრელები აქ მოძიებულ მასალას XI—XIII სს. ათარიღებენი⁹. „300 არაგველის“ ბალის ტერიტორიაზე უფრო გვიანი ხანის მასალის არ მოძიება იმის მაჩვენებელია. რომ XIII ს. შეწყვეტილა ქალაქის ერთ-ერთი დაწინაუ-

8 ქართლის ცხოვრება, II, 1959, ვვ. 176.

9 Шაიან ა. დ. დილ მუხამედ აშ-Насავი. Жизнеописание султана Джаяната аш-Дина Майкбурни. 1975. ვვ. 168.

10 თ. ჯაფარი დე, „განჯისარი“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვეს, I, 1955, ვვ. 89—99. გ. ლომთა თი დე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზაფხულში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვეს, I, 1955, ვვ. 119—167.

რებული საწარმოს, მეთუნეობის უბნის არსებობა. ეს კი, სწორედ უკვე მოხსენიებული, ქალაქს თავს გადაშედარ დიდი ნგრევისა და აოხრების ნაკვალევია.

მიუხედავად ამისა, თბილისი ჯერ კიდევ XIII ს. დასასრულისათვის დიდი და გარეუბნებით გარშემორტყმული ქალაქი: «В этой земле есть прекрасный город, по имени Тифлис, окруженный предместьями и множеством твердынь... Там выделываются шелковые и многие другие ткани» — съя აღწერს მარკო პოლო თბილის.¹¹

XIII ს-დან მოყოლებული თბილისი, ჯერ როგორც მთელი საქართველოს, შემდეგ კი ქართლის სატახტო ქალაქი განიცდის გამანადგურებელ, შემუსვრელ შემოსევებს.

მონლოლებს მოჰყვა თემურ ლეგის (1386—1403 წწ.) შემოსევები, შემდეგ ჯეპან შაპის (1440 წ.), შავ ისმაილის (1522 წ.), შავ თამაზის (1541 წ.) და ა. შ. გაუთავებელ შემოსევებს თან სდევლა მახლობელ აღმოსავლეთში მაჭადიანური სახელმწიფოების მომძლავრება, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს გაუქმება (ის დაიშალა სამ სამეფოდ, სამთავროებად და სათავადოებად), ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანიტო-სავაჭრო გზების გაუქმება-გადანაცლება, დასავლეთ შავიზლვისპირეთში ოსმალეთის გაბატონება, ახალი საერთაშორისო სავაჭრო გზების აღმოჩენა, გაუთავებელი შინაომები, ყოველივე ამან ეკონომიკურად, პოლიტიკურად დაკინა, დააძაბუნა, წელში გატეხა საქართველო.

საქართველოში ბევრი ძველი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ათხელდა, ზოგიერთი ქალაქი და სოფელი საბოლოოდ გაქრა კიდეც.

XIII ს-ში განადგურებული, გაუკაცრიელებული თბილისის სამხრეთით შედარე ძველ ზღუდესთან არსებული სახელოსნო უბანი აღარ აღმდგარა, აღარ დაბრუნებია ქალაქს. აქ პირუკუ პროცესს ვხედავთ. ყოველი გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ ძლიერი და ნებიერი ქალაქისა და მისი აყვავებული, ხალხმრავალი შემოგარენიდან ნაოხარ-ნამუსრევი რჩებოდა. ილავგაწყვეტილი მხენელ-მთესველი და მეომარი ერი ცველა იავარყოფილი მხარის, უბნის თუ სოფლის აღდგენას ვერ ახერხებდა. სოფლები ნაპარტახე აღგილებად იქცეოდნენ ხოლმე. თბილისის ზოგი მჭიდროდ დასახლებული უბანი სამუდამეამოდ დაცარიელებულა.

¹¹ Поповиков М., Натадзе Г., Старый Тифлис, 1929. с. 7.

XVI ს. ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის პოლიტიკურად და ეკონომიკურად კახეთის სამეფო დაწინაურდა, რასაც აპარობებდა კახეთის მეფეთა — ალექსანდრე I-ის (1476—1511 წწ.), ლევან ალექსანდრეს ძის (1520—1574 წწ.), ალექსანდრე II-ის (1574—1605 წწ.) ირანისა და თურქეთის (ოსმალეთის) სახელმწიფოებისაღმი „ლოიალური“ პოლიტიკა, მოჩეუნებითი მორჩილება. ამავე დროს კახეთის პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებას, გაძლიერებას ხელს უწყობდა ამ სამეფოს სიახლოე ე. წ. აბრეშუმის გზასთან; „გილან-შემახა-ასტრახანის გზა კახეთს აკავშირებდა ირანთან, რუსეთთან, ოსმალეთთან და დას. ევროპასთან“¹².

ქართლის სამეფოში მეცე ლუარსაბ I-ის (1534—1558 წწ.) დროს დაწყებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა ლუარსაბის ძის მეფე სიმონ I-ის (1558—1600 წწ.) დროსაც. თავისთავად ქართლის სამეფოს ირანთან ბრძოლა კახეთის სამეფოს უმსუბუქებდა მდგომარეობას¹³. ირანი იმულებული იყო კახეთს მოფერებოდა, რათა ისიც არ აშლოდა.

ირანი და თურქეთი 1555 წ. დაზავდნენ და ამიერკავკასიში თავიანთი გავლენის სფეროები კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ერთმანეთს. ირანი უფრო თავისუფლად ერევა ქართლის სამეფოს საქმეებში. თბილისის ციხეში ყიზილბაში მეციზოვნებია. ქართლის ჰეფის სიმონ I-ის გაქირვებას, გარეშე მტკიცთან ბრძოლას თან დაერთო მისი ძმის რენეგატ დავითის გამაპმადიანება, ირანის შაპშა დავითს ქართლის ტახტი დაუმტკიცა. სიმონ მეფე ახლა ყიზილბაშებთან ერთად თავის ძმასაც ებრძვის. ყოველივე ეს თავის დაღს ასვამს ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას.

XVI ს. დასასრულისათვის თბილისში 10000 მცხოვრები იყო. 1590 წ. ირანის ტახტს იყავებს შაჰ აბაზი, რომლის დროსაც აღმოსავლეთ საქართველომ რამდენიმე დამანგრეველი შემოსევა განიცადა. XVII ს. დასაწყისში განადგურებული კახეთის სამეფო დიდხანს ეკონომიკურად ვეღარ წამოწეულა. ხოლო რაც შეეხება ქართლის სამეფოს, რომელიც შაჰ აბაზის შემოსევებისაგან დიდად იყო დაზარალებული, შედარებით (კახეთთან) სულ მოკლე ხანში მან

12 გ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები გახლობელი აღმოსავლეთის სავარიო ურთიერთობის შექვე, ნარკევები გახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, 1, 1966, გვ. 176.

13 ნ. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973, გვ. 16—162.

შესძლო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება.

ქართლის სამეფოს წინ წამოწევაში დიდი როლი ითამაშა 1632 წ. ქართლში გამაპმაღანებული ოსტომ ხანის გამეფებამ და ირან-ოსმალეთს შორის 1639 წ. დადებულმა ზავმა, რომელიც არ დარღვეულა თითქმის 90 წლის განმავლობაში.

კარგახანი იყო, რაც საქართველო ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს შორის საქიშვილი და საცილობელ პუნქტად ქცეულიყო. XVII ს. 30-იან წლებიდან საქართველოსათვის შედარებით მხერდობიანი ხანა დგება. 1639 წ. სოფელ ზოპაბში ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავისა და შეთანხმების შედეგად, მათ გაინაწილეს საქართველოზე თავიანთი გავლენის სფეროები. აღმოსავლეთი საქართველო დარჩა ირანის გავლენის სფეროში, ხოლო დასავლეთი საქართველო სამცხე-საათაბაგოთი — ოსმალეთს¹⁴.

სოფელ ზოპაბში დადებული ხელშეკრულება 1723 წ.-მდე არ ერთ მხარეს არ დაურღვევია, რაც საქმარისი აღმოჩნდა იმრსა-თვის. რომ ქანცეგამოცლილ და დაღლილ ერს მოეხედა. სახელმწიფომ სული მოითქვა, გავერანებული სოფლები ხელახლა მოშენდა. ქვეყნის ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებას აღმავლობა, გამოცოცხლება დაეტყო.

ქართლის გამაპმაღანებული შეფის როსტომის შეფობის უამს (1632—1658 წწ.) ქვეყანას დაუბრუნდა გამუდმებული შემოსევები-საგან გახიზნული მოსახლეობა. მუშახელის, მწარმოებელი ძალას დაბრუნებამ, ქველი და ახალი ქალაქებისა და სოფლების ხელახლმა დასახლებამ გამოაფხიზლა და აღმოჩნდების გზაზე დააყენა ასეული წლების მანძილზე მოშლილი სამეურნეო ცხოვრება.

როსტომ შეფე მოქნილი, კვევიანი და წინდახედული პოლიტიკოსი იყო, მან კარგად გამოიყენა ირანისა და თურქეთს შორის ძროებით დადებული ზავი. ქართლის სამეფო შენდება. მეფე ყურადღებას აქცევს სავაჭრო გზების შეკეთებას და მდინარეებზე ხიდების აგებას. მდინარე ხრამზე ქველ ნახიდურთან ააგო ქარეასალით ხიდი—„აქა არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პ—თ მეფემან როსტომ ხიდი ქვიტკირისა, დიდშუენიერი, რომლისა სუეტსა შინა არა სახლი შუენირი, მეურეტი ამიერ და იშიერ მდინარისა. სიერცე ხედისა ი—მხარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნ-

¹⁴ ვ. ჩ ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვენები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 335—377.

დუქში დიდი და კეთილნი, თლილის ქვისანი.“¹⁵—მოგვითხრობს გახუშტი ბაგრატიონი. როსტომის მეფობის დროსაა მდინარე ვე-რეზე აგებული ქვითკირის ხიდი¹⁶, რომლის შესახებაც ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ვერესა ზედა არს ხიდი ქვითკირისა“—ო, ამავე ხანებში უნდა იყოს აგებული მდინარე მტკვარზე, ქალაქის ჩრდილო-ეთით, ქვითკირის ბურჯებზე დაყრდნობილი ხიდი (შემდეგდრო-ინდელი „მუხრანის“ ხიდი). ხიდების მშენებლობა მაჩვენებელია საქალაქთაშორისო, სატრანზიტო ვაკრობისა, გამოცოცხლება ეტ-ყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან, აღმოსავლეთიდან მომავალ საქა-რავნო გზას (განჯა—შამქორი—თბილისი—გორი—ახალქალაქი...).

ფრანგი მოგზაური ტავერნიე XVII ს. მეორე ნახევრის თბილისის შესახებ ამბობს: „ტფილისს, რომელიც ქართლის სატაძრო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარვი განე-ნებულია, აქ აბრეშუმის დიდი ვაკრობა სწარმოებს“¹⁷.

როსტომეს ეკონომიურ ღონისძებათა შორის აღსანიშნავა ქალაქში შემოტანილ საქონელზე ერთიანი საბაჟო სისტემის შემო-ლება, ხშირი შემოსევების შედეგად ქალაქისპირა განადგურებუ-ლი სოფლებისა და უბნების ხელახლი დასახლება, რაც ხელს უწყობდა თბილისის შემოგარენის სასოფლო-სამეურნეო და სავაჭ-რო-სახელოსნო უბნების ეკონომიურად დაწერაურებას. როსტომ შეფერ გარდა იმრასა, რომ ქალაქის პირას. სახე-უთოთ სეიდების ტო-მი დასახლა, მანვე სახასო სოფელ წოდორეთიდან გლეხები ავლა-ბარში გადმოასახლა. ქუეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სიძ-ლიერე თბილისის გარეგან სახესაც დატყო. „როსტომა.. შეავლო ხიდისყურიდან ზღუდე კალისა ციხემდე და განტყო ქალაქი და ცა-ხე, მოავლო მეტებს ზღუდე და ქმნა, ვრთარცა ციხე მტკიცე ხი-დითურთ,...“¹⁸ მიატოვა ისნისა და ნარიყალას სამეფო სასახ-ლები და შიგ ქალაქში, სიონსა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის ააშენა ახალი სასახლე. „ქართლის ეკონომიური წინსვლა, როსტომ ხანიდან რომ დაიწყო, შავნაუზის დროს კრდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა... თანდათან გაჩნდნენ დაბა-სოფლები, გაცოცხლ-დნენ ან კიდევ ახლად წარმოიშვნენ „ქალაქები“... თბილისი კი აღ-მოსავლეთ ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე პნიშვნელოვანი

15 ვახუშტი ი., აღწერა, ...ქ—ს, კ—ს, IV I, 1973, გვ. 324.

16 ნ. კვეჩერე ელია პატე ე, თბილისის ხიდები, გვ. 54.

17 ეურ. „მოამბე“, 1898, № 6, გვ. 5.

18 ვახუშტი ი., აღწერა..., გვ. 439.

ქალაქი გახდა... ეს ქალაქი მარტო ფეოდალური ქვეყნის მმართველის საგომი კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრიც”¹⁹.

1663 წ. იტალიელი მისიონერი ანდრია ეპიფანე თბილისის შესახებ წერდა: „აქ ძლიერ ბევრი ხალხია. აქაური მკეიდრის გარდა, აუარებელი ვაკრები არიან აღმოსავლეთიდან მოსული”²⁰; ცოტა მოგვიანებით ფრანგი მოგზაური და მისიონერი უან შარდენი (იმოგზაურა 1672—1773 წწ.) თბილისის შესახებ წერდა: „თბილისი... ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, თუმცა ძალიან დიდი არ არის. იგი გაშენებულია მთის ძირში, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან მდინარე მტკვარი ჩამოუდის... ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჭურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაკრობას ეწევიან”²¹.

XVII ს. მეორე ნახევრის თბილისის ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს ამავე საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ნაწარმოებში დაუცვი ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა; ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერული მოგვითხრობს, რომ XVII ს. 70-იან წლებში სომეხთა კათალიკოსი აკოფა მოვალეებს შეუწუხებით «Католикосу надоели многочисленные заемодавцы, поэтому, не сообщив ничего хану, он отправился в грузинский город Тифлис, надеясь собрать там деньги и покрыть ими долги.... Пробыв там несколько дней, он уплатил некоторые долги»²²... სამწუხაროდ, არა ჩანს სომეხთა კათალიკოსი ვისგან ლებულობს ამ თანხას. ადვილი დასაშენებია, რომ მას თვით ქართლის მეფეც ეხმარება.

XVII ს. შუახანებში დაწყებული ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ქალაქ თბილისის მოსახლეობასაც დაეტყო. თუ აქ XVI ს. მოსახლეობა არ აღმატებოდა 10000 სულს, XVIII ს. დამდეგისათვის მას 20.000 მიუღწევია²³.

XVII—XVIII სს. თბილისი მრავალრიცხოვანი და მრავალსახ-

19 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი ვ კ ლ ი, საქ. ისტ. საკითხები, VI, გვ. 269—270.

20 გ. თ ა ზ ა რ ა ვ კ ლ ი, ისტ. კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 225.

21 შარდენის მოგზაურობა, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, 1975, გვ. 317, 325.

22 Закрай Капакерци, Хроника, перевод с армянского М. О. Дарбиян — Меликян, М., 1969, с. 184.

23 Полиевктов М., Натадзе Г., Старый Тифлис, с. 30.

ოვანი სოფლის მეურნეობით, ხელოსნობით დაწინაურებული უბნებით და მომდებარე სოფლებით გარშემორტყმული ქალაქია. იგი კვლავ ხდება მახლობელი ომოსავლეთის ქვეყნების საქონლის მიმდები და მიმწოდებელი ბაზა. თბილისზე გადიოდა და მის მრავალრიცხვან სავაჭრო სადგომებში — ქარვასლებში ბინავდებოდა გასაყიდი საქონელი, რომელიც ქარავნებს მოჰკონდათ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირუეუ. ამის უტყუარი დადასტურებაა აღნიშნულ საუკუნეებში შედგენილ მზითვის წიგნებში შეტანილი და მოხსენიებული უცხო დასახელების ქსოვილების, ძვირფასი თვლების და სხვადასხვა ნაკეთობების სიმრავლე²⁴, რაც უთუოდ ჩვენში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან გაცხოველებული ვაჭრობის ანარეკლია. 1736 წ. შედგენილ ქალაქში შემოტანილ საქონელზე დაწესებული „პირობის წიგნი“ ე. წ. „შართლამა“ დიდებულ მასალას იძლევა საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ. „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა:...

ქ. გელაქნური საპალნეზედ ი—ბ: (12).

ქ. რაც მოქალაქემ განჯიდან აბრეშუმი მოიტანოს და აზრუმისაკენ წაილოს, აქლემისა თუ ცხენისა თუ ჯორისა საპალნეზედ ც: (ორი მინალთუნი).

ქ. ლილა თავრეზის ლიტრაზედ ნ: (ერთი შაური)“²⁵.

აღსანიშნავია, რომ თბილისში საქონლით დატვირთული ქარავანი მხოლოდ ქალაქის სამხრეთის მხრიდან არ შემოდიოდა. XVIII ს. თბილისის გრაფიული გამოსახულებები — ვახშეტი ბაგრატიონის, პიშჩევიჩის და, ბოლოს, თბილისის 1800 წ. გეგმებზე „ავლაბრის კართან“ თავმოყრილი, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული გზათა სიმრავლე, აღნიშნული კარის საგარეო ვაჭრობაში ინტენსიურ გამოყენებაზე ლაპარაკობს. „ავლაბრის კართან“ მებაჟე²⁶ დგას, ხოლო „მეკარე“ გაწეული სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჩელოს იღებს. „ც. ქ. ავლაბრის კარიდამ და კანეთის ბაჟიდამ. ჰავლაბრის მეკარეს უნდა მიეცეს თავისი ჭამაგირი. უნდა მიეცეს შვიდი მინალთუნი.

24 მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), ტექსტები გამოსაცემად მოაშაბადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზია იაშვილმა, 1974 წ.

25 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 75—76.

26 საქართველოს სსრ სახ. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 1452.

- ქ. ლვინის ბაჟიღამ. უნდა მიეცეს თექვსმეტი მინალთუნი.
 ქ. ჭაშინიგიღან. უნდა მიეცეს ორი მინალთუნი.
 ქ. კახეთის ბაჟიღან. უნდა მიეცეს ხუთი მინალთუნი.
 ქ. სამინბაშოდან. უნდა მიეცეს ორი მინალთუნი.

ქ. ხერხეულიძევ. ეშიკაღაბაშო გიორგი, ამ სიით. ამ მეტარე ასეფებას თავისი წლის ჯამაგირი. ყველას გამოართვი და მიეც. ასე პქონია კულავაც განწესება. ოკლომბერს, ი. ქვს უზ. რომელიც სტეფანე გურგინ ბეგის შეილისათვის მოგვიცია იქიდამავ იქნება შიცემა და სხვა რაც ჩვენი შემოსავალი იყოს ავლაბრის კარიღამ არ მიეცეს (მეფე გიორგი)²⁷.

უკვე კარგახანი იყო გასული, რაც ოტომანთა იმპერიის სიძლიერე სულ უფრო და უფრო ეცემოდა. თურქეთი თანდათან კარგავდა იმპერიის დასავლეთ პროვინციებს თუ სახელმწიფოებს. რანის სახელმწიფო ვერ იქნა და ვერ წამოიწია, შინაგანი შულლი და შუოთი ხელს უშლიდა საერთაშორისო-საგარეო პოლიტიკაში მის უფრო აქტიურ მონაწილეობას.

ირანისა და თურქეთის სისუსტით ბუნებრივია ისარგებლებდა რუსეთის სამეფო, რომელიც XVIII საუკუნეში იწყებს თავისი დიდი ხნის სანუკვარი რცნების განხორციელებას, კერძოდ, მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებით ცდილობს მახვილი ჩასუეს ინგლისა და საფრანგეთს. რუსეთი ირანში თავისი სავაჭრო კაპიტალის შეტანით აპირებდა ინდიოთის ბაზრის დაპყრობასაც. ამას ემსახურებოდა ვოლგა—ასტრატანის სავაჭრო გზის გახსნა. ალნიშნული გზის საშუალებით იგი ცდილობს დასავლეთი კასპიისპირეთის დაპყრობას. რუსეთი თავისი მიზნების მისაღწევად არ ერიდებოდა როგორც დიპლომატიურ ხერხებს, ასე-ვე ძალის გამოყენებას.

ირანში თავისი პოლიტიკის გატარებაში მეფე პეტრე I-ს ყელაზე ჩატარებულ პარტნიორად მართლმადიდებლური საქართველო მიაჩნდა. რუსეთის ხელმწიფო მახლობელ აღმოსავლეთში ლაშქრობის საბაბად იყენებს ირანში რუსი ვაჭრების ინტერესებისა და ირანის შაპის შერყეული ტახტის „დაცვას“.

რუსეთის ჯარს ჩრდილოეთ კასპიისპირეთში, ასტრატანში უყრიან თავს. ამავე დროს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩამოდიან რუსი დიპლომატები, რათა მეფე ვახტანგ VI დაითანხმონ განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე.

27 საქ. სსრ. სახ. კენტ. საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 8710.

ქართლის მეფეს თავისი ინტერესებიც აქვს, მას საშუალება ეძლევა რუსთის მხარდაჭერით საბოლოოდ განთავსუფლდეს ირანის ქვეშერდომობისაგან.

ვახტანგ მეფის მოთავეობით 30000-იანი ლაშქარი განჯისაკენ დაიძრა, სადაც ის რუსთა ჭარს უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როგორც ცონბილია, რუსეთის ამ ლაშქრობამ ამჯერად სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

მეფის რუსეთმა კასპიისპირეთში თავისი მიზნების განხორციელება სხვა უფრო ხელსაყრელ, მოხერხებულ დროისათვის გადასდო. ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოები ისევ ირანს დარჩა.

ირანის პირისპირ დარჩენილ ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს, ბუნებრივია, შპაი ვერ მიუტევებდა „ლალატს“. ვახტანგს ქართლის თავაღ-აზნაურობაც (მისი ძმის იესეს მომხრენი) აეშალა. ა-ეთ ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებს კახეთის მეფე კონსტანტინე I (მაჰმად ყული ხანი) და ქართლში ლაშქრობს. მაჰმად ყული ხანი ლექთა დახმარებით 1723 წ. იღებს თბილის. მრის ნებართვით ლაშქარი ქალაქს სამი დღის განმავლობაში არბევს და ძარცვავს.

XVIII ს. სომეხი ისტორიკოსის გადმოცემით ამ შემოსევამდე „სახელგანთქმული და მშევრიერი ქალაქი თბილისი ღიღი ხნის განმავლობაში არ შეუწყებია მტერს და მოსვენებული იყო ომებისაგან, როგორც უველასათვის ცნობილია, იმ ქალაქში შრომისმოყვარე ვაჭრები ცხოვრობდნენ“²⁸...

1722 წ. თურქეთი არღვევს ირანთან დადებულ საზაფო ხელშეკრულებას.

1723 წ. თბილისის სანახებს მომდგარ თურქთა ჭარის სარდალს, მაღალი თანამდებობის პირს—სარასკარს, კონსტანტინე (მაჰმად ყული ხანი) სონდალულში გადასცემს ქალაქის კლიტეს.

ყიზილბაშთა ბატონობა თაშალთა ბატონობით შეიცვალა.

1724 წ. ქართლის მეფე ვახტანგ VI ქართველ დიდებულთაგან შემდგარი მრავალრიცხვანი ამაღლით სტოვებს საქართველოს და მიემგზავრება რუსეთის იმპერატორის კარს, ახალი სამხედრო დახმარების მიღების იმედით.

ისევ აირია ქვეყანა.

ქალაქი ეკონომიკურად სოფელზე იყო დამოკიდებული. მტერი ყოველთვის, როცა სამხედრო ძალით ვერაფერს აკლებდა, ცდი-

28 ე ს ა ი ჰ ა ს ა ნ ჭ ა ლ ი ა ნ ც ი ა, ავღანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, სომხ. თარგმა ქართლ კულტურამ, 1971, გვ. 38.

ლობდა ეკონომიური ბლოკადის საშუალებით გაეტეხა მისი ძლიერება. მემატიანე პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: — „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო-ქართლიდამ ჩამოლშვერი და აღარც ახალ-ციხისა ქვეყნიდამ ქარავანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიახ შეწუხდენ“²⁹.

მტერი ქალაქის ეკონომიურად დაძაბუნების, დასუსტების მიზნით, ქალაქში მისასვლელი გზების ბლოკირება-ჩაეკეტვის გარდა აოხრებდა, სპობდა და აწიოკებდა ქალაქისპირა სოფლებსაც. პაპუნა ორბელიანი სასოწარკვეთით აღნიშნავდა: „ლეკთა მარჩბიელი ჯარი... დაესხა ავ-ჭალას და ქალაქის საქონელი და ნაპირის სოფლებიც სულ ლილოებ-ზე იდგა, დაესხნენ ყველას ერთად და მრავალი საქონელი წაილეს... მოვიდნიან ბორჩალუ-ბაიდრელნი და ქალაქის გარეშემო მოარბივიან და წაილიან“³⁰.

მოტანილი ადგილები ნათელ წარმოდგენის გვიქმნიან იმაზე, თუ რა გასაჭირის და უბედურების მნახველნი არიან ქალაქისპირა სოფლები. აყავებული ბალები, ზვრები, და ხოლაბუნები ლვარცყად მოდებული მტრისაგან ნაოხარი რჩებოდა. მტერი გამიზნულად მოქმედებდა — სოფლების მოსპობით ეკონომიურად აძაბუნებდა, ბოლოს ულებდა ქალაქს.

ქალაქისპირა სოფლების, სასოფლო-სამეურნეო რეგიონში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის — მებალუ-მებოსტნეობის, შეენახეობის, მესაქონლეობის და სხვათა დაწინაურებას, ხელს უწყობდა XVII ს. შეუახანებში და XVIII ს. აღდგენილი ძეელი ნარუალებისა და ახალი სარწყავი არხების გატრა, საგუბრებისა და აუზების, მტკვარზე წყლის საქაჩი დოლაბებისა და ჩარხების მოწყობა.

სოფლის გლეხობა, სხვადასხვა სამეფო გამოსალების გარდა, ფულითაც იძეგრებოდა; რენტის ნატურალურ ფორმას ნაწილობრივ ცვლის ფულადი გადასახადი. სოფლის მუშა-გლეხი იძულებული იყო მეტი ემუშავა, რათა შექმნილი ჭარბი პროდუქტია ქალაქის ბაზარზე გაეტანა გასაყიდად, ხოლო მოგებული ფულით შეწრილი ბეგარა გადაეხადა. ამასთან დაკავშირებით მეტად საჭირო ცნობას ვხვდებით „დასტურლამალაში“ შეტანილ ერთ-ერთ პარაგრაფში — „ქალის მწვანილის ბაჟი“: „ქალის მწვანილის ბაჟი, სადაც

29 პაპუნა თრ ბე ლი ი ა ნ ი, აშბაენი ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება. მეორე გამოცემა ზაქარია ჭიჭიაძისა, 1913, გვ. 229.

30 პაპუნა თრ ბე ლი ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149, 194.

ასრე გარიგებული არის: რაც გაღმა ჭალის ბალები იყოს, ან ბატონის ყმის, ან გაცემულის კაცის, ნაყიდი თუ უსყიდი, ბალის პატრონმან ქალაქს ჩვენის დიდის ბალისათვინ ოთხი კარგი მებალე, თავის ულფით და ჯამაგირით, ყოველს წელიწადს უნდა დაგვიცირონ და ჩვენის ბალისათვის აყურებინონ რომელნიც კათალიკოზის ყმანი მოქალაქეთ რომ ხარჯის მესამედში უდგენან, ისრე რომელსაც კათალიკოზის ყმათ ბალი ჰქონდესთ, იმ რიგად სხვათ ბალის პატრონებს ამათის ხარჯის მესამედში მოუდგებოდენ, როგორც ბალი ჰქონდეს, იმ ანგარიშით.

კიდევ ჩვენს ქარხანაში, ყოველს დღეს, თვრამეტს კონას მწვანილს ყოველის ფერისაგან მისის ბოლოკით მოსცემდენ. რომელსაც ბალის პატრონს ამ ხარჯში გამორჩევა არ უნდოდეს, ის გასასყიდელს მწვანილს ნუ დასთესავს და ნურც ხარჯში მოუდგების. თუ დასთესოს—ნესვი, საზამთრო, კრტიკი, ლობიო, ბალრიჭანი, ნიორი, თავი ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, ამ რიგი რამ დასთესოს, თავისი საყოფი მწვანილიც დასთესოს, თორემ სხვას კი ნუ დასთესავს.

აშეს გარდა, გაღმა კრწანისის ბოლოს რომ ბალები არის, იმისას აქეც იქმოდენ: იმთაც თავისი საქმელი მწვანილი დასთესონ, როგორც ამა ზეით სწერია, თუ არა, ვინც ამათში გასასყიდელს მწვანილს დასთეს ვს, თორემეტი მინალთუნი ჯარიმა უნდა გამოილოს³¹.

XVIII ს. დასაწყისში შედგენილ საკანონმდებლო კრებულში ამ პუნქტის შეტანა მიღვანიშნებს, რომ ქალაქისპირა ჭალებში ზედმეტი, ბაზარზე გასატანი ბოსტნეულის დათესვას დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონოდა. „დასტურლამალაში“ ამის აღნიშვნა მიუთითებს. რომ გლეხს საერთოდ უფლება ჰქონია გასაყიდი კირნახული მოეყვანა.

1804 წ. მოწყობილი კამერალური აღწერის შედეგად გამოიჩინა, რომ თბილისისპირა სოფლებში ბატონისათვის განკუთვნილი გადასახადის გაღების შემდეგ, ჭარბი პროდუქტია ქალაქის ბაზარზე გაქვინდათ გასაყიდად. სოფელ კუკიაში მცხოვრები უმა-გლეხები, ვკითხულობთ აღნიშნულ დოკუმენტში:....«...занимаются хлебопашеством сеют пшеници и ячмень и избиток продают въ Тифлисе»³². მართალია დოკუმენტი XIX ს. დასაწყისისა, მაგრამ მასში უსათუოდ ჯერ კიდევ XVIII ს. საქართველოს სოფლების მდგომარეობაა ასახული.

31 დასტერლამალი, ჭართული სამარ. ძეგლები, გამ. ივ. სურგულაძე, 1970, გვ. 546—547.

32 სასია, ფ. 254, აღწ. 1., საქ. № 74, გვ. 37.

ქალაქისა და სოფლის კავშირი მარტო ეკონომიური ურთიერთობით, ყიდვა-გაყიდვით არ განისაზღვრებოდა. ქალაქი სოფლიდან მუშახელს იღებდა. გლეხისთვის ქალაქი დიდი „სახელოსნო“ იყო, ხადაც ის სწავლობდა სხვადასხვა ხელობას და თავისი თანა-სოფლელისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ყმა გლეხთან ერთად ხელოსანიც იყო. ქალაქში შეძენილი ხელობა მას ქალაქისაკენ იზიდავდა და იგი ყმა გლეხიდან ყმა ხელოსანი ხდებოდა. ამის ბევრი მაგალითია 1781 წ. აღწერის ნუსხაში. გარეთუბანში გიორგი, იულიონ და ლეონ ბატონიშვილებს სხვადასხვა ხელობის ყმა ხელოსნები ჰყავთ. ამავე ნუსხის მიხედვით, ქალაქში საქმიანობენ კათალიკოსის ყმა ხელოსნები, ოლონდ ისინი ისევ სოფელ კრწანისის მცხოვრებლებად ითვლებოდნენ: „...ქ. ქალაქში კათალიკოსისა:

ქ. კრწანელი მესატევრე სანველა

ქ. სარაჭი ისაიას შვილი ოსეფა კრწანისში დაიწერა
ქ. მკერევალი ალავერდი კრწანისში დაიწერა
„³³“³⁴

ქალაქში კუკიელებიც საქმიანობდნენ:

„...

0ქ. აქავ სახასო კუკიელი, ქალაქში მდგომი, მჩითავი გიქულა კომლი, ა, თავი ა.

0ქ. აქავ კუკიელი, ქალაქში მდგომი, ყაზაზი მიკირტუმა კომლი ა. თავი ა.“³⁴


ქალაქისა და სოფლის (ამ შემთხვევაში ქალაქისპირა სოფელ წავკისზეა საუბარი) ურთიერთობის საინტერესო მასალას ვხვდებით 1737 წ. შედგენილ პირობის წიგნში: „ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, თქვენმა მემკვიდრემ ყმაშ, წავეკლმა მატიას შვილმა გიორგიმა თქვენ, ბატონს ჩვენს სარდარის შვილს, ფარსადანს.

ასე რომე მე ქალაქში გავიზიარდე. ხელობა ვისწავლე. წავკისს გვასახლებდით. მოველით, თქვენ შემოგეხვეწენით, ამიტომ რომ ქალაქში სახელო მესწავლა და უქალაქოთ ვერ დავრჩებოდი და ვერც სახელოს გაცემვებდი. თქვენც წყალობა გვიყავით და ქალაქიდამ ალარ აგვარეთ და ეს სამსახური დავიღევ თქვენი, რომე უნდა წელიწადში რვა მინალთუნი და სამი კოდი პური გემსახუროთ

³³ ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტ. ძეგლები, I, 1967, გვ. 148—149.

³⁴ ივ. ჭავახიშვილი, დასახელებული ლიტ-რა, გვ. 161.

မြန်မာနိုင်ငံရှိ အောက်ပါတေသနများ အတွက် အမြတ်ဆုံး လုပ်ခန့်ခွဲမှု ဖြစ်ပါသည်။



და გაძლიო. ამისდა გარდა სხვა გამოსაღები არცარა თქვენა მთხოვთ და არცარა თქვენმა მოხელებმა და არც არა ქალაქის ხარჯი და გამოსაღები მე მეთხოებოდეს, და თქვენი წყალობის წიგნიც ამ გვარად მაქეს”³⁵...

გარდა იმისა, რომ სოფლებიდან ქალაქში ეკონომიური საჭიროების მიზნით მოდიოდნენ — ვაკრობდნენ, ხელობას სრავლობდნენ. ჰინამოსამსახურეებად დყებოდნენ, ქალაქისპირა სოფლები, განსაკუთრებით ქვეყნის აებეღობის უამს, ლეკიანობით შეწუხებული. თბილის აფარებდნენ თავს. 1805 წ. ერთ-ერთ ღოკუმენტში ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი: „...ზოგჯერ შენს სოფელში ვიდექით და ზოგჯერ შიშის მიზეზით ქალაქსა ტფილისსა შა ვიდექით და ვცხოვრობდოთ”³⁶...

ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში მდებარე სოფლებს შორის ურთიერთობა მხოლოდ ეკონომიურ დამოკიდებულებაში — დამამზადებლისა და მომხმარებლის — არ გამოიხატებოდა. ქალაქის სანახების სოფლებზე ვრცელდებოდა ქალაქის მოურავის, მელოქის, მაგალაქლისის ადმინისტრაციული უფლებებიც.

უკანასკნელი დამანგრეველი შემოსევა ქალაქმა განიცადა 1795 წ. ირანის მბრძანებლის ალა მაჰმად-ხანის მრავალრიცხვანი ლაშქარი არამდენიმე დღის განმაელობაში ძარცვავდა და ანგრევდა თბილის. ამ შემოსევას შეეწირა ქალაქის და მისი შემოგარენის ბევრი საერო და საკულტო ნაგებობა. დამპყრობელმა კიდევ ერთ-ხელ დაონავრებული დასტროვა თბილის.

გამოხდა ხანი და 1801 წ. აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შეუერთა. და აი, ქვეყანაში დადგა სასურველი სიმ-შვიდე.

თბილისის ტერიტორიის ზრდის დაღვენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის თვითეული უბნის გაჩენის, წარმოშობის თარიღის ცოდნას. აღსანიშნავია, რომ ქალაქის შემოგარენში მდებარე თითქმის არცერთი სოფელი თუ უბანი ცარიელ აღვილზე არ გაჩენილა, არამედ თითქმის უველა ძეელ ნასახლარზეა აღმოცენებული. ამდენად, მათი ზუსტი დათარიღება შეიძლება მხოლოდ წინასწარი არქეოლოგიური გათხრების მონაცემების საშუალებით. სამწუხაროდ. თბილისის შემოგარენის არქეოლოგიურად შესწავლას ხელს

35 ღოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, 1962, გვ. 175.

36 სუსია, ფ. 1449, № 539.

უშლის ამ უბნების მციდრო დასახლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ზოგიერთი მათგანის ტერიტორიაზე შეძლებასდაგუარად მოხერხდა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება (დადუბე, ლრმალელე, საბურთალო, ვეძისი, ნავთლული, „განჯიყარი“ და სხვა), რომ შედეგადაც დადგინდა, რომ ამჟამინდელი თბილისის ტერიტორია (ძველი თბილისის გარეუბნები), ენეოლიტიდან მოყოლებული თათქმის ფეოდალურ ხანამდე, სამოსახლოდ იყო გამოყენებული³⁷.

ნაშრომში ძირითადად შესწავლილია გვიანი შუასაუკუნეების თბილისისა და მისი შემოგარენის ისტორია, რაც გაპრობებულია ადრეფეოდალური ხანის თბილისის შემოგარენის იტორის შესახებ არსებული როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური მასალის სიმკირით.

XVII ს. ქვეყნის მომმდლავრების, საერთო აღმავლობის შედეგია მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე ქალაქისპირა სოფლების — ავლაბრის, ლომელაურის, ნავთლულის, ღიდუბის, ჩლურეთის, კუკიის (ახალსოფლის). კრწანისის. სონღალულის, სეიდაბადის, ვერეს, საბურთალოს, ვეძისის და სხვათა — გაჩენა. რააკვირველია, ეს ისე არ უნდა გავეგოთ. თითქოსდა ზემოთ დასახელებული სოფლები თბილისის პირას ერთდროულად გაჩინდენ, წარმოიშვნენ.

ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ წერილობით წყაროებში დასახელებულ სოფელთაგან უფრო აღრე მოხსენიებულია ღიდუბე, ავლაბარი, კრწანისი, ხოლო შედარებით მოგვიანებით — ვერა, ჩულურეთი, კუკია, სეიდაბადი, სონღალული, საბურთალო და ა. შ.

ქალაქის ისტორიის კვლევისათვის ღიდი მნიშვნელობა აქვს მასი გარეუბნების, ქალაქისპირა სოფლების — აგარაების ისტორიის შესწავლას. ასეთი „აგარაების გარეშე თბილისის. როგორც ქალაქის, წარმოქმნის ვითარება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა“³⁸.

აგარაებს ქალაქის ცხოვრებაში ღიდი ადგილი ეკავა, ისინი

37 დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 1955; ვ. ჭავარიძე, XI—XIII საუკუნეების თბილისის კერამიკა (თიხის კერამიკი) ს. ჯანაშიას სახ. საქ. საბ. მეზეუმის მოამბე, XVI; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზემთარში, მას. საქ. და კავკ. არქ. I, 1955, გვ. 119—167; ო. ტუეშელაშვილი, არქეოლოგიური დაზერვები თბილისა და მის მიდამოებში (1954—1962 წწ.), თბილისის სახ. ისტ.-უთნოგ. მუზეუმის შრომები, I, 1966, გვ. 13—56.

38 ნ. ბერძენიშვილი, ძვ. თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), საქ. ისტ. საქ. I, გვ. 318.

ქალაქის ჭირ-ვარამისა თუ ლხინის მოზიარენი და მოჰირნახულენი იყვნენ. ყოველ უბანს ქალაქის ისტორიაში თავისი წილი უდევს. ქალაქის აღზევება თუ დაცემა გავლენას ახდენდა მის განაპირა სოფლებზე და პირუკუ. თუ გავიხსენებთ ფეოდალური ხანის სამეცნიერო ხასიათს, იმდროინდელ სატრანსპორტო საშუალებებსა და ქვეყნის ცენტრის დამოკიდებულებას მის პერიფერიებთან, მივხედებით, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ქალაქის სამეცნიერო ცხოვრება მის ახლომდებარე სოფლებზე. ქალაქი ტერიტორიულად აზრდებოდა გარეუბნებისა და მის პირას მდებარე სოფლების ტერიტორიის ხარჯზე.


თოთოეული უბანი გამოიჩინდა თავისი საქმიანობით. არსებობდა როგორც სასოფლო-სამეცნიერო, ასევე სახელოსნო დანიშნულების უბნები.

ძველი თბილისის ზოგი თანამგზავრი გარეუბანი და სოფელი დღეს უკვე ქალაქის ტერიტორიაშია მოქცეული, ზოგი კი, მოშორებული სოფელი — ქალაქის გარეუბნადაა ქცეული. თანამედროვე თბილისში შემავალი ძეგლი უბანი თუ სოფელი თავის არსებობაზე, წარსულზე მეტყველებს მიკროტოპონიმიკით. ქუჩების შემორჩენილი სახელწოდებები მიგვანიშნებენ რა ხელობისა და საქმიანობის იყო აქ დასახლებული ხალხი. ზოგიერთი სახელი დღეს მივიწყებულია, ქართული ენის ლექსიკიდან ან განდევნილია, ან არადა სულსა ლათავს. ბევრი ძველი სახელწოდება აწმყოსათვის უცნაურადა უღერს და არაფრის მთემელია, და ბევრისათვის გაუგებარია, თუ რატომ ერქვა ან რატომ ჰქვია ამა თუ იმ ქუჩასა და უბანს ესა თუ ის სახელი, მაგალითად, ჩუღურეთი, კუკია, ხართუხი, სეიდაბადი, ავლაბარი, დიდუბე და სხვა. ზოგიერთმა სიტყვამ გაუძლო ისტორიის ქარტეხილს და დღევანდელი ქართულითაც კარგად გვესმის, თუ რა შინაარსის შემცველია იგი.

ძველი თბილისის გარეუბნებს, ქალაქისპირა სოფლებს ჰქონდათ და აქეთ საკუთარი ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური. პოლიტიკური და ეთნიკური გეოგრაფია.

ძველი თბილისის მახლობლად მდებარე სოფელთა შორის ხშირია ისეთები, რომელთაც თავისი არსებობის მანძილზე საკუთარი სახელი რამდენჯერმე შეიცვალეს. საზოგადოდ დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებათა ცულა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფაქტორებთან. ხალხთა მიგრაციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარედან შემოსულთ, რეპატრიისა, ტყვეთა გამოსყიდვას, ახალ-ახალ კოლონიებს, ხიზნობას ხში-

რად მოჰყვებოდა (ყოველთვის თუ არა) ძველ დასახლებულ ადგილთა თუ საერთოდ აღგილთა საკუთარ სახელთა ცვლა. თბილისის შემოგარენში უცხო სახელთა გაჩენა დაკავშირებულია სხვადასხვა



რუკა 2. ქალაქისპირა სოფლები (XVIII ს.).

ეთნიკური წარმოშობის ხალხთა ჩატოსახლება-დასახლებასთან, ზოგი თავისი სოფლისა თუ ეთნიკური წარმოშობის უკვდავსაყოფად ახალ აღგილზე დასახლებისას აღგილობრივ სახელს უარყოფდა და თავისას არქმევდა. ანდა სრულიად ახალ სახელს (თავის ენაზე) შეარქმევდა ხოლმე.

ახალი დასახლებული პუნქტების გაჩენა ხდებოდა როგორც ქართველი მეფეების თაოსნობით, ასევე მომხდურ-მოძალებული და ჩვენზე გამარჯვებული მტრის მიერ, რომელიც დამორჩილებულ ქვეყანაში კოლონიებს, დამაყრდენ ძალას იჩენდა.

ჩალაქისაირა სოფელთა მოხელეები

გვიან შუასაუკუნეებში სამეფო კარზე მყოფ მოხელეთა შორის, რომელთაც ქალაქის შემოგარენზეც მიუწვდებოდათ საგამგებლო ხელი, იყვნენ ქალაქის მოურავი — ტარულა და მელიქი — მამასახლისი. ესენი „გამგებელი“, „ხელისუფალი“ თანამდებობის პირი იყვნენ. რომელთა ბრძანებით მათ მიერ წარვლენილი მოხელენი სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ.

ქალაქის სანახებში მდებარე სოფლები ადგინისტრაციულად და ეკონომიკურად, აღრე XV—XVI სს-მდე, სანამ ქალაქის მოხელეთა შორის მოურავის სახელო გაჩნდებოდა, ქალაქის ამირთამირას ემორჩილებოდნენ, რომელიც ამავე დროს ქართლის ამირთამირაც ცყო¹.

ამირთამირა ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს სიძლიერის დროს (XII ს.) შექმნილი სახელოა.

ქალაქის მოურავის სახელო კი, რომელმაც ამირთამირა შესუვალა. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს მოშლისა და დაქაქ-სულობისას (XV—XVI სს.) შეიქმნა, რის გამოც თავისითავად სახელმწიფო სამოხელეო სახელოც შესაბამისად დამტკირებულია — „ქალაქ თბილისის მოურავს ევალებოდა ქალაქის მართვა მას ემორჩილებოდნენ ქალაქის მოხელეები, ქალაქის სავაჭრო და სახელოსნო ორგანიზაციები, მოურავს ჰერინდა სასამართლო ფუნქცია, ევალებოდა ქალაქში წესრიგის დაცვა, გადასახადების გაწერა და აკრეფა, საქონელზე ნიხრის დაღება და სხვა“².

თავის წინამორბედ ამირთამირასაგან განსხვავებით, ქალაქის მოურავს ქალაქის შემოგარენში ეკონომიკური უფლებებიდან მხო-

¹ გ. ლ რ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქ-სა და კავკასიის ისტორიის; ნაკ. 30, 1954, გვ. 145.

² მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამირთამირობის ინსტრუტისათვის, საქ-ლო რესთაველის ხანში, 1966, გვ. 219; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოაზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები დაურო იქ. სერგელაძემ, 1970, გვ. 807.

² ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 811.

ლოდ თბილისის სანახებში არსებული ბალებიდან ალებული ჭირნახულის — მოსავლის ნაწილის მიღებაღა შემორჩენია; „ქალაქის მოურავის საჩვენები“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ქ. ქალაქის მოურავის ქალაქის ბალებში უნდა მოართვან: მოურავის კაცი უნდა წავიდეს და საპალნებით ხილი უნდა მოეკრიფოს და მოერთვას, ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე უნდა მოერთვას, ერთი ახლობას, რაც იმ დროს ხილი იქნება, ყოველივე დაუკლებლად უნდა მოერთვას საპალნებით და ერთი ყურძნობას უნდა მოეკრიფოს საპალნებით, რაც იმ დროს არის, ყოვლის ბალებიდამ: დირსიქალიდან, ორთაჭალიდან, კრწანისიდან, სეიდაბათიდამ, გარეუბნის ბალებიდან და ვერიდამ. და სხვა ყოვლის ბალებიდან³.

გვიან შუასაუკუნეების ხანის ქართლის სოფლებს მოხელე-ტარულა ჰყავდა.

1581 წ. მეფე სიმონ I-ის (1558—1600) მიერ გაცემული წყალობის სიგელით ქართლის თავაღს სოლაღაშვილს ერთგული სამსახურისათვის „ქალაქის პირშია და ვერის ხევში“ ებოძა სოფლები თავის საზღვრითა, მთითა და ბარითა. ნაწყალობევის სისრულეში მოყვანას, აღსრულებას და თვალყურის დევნას მეფე, სახელმწიფოს სხვა მოხელეებთან ერთად, „ქალაქისპირის ტარულას“ და „ვერის ხევის ტარულას“ ავალებს⁴.

შ. მესხია აღნიშნავს, რომ ტარულა ქართველ სამეფო მოხელეთა იერარქიაში იყავებს მოურავის ადგილს და რომ „სატარულო“ გამოსალები იგივე იყო, რაც „სამოურავო“⁵.

ტარულა ჩეენში ორანიდან შემოსული სამოხელეო სახელია. ორანში ტარულა გუბერნატორის, მხარის გამგებლის თანამდებობის მქონე პირს ეწოდებოდა.

სახელო ტარულა საქართველოში XVI ს. ჩნდება და მოურავთან ერთად XVIII ს-მდე არსებობს.

კ. კუცია XVI—XVIII სს. ირანის საქალაქო წყობილების შესწავლისას, ქალაქის მმართველის — ტარულას მოვალეობად თვლის

3 ექ. თავაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. 2, 1909, გვ. 523.

4 კ. კუცია, ქართულ-საარსული ისტორიული საბუთები, ტ. 1955, გვ. 9—10.

5 Ш. Месхиა, Города и городской строй феодального Грузии, 1959, с. 244—245.

6 კ. კუცია, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება, „თანექირათ ალმულქოს“ მიხედვით, ნაჩვ. მახლ. აღმოს. ქალაქების ისტორიიდან, 1966, გვ. 103.

როგისა და სიმშვიდის დაცვას ორგორუ ქალაქში, ასევე მის შემო-
გატენში.

სეფიანთა ირანში ქალაქის ტარულას უფლებები სცილდებოდა
ქალაქის ფარგლებს და გადიოდა მის სანახებში. ქართლში კი სა-
განგებოდ შეუქმნიათ ეს თანამდებობა — „ქალაქის პირის ტარულა“.
ამ მოხელეს უეპველად მის საზედამხედველო ქალაქისპირა სოუ-
ლებში იგივე უფლებები ექნებოდა, რაც სეფიანთა ირანის ქალა-
ქის ტარულას, კერძოდ: წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა, სამოქალა-
ქო საქმების გარჩევა და სხვა. ქალაქისპირის ტარულა რომ უიზი
სამოხელეო თანამდებობაა იქნებან ჩანს, რომ საბუთმა იგი „ვერც
ხევის ტარულაზე“ და მელიქზე წინაა მოხსენიებული.

მელიქის სახელო ქართულ სახელმწიფო მოხელეთა შორის
XVI ს. ლუარსაბ I (1534—1558 წწ.) მეფობის დროს ჩნდება.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ქალაქის მელიქის უფლებე-
ბი ქალაქის შემოგარენზე ვრცელდებოდა თუ არა? ამ კითხვაზე დადე-
ბით პასუხსა სცემს XVII საუკუნის ერთ-ერთი საბუთი: «Повеление
его величества Шаха Сулеймана. В 1669 году меликом Тифлиса
и тифлисских земель (окрестных селений), покойным слав-
ным дедом нашим, был назначен Элан⁷. Утверждая его с своей
стороны, в этой должности, повелаваем всем знатным и незнат-
ным жителям тифлисских земель признавать его меликом, по-
виноваться его требованиям и не уклоняться от служения нашим
интересам»⁸. საბუთი გაცემულია 1684 წ. აღსანიშნავია, რომ მელიქის
უფლებების შესახებ იგივეს ამბობს ე. ვეიდენბაუმი — «Главным ли-
цом в городе был повидимому, мелик. Из грузинских актов 15-и 16 столетий видна что в его ведении находился не только Тиф-
лис, но и тифлисские земли т. е. окрестные селения. Он утвер-
ждался в должности царем»⁹.

შეიძლება მკელევარი თაეისი მოსაზრების გამოთქმისას ჩვენ-
ჯის უცნობი რამებ დოკუმენტითაც სარგებლობდა. უფრო საფიქ-
რებელია, რომ იგი ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ საბუთს იმოწმებ-

⁷ აულან: ქალაქის მელიქად იხსენიება 1655 — 72 წლებში — ვ. ბერძ-
ნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, 1965, გვ. 41.

⁸ Д. П. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ, Тифлис, 1882, с. 89.

და. ალ. ხახანაშვილი სიტყვა მელიქის ახსნისას ასეთ განმარტებას იძლევა: „მელიქი ტფილისის მმართველი. განაგებდა უახლოესს ქალაქთან სოფლებსაც“¹⁰. სამწუხაროდ, ალ. ხახანაშვილი და ე. ვეიდენბაუმი მხოლოდ მელიქის უფლებების ზოგადი დახასიათებით კმაყოფილდებიან.

შ. მესხია საქართველოს უეოდალური ხანის ქალაქების ისტორიის შესწავლისას ქალაქის მოხელეთა მოკალეობა-უფლებების ჩამოთვლისას ქალაქის მელიქს აკუთვნებს შემდეგს: ქალაქში გადასახადის აკრეფა, სისუფთავისა და წესრიგის დაცვა, სახაზინო ყმა-გლეხთა ოღნერა, საგანგებოდ შედგენილ წიგნში მოქალაქეთა შეტანა, სამეფო სიგელ-გუჯრებზე ხელის მოწერა და სხვა¹¹.

XVIII ს. ქალაქის მელიქ-მამასახლისს სახელმწიფოს ფრინან-სიური, შემოსავალ-გასავლის საკითხების მოგვარებაც ევალებოდა¹².

ქალაქ-ს მელიქის აღმინისტრაციული უფლებების ქალაქის სანახებზე გავრცელების დამადასტურებელი წასალა მწირია, მავრამ რაც გაგვაჩნია ისაც საკმარია, მელიქის საგამგებლო უფლებების დასამოწმებლად.

ჩემის ხელო არსებული დოკუმენტითი მასალა მხოლოდ XVIII საუკუნისაა.

ქალაქის გამგებელი ისაყ-ფაშა (1725—1735) ქალაქის მელიქს აშხარბეგს აკალებს, რომ მან უხელმძღვანელოს ქალაქისპირა სოფელ აკლაბარში, გარეთუბანში და ქალაქის ახლოს დაპურებულ გლეხების აყრას და იძულებითი წესათ ავეპალის ციხეში მათ დაახლებას.

„(1725—1735) ოქმი ისაყ-ფაშისა (ტფილისის) მელიქ აშხარბეგ-გისადმი.

ქ. ვეზირი ისაყ-ფაშა ვიკაზრებ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატავ-ცემულ მელიქ აშხარ-ბეგს ასე უანბეთ. მერმე რაც ნუ(ს)ხა მიგვცეს ამ ზაზა გარაყანიძისათვის ასაყრელი გლეხებისა და ქალაქისა და აკლაბარში და გარეთუბანს ი(ყვ)ნენ, სელ უკელანი თავისი ცოლით, შეილითა და საქონლით აყრეთ და ამ ზაზას მიაბარეთ,

10 ალ. ხახანაშვილი, საქართველოს სამეფოს მოხელენი, ეცრ. „მთამბე“, 1897, № 3, გვ. 8—9.

11 შ. ლესხია, სამართლებრივი ფეодალისტური სამართლის განვითარების ისტორია, 1959, с. 273—275.

12 ივ. სერგეი გერება, საქ. სახ. და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, 1952, გვ. 435.

რომ ავტალის ციხეში მიასხან და იქ და(ა)სახლონ. ამის უარს ნურავინ ათქმევინებთ, თვარემ იცოდენ კერას გზით პასუხს ცერ მოგვცემენ“¹³.

1723 წელს ოსმალებმა დაარღვიეს ირანთან დადებული საზავო ხელშეკრულება და ქართლის სამეფოს სუვერენობა ხელპყვეს. ისევ აირია ქეყანა. თბილისი და მისი შეზოგარენი კიდევ ცრატხელ აყლეს და დაარბიეს.

თბილისის კრწანისი საკათალიკოსო სოფელია, რომელიც ამ დროს გავერანებულია. აოხრებული სოფლის მოვლა-პატრიონობას ქალაქის ბელიქი აშხაბეგი კისრულობს, მაგრამ ამ მდგრე და პარუხსაგებ საქმეს მან თავი ცერ გაართვა.

1725 წ. „საქართველოს მაკურთხეველმან კ-ზ პატრიორქიან პატრიონმან დომენტიმ ესე უკუნისამდე ეამსა და ღროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გაბოძეთ თქვენ... ოაზის შეილს აეთანდილს შეილსა შენსა პატას... ასე და ამა პირსა ზედა რომე ძევლთაგანაც ქალაქის კრწანისის მოურაობა თქვენი ყოფილიყო თდეს ოსმალონი ურუმი მოვიდნენ და დაიპყრეს ქეყანა ჩვენი მაშინ ლაშქარმან ღიღათ ალაოხრა და მელქი აშხაბეგა დაგვპირდა აშენებას და ცოტა ზანს იმას მივაბარეთ. ცერც არა ააშენა უფრო აობრდა ისევ ძევლი სამკვიდრო შენი ისევ შენვე გიბოძეთ...“¹⁴

ქალაქის მელიქი უშუალოდ თვითონ არ მიღიოდა ქალაქის შეზოგარენში მდებარე სოფლებში, რაიმე სადაო საკითხის (ვაყრა, სყიდვა, აღწერა... სხვა) მოსავარებლად. ამისათვის საგანგებოდ არსებობდნენ მოხელენი ე. წ. „საქმის მოქმედი“. ეს მოხელენი „გამგებლის“ ბრძანების შემსრულებელი იყვნენ¹⁵.

1751 წლის საბუთი გვამცნობს: „მელიქი საპაკას და მამაახლისი პაპას სიტყვით შუა კაცათ დავსხედით ჩვენ. ორთაჭალაში ორი წვრილი ბალი იყო და ერთი პატარა დარბაზი. და ორი წვრილი ოთახი იყო. ბალები და სახლები სიგლით არუთინასი იყო და ისევ არუთინას მივეცით... თიბათვის, იგ. ქქს ულთ.“¹⁶ (439 წ.).

დამოწმებულ საბუთში გარკვევით არაა ნათქვამი ქალაქის მელიქი კერძოდ რომელ მოხელეს ავალებდა ქალაქისპირა სოფლებში

13 ნ. ბ ე რ დ ე ნ ი ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940 გვ. 218.

14 სცია, ფ. 1450, დავთარი 34, №121.

15 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმეის“ მომბეგ, XIII, 1943, გვ. 163.

16 სცია, ფ. 1450, დავ. 13, № 25.

ამა თუ იმ საკითხის მოგვარება-მოწესრიგებას, ჩვენს ხელთ არსებული სხვა დოკუმენტი ამ ხარვეზს მეტ-ნაკლებად აცხადს. „წინაშე ლთისა მე ითანე პენტელაშვილმა ასე ვიცი ამას წინათ ტერ დავითაშ მის უმაღლესობის მეფის ირაკლისაგან ოქმი მოიტანა ანჩაფართ სტეფანას სახლები ტერ დავითასთან რომ არის ეგ სახლები ამას უნდა მოჰყოლოთ ბრძანება მელიქ ავტიქასა და ჩემზედ იყო. მელიქის მარიფათით ქეთხუდები წავასი და ტერ დავითს მივჰყიდეთ, რაც თავისი გირაოს თეთრი იყო მივეცით და რაც გადარჩა მელიქის მარიფათით ანჩაფართ სტეფანას მოვალებს მივეცით როგორც ტერ დავითას სიგელში აცხადებს. ამას გარდა ანჩაფას შეილს გარეთუბანში სამი ნაღუქარი ალაგიცა პქონდა უკან თავისის ოთახებით. ამათ წერილები რომ გავშინჯეთ ზემოთ ხსენებული სახლები და გარეთუბანის სამი დღექანი თავისის ოთახებით ანჩაფართ სტეფანასაგან უწინ აბესალამანთ პასრათასაგან გირაოდ ყოფილა...“¹⁷ (1796).

როგორც ვნახეთ, მელიქის მიერ წარგზავნილთა შორის არიან ქეთხუდები და კალატოზისა და ხუროს ოსტატები. ქეთხუდებს მოკალაქეთა პრივილეგირებულ ფენიდან ირჩევდნენ. დავით ბატონი-შვილის სამართლის წიგნში ქეთხუდა—მამასახლისა, დარბაისელ კაცს ნიშნავს¹⁸, ქართველი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: „ქევხა, ქევხუდა, ქეთხუდა, ანუ მამასახლისა, ნაცვალი სოფლისა“. ეს სიტყვა ირანიდანაა შემოსული. „ოსტატი“ ისევე როგორც „ქედხუდა“, ირანიდანაა შემოსული და ხელოსანთა უფროსს ნიშნავდა¹⁹. იგი ხელოსანთა უსტაბაშია, მათი უხუცესი, მოძლვარი.

ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ქეთხუდებთან და ოსტატებთან ერთად ითანე პენტალაშვილიც იხსენიება, რომელიცაც, როგორც ვნახეთ, დიდი უფლებები პქონდა.

ვინ იყო? უფრო სწორად, რა სახელო ეკავა ითანე პენტელაშვილს?

1800 წ. შედგენილი დოკუმენტით ვრგებთ, რომ ითანე პენტელაშვილი მობეითალმანეა.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის პამა ქარავ მუშრიმო და მობეითალმანე პენტალაშვილო მერე როგორც ნეტარ ქსენებულს ბატონს ჩვენს შენოვის სახელობი ებოძებინა და ჩვენგანაც ხომ გებოდა ახ-

17 სტათ., ფ. 1450, დავთ. 13, №41.

18 დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნი, გამოსული დ. ფურცელაძე 1969.

19 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

ლა შენ ქალაქი ციხე ავლაბარი წინწყაროელნი გარეთ უბნელნი ქალაქის გარშემო და სოფლები უნდა დასწერო ვისაც ყმა უნდა იყოს გარჩევით დასწერო აგრძეთვე მამულებიც უნდა დასწერო და გამოიკითხო ჩენის ყმის ბეითალმანი მამული საქონელი თუ სხვა რამ ნივთი გარჩევით უნდა დასწერო. თუ თავად აზნაურის ყმანი ესენი შენოვის მოგვიბარებია, რაც საქვეყნო სათხოვარი იქნება როგორც ამას წინათ შენ გიშერია ისევ შენ უნდა შეაწერდე და რომელნაც უცხოს ქვეყნებიდან მოსულნი არიან და ზოგიერთებს თავიანთ თავის ყმათ დაუსახლებიათ ისრც უნდა მოიკითხო თუ ნეტარ ქსენებულის ჩვენის მამა პატისაგან პბოძებიათ ან ჩვენგან ის წყალობის წიგნი ჩვენ უნდა მოგვართვან ჩვენ გავსინჯოთ და ჩვენგანაც დამტკიცებათ რომელთაც ამ გვარი წიგნი არა აქვსთ ჩვენთვის სახასოთ უნდა დასწეროთ.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჰამა ქარავ მუშრიმო პენტელაშვილო იოანე მერე ქალაქის და სოფლების დაწერა რომ გვიბძანებია ქვეყანა შეიძროებულია შენი სამწერლო კომლზედ ორი შაური უნდა გამოართო შეტის გამორთმევა არ იქნება თებერვლის კგ ქვს უცმ (488) მეფე გიორგი²⁰.

შ. მესხია სამოხელეო სახელის „მობეითლამანის“ გაჩენის შესახებ წერდა: «В городах Грузии XVII—XVIII вв. царскими чиновниками являлись также т. н. «мебенталмане», распорядители выморочного имущества («бейталман»), а также имущества бежавших из города горожан и крепостных царя. Обязанностью этого чиновника являлось перечисление указанного имущества в казну или передача его тем лицам, у которых имелся на то соответствующий приказ царя. «Мебенталман» подчинялся мелик-мамасахлиси и совместно с ним производил выдачу тому или иному лицу выморочного имущества»²¹.

საქართველოში გაუთავებელმა შემოსევებმა, ნგრევამ, აოხრებამ, ჩბევამ, გავერანებამ ბევრი აღგილი — სოფელი, უბანი, გაბეითალმანა, გააპარტახა, ვერანა გახდა. ამის შედეგია, რომ XVII—XVIII სს. ქართულ ენაში ჩიდება სატყვები: პარტახი, ვერანა. ბეითალმანი, სწორედ ამ უკანასკნელიდან არის ნაწარმოები მობეითალმანე. მაგრამ სიტყვა „ბეითალმანის“ შემოსელისთანავე, ვფიქრობთ, არ შეიქმნებოდა თანამდებობა — მობეითალმანე. ეს სახე-

20 სუსია, ფ. 1448, № 9711.

21 III. Месхиа, Города..., გვ. 296.

ლო გვიან არის წარმოშობილი, კერძოდ XVIII ს. ბოლო მეოთხედში. და თუ ეს ასე არაა ტერმინი თავის ასახვას პოვებდა XVIII ს. დასაწყისის ისეთ საკანონმდებლო ძეგლში, როგორიც „დასტურლა-შალაა“. „დასტურლამალაში“ სიტყვა ბეითალმანი ნახსენებია. სახლთხუცესის სარგოსთან დაკავშირებით — „კარი 41. სახლთხუცესის სარგოს რიგისა... დარბაისელნი, ეფისეოპოზნი თუ სახასო აზნაურიშვილი, თუ გლეხი, თუ მოქალაქე, რომ ამოვარდეს, იმათის ბეითალმანის (ათისთავის) ნახევარი სახლთხუცესისა არის...“²².

როგორც ვნახეთ, მობეითალმანე საგანგებო დავალებით იგზავნება ქალაქისისირში. მობითალმანე ე. წ. „კარით წარვლენალა“ მოხელეა. თუმცა იგი მეფის დავალებით ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს: სახლების აზომვა-დაგეგმვარება, ბეითალმანის — უპატრონო სახლეარის აწერა და სხვა.

იოანე ბაგრატიონს XVIII ს. დასასრულის ქართლ-კახეთის საბეჭოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტში — „სჯულდება-ში“ შეტანილი აქვს ასეთი პუნქტი: „67—იყოს უფროსი გამულების, მცოდნე მიჯნებისა, სოფლებისა და მთებისა, ტყისა და მინდვრებისა, თუ ვის რაოდენი მამული აქვთ, ანუ რაოდენი საკომილო ადგილი, რომ დროსა მამულის ცილობისასა, ესე განურჩეულეს რიგით ყოველთა და ანუ განსყიდვის დროს ერთმან მეორის მამული არ შერიოს მეორისთანა. ამის დაკითხებით გაიყიდებოდეს და ან გაყიდული მამული ხელმეორედ სხვას არ მიყიდოს.

ამასვე ეკითხებოდეს ბეითალმანი მამული²³.

ამ პუნქტში მობეითალმანე მოხელის უფლებების გაზრდაზე უნდა იყოს ლაპარაკი. საინტერესოა, რომ პენტელაშვილს — სახელმწიფო ომხელეს, მწერალს — მუშრიბს, მობეითალმანეს კიდევ პამაქარას უწოდებენ საბუთის შემდგენელნი. ეს სიტყვა ორნაწილიანი, შედგენილი სიტყვაა. კა და — პამე კარე ნიშნავს-ვა ვს ბერუშისა, ჩა ვს რუკა მასტერ — (და მა კა და სულ, ყველაფერი, თითოეული; კა

— საქმიანი, დელივი, დელისი) ყოვლის მცოდნე და მართლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მობეითალმანე დიდად განსწავლული, გაწაფული, საქმის მცოდნე პირი უნდა ყოფილიყო.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოს სამოხელეო წყობილებაში ადგილი ჰქონდა ერთ საყურადღებო მოვლენას. ხშა-

22 დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, გამოც. ივ. სურაულაძემ, 1970, გვ. 646.

23 ითან ე ბაგრატიონი, სჯულდება, 1957, გვ. 19.

რად ერთი ხელისუფალის ხელში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახელო²⁴. ორც ქალაქის სანახებში მდებარე სოფლები წარმოადგენდა გამონაკლისს, აქაც გვაქვს შემთხვევები, რომა ერთი და იგივე პრტს ორი სამოხელეო თანამდებობა უკავია.

1708 წელი — სოფ. კრწანისის მოურავი და ხასადარი ავთანდილ თაზიშვილია²⁵.

ასევე — ავლაბარში იოსებ ყორლანაშვილი დედოფლის მოურავი და მილახვარია. მოლარე პეტრე სოფელ კუკიძა და ავლაბრის მედალეა;

ეშვერა-ბაშს სიმონ მაყაშვილს გიორგი ბატონიშვილი 1781 წ. ავლაბარში მსახლობელ ლორელ სომეხთა მოურავობას უბოძებს²⁶ და სხვა.

სამეფო და აღვილობრივ მოხელეთა და მოსამსახურეთა შორის, რომლებიც ქალაქისპირა სოფლებში გვხედებიან, არის: მოურავი, ხასადი, მამასახლისი, მილახვარი, ზედამხედველი, მელალე, მეკულუხე, მეკარე, მებაჟე, ყარაული, ჭილავდარი, მენავე, მეთევზე, მეჩანგლე და სხვა.

მოურავი ჰყავდათ მეფეს და დედოფალს, ბატონიშვილებს, კათალიკოსს და ცალკე ფეოდალებს.

ამა თუ იმ სოფლის მოურავის სამოხელეო ვალდებულება არ იცვლებოდა იმის მიუხედავად, თუ ვის ემსახურებოდა იგი. მოურავი ვისაც ეკუთვნოდა, იმის წინაშე იყო ის ანგარიშვალდებული.

მოურავის ფუნქციებში შედიოდა: თავის სამეურნეო მამულში ადმინისტრაციული და ეკონომიკური საკითხების მოვალება და წარმოება, „ამაში მას ეხმარებოდნენ ნაცვალი და მამასახლის..“²⁷.

მოურავი ბატონის — მეფის თუ ფეოდალის შემდეგ თავას საგამგებლო ტერიტორიის სრული ბატონ-პატრონია. იგი სოფლის შიგნით სადათ საკითხების გამრიგე-მოსამართლება — „დასტურლამალში“ პირდაპირ არის ნათევამი, რომ „რომელიც სოფლის კაცი ერთი-მეორეს უჩიოდეს, იმის სამართალი მოურავმან ქნას“²⁸.

მოურავი არა მარტო სოფლის შიგნით საღავო საკითხების მომ-

²⁴ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

²⁵ სციია, ფ. 1450, დავთ. 25, № 143.

²⁶ საქართველოს სიმევლენი, 11, 1909, გვ. 550.

²⁷ ივ. სურგალაძე, საქ. სახელმწ. და სამართლის ისტ. I, 1952, გვ. 394—409.

²⁸ ფასტურლამალი, ქართული სამართ. ძეგლი, გამოსც., ივ. სურგულაძე, 1970, გვ. 617.

გვარებელია, არამედ სოფელთა შორის ამტყდარი დავის ერთ-ერთი მთავარი მომწესრიგებელთაგანიცაა.

1756 წელი — „განჩინება კრწანელებისა და თელეთელებისა სამამულო დავაზე“. ქ. კრწანელები და ამილახორის თელეთელებია სამძღვარზე ლაპარაკობდენ. ჩვენ, ამილახორი ბატონი ამირანდო, და ერთობილი მცხეთელი, სახლთხუცესი მაღალაძე გიორგი, მოლარეთხუცესი გედეონის ძე პა(ა)ტა და კრწანისის ვოლორაზი თაზი შვილი პა(ა)ტა, წავედით და გვერდით ვიახელით ერთობალნი უფროსნი კაცნი კრწანელები და ეგრეთვე თელეთელები უფროსნი კაცნი მოვედით, გავსინჯეთ, ვილაპარაკეთ, ერთმანეთში რაც დავა გვქონდა და იყო, ფიცს ესევ ვარჩიეთ და ერთმანეთას ნებართვით ასე განვსაზღვრეთ და გავაჩიერეთ და სამძღვარი დავდევით“²⁹.

მოურავობა მემკვიდრეობითი იყო. ქართლის კათალიკოსი ქრისტეფორე 1657 წ. კრწანელ თაზის შვილებს უმტკიცებს სოფლის მოურავობას და წყალობის სიგელში უწერს: „...და ძველთაგანაცა თქვენი სამკვიდრო ყოფილიყო სოფელი კრწანისი სამოურაოდ და ჩვენცა სიგელითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგიბოძეთ კრწანისის მოურაობა...“³⁰.

იოანე ბაგრატიონს „სჭულდების“ № 15 მუხლში ნათქეამი აქვს: „რადგან გვარით არის სახელო, უინც მოკვდეს და მერე მის შეიღლსა. ქმასა და ბიძაშვილსა მოეცეს მისიერე სახელო“³¹. ამის შედეგია, რომ ჩვენში ზოგი გვარი სახელოს სახელიდანაა ნაწარმოები, წარმოშობილი — ნაცვლიშვალი, გზირიშვილი, მამასახლება-შვილი, მუხირი და სხვა.

ქალაქის შემოგარენში შსახლობელ საბატონო-სახასო და საკათალო-კარისო ყმა გლეხებს თავ-თავიანთი მოურავი ჰყავდათ. უკვე ვოქტორ, რომ ავლაპარში ჩამოსახლებულ ლორელ ყმა კლებთა მოურავობა 1781 წ. გიორგი ბატონიშვილმა თავის ლალა — გამზრდელს, ეშიქ-ალაბაშს, ქიზიყის მოურავს სიმონ მაყაშვილს უწყალობა. 1798 წ. უკვე ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII მას ავლაპარში ჩამოსახლებულ ერევნელ სახასო ყმა გლეხთა მოურავობას უწყალობებს — „ერდგულს ყმას მირზა აფრასიობას და შეილთა და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე, რომ ამ შენს ერდგულად ნამსახურობას მიეცხდეთ და ვინებეთ და გიბოძეთ ავლაპარში მდგომის ჩვენის სახასო ერევნელების მოურაობა ყოვლის

29 ღოյშენტები თბილისის ისტ. I, 1962, გვ. 217.

30 სცხა, ფ. 1450, დავთ. 34, № 120.

31 იოანე ბაგრატიონი, სჭულდება, 1957, გვ. 9.

თავის სამართლითის სარგოთი და სარგებლობითა გვიბოძებია შემთვევის და ისინიც რიგიცანად შენის სიტყვის მორჩილნი და გამგონენი უნდა იყვნენ ჩვენს სამსახურზედ და შენც იმათს მოვლას და შეძლებას და გაძლიერებას უნდა ეცადო”³².

XVIII ს. გამუდმებულმა ომებმა და ლეკ-აბრაგთა ძარცუა-გლეჭამ ქვეყანას ილაჭი გაუწუვიტა — გამოულია. ბევრი სოფელი აიყარა და გაიხიზნა. ქვეყანა განიცდიდა მუშახელის, მწარმოებელი ძალის უკარობას, ნაკლებობას; ამიტომ საჭირო შეიქნა უცხო ქვეყნიდან შემოეყვანათ გლეხობა. ეს იყო მეტად საჭირო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება, უროპლისიდაც ქვეყნის ეკონომიკურად წინ წამოწევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ ჯონისძიებას ემსახურებოდა გიორგი ჯერ ბატონიშვილის (1781), ხოლო შეძლევ უკვე მეფედ მყოფის (1798) მიერ ლორედან და ერევნიდან სომხური მოსახლეობის ქალაქის მახლობლად, ავლაბარში და აზლება. ამიტომა, რომ მეფე გიორგი XII საგანგებოდ ხაზს უსკავს და აფრთხილებს ავლაბრელ სომეხთა მოურავს, რომ იგი უნდა ეცადოს ერევნელთა „მოვლას“, „შემატებას“ და „გაძლიერებას“.

სოფლის მოურავს სხვა საქმეებთან ერთად ყმა გლეხთა დასახლებაც ევალება. დარეჭან დედოფალი თავის მილახვარს, ავლაბარში სადედოფლო მამულის მოურავს იოსებ ყორლანიშვილს და აკლაბრის მამსახლის ავალებს: „ქ. ავლაბრის მოურავო მილახვარო ყორლანოვო იოსებ და ავლაბრის მამასახლისო. მერე ეს გოგოტელა იმერელი რომ ამდენი ხანია აქ ავლაბარში ჩვენს ყმათ სახლობს და ჯერ ამისთვის მამული არ გვიბოძებია ახლა ამასა გრერთ რომელიც ამ არზით ჩვენს ყმას მამულიშვილს გოგიას ხომ დუქნის ადგილიც ექნებოდა ისიც მოიკითხეთ და ამას მიეცით თუ ის ვერ უპოვნოთ. სხვა დუქნის ადგილი მოუძებნეთ და ისე მიეცით, და იმ გვარათ აქ ავლაბარში ერთი საკომლო ასე შეესრულეთ და მიაბარეთ სამკვიდროთ და საბოლოოთ ასე გვიბოძებია“³³.

მოტანილი საბუთით ავლაბარში დედოფლის მოურავისა და მამასახლის ფუნქციებშია სახლ-კარისა და დუქნის ადგილის გამოძებნა და მიცემა. აქცე დედოფლის ესოდენ დაინტერესება მოსული კაცის დასახლებით, უსათუოდ, ეკონომიკური თვალსაზრისითაა ჩაკარნახვი. ავლაბარში გოგიტელასთვის დუქნის ადგილის მიცემა გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა იყოს ან ხელოსანი; ანდა: ვაჭარ-

32 სციია, ფ. 1448, № 9699.

33 სციია, ფ. 1448, № 9709:

მოურავი გაშეული სამსახურისათვის მისთვის განკუთვნილ გა-
სამრჩელოს „სამოურაოს“ ოღებდა.

1750 წ. კრწანელები თავიანთ მოურავს პატა თაზიშვილს პი-
რობის წიგნს აძლევენ. საბუთის მიხედვით კრწანელები „სამოუ-
რაო“ გამოსალებს კისრულობდნენ:

„მოურავს პატას და ძმასა თქვენსა მგალობელს, — ასე როგო
კონბლის თავს წელიწადში ექვსაბას — აბაზი სამოურაო მოგცემ-
დეთ და კიდევ წელიწადში კონბლზედ თითოს კოდს ქერს
მოგცემდეთ და კიდევ ჩვენის შეძლებით კონბლზე თითოს
ქერს მოგცემდეთ და კიდევ ჩვენის შეძლებით კონბლზე თითოს
ჭერს პურს სასთვლოთ გაქმევდეთ და ამას გარდა საალდგომო
თქვენთ საიასაულე გვაპატიეთ და თითო შაურსა საშობ(ა)ოთ მოგ-
ცემდეთ და რომელიც მართებული იყოს შესაძყრელო და გასამყ-
რელო, საქვრივო და საჩექმე, ჩვენ სულ—ხელერთპირად კრწანელი
დიდმა და მცირემ ეს პირობა დაგიდევით და არ მოგიშალო“³⁴.

მოურავის შემოსავალი — გამოსალები „სამოურაო“, ყოველ
სოფელში ერთი და იგივე არ იყო. იგი დამოიდებული იყო თეათ
მოურავის საგამგებლო სოფლის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. რაც
შეტად ლონიერია ეკონომიკურად სოფელი, მით უფრო დიდია „სა-
მოურაო“ გამოსალები.

მეუე ფეოდალია, დიდი მამულის შექონებელი მეპატრიონეა.
იგი თავისი საკუთრებიდან საჩუქრებისა თუ ფეშების სახა-
ზერებს, ხოდაბუნებს და სოფლებსაც კი გასცემდა. მაგრამ მას კი-
დევ პერნდა საკუთრივ შამული, რომელსაც თვითონენ ამუშავებდა,
უფრო სწორად. ამუშავებინებდა სამეფო-სახასო ყმა გლეხებს. სა-
დანაც იღებდა შემოსავალს, ამ სამეფო მამულის მოვლა-პატრიო-
ნია. ზედამხედველობა, ანგარიშეწორება ხასადარს ევალებოდა.
„ჩვენის სახასოს სოფლების ხასადრებმან, თუ პურისამან თუ ქერი-
სამან, ყეელამ ენენისთვის გასვლამდის ანგარიში მისცეს, რომ შე-
ვიტოროთ რა მოსულა, რომ იმისი ფიქრი ვქნათ, თორემ თუ ამ დროს
ანგარიში გასცილდა, ხასადრობაც დადვას და იმ წლის თავისი
სარგოუა“...³⁵. ე. ი. იგი ანგარიშვალდებულია, საანგარიშო დრო კი
რეგლამენტირებული, რის დარღვევის შემთხვევაში ხასადარი რო-

³⁴ დოკუმენტები საქ-ს სოც-რი ისტ-ის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I., 1940, გვ. 349—350.

³⁵ დასტურლამალი, ქ. ს. ძ., 1970 წ., გვ. 523.

ვების თავის სახელოს — თანამდებობას და წლიური სარგოც ერთ-შევა.

ხასადარი ადგილობრივი მოქელეა, იგი თავის საგამგებლო მა-მულზე ზის. ხასადარს არ ევალებოდა სოფლის შიგნით თუ მის გა-რეთ გლეხებს შორის ჩაიმე სადაო საკითხის მოგვარება, მედიატო-რობა. მოსამართლეობა.

ხასადარი მამასახლისის და ნაცვალის ჩანგის მოხელეა, მას მათთან ერთად უფლება აქვს ბეგარით ისარგებლოს.³⁶ „ხასადრის სარგო ბატონის სამეცნიეროსი და ლალის ათისთავის ნახევარი. კომლ-ზედ ლალის გამომღებს სამ-სამი ლიტრა ქერი. მალის გამომღებზედ თავზედ შეიძლება ნახევარი და ძლვენი. ლალის პურს ხასადარი, მამასახლისი და ნაცვალი ერთად უნდა სჭამდენ“³⁷.

შევე თავის საკუთარ ყანებს, საძოვრებს და ა. შ. იჯარით გა-ცემდა. იჯარით გაცემულ მეფის მამულს ხასადარი არ უდგის და, ბუნებრივია, იგი არავითარ გასამრჩელოს არ იღებს³⁸.

ხასადარი ჩვენ საკვლევ ქალაქისპირა სოფელთა შორის მხო-ლოდ ორ სოფელში — კრწანისსა და ავლაბარში გვხვდება.

კრწანისს მოურავის სახელო სამეცნიეროლოდ ეცუათ თაზიშეი-ლებს. გვარის შიგნით ურთიერთუილობა ჰქონდათ ამ თანამდებო-ბის, სახელოს დაკავებაზე. ერთ-ერთი ასეთი დავა 1703 წელს ამ-ტყიარა, კრწანისს მოურავობას ერთმანეთს ეცილებოლონენ ავთან-დილ და ზაალ თაზიშეილები. მეფის ბრძანებით შეკრებალმა სამს-ჭავრომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „...ასე რომე ავთანდილ ყოველ წელიწადში ოცს მარჩილს ზალს მისცემდეს და მოურაობა და ხასადრობა კრწანისის ავთანდილს ქონდეს“³⁹.

სამწუხაროდ, ავლაბრის ხასადართან დაკავშირებით მწირი მა-სალა მოგვეპოვება. საბუთებში, სადაც ავლაბრის ხასადარია მოხ-სენიებული, იგი სიგელის (1697—1713 და 1713 წ.) შეღვენის თან-დამსწრე პირია. ესაა მათიაშვილი ოტია⁴⁰.

შევე ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული სიგელი — „ბრძანება შე-

36 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქ-ს სახ-ის და სამართლის ისტ-ის, ტ. I, 1952, 23. 211—216.

37 დასტურლამალი, ქ. ს. ძ., 1970, გვ. 588.

38 დასტურლამალი, ქ. ს. ძ., 1970, გვ. 567.

39 სუსია, ფ. 1450, დავთ. 25, № 143.

40 სუსია, ფ. 1450, დავთ. 4, № 183.

ფისა ვახტანგ VI-ისა 1703—1709. ჩვენი ბრძანება არის ავლაპრის ხასაღარო. მერე ეს თათარაშვილი რამაზა ჩვენდა უბრძანებლად არავ აცყარო. თუ, ვისმე ქართული აქონდეს, ჩვენ მოგვაბეჭის, თორემ ნურევის დაანებებთ“⁴¹. დამოწმებული საბუთიდან ჩანს, რომ ხასაღარს ადმინისტრაციული უფლებებიც ჰქონია.

ჩვენს ხელთ არსებული საბუთებით დგინდება, რომ დარეჯან დედოფალს ავლაპარში თავისი კუთვნილი, სადედოფლო მაცნელი ჰქონდა, რომლის ზედამხეველს, საფინანსო და სამეცნიერო საქმეთა მწარმოებელს მიღახვარი ეშვიდებოდა.

მილახვრის სახელო XVIII ს. მეორე ნახევარში შექმნილი თანამდებობაა. იგი ადგილობრივი სახელოა.

მილახვარი ჰყავდა — მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს და უალკე მემამულებსაც — თავადებს.

ალსანიშვილია, რომ 1781 წ. მოსახლეობის აღწერის სააში. გარეუბანში იულონ ბატონიშვილის ყმა გლეხთა შორის მოხსენდებულია „ქ. შანშე მიღახვარი“.

XVIII ს. ბოლო მეოთხედში დედოფლის მილახვრის სახელი იოსებ ყორყანაშვილს ეკავა.

ავლაპრის მილახვარს სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმეების გარდა სააღმშენებლო საქმეებიც ევალებოდა. დარეჯან დედოფალი იოსებ ყორლანიშვილს 1797 წ. ავლაპარში ზეთის სახლელს უწყალობებს. „ჩვენ საქართველოს დედოფლამან დადიანის ასულმან დარეჯან თქვენ ჩვენს მილახვარს იოსებ ყორლანოვს ავლაპრის გაკეთებისა და აქაურის ჩვენის სასახლისა და ეკლესიის აშენებაზე შენის ღიღის გარებისა და ღვაწლდადების სამუქტო და წყალობა გიყავით და გიბოძეთ... სამკვიდრო მამულად ავლაპარში ტფილისის გალავნის კარს გვერდით ისევ შენისავ გარიგით ჩვენს სახუთარს აღგილას შენგანვე გაკეთებული ზეთის სახელი თავის შეუავალგასავლითა და სახლის წინ რაც ცარიელი ადგილია ტფილისის გალავნის კედლამდინ“⁴².

გამასახლისის ინსტიტუტი საქართველოში აღრეულ ხანაში ჩიდება და მას ღიღი ხნის ისტორია აქვს. გვიანი შუასაუკუნეების სოფლის მამასახლისი თავისი უფლებებით ღიღად იყო დაშორებული თავის წინაპრისაგან. იგი მხოლოდ მოხელეა, რომელსაც ძი-

41 სცია, ფ. 1450, დავთ. 4, № 1663.

42 სცია, ფ. 1450, დავთ. 23, № 32.

რეთადაც გლეხებისაგან იჩჩევდნენ. მამასახლისი სტკა ვლეხუბარა-
ვან ვანსხავებით თავისაუფლდებოდა გადასახადისაგან.

გამასახლისობა, ისე როგორც სხვა სამოხელეო თანამდებობა,
მეცნიერებითი იყო. ანტონ კათალიკოსი სოფელ კრწანისის მა-
მასახლის გორგოს 1755 წ. აძლევს წყალობის წიგნს: „ძეველთა-
ვანაც თქვენის სახლისა იყო კრწანისის მამასახლისობა და აწ ახლა
ჩეენცა სამკვიდროთ და საბოლოოთ გიბოძეთ ჩეენის სოფლის კრწა-
ნისის მამასახლისობა“⁴³.

საზოგადოდ, სოფლის მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა:
მონაწილეობა მიეღო სოფლის მართვა-გამგებლობაში, სოფლის მო-
ხელებს დახმარებოდა გადასახადის აკრეფაში და სხვა.

ქალაქისპირა სოფლის მამასახლისის საქმიანობის აღმნიშვნელი
დოკუმენტური მასალა მეტად მწირია. ერთი შემთხვევაა, როცა და-
რეჯან დელოფალი ავლაბრის მოურავს იოსებ ყორლანიშვილს და
ავლაბრის მამასახლისს უბრძანებს: ყველა ლონე იხმარონ, რათა
ვინმე იმერელ გოგიტელას ავლაბარში გამოუძებნია სამოსახლო და
დუჭნის აღგილი⁴⁴. დანარჩენ შემთხვევაში ქალაქისპირა სოფლის
მასახლისი საბუთის შემდგენლის თანდამსწრე პირია და როგორც
მოწერ ხელს აწერს დოკუმენტს, მაგალითად, „ვეძელი მამასახლასი
დავთ“⁴⁵. და სხვა. XVII ს. ერთ-ერთ სიგელში ავლაბრის მეღალეა
ნახსენები⁴⁶.

1795 წელი. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ბრძანება:
„ქ. ჩეენი ბძანება არის დირსიჭალის ბალების პატრონებო და მე-
ბალებო. მეტე დირსიჭალის უსტაბაში ნიკოლოზს რომელიც უსტა-
ბაშის შეეცილება და ან მიზეზი შეიქნება უსტაბაშის წართმე-
ვისა ფრცით ვგძანებთ ასი თუმანი. რომ აზ წავართვათ ორმოცდა-
ათს თუმანს კი წავართვათ მებალებო გაფრთხილებით რომ
ამაზედ ამას არა აწყენინოთ რა თორებ სწორეთ ასე აღვასრულებთ.
და ვერც იძატიებთ ამ ჯარიმას. ხათრიგამნი იყავით. ივნისის. ი ქ. უპ“⁴⁷ (1795). აღნიშვნულ სიგელს 1800 წ. ხელშეორებ მეფე გიორგი
XII ამტკიცებს — „ქ. ჩეენ სრულიად ქართლის და კახეთისა და
სხვათა მეფე გიორგი ამ წყალობასა და სანატრელის მამი ჩეენისა
ბოძებულს წიგნს ვამტკიცებთ ივნისს. ქ. უპ“⁴⁸.

43 სცია, ფ. 1448, № 226.

44 სცია, ფ. 1448, № 9709.

45 სცია, ფ. 1450. დავთ. 46, № 140.

46 თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H — 14966.

47 სცია, ფ. 1448, № 8711.

ესაა პირველი შემთხვევა, როცა ქალაქის შემოგარენში მება-
ლეთა უსტაბაშს ეცვდებით, რაც ქალაქისპირის სოფელთა თუ უბან-
თა მოხელეთა ისტორიის შესწავლისათვის მეტად იშვიათ ცნობას
იძლევა. მებალეთა უსტაბაშს ევალებოდა მებალეთა მეთვალყურე-
ობა. ჭირნახულზე ნიხრის დაწესება, ჭირნახულის დროულად აღ-
ბა და სხვა.

ყარაულს ქვეყნის უშიშროებისა და დაცვის საკითხში მეტად
მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სიტყვა ყარაული ჩევნში შედარებათ
გვიან შემოვიდა, მან შესცვალა აღრე არსებული სპარსული ტერ-
მინი დარაჯი, თუმცა მისი საბოლოო განდევნა ვერ შესძლო.

აღრე თუ დარაჯი და ყარაული, ძირითადად, მაინც ლაშერობა-
თან, ლაშერის მოძრაობასთან, მის უსაფრთხოებასთან იყო დაკავ-
შირებული. გვიანშეუძლია უკუნებში (XVIII ს.) ლეკთა გამუღმებულ
შემოსევებს, მოულოდნელი თავდასხმების თავიდან აცილების მიხ-
ნით, როგორც ჩანს, მუდმივი საყარაულოები დაუწესებიათ ქალა-
ქის სანახებში.

ყარაულის ძირითად მოვალეობას შეადგენდა საყარაულოდ
მიჩენლი გზის, ხეობის და ველ-მინდვრისთვის თვალყურის დევნა
და საჭაროების შემთხვევაში (მტრის მოახლოება თუ მისი მოძრა-
ობა-გადადგილება) თავისიანებისათვის შეტყობინება, რათა მათ
თადარიგი დაეჭირათ. ერთ-ერთი წყარო ყარაულის მოვალეობა:
ასე განიხილავს: — „შენ იცი შეყრა გზისა, გზები დაიცევით, თქვენ
ჭინით კაი რიგათ ყარაულობა, თუ ჭარი ნახოთ გვაცნობეთ და არა
დაიჭირეთ“⁴⁸.

ყარაული ეყენათ ყველა მნიშვნელოვან საქარავნო-სატრანზი-
ტო გზაზე და ხეობაში. თბილისს ყოველი მხრიდან საგანგებოდ გა-
მოყოფილი ყარაული ედგა, რომელსაც ქალაქისპირა მორიგის ხელ-
ფასრდან ეძლეოდათ ფულადი გასამრჩელო.

„ქ. ბატონო მანუჩარ მდივანო ავლაბრის ყარაულებს ჩიფჩიუ
მამადას და იმის ამხანაგებს მორიგის თეთრიდამ ერთი თუმანი მა-
ეც ღვნობისთვეს. ა. ქვ უოე“⁴⁹. (1787). სკვირეთის. შემდეგი დროის
ვერეს ხეობას მომდევნო ხანაშიც არ დაუკარგავს თავისი პირუან-
დელი მნიშვნელობა, როგორც ქალაქთან მისასვლელ ერთ-ერთ
სტრატეგიულ გზას. ვერის ხევსაც ქალაქის პირის მორიგიდან სა-
განგებოდ გამოყოფილი ყარაული ეყენა. „ქ. ლაშვარნივისებო ვე-
რის ხევის ყარაულის ლთისას შეილს ქალაქის პირის მორიგიდამ სა-

48 პარიზის ქრონიკა, გვ. 27.

49 სცისა, ფ 1448, № 4837.

ში გორჩავე მცეცით ერთის თვეს იყარაულონ, აპრილის ივ. ქას—
ლოე, ერეკლე⁵⁰ — (1787).

ქალაქს სამხრეთიდანაც ეყენა ყარაული. მართალია, ამის შესა-
ხებ აღრეული ხანის რამე წერილობითი ცნობა არ გაგვა-
ჩინია, მაგრამ ამ ხარებზე აცხებს XIX ს. პირველი მეოთხედის ერთი
საბუთი.

1819 წ., როცა დღის წესრიგში დადგა სოფ. ხარფუხის ქალაქთან
შემოერთების საკითხი, საქართველოს სამხედრო გუბერნატორის მო-
ვალეობის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა ხოვენმა ამიერკავკასიის
მთავარმართებელ ერმოლოვისადმი წარდგენილ რაპორტში — პატაკში,
სოფ. ხარფუხის თბილისთან მიერთების ერთ-ერთ პირობად წამოაყე-
ნა: «Естьли только жители деревни сей будет выставлять по
прежнему в летнее время одного караулыного против лезгинъ и
платить по 5 руб. серебромъ в месяц за выставляемыхъ на ка-
зачьи посты обывательскихъ лошадей»⁵¹.

დამოწმებული დოკუმენტით დგინდება, რომ ქალაქს ლევთა
წანააღმდეგ ყარაული აგრეთვე სამხრეთის მხრიდანაც ჰყოლია გა-
მოყოფილი. ყარაულში, ისევე როგორც მორიგე ჭარში, გამოსულა
რიგზეგობით ხდებოდა ერთი თვის ვადით. „...ქ. ლაშვიანივისო
მანუჩარ ამ ყარაულებს ეს ხუთი თუმან ნახევარი თუ აპრილის მო-
რიგის თეთრი იყოს დარჩიმილი იქიდამ მიეცი და თუ აპრილის არ
იყოს მაისის მორიგიდამ გაუტიგე სამადლო მიეცი აპრილის. დგ.
ქას უოდ⁵² ერეკლე (1786). ყარაულობა ხდებოდა, როგორც ქვეი-
თად, ისე ცხენით⁵³.

გარდა ამისა საყარაულო-საგანგაშო, სასიგნალო კოშკები,
თვალსაჩინოების მიზნით, მომაღლო ადგილს იდგმებოდა — შენდე-
ბოდა.

საყარაულო კოშკები საგანგებო ადგილს იყვებდა ხუროთმოძ-
ლვოულ ანსამბლშიც როგორც ციხე-სიმაგრის, ასევე საეკლესიო
თუ სამონასტრო კომპლექსში.

1720 წ. შედგენილ დავით გარეჯის მონასტრის საყარაულო
კოშკის პროექტზე არსებულ წარწერაში არის ასეთი ადვილი: „მე-
ოთხე გუნდათში, ზარი დაიკიდება, რომ ოდეს ყარაულიან ნახოს

50 საქათ, ფ. 1448, № 1488.

51 საქათ, ფ. 7, აღწერა 1, საქ. № 826.

52 საქათ, ფ. 1448, № 1336.

53 საქათ, ფ. 1448, № 1487.

გტერი ანუ სხვა მომავალი მონასტერში. დარეკლეს. რომ ის უკა
ნობი შეტყობინებისა“⁵⁴....

როგორც ჩანს, ყარაულის გამოყვანა, სამეთვალყურეო ადგილ-
ზე დაყვნება, მიჩენა, სამხედრო საქმეების მწარმოებლის მოხელის
ლაშქარნევისის კომეტენციაში, უფლებებში შედიოდა. ყარაულო-
ბა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ვალდებულებაა, ამი-
ტომაა, რომ მათი გამოყოფა და მათზე გასამრჩელოს გაცემა, უშუა-
ლოდ მეფის მითითებით ხდება, რომელსაც ლაშქარნევისი ასრუ-
ლებს. ყარაულობა მუდმივი სამსახური არაა, იგი მორიგეობით ხდე-
ბა, ამდენად, ის უფრო სავალდებულო სამხედრო სამსახურსა გაეს. თუმცა შეიძლება ყარაული ზედსახელიც გამხდარიყო, როგორცა
გვაქვს გარეთუბანში XVIII ს. ბოლოს სამების ეკლესიის აღმშე-
ნებლის პეტრე აღნიაშვილ ყარაულად წოდებულთან.

XVII ს. საქანონმდებლო ძეგლებში ყარაული გვხდება. „დას-
ტურლამალაში“, ქვეთავში „დრომისათვის“ ღილშელებს სხვა საქ-
მეებთან ერთად ევალებათ მუხათვერდის ყარაულობა“...⁵⁵

ითანა ბაგრატიონი ყარაულების უფროსს „ყასრდბაში“ უწო-
დებს. რომელსაც დიდი უფლებები აქვს — „იყოს უფროსად (ყა-
სიდბაში); ესე იგი გამსტრობელი, ამრს ხელქვეშ იყვნენ ყარაულინი
მთებსა და მინდვრისანი. ესე მისცემდეს რიგსა და თერთსაც საყა-
რაულოს ეს მოკრეფდეს და მისცემდეს მათ: აგრეთვე უცხოს ქვეყ-
ნებში ამას ჰყვანდეს სარწმუნო კაცნი მეთვალენი თეთრით. რომ
მუნებურს მტრისას თუ მოყვრის მოქმედებას ქეშმარიტებით შეიტ-
ყობდეს“⁵⁶. აქ ყარაული არა მარტო ადგილობრივ მოქმედებს, არა-
მედ იგი უცხო ქვეყანაში მზეერავის მოვალეობასაც ასრულებს.

ქალაქისპირა სოფლებში მეფის, დედოფლის თუ ბატონ-შვა-
ლის მოხელეთა გარდა გვხდება სხვადასხვა დარგის, საქმიანობის
შემსრულებელი მოსამსახურე თუ მსახური.

1781 წ. მოსახლეობის აღწერის ნუსხაში, სოფელ ნავთლულში
გვხდება „დედოფლის ჯილავდარი იმნაძე“⁵⁷.

ჯილავდარი ზაწარმოებია სპარსული სიტყვიდან — ჯილავი,
რაც ალვირის, საყბეურებთან ხელის წასაელებ და სადავის გამოსაბ-

⁵⁴ ვ. ბერიძე, XVIII ს. ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, საქარ-
თველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX, 1947, გვ. 223.

⁵⁵ ქართველი სამართლის ძეგლები, გამოსც. ივ. სურგულაძემ, 1970, გვ. 718.

⁵⁶ ითანა ბაგრატიონი, სკულება, გამოსცა ივ. სურგულაძემ, 1957, გვ. 19.

⁵⁷ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ივ. ჭავახიშვილი, ტ. I,

გვ. 148.

მელ რგოლს ნიშნავს. ჭილავდარი ცხენზე მჯდარ დიდებულს ცხენს უმაგრებდა, ალექსის საყბეურთან ხელი ჰქონდა წაულებული და ისე შიუძლებოდა. ქართველ ლექსიკოლოგს ნიკო ჩუბინაშვილს სიტყვა ჭილავდარი ასე აქვს ახსნილი — „ჭილავდარი — ჭილავის დამშერი ცხენით მიმავალთა დიდებულთა“.

1781 წ. აღწერის ნუსხის მიხედვით გიორგი ბატონიშვილს ქალაქში „ჭილავდარი ყაზარა“ ჰყავს, ხოლო ციხეში კი „აღა ბეგა ჭილავდარი“.

ორთავალაში მტკვარზე ნავი შუშაობდა. 1782 წლის ერთ-ერთ ძალის სიგელში ორთავალის ბალის მეოთხე მიზნად არის „კარი წყლისაკენ პირი საცა ნავი მუშაობს“...⁵⁸ ნავი მტკვარზე გადასულისათვის იყო განკუთხნილი. „ქ. ბატონიშვილმა ლეონმა მელიქ ავეტიჯადამ ბარათით ხუთი მინალთუნი მოატანინა, ეს იმისი დანახარჯის სია... ქ. ორთავალის მენავეს მივე“...⁵⁹ ე. ი. ორთავალის ნაუს ემსახურებოდა მენავე. დამოწმებული საბუთით ძნელია იმის თქვა, მენავე ლეონ ბატონიშვილს ეკუთვნოდა თუ არა.

ორთავალაში საბუთის შემდგრენელ მოწმეთა შორის „მეთევზე ბაქარა“ არის. ეტყობა ეს საქმიანობაც გაპიროვნებული იყო. ალ-ბათ, მას მოვალეობაში შედიოდა ორთავალის ახალი თევზის მირთმევა მეფის კარზე და სხვ.

გარეთუბანი

ქალაქ თბილისის ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს, ქალაქის მომიჯნავე ტერიტორიას გარეთუბანი ეწოდებოდა.

დღეს ქალაქისპირა ძეელი სოფლების თუ უბნების აღრეცული საზღვრების ზუსტი მინიშნება და განსაზღვრა კირს, რაღვანაც მათი ჯახენა-აღზევება და დაცუმა-გაქრობა ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული.

ქალაქის სანახებში ადგილის გვეოგრაფიულ სახელად „გარეთუბანი“ პირველად XVI ს., კერძოდ, 1562 წ. შედგენილ სიგელში გვხვდება: „ქ. გარეთუბანს კალოუბნის აქეთ ნასახლარი რომ: არის“. უკვე ვთქვეთ, ამ სახელობ განისაზღვრებოდა ის ტერი-

58 ს ცი, ფ. 1450, დავ. 5, № 146.

59 მასალები საქ. ეკონომიკური ისტორიიდან, I, 1938, გვ. 65.

1 ქართელი სამართლის ძეგლები, 111, 1970, გვ. 270—271.

რია, რომელიც ქალაქს ეკვროდა მღ. მტკერის მარჯვენა ნაპირზე ჩრდილო-დასავლეთიდან.

ქალაქის შემოგარენში ადგილის საყუთარ სახელად „გარეთ-უბანი“ როდის გაჩნდა ჩეენ არ ვიცით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრე ქალაქს გარეუბნები არ გააჩნდა. ძეველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში ქალაქ თბილისთან დაკავშირებით გვხვდება სიტყვა „გარეთუბნის“ სინონიმები — „გარეშე ქალაქისა“, „ქალაქის მიღამო“, „ქალაქის სანახები“.

„გარეთუბნის“ შესატყვისი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი ზოგადად ქალაქისპირა ადგილს აღნიშნავდა და საყუთრივ ქალაქის რომელიმე ყალკე აღებულ მხარეს არ ეკუთვნოდა. მაგრამ XVI ს. სრეელში მოხსენიებული „გარეთუბნის“ უკვე აღგალის, საკუთარი გეოგრაფიული სახელია.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის თანადროულ ქალაქზე ლაპარაკისას „გარეთუბნას“ თბილისის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ასახელებს².

თემიურაზ ბაგრატიონი ეხება რა ძეველი თბილისის უბნებს. გვამცნობს, რომ „კალა ესე ადგილი არს ტფილისის გალავნის გარეთ: გარეთუბნას რომ უწოდებენ. იქა სადაც შეირჩედი საყდარიოა არს წმიდის გიორგისა. რომელსაცა სახელდების წა გიორგი კალუბნისა“³...

ვახუშტი ქალაქის აღწერისას ამბობს. რომ იგი შედგებოდა ტფილისის, კალასა და ისნისაგან⁴. კალას საყუთრივ თბილისისაგან ყოფდა წავეისის წყალი (თბილისი მდებარეობდა წავეისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო კალა მარცხენა ნაპირზე).

VI ს. მეფე დაჩი ვახტანგის ძემ მამის ანდერძისამებრ საჭატო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა და ქალაქის „ზღუდენიც ვანასჩულა“. ამის შემდეგ ქალაქის ტერიტორია იზრდება, როგორც ჩანს, უფრო მისი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიის — „გარეთუბნის“ ხარჯზე, რაღვანაც VI—VII სს. აქ სირნის კათედრალური ტაძარი შენდება. „საეპისკოპოსო კათედრალის აგება ქალაქის ტერიტორიის გარეთ. გარეთუბნაში არ შეიძლებოდა. ის ქალაქის ტერიტორიის შიგნით უნდა ყოფილიყო. ისე

² ვახუშტი აღწერა..., გვ. 338.

³ თემიურ ბაგრატიონი, ტფილისათვა, 1838, სანქტ-პეტერბურგი, მ. ბროსეს კოლექცია, E—82, (E—156). ლენინგრადის აზის ხალხთა ინსტიტუტი.

⁴ ვახუშტი აღწერა..., გვ. 338.

რომ, ქალაქის ტერიტორია იმ დროისათვის დღევანდელი სიონის უბანს უკვე გაცილებული იყო⁵. ასევე შ. მესხია ქალაქის ზოგადის ფარგლებში ათავსებს სიონის ტაძრის თანადროულ (წმ. მარიამის, ზარის) ანჩისხატის ეკლესიასაც.

სიონი რომ თავიდანვე ქალაქში აიგო, კარგად ჩანს თვით ძველ მემატიანებთან. „მოქცევად ქართლისადას“ ქრონიკი მოგვითხრობს: „...გუარამ ერისთავმან დადგა საძირკულო... ტფილისისა დიდის(ა) ეკლესიისა (სიონისა — თ. პ.)“. ჯუანშერი პირდაპირ გვამცნობს, რომ VII ს. „განასრულეს აღშენება ტფილისის სიონისა“. იგი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასალი და სპარსთა მეფე დაზავ-დნენ, რის შედეგად სპარსელები „უკუდგა რუსთავად, და გამოვი-დის იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა. რამეთუ ტფილი-სი სოფელი და კალაც მოიკრებულ იყო მაშინ. ხოლო მეფე ვახ-ტანგ დადგა ჭაპუს, და შეკრძეს მასვე ველსა ორნივე მეფენი“⁶.

დამოწმებული ადგილით იჩვევეა, რომ რადგანაც „ტფილისი სოფელი და კალაც მოიკრებული იყო“, მოსალაპარაკებლად შე-ფენი ერთმანეთს ველზე შეხვდნენ. ეს ველი კი „კალასია“.

სად უნდა ყოფილიყო „კალას“ ველი?

შ. მესხია შემოზღუდულ „კალას“ ტერიტორიას განსაზღვრავს და ცატადელიდან წამოსულ-ჩამოზღუდულ კედლების მიმართულე-ბას აღწერს. მკვლევარის მიხედვით დედა-ციხიდან ორი კედლელი ეშვებოდა შტკვრის მიმართულებით, ერთი „წავირისისწყლის“ გარ-ჯვენა ნაპირს ჩამოუკვებოდა, მეორე კი „პირველის პარალელურად მიემართებოდა ქვემოთ და თავდებოდა მტკვრის ნაპირზე, იქ სადაც დღეს მეტენია და ავლაბრის ხიდით მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი ერთმანეთს უერთდება“⁷.

„კალას ველი“, ბუნებრივია, უნდა მდებარეობდეს დედაცი-ხის — ცატადელის მეორე კედლის აქეთ — ჩრდილოეთით. ეს შე-იძლება სიონისა და ანჩისხატის ეკლესიის მიღამოებია (მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ორივე ეკლესია „ტფილისში“ დგას), ან-და ავანანთი ხევის მარტხენა ნაპირის ტერიტორია, შემდგომი ხა-ნის „გარეთუბანი“. ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს გარეთუბანში შემორჩენილი მიქროტოპონიში „კალოუბანი“, რომელიც სემანტი-კურად „კალასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული.

5 შ. მესხია,თბილისის ისტორია, 1958, გვ. 30,

6 ქართლის ცხოვრება, ტ. I. 1955, გვ. 181.

7 შ. მესხია, ...დასახ. ნაშრ., გვ. 29.

3 л. იოსელიანი „კალოუბნის“ წმ. გიორგის საყდრის შესახებ წერს, რომ ექლესის აგების დრო და ამშენებელი არა ცნობა: მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ძეგლი თბილისის ქალაქობის აღ-რეულ პერიოდს ეკუთვნისომ⁹. ჩვენ არ ვიცით მკელევარს თავისი მოსაზრება რა წყაროზე აქვს დაფუძნებული.

ახლა, როცა მიახლოებით მაინც ვიცით ქალაქის ჩრდილოეთი კედლის მდებარეობა, გასარკვევია მას ჰქონდა კარი დატანებული თუ არა?

ისტახარი ძეგლი თბილისის მხოლოდ სამ კარს ასახელებს, ტა-ბარი (X ს.) კი ხუთ კარს და მათ სახელებსაც გვამცნობს. ესენია: „კარის კარი“, „რაბადის კარი“, „სოლდებილის კარი“, „მცირე კა-რი“, „მაიდანის კარი“. არამ გოგრაფისის მიერ ჩამოთვლილი ქა-ლაქის ხუთი კარიდან ამ შემთხვევაში გვაინტერესებს „რაბადის კა-რი“. როცა შ. მესხია ჩამოთვლილ თითოეულ კარს ქალაქის ზღუდე-ში მიუჩენს თავთავიანთ ადგილს, ამბობს: „რაბადის ანუ ციხის კა-რი“ ციხეს აკავშირებდა ქალაქთან.

ო. ცეიტიშვილს, ტაბარის ცნობილ გამომდინარე, „რაბადის კარი“ მდრინარე მტკერის მარცხენა ნაპირზე გადაქვს და სოლდე-ბილში ათვესებს.

ლ. ჭილაშვილი ქალაქ არტანუჯის რაბადზე მსჯელობისას შე-საჭერებელ ლიტერატურაზე დაყრდნობით ხსნის სიტყვა „რაბადის“ რაობას და ასკენის, რომ გულისხმობს არა „გამაგრებულ ალგილს“, არამედ გარეუბანს; ხოლო აქედან გამომდინარე, მკელევარი თბა-ლისის „რაბადის კარს“ თარგმნის „გარეუბნის კარად“¹⁰.

ტერმინი „რაბადა“ აღრეშუასაუკუნეებში იხმარებოდა ქალა-ქის გარეუბნის, ქალაქის გარეთა კედლის, სახელოსნო, სავაჭრო ანდა სასოფლო-სამეურნეო უბნის აღსანიშნავად. რაბადა შეიძლება ყოფილიყო ზღუდეშემოვლებული და შემოუზღდავიც¹¹. ამასთან დაკავშირებით გვინდა ალვნიშნოთ, რომ არც ერთ მკელევარს, რო-მელიც კი შეხებია ტაბარის მიერ ჩამოთვლილი ხუთი კარის ქალა-ქის ზღუდეში განლაგების საკითხს, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ

5 П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, 1868.
33. 81.

9 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, 1970,
33. 107.

10 В. В. Бартолъд. К истории Мерва, соч., IV, 1966, гл. 173—174;
Его же, Историко-географический обзор Ирана, соч. VII, 1971, гл. 42;
А. М. Беленицкий, И. Б. Бентович, О. Г. Большаков, Средневековый город Средней Азии, 1973, гл. 43, 135, 177.

კედლისათვის ყურადღება არ მიუქცევია, არ ვიცით, ეს მოხდა ნებ-სით თუ უნდებლიერ.

ატ-ტაბარი თბილისის ზღუდეში დატანებული ხუთი კარის ჩა-მოთვლისას საათის ისრის მიმართულებას მიჰყვება. არაბი გეოგრა-ფოსი იწყებს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კედელ-ში დატანებული „მაიდნის კარი“-თ. შემდეგ ასახელებს: სამხრეთით მდებარე „კარის კარს“, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე „მცირვ (პატარა) კარს“, ჩრდილოეთ კედელში დატანებულ „რაბადის“ ანუ „გარეთუბნის კარს“ და ბოლოს „სოლდებილის კარს“.

რასაკეირველია, ტაბარის დასახელებულ ქალაქის კართა რიცხ-ვი — ხუთი, სიზუსტისა და სისრულის მხრივ სანდო არა. მაგრამ ძნელი დასაჭერებელია, რომ ქალაქის აღმწერს, რომელიც არა მარ-ტო კართა რაოდენობას, არამედ მათ სახელებსაც ჩამოთვლის, შე-უძმინეველი დარჩენოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდი-ლოეთით მდებარე კედელი. ასევე დაუჭერებელია, რომ იმ დროს — IX—X სს.—ამ მხარეს ქალაქს ყრუ კედელი ჰქონიდა.

ძეველი წერილობითი წყაროები „კალას უბანზე“, შემდეგდრო-ინდელ „გარეთუბანზე“, მისი ტერიტორიის განსახლებაზე არას გვამცნობენ. ამ უბანში საგანგებოდ არქეოლოგიური კვლევა-ძეგ-ბაც არავის უწარმოებია. აღნიშნულ ხარევეს ავსებს აქ შემთხვე-ვით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური თუ კურამიკული მასალა¹¹. სხვა-დასხვა დროს მიწის სამუშაოებისას აღმოჩენილი მონეტებია: ბაქ-ტრიიული ძვ. წ. ა. II—I სს. (საინვ. № 319, კეცხოველის ქ.), სასა-ნურ-ქართული VII ს. (საინვ. № 64, სოლოლაკი), სელჩუკური (სა-ინვ. № 6795—6797) და რუსულან მეფის — 1227 წ. (საინვ. № 133).

დ. კაპანაძე აღნიშნავდა, რომ „ქალაქის პირას მოპოვებული ძეველი მონეტა უცილებლად გამოიყენებოდა საალებმიცემო საშუა-ლებად. აქ მოძიებული მონეტები ადასტურებენ, ჯერ ერთი, რომ აღებულ პერიოდში ესა თუ ის ადგილი დასახლებული იყო და, მეორეც, სოფლების ქალაქთან ეკონომიკურ და სავაჭრო კავშირს, ასევე დგინდება თუ რა ფართობზე იყო განსახლება“¹².

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ჩვენი მოსაზრება, რომ ტაბარის მიერ ნახსენები „რაბადის კარი“ ანუ „გარეთუბნის კარი“

¹¹ გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ისტო-რიის ინსტიტუტის მუნიციპალიტეტი, V, ნაკვ. I, 1960.

¹² Д. Капанадзе, Город Тбилиси по монетам, найденным на его территории, рукопись, 1968.

თბილისის ჩრდილოეთ კედელში დატანებული კარიბჭეა, რეალურობას მოკლებული არ უნდა იყოს.

როგორც უკვე ვთქვით, თბილისის „გარეთუბანი“ პირველად XVI ს. გაცემულ წყალობის წიგნში გვხვდება. ამის შემდეგ, თოთქმის საუკუნენახევარი, გარეთუბნის შესახებ დოკუმენტური მასალა არ მოიძებნება. სამაგიეროდ, XVIII ს. გარეთუბნის შესახებ ცნობები მრავლადაა, როგორც იმ დროის სიგვლ-გუჯრებში, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში. ლოკუმენტური მასალა ერთნაირი ხასიათისაა და ძირითადად ისინი ეხება გარეთუბნის მამულების ყიდვა-გაყიდვას: „ნებითა შეწევნითა... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ქართველმა შერმაზანაშვილმა იობ შეიღმია ჩემა დემეტრემ შენ თურქისტანაშვილს ბოქაულთუხუცეს... აცე რომე დამეცირა და მოგყიდე ჩენი ალალად ნასყიდი გარეთუბანში სასახლის ალაგი და ერთი სახლი დადგმული თავის შესავალ გასაცლითა ერთი გვერდი საზენაქო ციისშვილის ზაზას და ქაიხოსროს თუმანიშვილის სამძლევრამდინ ქვევით რევაზ ხერხეულიძის მიღმამდი წინ გედევან აბაშიძის ნასყიდის სახლის სამძლევრამდინ უკან საგურისაჟენ დადი ფლატო რომარის ეს ასე ყოველის კაცის უცილებლად მოგვიყიდია... დაიწერა თებერვლის კბ: ქკ უზ¹³ (1719). კიდევ: — „ნებითა და მლთისათა... მკვიდრი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დავაწერინე და მოგეცი მე მეწულიანთ ფარსადანას შეიღმია ყაზარაშ სახლისა ჩემმა მომავალმა ყოველმა თქვენ ბაყალი ლალაზარას შვილებს სტეფანას არუთინას... ჩემის ნებითა და ნება წალილობით შემოვევაჭრე და მოგყიდე თქვენზე ვანჭის საყდრის წყლის კარის უბანში დედის ჩემის მზითევში მოკემული სახლ-კარი... დაიწერა ესე სიგელი ენკენისთვის გასულს ქკს უნი¹⁴ (1772 წ.).

XVIII ს. I მეოთხედის გარეთუბნის ტერიტორიის განსახლებაზე და მისი საზღვრების დადგენაში გვეხმარება გრაფიკული გამოსახულება—ვახუშტის მიერ შედგენილი „თბილისის 1735 წლის გეგმა“. გეგმის მიხედვით ამ უბნის საზღვრები დღეს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ომოსაელეთით — მდ. მტკვარი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — დადიანის, პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩები (ძველად ამ უკანასკნელი ქუჩების — პუშკინის და ბარათაშვილის ადგილას ავანანთ — სოლოლაკის ხევი იყო), დასავლე-

13 სუსია, ფ. 1450, დაუთ. 10, № 98.

14 სუსია, ფ. 1450, დაუთ. 19, № 55.

თთ — მთაწმიდა და ჩრდილოეთით — ჭორჭიაშვილის ქუჩის მიღამოები. 1772 წელს თბილისისკენ მომავალი გიულდენშტედტი ახბობს. რომ დილმიდან ვერის ხიდამდე მისვლას ნახევარი საათი დასკრდაო, ხოლო „ხიდიდან ჩვენ გადავუხევით სამხრეთ-აღმოსავ-ლეთოთ და 1/2 საათში ვიყავით თბილისის გარეუბანში — გარეთ-უძანში“¹⁵. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოგზაური ცხენით მოდიოდა, გზადაგზა მიღამოსაც ათვალიერებდა, მაგ., ვერის ხიდის შემდეგ ხელავს და ოლწერს დიდუბის ციხე-გალავანს¹⁶. გარეთუბანი ვახუშტის შემდეგ დიდად არ უნდა გაზრდილიყო, ანდა სულაც არ გასცდენია მის პირვანდელ საზღვარს, ამჟამინდელ ჭორჭიაშვილის სახელობის ქუჩის მიღამოს.

გეგმით ვახუშტის დროინდელი გარეთუბანი მჭიდროდაა დასახლებული. ამაზე მეტყველებს დოკუმენტზე დატანილი საცხოვრასის აღმნიშვნელი უჯრედების სიმჭიდროვე და სიხშირე. გეგმის მიხედვით, მოსახლეობა ქალაქის გალავნის სიახლოვეს ზის. მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია აწინდელ ფურცელაძის სახელობის ქუჩამდე აღწევდა. დაუსახლებელია სოლოლაკის უბანი, სადაც გაშენებულია მეფის (№ 40), დედოფლის (№ 39), მამასახლისის (№ 38), თბილელის (№ 42) ბალები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1803 წელს დარეჯან დედოფლალი თავის ასულს თეკლა ბატონიშვილს მზითევეში აძლევს გარეთუბანში მდებარე „დედოფლის“ ბალის ნაწილს. სოლოლაკში „ ბალები მეტწილად მეფის ოჯახისა იყო, ნასყიდობის ობიექტად ისინი არცა ქცეულან და ამიტომ არც დოკუმენტურ მასალაში ასახულან“¹⁷.

ვახუშტის თბილისის გეგმაზე გარეთუბანში, შემდეგდროინდელ სოლოლაკის უბანში, „კოჯრის გზის ხელმარცხნივ, ე. ი. სამხრეთით, დაახლოებით იმ აღგილას, სადაც დღეს მახარაძის ქუჩა ენგელსის ქუჩას უერთდება“¹⁸, დატანილი აქვს ოთხკუთხა ნაგებობა კარტის სახელით, ამარათ-ეგმარათ სპარსული სიტყვაა და შენობას, ნაგებობას ნიშნავს. პიშჩევიჩი „თბილისის 1785 წლის გეგმაზე“ დაახლოებით იგივე აღგილზე მდგარ ნაგებობას „საქართველოს მეფის ძეელი რეზიდენციის ნანგრევებს“ უწოდებს. ახლა ძნელია იმის

15 გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, 1962, ვვ. 61.

16 თ. ბერიძე, ძევლი თბილისის შიკროტოპონიშიკიდან, დილუბე, ეურნ. „მნათობი“, 1971, № 8.

17 ა. ბერიძე ვილი, თბილისის გარეგნი სახე XVIII საუკუნეში, 1965, ვვ. 54.

18 იქვე, ვვ. 54.

დადგენა, თუ პიშჩევიჩი თბილისის გეგმის შედგენისას რა წყაროთი სარგებლობდა.

ვახუშტის გეგმის მიხედვით, გარეთუბნის დანარჩენ ტერიტორიაზე დატანილია ეკლესიები, სასაფლაოები, საასპარეზო მოედანი — ყაბახი, ქალაქელების და თვით გარეთუბნელთა ბალები და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის გეგმაზე აღბეჭდილია XVIII ს. I მეოთხედის თბილისის გარეთუბანი.

ცნობილია, რომ ოსმალებმა — ურუმებმა თბილისი აიღეს და ააოხრეს 1723 წ. თურქთა შემოსევას, ბუნებრივია, ვერც ქალაქის მციდროდ დასახლებული გარეთუბანი გადაუტეხებოდა. ამ ამბას მღალადებელი ბევრი საბუთია შემორჩენილი — „მერმე ურუმობაში გარეთ უბანი დააქციეს და ის თქვენი სახლიც დაიქცა“¹⁹, კიდევ — „მოგყიდე გარეთუბანში ჩემი მამული მწარა ნაოხარი ალაგი“²⁰ (1737); ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა (1724—1735) ქალაქის მელქ აშხარ-ბეგს უბრძანებს, რომ გარეთუბნიდან გლეხები „თავრისის ცოლით, შეიღითა და საქონლით აყარეთ“ და ავჭალის ციხეში „მიასპიოთ“²¹.

ჩენენში თურქობას ბოლო მოელო 1735 წ. ამის შემდეგ ისევ იწყება გარეთუბნის დასახლება, გახიზნული მოსახლეობა ბრუნდება და ა. შ. 1781—1782 წწ. „ქ. მისის სიმალის ბრძანებით ქალაქი აიწერა ავლაბრით და გარეუბნით“. აღწერის ნუსხით იჩვევევა, რომ გარეთუბანში სახლობდა 550 კომლი — „ფნ. ქ. გარეთუბანი“²².

გარეთუბანში სახლები ჰქონდათ: აზავეის ერისთავს (ვახუშტი), გეგმა № 35. იდგა საქართველოს მუზეუმის შენობის აღგილას), ციციშვილებს № 32 (უნდა მდგარიყო ოფიცერთა სახლის მახლობლად), ყაბახის მახლობლად აბაშიძეებს, ხერხეულიძეებს, თუმანიშვილებს²³. ალსანიშნავია, რომ მაღალი ფენის წარმომადგენელთა სამოსახლეობი გარეთუბნის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარესაა და ცალკალკე დგანან, ერთმანეთის მოშორებით, მაშინ, როცა მოსახლეო-

13 სცია, ფ. 1450 დავ. 33, № 303.

20 სცია, ფ. 1450, დავ. 29, № 135.

21 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940, გვ. 208.

22 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, 1967, გვ. 140.

23 ე. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, I, 1947, გვ. 133.

ბის დაბალი ფენა ქალაქის კედლის სიახლოესაა და მათი კარ-მი-
დამი ერთმანეთზეა მიჯრილი.

გარეთუბანში სახლობს სხვადასხვა დარგის ხელოსანი: მეჩახმა-
ხე, მჭედელი, მესანთლე, მკუპრავი, კალატოზი, ბაყალი, ფეიქარი, მე-
ჭურჭლე, მეაგურე, მლებავი, სარაჯი და სხვ. უკვე ვთქვით, რომ გა-
რეთუბნის ტერიტორიის ღიღი ნაწილი ბალ-ვენახებს ეკავათ, რომელ-
თა მორწყვაც ხდებოდა საგანგებოდ გამოტანილი არხებით, საგუბარ-
სა და აუზებში დაგროვილი წყლით და ხევებიდან და კლდიდან გამო-
ტანილი მიღებით. „თბილის 1800 წლის გეგმაზე“ დატანილია გა-
რეთუბნის ბალების მოსარწყავი ორი არხი — «Водяной ровъ изъ реч-
ки цавкисы — для пущенія воды въ сады»: აღნიშნული არხით იზ-
წყვებოდა დედოფლისა და მამასახლისის ბალები. არხს ჰქონია რამ-
დენიმე განტოტება. გეგმაზე ასევე აუზი-რეზერვუარია დატანილი, სადაც
უნდა დაგროვილიყო არხიდან წამოსული წყალი. მეორე არხი — «Вод-
яной ровъ речки цавкисы для пущенія по садамъ воды», სარწყავ
წყალს აწვდიდა სხვა ბალებს.

გარეთუბანში ბალთა სიმრავლე მოითხოვდა მოსახლეობას შო-
რის წყლის განაწილების მკაცრ ნორმირებას. ამიტომ ნასყიდობის
წიგნში ყოველთვის მითითებულია „წყლის რასათი“, ე. ი. წყლის
რიგი, ჯერი.

„დასტურლამალის“ ერთ-ერთ პარაგრაფში, „ბატონის ბალის
წყლის გარიგება“-ში ვხვდებით ასეთ ადგილს: „ანჩისხატის დეკა-
ნოზი მხატვარი გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა გარეთ-
უბნის თავის პატარა ბალისათვის წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს
მისცემდეთ, როდესაც გარეთ-უბნის ბალები მოირწყოდეს; ჩევნი
მომხსენებელი და აზნაურიშვილია, ამისათვისაც პატივ გეიცია
წყლის ბოძებით“²⁴.

გარეთუბანში ვერ ვხვდებით აღგილობრივი დანიშნულების
აღმინისტრაციულ მოხელეებს. გამონაკლის წარმოადგენს გარეთ-
უბანში მოსახლე კათალიკოსის კუთვნილ ყმა გლეხთა მოურავი. ან-
ტონ პირველი კათალიკოსი 1767 წელს გიორგი მაღალაძის სახელ-
ზე გასცემს სიგელს: „...შენთვისაც ისე გვიბოძებია ტფილისის ქა-
ლაქს... თუ გარეთუბანს მსახლობელთა ჩუენის ეკლესიის ყმათა მემ-
კვიდრეთა თუ მოსულთა, და ან დღეის იქით მოვიდნენ და ჩუენის
ყმანი შეიქმნენ, — ამათ ყოველთა მოურაობა და გამრიგეობა“.

24 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 549.

1765 წ. შედგენილ საპატრიარქო ყმათა ნუსხაში გვხვდება „მი-
ენთიკა გზირი“²⁵.

როგორც ჩანს, გარეთუბანი მთლიანად დაქვემდებარებული
იყო ქალაქის ადმინისტრაციას. მაგ., ყველგან, საღაც კი საქმე ეხე-
ბა სახლის აგებას, გასაყიდი სახლის შეფასებას თუ ბალის გაშენე-
ბას, ქალაქის მელიქი აგზავნის თავის ნაიძს — მოადგილეს, ანდა
ქალაქის კალატოზთა ოსტატი²⁶, ასევე მობერთალმანეს და სხვ.

ქალაქის მოურავს გარეთუბნის ბალებიდან ისევე, როგორც ქა-
ლაქის სხვა უბნებიდან ყოველწლიურად თავისი წილი-სარგო ერ-
გებოდა.

გარეთუბანში ქალაქელებს და ადგილობრივ მოსახლეობას
მტკვარზე წისქვილები აქვთ აშენებული. „ბატონი შაპნავაზ ხანის
წაგნითა და ბძანებით ვანქის ქვეშ წისქვილები ავაშენეთ ექვები
წისქვილი“²⁷ (1725წ.). გარეთუბანი, გარდა სასოფლო-ამეცარეო
პროდუქციისა, ქალაქს აწვდიდა თიხის ნაწარმსაც — აგურს, კრა-
მიტს და კერამიკას — თიხის ჭრუპელს.

გარეთუბანში თიხის წარმოების ინტენსიურობაზე მეტყველებს
აქ აჩსებული ქურხანები — ქუშხანები, ქარხნები, სააგურები —
აგურხანები. „გარეთუბნის ნასახლარის ნიშანი და სამზღვარი ერთი
გვერდი პენტელანთ სახლისა და ქურხანის კედელი...“²⁸ (1767).
„გარეთ უბანში ყაბახის ქვეშ აგურის ხანას ზემოთ...“²⁹ (1801). „ვა-
რეთუბანში საკურკლის ქარხანა თავის შიგნითისა ოთახით რომ
არის შიგ ოთხი ქურა გამართული“³⁰ (1802). აგურხანის მეპატრო-
ნეა მეკოკიშვილი, მეკურკლეა — იოანე პენტელაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გარეთუბანი ქალაქს აწვდიდა თავის
ნაწარმს, ის თავისი მრავალრცხვოვანი სახელოსნოებით, დუქნე-
ბით, ქარვასლებით, ბაზრით და რასტაბაზრით თვით წარმოადგენდა
დამოუკიდებელ ბაზარს.

„რასტაბაზარი“ სპარსული სიტყვაა და ერთმწერივად განლაგე-
ბულ დუქნანთა რიგს ეწოდებოდა. გარეთუბნის რასტაბაზარი ქაშვე-
თის ეკლესიის სიახლოეს ყოფილა: „ამ დუქნების ნიშანი ქვემოთ
მხარე სირაჯი ჰაპია, ზემოთ მხარე ქაშვეთისაკენ ზემო მხარის მო-

25 სცია, ფ. 1449, № 2330.

26 სცია, ფ. 1448, № 6675.

27 სცია, ფ. 1450, დავთ. 8, № 107.

28 სცია, ფ. 1450, დავთ. 5, № 152.

29 სცია, ფ. 1450, დავთ. 14, № 54.

30 სცია, ფ. 1450, დავთ. 54, № 163.

მ-ჯენაცე ალარავინ დარჩა დიდი ხნის ხარაბა იყო წინ ჩასტა ბაზარი, პირდაპირ შელიქისა და კოუოწაანთ დუქნები”³¹.

ვახუშტის გეგმაზე № 37-ით დატანილია „ბევერნას ქარვასლა“, რომელიც ვ. ბერძის აზრით, უნდა მდგარიყო ამჟამინდელ ქალაქის საბორს აღვილზე³². 1751 წ. შედგენილ ნასყიდობის წიგნში მოხუცენიებულია ლამბარაანთ ქარვასლა³³. 1755 წ. შედგენილი „განჩინება ანტონ I-ისა მაღალაძეთა ვაჟრის საქმეზე... ქ. ტფილის(ც) ქალაქს ქაშვეთთან ქარვასლის აღავი, რაც წილი უდეს“³⁴.

გარეთუბანში ხელოსნობის სხვადასხვა დარგის (ძირითადად მეთუნეობა, მეაგურეობა და ა. შ) დაწინაურებას სოფლის მეურნეობასთან — მებალეობასთან ერთად ხელს უწყობდა ამ უბნის ქალაქთან მციდორ კავშირი. მაგრამ ძირითადად მაინც გარეთუბნის, როგორც სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სახელოსნო უბნის დაწინაურებაში მთავარი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აქ გამავალმა საქალაქთაშორისო, სავაჭრო-სატრანზიტო, საქარავნო გზებია. გარეთუბანში გამოიყოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ გალავანში დატანებული საში კარი — „კოურის“, „შუა ანუ დილმის“ და „ქვემო ანუ წყლის“.

„კოურის კარი“ მდებარეობდა დღევანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისთან, აქედან იწყებოდა გზა კოჭრისაკენ, ხოლო იქიდან კი საშველდეზე გავლით თრიალეთსა და სომხეთში.

„შუა ანუ დილმის კარი“ მდებარეობდა ამჟამინდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩათა შესაყაჩზე; აქედან იწყებოდა ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო გზა — თბილისი — გორი — ახალქალაქი და ასევე გზა თბილისი—ეინვალი და აქედან რუსეთისაკენ.

„ქვემო ანუ წყლის კარი“-დან, „დილმის კარი“-დან და „კოჭრის კარი“-დან წამოსული ერთ-ერთი გზა თავს იყრის (ვახუშტის გეგმით) ქაშვეთის ახლოს.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის კარიდან წამოსული არც ერთი გზა ბალეზე არ გადის.

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის სამივე კარიდან წამოსული გზა თავს იყრიდა ქაშვეთთან, სარდანაც იწყებოდა ერთ-ერთი მთავარი საქარავნო გზა. შეიძლება ამანაც განაპირობა ის, რომ სწორედ ქაშ-

31 საქია, ფ. 1448, № 5645.

32 ვ. ბ. რ. ი. დ. ე., დასახ. ნაშრომი. ანალები 1, 1947, გვ. 135.

33 საქია, ფ. 1449, № 135.

34 ქ. ს. ძ., IV, 1972, გვ. 440—441.

ეეთთანაა გარეთუბნის სავაჭრო ცენტრი — ჩასტაბაზარი, ქარვაბ-ლა, ღუქნები და სხვ.

1795 წ. აღა-მაკმად ხანის შემოსევამ თბილისთან ერთად გისი გარეთუბაზიც იმსხვერპლა. „გარეთუბანი: ჩემი დედის ზითვში მოტანილი სახლი მქონდა და აღა-მაკმად ხანის დროს დამწევარ ცო“¹⁵. ამ შემოსევის შემდეგ ქალაქსა და გარეთუბანს თავსგადაცედარი ამბების ამსახველი მასალა მრავლდა. შემოსევის მომდევნო ხანში შედგენილ საბუთებში ჩნდება „ნასახლარი“, „ნაოხარი“, „ბე-ითალმანი“ ადგილები.

აღა-მაკმად ხანის შემოსევის შემდეგ თბილის აღარ განცუცლა უცხო დამცერობთა შემოსევები. სულ მცირე შესვენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქალაქი ისევ განახლებულადა და მოლონიერებულიყო. შესაბამისად გარეთუბანიც იწყებს დასახლებას.

1797—1799 წწ. ორანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ სოფელთა ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. გარეთ უბანი მოსახლენი“, ე. ი. ამ ღროს გარეთუბანი მოშენებულია.

გარეთუბანში რამდენიმე მიკროუბანი იყო, რომელთა ახელი წარმოშობილია აქ მცხოვრებ პირთა სახელისა და გვარისაგან ანდა აქ მდგარი ხუროთმოძღვრული ძეგლის სახელწოდებიდან. ასეთებია მუხრანბატონის უბანი, წყლის კარის უბანი, ცხაბურას უბანი, ბოშის უბანი, ორბელიანების უბანი, კალოუბანი. ვანქისუბანი და სხვ.

„ქვემო კართან“, მტკვრის ახლოს ქალაქის გალავანში დატანებულ ბურჯთან მიშენებული იყო მუხრანბატონების ორსართულიანი სასახლე (ამჟამად ჩახრუხაბისა და ბარათაშვილების ქართან). მუხრანბატონების მფლობელობაში იყო მდ. მტკვრის სიახლოვეს სოლოლაკის ხევის გალმა და გამოლმა მამულები, რის უმოც ამ ტერიტორიას მუხრანთუბანი შეერქეა. ხევზე გადებული იყო ხიდი. რომელიც იმავე სახელს ატარებდა (ვახუშტისთან № 23-ითაა აღნიშნული „მეიდნის კარი ხიდით.“). XX ს. 10-იან წლებში მტკვარზე ერთმალიანი ხიდის აშენების (არქიტ. პატონი) შემდეგ ხევზე გადებული ძეგლი ხიდის გამო, მასაც მუხრანის ხიდი ეწოდა (აწინდელი ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდი).

ორბელიანთა უბანი მოიცავდა ამჟამინდელ „საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის კავშირის საზოგადოების სახლის“ მიდამოებს მდ. მტკვარამდე. როგორც ვახუშტის ჯეგმიდან ჩანს, ეს ადგილი სახამოა, რაღანაც აქაა „მეიდნის სასახლე“ (№ 27), „საასპარეზო“ (№ 28), „საბაზიერო მეფისა“ (№ 30).

შემდგომში ეს ადგილი თეომურაზ მეფემ 1751 წ. ჩევაზ ორბელიანს უწყალობა⁶⁶. მოგვიანებით ეტყობა ორბელიანებმა გარეთ უბანში თავიანთი მამული გააფართოვეს, კერძოდ, მტკვარზე კუნძულიც მათია; კახუშტრისთან ის აღნიშნულია—№ 65 (ახალი ბალი მეიდანისა).

საბუთებში ასევე გვხვდება „წყლის კარის უბანი“³⁷. სახელი თვით უჩვენებს თავის ადგილმდებარეობას. იგი კალაქის გალავანში დატანებული ამავე სახელწოდების კარის შახლობლად იღლ.

ქალაქის გალავანთან, ბურჯთან სახლი ჰქონდა ვინმე ცხრაპურას. რის გამოც მის სამოსახლო მიღამოებსაც ეს სახელი შეერქვა „ცხრა პურანთ უბანში“³⁸.

ასევე, საბუთებში თოვქმის მთელი XVIII ს. და XIX ს. 10-იან წწ. გვხვდება „ბოშის უბანი“. იგი, საბუთების მიხედვით, „შუა კარის“ მიღამოებში უნდა ყოფილიყო³⁹.

ხუროთმოძღვრული ძეგლებით გარეთუბანი მეტად მდიდარია. აქაა ქართული მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები, ხოლო XIX ს. მათ ემატება რცხული მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები.

ჭარბოლი ეკლესიებია: კალოუბინის წმ. გიორგის ეკლესია. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია. სამების ეკლესია, მთაწმიდის ეკლესია. სომხურებია: ვანქის, ქაშოანთ, თეკენემის, ზირკინანთ.

კალოუბნის ეკლესიის აგება, როგორც უკვე ვთქვით, თბილისის ქალაქობის ადრეულ ხანასთანაა დაკავშირებული: «Церковь калоуба-ни св. Георгия кем и когда она была построена — неизвестно. Но древность ея, восходящая к началу основания Тифлиса, не-оспорима. Этот древний памятник церковного зодчества, с его, для нашего времени, не правильностью архитектуры, разло-ман в 1850 году. На его руинах, усердием перая Иосифа Нэморадзе, явилась другая более в широком размере»¹⁰.

კალოუბნის ეკლესია იდგა აწინდელ კინოთეატრ „რუსთაველის“ აღგილზე. სამწუხაროდ, ამ საინტერესო ტოპონიმის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება. პირველად ჩვენს ხელთ არ-სებულ წერილობით წყაროებში ის გვხვდება 1560 წ. შედგენილ

³⁶ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, № 191.

37 Տարբերակ, թ. 1450, Հունվ. 19, № 55.

39 ԱՐԵՎԻՆ, թ. 1450, Հայտ. 20, № 81.

⁴⁰ П. М. Седов. Описание древностей г. Тифлиса. 1868. с. 81.

სიგელში — „ტუილის:ქალაქს: ერთო სასახლე: კალოსუბანს: წინ
შარამდინ“⁴¹, ხოლო 1715 წ. სიგელით კი ვიგებთ, რომ „გარეთუბანს
კალობანი წმინდის გიორგის საყდრის თვისის მამულით ზუმბული-
ძეთ სამეცნიერო არის“⁴².

დავით კარიჭაშვილის კატალოგში „კალოუბნის“ ეკლესიის შესახებ წერია: „გარეთუბნისავე შინა არის ეკლესია წმინდისა და ძლევაშემოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა, 23-სა დღესა ზედა აპრილის თოვისასა, სახელითა ქალაქისა ამის ძველის სახელით კალოსტბნისად წოდებულისათა, თუმცა უგუმბათო, მაგრამ რომელიმე ნაწილი ხის ჭერით დახურვილი არსადა ჰქიანს ღრო და აღმაშენებელი მისი. და ადგას პატარა სამრეკლო ზარებისა გუმბათიანი. ამას ეკლესიასა შინა არიან ოჩნი მღვდელი, აქა შეკრბება დღესაც ულობად დიდი ერი, თუმცა არა თვისსა დღესა. აქა სწავლობენ მრავალწლიურმანი კითხვასა წიგნთასა და წერასა“⁴³.

ქაშვეთის წმ. გორგის ეკლესია ვახუშტის გეგმაზე დატანილია № 33-ით. ის წერილობით წყაროებში ჩვენ პირველად გვხვდება 1440 წ. შედგენილ სიველში: „მოგეცით ქაშვეთანა შეუიდრი საყდრის მ-შა სავენაკე და აშენო ასრე და ამა პირსა“⁴⁴. ქაშვეთის აშენების ლეგენდა მას იმ 13 სირიელ მამათაგან ერთ-ერთის სახელს უკაშორებს, რომელიც საქართველოში ქრისტეს რწლის საქადაგებლად VI ს. ჩამოვიდა⁴⁵. ეტყობა, მრავალჯერ აშენებულა და შეკეთებულა. პლ. ოსელიანი XIX ს-მდე მოღწეულ ეკლესის აგებას გვია ამილახვარს მიაწერს და თარილად 1754 წ. ასახელებს⁴⁶, ხოლო კარიჭაშვილისეული კატალოგი კი—1754 წ.⁴⁷ აწინდელი ძეგლი ამილახვრების თაოსნობით XX ს. 10-იან წლებში აიგო, კერძოდ 1910 წ.

გარეთუბანში მთაწმიდაზე დგას წმიდა დავითის ჟახელობის ეკლესია. ლეგენდა ლაპარაკობს, რომ დავით გარეჭელი სირიიდან მოსვლისას აქედან ქადაგებდა ქრისტეს ჩუღულს. XIX ს-მდე მოლ-

41. საბუთება კუდიალე, ისტორიული საბუთები, II, 1913, გვ. 45.

42 ԱՐՏՈՒՐ, Ե. 1450, ՀԱՅԹ. 31, № 138.

43 ლ ე რ ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ -ბ ე გ ი რ მასალები ტულისიძა . ლ ა „ს მ მ ხ ი თ ი ს ” ს ი დ ვ ე ლ ე თ ა ი ს ტ რ ი ს ი ს ა თ ი ს , „ჩ ე რ ი მ ე ც ნ ი რ ე ბ ა ” , 1918—1923 , № 1 . გ ვ . 87 .

44 Ա Ճ Հ Ո Ս Կ Ե Վ Ա Բ Ե Ժ Ե, Ը Ն Ա Տ. Ե Ա Մ Հ Ո Ջ Ո, Ց Յ 3. 7.

45 ი. ჭავაძე შეკვეთის, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, 366—370; კ. კეკელიძე, ეტიულები ძეგლი ქართველი ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, 23, 19—50.

46 IL 119 c e a n a u I I , നാഥൻമു, 21. 77.

47 Ա. ՅԵՂՈՎԻՏ-ՖՐԵՇ, Պատմ. Եպիկոն, 23. 87.

წეული ეკლესიის აგებას XVI ს. მიაწერენ. ის აუგიათ 1542 წ.-ბერად შეტყვარ დავით და ნიკოლოზ გაბაშეილებს. ეკლესიას ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოულწევია. ამჟამინდელი ეკლესია XIX საუკუნისაა.

გარეთუბნის მეოთხე ქართული ეკლესია არის „სამების“ ტაძარი. რომელიც 1790 წ. პეტრე ალენიშვილს, ყარაულად წოდებულს, აუგია, 1853 წ. მას სამრეკლო მიაშენეს⁴⁸.

ვანქის ეკლესიის (მას ფაშა-ვანქსაც უწოდებდნენ — ფაშის მონასტერი) აგების ზუსტი თარიღი არ იციან. ლეონ მელიქისეთ-ბეგი სომხურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ისტორიული პირების სახელთა მოშველიებით ძეგლს XIV—XVI სს. აგებულად მიიჩნევს⁴⁹. პლ. იოსელიანი კი XVI საუკუნით ათარილებს⁵⁰. ამეა-მად ეკლესიიდან დარჩენილია გვიანი ხანის — XIX საუკუნის სამრეკლო. აი, სწორედ აღილმაც, უბანმაც ამ ეკლესიის გამო მიღლო თავისი სახელი — ვანქის უბანი, რომელიც მოთავსებული იყო მოხანთუბანსა და ორბელიანების უბანს შორის, მდ. მტკერის ნაპირზე.

სომხურ-გრიგორიანული ქამოანათ ეკლესია უნდა იყოს ვახშტის გეგმაზე № 36-ით დატანილი „სომხის საყდარი“⁵¹. იგი იდგა ამჟამინდელი რუსთაველის პროსპექტზე მეტროს სადგურ „ლენინის მოედნის“ პირდაპირ.

ზირკინაათ წოდებული წმ. გიორგის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია XVIII ს. ძეგლია. ის იდგა აწინდელი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის უკან⁵². კარიქატვილის კატალოგში ვხვდებით ასეთ ცნობას — „ვერისაუკ მიმავალის გზის დაწყებასავე. მარცნივ, გზას ზე-მოთ, პირდაპირ კომაროვსკის სახლების აღილსა თანა არს ეკლესია უგუმბათო სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა. ზირკინაანთ საყდრად წოდებული, აღმენებული მოქალაქეთა ყამაზოვთაგან წელსა 1717-სა“⁵³.

თეკუნამის ეკლესია (სომხურად ნიშნავს თუ ვიცოცხლე — թხ ჭინამ) XVIII ს. ძეგლია, იგი იდგა დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე.

48 ლ. მე ღია სა თ-ბე გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

49 ლ. მე ღია სა თ-ბეგი, ტფილისის ენეის დარსების საყითხისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მომბე, 1924, IV.

50 ი. ი. ჩიხარეანი. დასახ. ნაშრომი., გვ. 232.

51 ბ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

52 ი ქ ვ, გვ. 44.

53 ლ. მე ღია სა თ-ბე გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

უკვე ვთქვით, რომ დარეჯან დედოფალმა თავის ქალიშვილს თეკლას მზითებში გარეთუბანში მდებარე ე.წ. „დედოფლის“ ბალი მისცა.

ორი ათეული წელი იყო გასული, რაც საქართველოს შეფეხა. ბაგრატიონთა საგვარეულო რუსეთს იყო გადასახლებული; ამდენად ვე ხანი იყო გასული, რაც ქართლ-კახეთის სამეფო მეფის რუსეთის იმპერიას შეუერთდა. აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად ითვლებოდა, ხოლო თბილისი კი — გუბერნიის ცენტრად.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქი თბილისი სწრაფად იწყებს ზრდას, მდ. მტკვრის აყოლებით, ჩრდილოეთ მხარეს, გარეთუბნის ტერიტორიის ხარჯზე. აქ შენდება რუსი ხელისუფლების ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები — შტაბის კორპუსის შენობა, პატარებაში, მეფისნაცვლის სასახლე და ა. შ. XIX ს. 20-იან წლებში სოლოლაკში ჯერ კიდევ ბალებია. აი, რას წერს თეკლა ბატონიშვილი რუსი ხელისუფლებისადმი ერთ-ერთ განცხადებაში:

„1823 წ. მარტს არზა მოცემული თევლე ბატონიშვილისა...
თქვენო აღმატებულებავ. მოწყალევ ხელმწიფევ!

...მეორესაცა თხოვასა ამას ვჰყოფ აღმატებულებისადმი თქვენისა: გარეთუბანს არს ბალი ჩემი. რომელიცა მაქვს მოცემული განსვენებულისა დედისა ჩემისა დარიასაგან და დამტკიცებული უმაღლესითა უქაშითა დროსა მთავარ მმართებლად ყოფილის კნიაზ ცაციანოვისასა. ბალსა ამას აქვს განწესებული სოლოლაკიდამ წყალი ლრამატითა განსვენებულთა მშობელთა ჩემთაგან. მაგრამ ცხრა წელი არს არა ფრიად მცირელა ეძლევა და სხვა მოღებულ არა ბალთა მათვის, რომელნიცა არა ყოფილან დროთა შინა მეფეთათა და აწ შენდებიან, ხოლო მცირედიცა გვი წყალი, რომელიცა დაშიობილ არს ბალისათვის ჩემისა უამსა მას საჭიროსა. ოდესაც უნდა მოხმარებულ იქმნას სასარგებლოდ მისსა. მიაქვსთ სხვა და სხვათა შენობათათვის“⁵⁴.

გარეთუბნის ბალები იჩეხება და მას იყავებს მალალი ფენის. წარმომადგენელთა სახლები, ძირითადად ბურუაზია.

XIX ს. გარეთუბანში ქართველ დიდებულთა ბალების აღგილებება ტოპონიმი — აღგილის სახელი სოლოლაკი.

54 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტ-დან, ტ. II, გვ. 255.

გარეთუბანში ადგილის სახელად სოლოლაკის გაჩენა დაკავშირებულია სოლოლაკის, ანდა, როგორც მას უწოდებდნენ, სალალაკის წყალთან და ამავე სახელწოდების ქედთან თუ მთასთან.

სალალაკის ხევი თაბორის მთისა და ნარიყალის გამუოფია. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგცემს, რომ „...კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელიც გამოღის წავეისისა და კოჭრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლეთით უღის კალის და დასავლით თბილისს“, ხოლო რაც შეეხება თვით სალალაკის ხევს, ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ ასე წერს: „კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდველი სალალაკის—ევეი მტკურამდე, სალალაკის — ხევის კარს უწოდებენ განჯისკარად“. ესე იგი, ვახუშტის დროს, XVIII ს. პირველ მეოთხედში სალალაკის ხევი და სალალაკის წყალი ქალაქის სამხრეთით მდებარე ხევსა და წყაროს უწოდებოდა. ეტყობა, სალალაკის ხევში მომდინარე წყალს ვახუშტისავე დროს მეორე სახელიც ჰქონია, რადგანაც მისსავე შეღვიძლ „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ № 53-ით აღნიშნულია სოლოლაკის ხევში მომდინარე „წავეისის წყალი“.

XIX ს. შეღვენილ თბილისის ჩუკებსა და გეგმებზე წავეისის ხევში მომდინარე წყალს ორი სახელით აღნიშნავენ: „წავეისი ანდა სალალაკის წყალი“. შემდგომში მდინარემ სახელი „სალალაკი“ დაკარგა და „წავეისი“ დაიმკვიდრა, თუმცა მდინარის ქვემო წელზე თბილისელი დაბალების — მეტყავეების მიერ აქ არსებული აბანოებიდან გამომდინარე გოგირდოვან ცხელ წყალში ტყავის დამუშავება-გამოყვანის გამო „დაბახანკა“, ანდა „დაბახანის წყალი“ შეერქვა. 1756 წ. საბუთში ვკითხულობთ: „...ამისი საბრწყავი წყალი განჯისკარს ზეიდამ დაბახანის ზეერდამ წყალი წამოვიყენე მილით...“⁵⁵. სალალაკის ხევს, „ლელვთა ხევსაც“ უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ.

XIX ს. მეორე ნახევრიდან სალალაკის — სოლოლაკის ხევის სახელი დაიმკვიდრა გარეთუბანში მდებარე „ავანაანთ ხევმა“ და, შესაბამისად, მის ზემო წელზე მიმდებარე ტერიტორიიამაც.

სოლოლაკის ხევი იწყებოდა ამეამინდელი დავითაშვილის სახელობის ქუჩიდან, გაივლიდა აჭინდელ ლენინის სახელობის მოედანს და ჩაუკვებოდა ამეამინდელ პლუტინისა და ბარათაშვილის სახელობის ქუჩებს და მდინარე მტკვარს შეერთვოდა მარჯვენა მხრიდან, ბარათაშვილის ხიდის მახლობლად.

55 გასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, I, 1938, გვ. 256.

გარეთუბნის ამ ნაწილის, სოლოლაკის უბნის განაშენიანება დაიწყო XIX ს. მეორე მეოთხედრდან, ხოლო მისი ტერიტორიის ინტენსიური ათვისება იწყება სოლოლაკის ხევის გადახურვის შემდეგ XIX ს. 60—70-იანი წლებიდან. ჩნდება სოლოლაკის სახელწოდების ქუჩა (ამეამინდელი კიროვის სახელობის ქუჩა). გარეთუბნის ამ ნაწილში ბალ-ვენახების არსებობაზე კი მიგვანიშნებდა სახელი „ბალის“ მატარებელი ქუჩა (დღევანდელი ენგელსის სახელობის ქუჩა).

ამგვარად, გარეთუბანი ქალაქის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანი იყო.

ვერა — ვერა

(სკვირეთი — სკორეთი)

ქალაქ თბილისს ჩრდილო-დასავლეთიდან გარეთუბნის შემდეგ სოფელი ვერე-ვერა ესაზღვრებოდა.

ქალაქის შემოგარენში პირველად სიტყვა „ვერე“ ხევის სახელად — „ვერისახევი“ XIII ს. გვხედება.

აღნიშნულ ხევში მოედონება მდინარე ვერე, რომელიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან შეერთვის.

მდინარე ვერეს ქვემოწელზე, მტკვრის სიახლოვეს, XVIII ს. წერილობით წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში იხსენიება სოფელი ვერე (ვერა). როდის გაჩნდა აქ სოფელი ამ სახელით, ან ზუსტად სად მდებარეობდა, არ ვიცით. თბილისისკენ მომავალი მოგზაური და მეცნიერი, ბოტანიკოსი გილდენშტედტი ქალაქის სანახების აღწერისას მხოლოდ „ვერის ხიდს“ ახსენებს, სოფელ ვერეს შესახებ კი არას ამბობს. ეს გვაფექტებინებს, რომ დასახელებული პუნქტი, ყოველ შემთხვევაში ამ დროს მაინც, ხიდიდან მოშორებით დასავლეთით უნდა ყოფილიყო (შეიძლება ვივარაუდოთ დღევანდელი უნივერსიტეტის მიდამოები).

აღრეული ხანის ვერეს შესახებ თითქმის არათერი ვიცით. ხარვეზს რამდენადმე ავსებს ძველ „ვერაზე“ მდგარი და დღევანდლაზე მოღწეული ხუროთმოძღვრული ძეგლი „ლურჯი მონასტერი“. ეკლესია აგებულია XII—XIII სს. მიჯნაზე. ეს ის პერიოდია, რო-

ცა თბილისი ერთიანი, ძლიერი საქართველოს დედაქალაქია. იგი დღი და ნებიერი ქალაქია, რომლის ტერიტორია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დიდ ფართობზეა გადაჭიმული. შ. მესხია გამო-თქვამდა მოსაზრებას, რომ „ლურჯი მონასტერი“ თავდაპირველად, ტაძრებს აგებისთანავე. ქალაქის ფარგლებში იყო მოთავსებული.

„ლურჯი მონასტერის“ სამხრეთ კედელში დატანებულ კარის ტამპანზე (კარის დამაგვირგვინებელ ქვაზე) არსებულმა ცხრასტრი-ქონიანმა წარწერამ შემოგვინახა როგორც ეკლესიის ძველი სახელი (წმიდა ანდრია), ისე იმათი ვინაობა, ვისი თაოსნობითაც იგი აუ-გრათ. ესაა ერთსთავე-ერისთავი, ქართლის ამირთ-ამირა აბულასა-ნი. ძმა ქართლის მთავარეპისკოპოსუფილი ვასილ იობის ძის. ტა-ძარი ვასილს თავის საგვარეულო „საძვალე“⁷¹ აუგია, ე. ი. „წმიდა ანდრიას“ ეკლესია საგვარეულო სამარხი ყოფილა.

ცნობილია, რომ ამირთა-ამირას სახელო მეფის კარზე განვი-თარებული შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი უდიდე-სია: მას მპყრობელს ხელი ქალაქის სანახებზეც მიუწვდებოდა. ეპევობთ აბულასანს თავისი „საძვალე“ ქალაქის ფარგლებში აეგო. აღვილი დასაშვებია, რომ ვერეს — სკორეთის ხევი ამირთა-ამირას სამემკვიდრეო მამულია, რომელიც უმოკლესი გზით შიდა ქართლს აკავშირებდა თრიალეთთან. ჰოდა, მან, როგორც ამ ხევის მფლო-ბელმა, მას ქვემო წელზე საგვარეულო „საძვალე“ ააგო.

XVI ს. მეფე სიმონ Ⅰ-ის მიერ გაცემულ სიგელში მოხსენიებუ-ლია „ვერას ხევის“ ტარულა.

ცალკე სოფლის სახელად „ვერე“-ს ვხვდებით XVIII ს. იგი საგაძაშვილო მამულია.

გაბაშვილთა გეარს თბილისის პირას პირველად XVI ს. ვხვდე-ბით, კერძოდ მთაწმიდაზე წმ. დავითის სახელზე აგებულ ეკლესიას-თან დაკავშირებით. 1542 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით აქ ეკ-ლესია აუგიათ ძეგბს — ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებს.

ვერეს ადრეული სახელია სკვირეთი. სკორეთი.

ვახუშტი ამბობს: „ხოლო კოურის ჩრდილო კერძ არს სკურეთის მდინარე, ამ წილებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას. მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკუარს დასავლიდამ, ტფილისის ჩრდილოდ კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი“⁷².

⁷¹ ვ. ბერიძე, „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, II, 1948, გვ. 47.

⁷² ვახუშტი, აღწერა..., გვ. 329.

პირველად სკვირეთს ლეონტი მროველთან ეხედებით, როცა იგი მოგვითხრობს ქართლის სამეფოს აღრეულ ისტორიაზე. ქართველთა ეთნარქს ქართლოსს ხუთი ვაჟი ჰყავდა და თითოეულს თავისი საგამგებლო ქვეყანა—მხარე მისცა. მეხუთე ვაჟს გაჩიოს წილად ხელა „ორბის ციხე და სკვრეთი მდინარითგან ვიღრე თავადმდე აბოცისა“⁷³. შემდეგ მემატიანე ფარნავაზ მეფესთან დაკავშირებით მეფის მიერ მხარეთმცყრობელთათვეს საგამგებლო ტერიტორიების ჩამოთვლისას გადმოგვცეს, რომ „მეოთხე გაგზავნა სამშვედის ერისთავად. და მისცა სკვრეთისა მდინარითგან ვიღრე მთამდე, რომელ არს ტაშია და აბოცი“⁷⁴.

სკვირეთის ხევზე იდო, დიდგორისა და მანგლისის ხევზე გავლით, თრიალეთში მიმავალი ერთ-ერთი უმოქლესი გზა. „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს, რომ „იყო მას უამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრეთ კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის — კევი და სკვრეთი“⁷⁵. ეს X საუკუნეში მოხდა.

კლდეკარის ერისთავის „ასეთი მფლობელობა, რა თქმა უნდა, ამ სამთლობელოს ნაწილების დამაკავშირებელ გზებს გულისხმობდა და მათ ემყარებოდა“⁷⁶ — დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი.

ქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სკვირეთის, შემდეგი დროის ვერეს ხეობამ მომდევნო ხანაშიც არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთმა სტრატეგიულმა გზამ. მას საგანგებოდ გამოყოფილი მეომართა ჭგუფი, ე. წ. ყარაული უთვალთვალებდა, რომ ამ გზით მტკუა მოულოდნელად თვეს არ დასხმოდა ქართველთა ჯარს და, უპირველეს ყოვლისა, ქალაქ თბილისს. „ქ. ლაშქარნივისებო ვერის ხევის ყარაულს ლითისის შეიღს ქალაქის პირის მორიგიდამ სამი მორიგე მიეცათ ერთის თვეს იყარაულონ. პპრილს, ივ. ქვე უოე ერეკლე“⁷⁷. საბუთი შედგნილია 1787 წ. დამოწმებული საბუთი იმითაცაა საყურადღებო, რომ ქალაქისპირს თავისი მორიგე ჭარიც ჰყოლია.

73 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 9.

74 იქ 3 ვ, გვ. 24.

75 იქ 3 ვ, გვ. 276.

76 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, 1966, გვ. 43.

სკორეთი უამთაალმწერელთან როგორ გვხვდება, ოღონდ „სკორეთის“⁷⁷ ფორმით.

თამარ მეფის შეილისშეილის, მეფე დავით VII-ის შეილს დამტკიცი მეორეს (თავდადებულს, მეფობდა 1271—1289 წწ.) სამი ცოლი ჰყავდა. ტრაპიზონის მეფის კომნენოსთა ასულთან შეეძინა ოთხი ვაჟიშვილი: დავით, ვახტანგ, ლაშა, მანოველ და ერთი ასული რუსულან. მეორე ცოლთან სორლალასთან „თათრის ასულსა თანა ძენი ორნი, ბალურ და იადგარ; ასული ჭიგდა“. მესამესთან, სარგის ჭაყელის ძის, ბექას ასულთან შეეძინა ერთი ძე გიორგი, მეფობაში (1314—1346 წწ.) „ბრწყინვალეს“ ზედსახელით ცნობილი.

ურდოში მიმავალ დიმიტრი მეფეს თან წაუყვანია ვაჟიშვილი დავითი: ხოლო იმის შემდეგ, რაც ყაენის ბრძანებით „წარკუეთენ მეფეს დიმიტრის თავი“, მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაშლილა და მიმოფანტულა. მამის სუკვდილის შემდეგ დავითი ურდოში დარჩენილა ტახიან ნოინთან, ვახტანგს მთიულეთისთვის შეუფარებია თავი, ლაშა და მანოველ დედოფალს ხლებიან, რომლისთვისაც სარჩიოდ „სკორეთის ხევი“ მიუკიათ.

დიმიტრის შეორე ცოლი სორლალა „წარკუიდა სახლსა მამისა მისისასა თათარში“, ხოლო სარგის ჭაყელის ძის ბექას ასული — სამცხეს, მამასთან.

ყაენის სურვილის თანახმად იშერეთიდან გადმოიყვანეს დაუით ნარინის შეილი ვახტანგ მეფე და თბილისში (1289—1292) გაამეფეს.

უამთაალმწერელი გადმოგვცემს. რომ მიუწერავად ამისა „...დედოფალი... დაშთა სკორეთს“ (კომნენოსთა ასული). დიმიტრი მეფის ცოლის, დედოფლის სკორეთში დარჩენა იმაზე მიუთითებს, რომ აქ სასახლე, მეფეთა სადგომი ყოფილა. „სკორეთი“ ერთ გარკვეულ პუნქტს არ ერქმეოდა, იგი კრებით სახელად ჩანს ისევე, როგორც მისი შემცველელი მოგვიანო ხანის „ვერე“.

სიძნელესთან არის დაკავშირებული ადგილის მეორე სახელის „ვერეს“ ეტიმოლოგიის დადგენა და ახსნა. რამდენადაც ვიცით ამ სახელის ახსნა სამეცნიერო ლიტერატურაში თემურაზ ბატონიშვილს უცდია, მაგრამ მისი განმარტება მეტისშეტად გულუბრუებილო. იგი ამბობს:

77 სცია, ფ. 1448, № 1480.

78 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 292—293.

„ერა უკუთვმითი ქართული სახელი არისო“⁷⁹, ე. მ. „ერ ამოვალ“, „ვერ ნახავ“ და ა. შ. ამ სიტყვას ბლ. იოსელიანი ასე ხსნის: «Вера въ устах народа, или правилае Вере, есть древнее mestечко или предместие города. Название это,озвучное слову «Иверия», ввело некоторых в этиологическую ошибку. Подъ такими названием известны две другия местности въ Грузии: около Атени, карталиинского ущелья, и въ Сквирети»⁸⁰.

სოფელ ვერეს საზღვრებზე XVIII ს. სიგელ-გუჯრებში დაცული ცნობები კონკრეტულად არას ვამცნობენ. დადგრძნილი მცნები უფრო ქალაქთან ახლოს მდებარე საგაბაშვილო მამულს ეხება, ვიდრე კონკრეტულად სოფელ ვერეს. ამ დროს (XVIII ს-ში, შეიძლება XVII ს-შიც) ვერე უფრო ზოგადი სახელი იყო და მოცავდა ამერამინდელ საბურთალოს, დელის, ვაკეს (ალსანიშვნავია, ოომ. ჩამოთვლილი ადგრძების განსახლება-განაშენიანება, უკვე მეტამდენეცერ, იწყება XIX—XX ს-ში. ამ მოსახრებას მხარს უნდა უპერდეს ვახუშტის „აღწერაში“⁸¹ მოთავსებული სოფლების სია. ე. სადაც ვერის ხევის სოფლებია ჩამოთვლილი, სოფელი ვერე მოხსენიებული არაა (ასევე არაა ნახსენები სოფლები: საბურთალო, ვაკე, დელის).

XVIII ს. ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან გაბაანთხევით (ამერამინდელი ელბაქიძის დალმართი, გაბაშვილის ქუჩის ნაწილი), დასავლეთიდან სემიონოვის დასახლებით, ჩრდილოეთიდან—საბურთალოთი²⁸, აღმოსავლეთიდან მტკვარით.

თუ რა ტერიტორიაზე მიუწვდებოდათ ხელი გაბაშვილებს, ვეამცნობს XVIII ს. სიგელ-გუჯრები: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე გაბაშვილმა, რევაზმა შენ, გაბაშვილსა სამადავლესა, დაეკიანა. ასე რომ დამეჭირა და ჩემი მესამედი წილი მამული გირაოთ მოგეცი ვერეს გალმა ქექოტი, საბურთალა, გრდელისი, თხილოვანა“⁸³,

79 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, ტფილისისათვეს, 1838, სანქტ-პეტერბურგი, გ. ბრინდის კოლექცია, E—82 (E—156), ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტი.

80 П. Иоселиiani: Путевые записки от Тифлиса до Мцхета, 1871, 33- 21.

81 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., 1941.

82 თემა საბურთალო XX ს. 10-იან წლებშიც საგაბაშვილო მამული იყო.

83 ს ლ ი ა, ფ. 1448, № 4469.

„მოგყიდე ჩემი წილი რომელიც საგაბაშვილოში მქონდა იმისი ნახევარი... საბურთალო მინდვრამდის“⁸⁴, ან კადევ, „მოგყიდე ჩემი გამული საგაბაშვილოში მეტვესედი ვერას გამოლმა თუ ვერის გალმა. საღამდინაც საგაბაშვილოს მამულის სამძღვარია... თავისი საწყლის პიროთი მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა და სასაფლაოთი“⁸⁵. გარდა გაბაშვილებისა, ვერაზე მამულები ჰქონდათ თვით ჯერელებსა და ქალაქელებსაც. აქ გაშენებული ბალ-ვენახები ირწყება მდრინარე ვერედან გამოყვანილი არხებითა და რუებით, აგრეთვე საგუბრებიდან და აუზებიდან გამოყვანილი მილებით. „...ჩემი სამკვიდრო მამული ვერეზე მიწა სარწყავში“⁸⁶, ანდა „...ზემოთ რუმდინ მოგყიდეთ“⁸⁷.

ვერაზე ბალ-ვენახებისა და ყანების გარდა ბევრი წისქვილებაა. მათი მფლობელები არიან: ქალაქის მელიქი დარჩია, თბილელი, ორბელიანები, მელიქიშვილი, ყორლანაშვილი და სხვ. ვერაზე და საერთოდ ქალაქის სიახლოვეს წისქვილთა სიმრავლე მაჩვენებელია რათი სართიანობისა. წისქვილი დღი შემოსავალს იძლეოდა, ამიტომაც მისი მეპატრონე იყო არა მარტო უბრალო მოქალაქე, ანდა უჭარი. მის მესაკუთრეობას არ თავილობდნენ მეფენი და თავადახნურობაც.

დოკუმენტის — „ქალაქის მოურავის სარგოს“ მიხედვით, ქალაქის მოურავს თავისი წილი ვერის ბალებიდანაც ერგებოდა.

ვერეს ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან დღესაც დგას „ლურჯი მონასტერი“. როგორც ვთქვით, თავდაპირველად იგი „წმ. ანდრია“ მოციქულის სახელობაზე აუგიათ, შემდეგ რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და გუმბათის ლურჯი შორენეცით მოპირკეთების გამო „ლურჯი მონასტერი“ შეჩქმევია. 1872 წ. არქიტექტორ ჩიუკოვს პროექტით ეკლესიას გუმბათი დაადგეს, მანამდე კი ადგილობრივი რუსი ხელისუფლების მიერ ეკლესია დენთის საწყობად იყო გამოყენებული.

ვერაზე მდგარა კიდევ ერთი ეკლესია, რომლის ნანგრევებს XIX ს. 70-იან წლებამდე მოუღწევია. ეკლესიის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის 1877 წ. უურნალ „დროება“-ში მო-

84 სცია, ფ. 1450, დავთ. 55, № 35.

85 სცია, ფ. 1450, დავთ. 39 № 51.

86 სცია, ფ. 1448, № 4303.

87 სცია, ფ. 1448, № 4129.

თავსებული „დღიური“: „ერთი ვერის მცხოვრებისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა, რომელზედაც ჩვენი არხეოლოგიურ საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ: ვერაზედ, ლენტიალ ყორანოვის სახლების გვერდით, პატარა ტიტლიკანა გორაზე სდგას ერთი რგვალი კედელი, რომელსაც ეჭინება სიმაღლე საუენ ნახევარი და სიგანე ირგვლივ სამი საუენი. აქ მოდიან მრავალი დედაკაცები, ლოცულობენ, სამთელს, საქმეელს და ნაირ-ნაირ ნივთებსა, ფულებს სწირავენ და ვის მიაქვს კველა ესენი კაცმა არ იცის. ამბობენ, რომ ამ ორმოცი წლის წინათ ამ ალაგას ძეველი ეკლესია და ხალხი დადო-ოდა თურმე და ლოცულობდა. შემდეგ, მიწის თხრის დროს, კედლები ჩამოუქცევიათ და პატარონობაც ალარავის გაუწევეთ. აქ ერთი პატარა გათლილი ქვა უპოვნიათ, რომელზედაც წერებულა: „აშენდა ესე წმ. ესტატეს ეკლესია ლვთისაგან კურთხეულისა და ამალლებულისა საქართველოს დედოფლის თამარის ბრძანებით“⁸⁸.

სამწუხაროდ, აღნიშნულ წარწერას ვერ მივაკვლიერ,

ამ ტეგლის შესახებ პლ. ცოსელიანსაც აქვს ნათქვამი, რომ იგი „ლურჯი მონასტრის“ მრევლისათვის იყო აგებულიონ⁸⁹.

ძეველ ვერაზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დიღმის გზა“ — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართვაშორისო და საქართველო გზა (ლენინს სახელობის ქუჩა). იგი გადიოდა ვერის ხევზე, ქვითა და ქართული აგურით ნაგებ ოთხმალიან „ვერის ხიდზე“, რომლის შესახებაც ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს: „ვერესა ზედა არს კიდი დიდი ქვა-ტკირისა“⁹⁰. იგი XVII ს. 40—50-იან წწ. აუგია თბილისის ზარაუბ ხოჯა ბეკბუდას⁹¹ (თავად ბეკბუთაწვილების წინაპარს).

უერტის ხიდი XIX ს. უკვე ველატ აქმაყოფილებდა მზარდ სამი-მოსვლო მოთხოვნილებას და ამიტომ იგი ჯერ 1850 წ. შეაკეთეს. 1856 წ. კი ხიდის ქვის ძეველი პარაპეტი — შემომზღვდული კედელი მოხსენეს და ხის ტროტუარებითა და მოაწირებით შეცვალეს. რაფი ეს ხის ტროტუარი და მოაწირი ხიდის კედლებს გარეთ გამოლიდა, ხიდი გაფართოვდა და მისი გამტარუნარიანობა გაზიარდა. ვერის ძეველი ხიდის სიგრძე 70 მ, სიგანე კი დაახლოებით 6 მ იყო.

ვერის ძეველმა ხიდმა, როგორც მოქმედმა 1932 წლამდე იარსება.

88 ეურნ. ღროება, 1877 წ., № 12, გვ. 1.

89 Пл. Иосел на и п., Описание древностей..., 1868, გვ. 54.

90 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 338.

91 ნ. კვე ზე რელ ა-კ თ ვა ძ ე, თბილისის ხიდები, 1958, გვ. 10.

გმირთა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1931—⁹² 1932 წწ. დღემის ძეველი გზა აიწია და ვერის ძეველი ხიდის გვერდით სამთალოვანი ქვის ახალი ხიდი აიგო.

შეორე გზა, რომელიც ვერაზე გაღიოდა, წყნეთის გზა (ამჟამინდელი მელიქიშვილის ქუჩა და ი. ჭავჭავაძის გამზირი) იყო.

ქალაქის ზრდასთან ერთად თანდათან ქალაქის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ აგურის გამოსაწვავი ქარხნები. ძველ ვერაზე, ვარდისუბანში, აგურის გამოსაწვავი ქარხნების არსებობაზე მეტყველებს აქ არსებოლი ქუჩა, რომელიც აგურის სახელს ატარებდა (ამჟამინდელი მელიქიშვილის ქუჩა). მოვაიანებით „აგურის ქუჩა“ აწინდელ ბაქრაძის სახელობის ქუჩასაც ეწოდებოდა).

აგურის საწვავი ქარხნები შემდგომში, ჩევენი სატუკნის 40-იან წწ. ვაკეში მოქმედებდნენ.

XIX ს. ძეველი ვერეს — საგაბაშვილოს ტერიტორიაზე ჩნდება. რამდენიმე სოფლური დასახლება — ვარდისუბანი, ვაკე და საბურთალო.

ვარდისუბანს⁹² ეკავა ვარაზისხევის მარჯვენა მხარე — ყოფილი „ვერის ბაზრისა“ და ახლანდელი ფილარმონიის მიდამოები, და ოწევდა „სემიონოვკის“ დასახლებამდე. ამ აღგილას სოფელ ვარდისუბანის არსებობაზე მიგვანიშნებდა ამავე სახელშოდების ქუჩა, აწინდელი სიმონ ჯანაშიას სახელობის და „ვარდისუბანის მთა“, ახლა „სემიონოვკის დასახლება“ (ძეველი ვერის სასაფლაო).

ვაკე, თბილისის უბანი, ისე როგორც ვარდისუბანი, პირველად ქალაქის სანახებში XIX ს. ჩრდება.

ვაკე ვარაზისხევის მარცხენა მხარეს სოფელ ბაგებამდე არსებულ ტერიტორიას ეწოდებოდა. სახელი ვაკე აღგილმა დაბალი, დაცუმული მდებარეობის გამო მიიღო.

XIX ს. ქალაქის ტერიტორია იზრდება ძირითადად ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. ეს პროცესი არც XIX ს. შეწყვეტილა, ამრიგო ქალაქის გარეთუბანში არსებული აგურისა და კურმიტის გამოსაწვავი ქარხნები ვაკეში გადაჭქნდათ.

ვაკე ქ. თბილისს 1907 წ. შემოუერთეს⁹³.

92 არის მოსაზრება, რომ აღგილს სახელი ვარდისუბანი შეერქვა აქ არსებული ასკილის ბუჩქნარის გამო.

93 სცსა, ფ. 254, აღწ., 3, საქმე № 7159, ფურცელი 15.

ვარდისუბნისა და ვაკისაგან განსხვავებით, საბურთალო XVIII ს. შედგენილ წყაროებში გვხვდება. „საბურთალო „დასტურლამალში“ დილომთან დაკავშირებითაა მოხსენიებული „კარი 28, დილმისა და მისის მოხელეებისა“. ქვეთავში „დილმის გამოსალები“ წერია — „საბურთალოს ზერებს პური კოდი 36. სხვა ჯერ არ დადებულა“⁹⁴.

აღნიშნულ დროს წერილობით წყაროებში სახელ საბურთალოს მსაზღვრელად თან ახლავს სიტყვა ველი, მინდორი. ესე იგი, ამ დროს (XVIII ს.) საბურთალო, როგორც დასახლებული პუნქტი არ არსებობდა. ვახუშტი ბაგრატიონი საბურთალოს ასე აგვიწერს: „მის (ცერეს—თ. ბ.) სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს“⁹⁵.

მაშასადამე, საბურთალოს ველი ირწყვებოდა მდინარე ვერე-დან გამორჩენილი რუს საშუალებით, რომელიც ეტყობა, ქვეყნის ავტედობის უამს მოიშალა, რადგანაც იგი ვახუშტის დროს უკვე აღარ მოქმედებდა.

საინტერესოა, რომ საბურთალოს ველი განკითარებულ შუა-საუკუნეებში (XI—XIII ს.) მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზეც მეტყველებს აქ შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა — მონეტები, თიხისა თუ ლითონის ნივთები.

საბურთალოს ველის განსახლება (ვინ იცის მერამდენეფერ) XIX საუკუნეში დაიწყო. XX ს. (1900 წ.) ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: «...вновь образованного поселка за чертою Тифлиса под названием «Сабуртало»»⁹⁶

საბურთალო მეტისმეტად მრავალეროვანი უბანი იყო. აქ ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებსაც ძირითადად დუქები ჰქონდათ და მებალეობას ეწეოდნენ (დუქები ჰქონდათ არჩეადე გიორგის, როსტიაშვილ დათიყოს და სხვ.).

ქართველების გარდა ცხოვრობდნენ მოლოკანები (ძირითადად შეეტლეები იყვნენ, ასევე მესაქონლეობას ეწეოდნენ — თბილის რძით ამარავებდნენ), აისორები — მეთულუხეები (წყლის მზიდავები), პოლონელები, ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები.

94 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 598.

95 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 339.

96 სცია, ფ. 192, აღწ. 9, საქვე № 751.

საპურთალო ქალაქის შეუტოდა 1917 წლის დეკემბერში.
მას ეკავა 82 დესეტინა მიწის ფართობი, სადაც იდგა ერთი
ქართული მართლმადიდებლური ძველი ეკლესია⁹⁷.

ვეგისი

ქალაქის შემოგარენში, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით,
XVIII ს. მდებარეობდა სოფელი ვეგისი (სამწუხაროდ, აღრეული
ხანის სოფელ ვეგისის ისტორიის შემცველ ცნობებს ვერ მივაკვ-
ლეთ). აღებულ ხანაში ვეგისს სამხრეთით და აღმოსავლეთით
უშედალოდ „საგაბაშვილო“ ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით და
ჩრდილოეთით — ნახშირგორისა და დიღმის მამულები (ამჟამად
სოფელ ვეგისის მამულის აღვილი კანდელაკის სახელობის ქუჩას და
მის მიმდებარე ტერიტორიას უკავია).

სახელი ვეგისი წარმოშობილია მლაშე წყლიდან. ძველ ქარ-
თულში „ვეგა წყარო ბუნებითა მლაშეს“ ნიშნავს!

სამწუხაროდ, სოფელ ვეგისის შესახებ მეტად მწირი ცნობები
მოძებება და ისიც მხოლოდ XVIII საუკუნისაა.

XVIII ს. 20-იან წლებამდე ის სახასო-სამეფო მამულად
ჩანს. 1723 წ. გაცემული წყალობის საგელით, ქართლ-კახეთის ტახ-
ტის გვირობელს მეფე კონსტანტინეს ციციშვილებისათვის უბოძე-
ბია უკისი: „...მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან ქართლისა
და კახეთისა მპყრობელმან ერევნის ბეგლარ ბეგმან და შამშადრ-
ლუსა და ყაზახის ხანმან, პატრიონმან კონსტანტინემ... ესე ამიერით
უკუნისამდე უამოა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებე-
ლი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ
ჩევნთა ერთგულთა და წესისაებრ მრავალ ფერად თავ დადებით
ნამსაკურთა, ჩენის მორცმისა და შემომატების მოჭირნეს დიდ

97 სკრინა, ფ. 192, აღწ. 9, საქმე № 751, გვ. 10, 15, 179.

1 ნ. ჩუბინა შვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

გვართა და დიდებულთა ჩვენთა, ციციშეილს ედიშერს და შეალსა თქვენსა... სოფელი ვეძისი”²...

მოგვიანო ხანის, 1733 წ. შედგენილი ნასყიდობის წიგნით ვიგებთ სოფელ ვეძისში მოსახლე რამდენიმე ყმა გლეხის გვარს და სოფლის მამასახლისის ვინაობას: „ქ. ნებითა და შეწევნითა: ქასყიდობისა წიგნი: და: სიგელი: მოგეც: მე: ვეძელმა: ზაქტტას: შე-ლმა: ...შენ: ფონდუას: შეილს: ...მოგვიდე: ვეძის: ჩემი: ქვემო: ვენაკი: სამძღვარი: ზეით: გზის: პირამდის: თავს: ნიგოზის: უკან: თავის: სალობითა: ქვემოთ: ბაჩურას: შეილის: სამძღურამდი: ბოლოს: აბნიას: შეილის: გზამდის: თავის: საწნახლითა: თავისის: გზითა: შესავალ: გასავლითა: და: მანითა: და: ყოვლის: მისის: სამართლიანის: სამძღურითა: ამ: თათრობას: კულუხი: შენ: აძლივო: თუ: ქართველობა: მოვდეს: კულუხი: არავინ: გთხოვოს: პასუხი: მე: მივცე: ზაქტტას: შეილმა: ...ამის მოწამენია: კაცთაგან: ციცის: შეილი: მამასახლისი: დავით: ვეძელი; ხუცის: შეილი: რამაზ: ...ქართველი: ბაყალ: ბეჭანა: სიონის დეკანოზის: შეილი: მიქელ: მე სიონის კანდელაქს დამიწერია: დაწერა: ეს: წიგნი: მარტის: დამდეგს: ქ კოს: უკა”³.

ყურადსალებია, რომ აღნიშნული ნასყიდობის სიგელში ზაქტტას შეილი ვენახის მყიდველ ფონდუას შეილს აფრთხილებს: „...ამ: თათრობას: კულუხი: შენ: აძლივო“, „...და „თუ: ქართველობა: მოვდეს: კულუხი: არავინ: გთხოვოს“... მაშაადამე, ღვინოზე გადასახადი — კულუხი სოფელ ვეძისისათვის, თუ მხოლოდ პირადად ზაქტტას შეილისათვის „თათრებს“ შეუწერიათ. ეს უნდა მომხდარიყო 1723 წ. შემდეგ. როცა თურქებმა დაიპყრეს ქართლი.

სოფელი ვეძისი ციციშეილების ბოძებული მამულია, მაგრამ აქ მოსახლე ყმა გლეხებს ფლობდნენ: თარხნიშვილები, სოლოლაშვილები, თუმანიშვილები...


უკვე ვთქვით, სოფელ ვეძისის ისტორიის ამსახველი მასალა მეტად მწირია. მაგრამ რაც გაგვაჩნია, იმითაც შეიძლება ითქვას, რომ სოფელს თავისი ბალ-ვენახებით ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში გარკვეული ადგილი ეკავა.

სეიდაბადი

ქალაქ თბილისის უახლოესი უბანი სამხრეთით იყო სეიდაბადი. ტერიტორიამ, რომელიც ამ სახელს ატარებდა, რამდენიმეჯერ შეი-

² სცინა, ფ. 1449, № 327.

³ სცინა, ფ. 1448, № 1106.



რუკა 4. სოფ. საცილებალი (XVIII ს.).

ცვალა სახელწოდება. შისი თავდაპირველი სახელი იყო „ტფილი-სი“, შემდეგ „სეიდაბადი“, ხოლო სულ ბოლოს კი „ხარტუხი“.

საუკუნეების მანძილზე ადგილის სახელთა ასეთი ცელა საქართველოს, კერძოდ თბილისის, თაუს გადამხდარ ამბავთა გამოძახელია.

ჩვენს ქვეყანაში შემოსული მტერი ფეხის მოსაკიდებლად ქმნიდა კოლონიებს; ისინი იქმნებოდა მეზობელ სახელმწიფოდან ლტოლვილთა თუ ხიზანთა მიერ. ბევრმა ასეთმა ჩამოსახლებლებმა ტომშა თავისი თვითმყოფადობა შეინარჩუნა და დღევანდლამდე მოაღწია, ზოგი კი ადგილობრივ ხალხში აირია. გართქვიფა, ასიმილირებულ იქნა. ესა თუ ის ადგილი თავის სახელს იღებდა ამა თუ იმ ხალხის სადაურობის — წარმომავლობისდა მიხედვით.

თბილისი ქალაქობის პირველ საუკუნეებში სამი ნაწილისა-გან — „ტფილისი, კალა და ისნი“ — შედგებოდა¹.

შემდეგ, გვიან თბილისის ამ შემადგენელი ნაწილების სახელებს მეორადი სახელები, სინონიმები გასჩენათ. ვაკლშტი საიმ-ჟამინდელო ქალაქ თბილისის აღწერისას გადმოგუცემს: „ხოლო აუ ტფილებენ ოთხთავ ქალაქთა აუ ტფილის და განყოფით: კალაპ-ტფილისა, ტფილის—სეიდაბადს და ისნს—ავლაბარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ცრხესა და სეიდაბადს სპარსენ მოპმადიანნი“².

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისის აღწერისას ამბობს, რომ „ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი: ესე იგი: ...სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა სეიდაბადის ბალები რომ არის ქ. ტფილს წყლებს ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია, და იქაც მცირელი ქართველები მდგარან“³. ვაკლშტი და თეიმურაზ ბაგრატიონები ძეველი თბილისის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — „ტფილისი“ მეორე, გვიან გაჩენილ სახელად სეიდაბადს ასახელებენ.

საუკუნეების მანძილზე ქ. თბილისის ტერიტორია ტოპოგრაფიულად დიდ ცვლილებებს განიცდიდა. რამდენადაც „მყარია“ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — „კალა“, იმდენად ცვალებადია ქალაქის მეორე უბანი — „ტფილისი“ ტერიტორია. „ტფილისის“ უნდა კავებოდა მღინარე წავკისის მარჯვენა ნაპირი, დღე-

1 ვახუ შტი, აღწერა..., გვ. 333.

2 იქ ევ, გვ. 338.

3 თეიმურაზ ბაგრატიონი, ტფილისისათვე, 1838, ლოი. ფ. E—82 გ—156.

ვანდელი „თათრების სასაფლაოსა“ და აბანოების უბნის ტერიტორია მტკვარამდე. შემდეგ კი, როცა ქ. თბილისი იქცა გაერთიანებული, ძლიერი სახელმწიფოს საქართველოს დედაქალაქიდ, მისი ტერიტორიაც შესაბამისად უნდა გაზრდილიყო. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიას მიუღწევით აწ შემორჩენილი ძველი ქალაქის ე.წ. „განჯის კარამდე“.

ქალაქის სამხრეთ კედელში დატანებული იყო ორი კარი — „განჯის“ და „აბანოს“. ვახუშტი თბილისის აღწერისას მოგვითხრობს: „კალა ას ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის — კევი მტკვარამდე. სალალაკის — კევის კარს უწოდებენ განჯისკარად... მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხდის ყურამდე და მისცა სპარსთა“⁴.

მაშასადმე, როსტომ მეფეს აუგია ქალაქის სამხრეთი ზღუდე, რომელიც ჩამოზღუდული იყო ციხიდან — ნარიყალიდან ხიდამდე. ახლა ძნელია იმის თქმა, აქ მანამდე არსებული კედელი როსტომ შეფერ განაახლა, თუ ახალი ააგო, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია, რომ ეს სამუშაო მისი მეფობის ღროსაა ჩატარებული. მოტანილი მონაკვეთის მიხედვით ქალაქის სამხრეთ კედელში შეოლოდ ერთი კარია — „განჯის“. ვახუშტისეულ „თბილისის 1735 წლის გეგმაზეც“ მხოლოდ ერთი კარია — „განჯის“ (№ 76). მკვლევარის მიერ მეორე კარის არმობსენიება გვათვიქრებინებს, რომ იგი გამიზნული იყო ქალაქის გარეუბანში — „სეიდაბაღში“ გასაცილელად. პლ. იოსელიანი მას ხმ „სეიდაბაღის კარს“ უწოდებს კიდევ. ამ კარის დანიშნულების მეორეხარისხოვნებაზე გიულ-დენშტელტიც ლაპარაკობს.

შ. მესხია, არაბი ისტორიკოსის ტაბარის (X ს.) ცნობაზე დაყრდნობით, ჩამოთვლის ჩა საიმეამინდელო თბილისის ზღუდეში დატანებულ 5 კარს, აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხუთი კარიდან ორი კარი — „კარის კარი“ და „მოედნის კარი“ დატანებული ჰქონია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს. „მოედნის კარი“, როგორც იჩვევა, ციხის მოედანს (შემდეგდროინდელი „თათრის მოედანი“) აკავშირებდა ძველ თბილისთან (შემდეგდროინდელი აბანოების უბანი). „კარის კარი“ სამხრეთის კედელში თბილისის უმთავრესი კარი იყო. იგი აკავშირებდა თბილისს სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქალაქებთან, მათ შორის ქალაქ კართან (ყარსთან),

⁴ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 334.

სარდანაც უნდა იყოს წარმოშობილი თვით ამ კარის სახელწოდებაც.

აქედან ჩანს, რომ ძველთაგანვე თბილისის სამხრეთ კედელში დატანებული ორი კარიღან ერთი ადგილობრივი მნიშვნელობისაა, მეორეს კი სატრანზიტო, საქალაქთაშორისო მნიშვნელობა პქონია. ვახუშტის მიერ ნათვამი — როსტომ მეფემ შემოზღუდაო ქალაქი სამხრეთიდან, ამ ძელი კედლის აღდგენაზე უნდა მიუთითებდეს და, ტრადიციისამებრ, ძველად არსებული ორი კარი ისევ აქ დატანეს, ოლონდ სახელი შეუცვალეს: „კარის კარს“ დარქმევია „განჯის კარი“, ხოლო „მოედნის კარს“ — „აბანოს კარი“.

1948 წ. „განჯის კართან“ წარმოებულმა ანქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა XI—XIII სს. მდიდარი მასალა. ამ ტერიტორიაზე კერამიკული თუ ნუმიზამატიკური, შემთხვევით თუ საგანგებოდ აღმოჩენილი მასალა XI—XIII სს-საა. XIII ს-დან მოყოლებული საქართველო და მისი დედაქალაქი განიცდიან დამანგრეველ შემოსევებს, რის გამოც ქალაქის ტერიტორია მცირდება. გამუდმებულ ნგრევს, ქალაქის ტერიტორიის შემცირების გარდა, მოჭქონდა მკვიდრი მოსახლეობის გაშევეტა, გახიზვნა და ტუველ წასხმა. რასაც თან ერთვოდა, როგორც თვით ქალაქში, ასევე მის სანახებში, ეთნოსის ცელი.

ქალაქის ტერიტორიის შემცირების შედეგად მისი ძველი შემაღენელი უბანი — „ტფილისი“ შეთხელებულა, ანდა გაუკაციელებულა და XVII ს. იგი უკვე თბილისის გარეუბანია „სერდადად“ წოდებული. საიდან გაჩნდა თბილისის ტოპონიმში ეს უცხო სახელი? მივმართოთ ისევ ვახუშტი ბაგრატიონს: „აქ (ტფილის — თ. ბ.) დასწნა შასეფუმ სეიდნი, მის გამო სპარსი უწოდებენ სეიდაბადს...“ ეს მომხდარა XVII ს-ში შაპ-აბას I მემკელრის შაპ-სეფის (1629—1642) დროს. როცა საქართველოს პოლიტიკური სიმძლავრე დღი ხანია შერყეულია, ხოლო მისი დედაქალაქის — თბილისის ეკონომიკური და ტერიტორიული ზრდა-განვითარება დამკრბილი და შეჩერებულია. ამ დროს ქალაქის სამხრეთით მდებარე უბნის „ტფილისის“ მოსახლეობა ან აყრილია, ანდა იმდენად შეთ-

5 ვ. ე. ს. ხ. ი. დ. გვ. 60 ტიშვილი, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 34.

6 ძეგლის გამთხრელები გ. ლომთათიძე და ო. ჭავარიძე აქ მოპოვებულ მასალას XI—XIII საუკუნეებით ათარილებენ. მარინე მიწიშვილს ძეგლის ქვედა თარიღი IX საუკუნეში გადააქვეს. („განჯისკარის“ კერამიკული სახულსნოს თარიღისათვის, უცრ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1975, გვ. 60—64).

ხელებულია, რომ მის ტერიტორიაზე მაჰმადიანთა ტომეს სეიდებას დასახლება შესაძლებელი ყოფილა, რის გამოც ამ უბანშა თავისი პირვანდელი სახელი დაკარგა და დაერქვა სეიდების უბანი ანუ „სეიდაბადი“.

ჯერ კიდევ შაპ-აბას I, რომელიც „საქართველოს მიმართ ყველაზე თანმიმდევრული ყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოაწავებდა“⁷, გავერანებული ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ასახლებდა თურქმანულ-ყიზილბაშური მოჯგმეს; ტომებს. სეფიანთა შაპების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ გატარებულ პოლიტიკიში მთავარი იყო ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის შეცვლა „ირანულ-ყიზილბაშური მიწისმფლობელობით“. შაპ-აბასი ამიერკავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, დიდი რაოდენობით ასახლებდა ყიზილბაშურ ტომებს, რათა აქაური ქვეყნების ინტენსიური მეურნეობის აღგილზე ექსტენსიური მეურნეობის გავრცელება-დამყარებით ეკონომიური საწინდარი შეექმნა ირანის პოლიტიკური ბატონობისათვის“⁸. მოუხედავად შაპ-აბასის მრავალგზის ლაშქრობისა, მან თავის საწადელს ვერ მიაღწია, აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა ვერ შეცვალა „ირანულ-ყიზილბაშური მიწისმფლობელობით“. პაპის პოლიტიკას აგრძელებდა შაპ-სეფი, რომელმაც „წესად აქცია ქართველი მეფის მაჰმადიანობა, რაც XVII ს. 30-იანი წლებიდან დაწყებული XVIII ს. 40-იან წლებამდე გაგრძელდა“⁹.

პირველი ქართველი მაჰმადიანი მეფე იყო ქართლის მეფის სიმონ I-ის ძმის დავითის (1562—1579) უკანონო შეილი ხოსრო-მირზა. მეფობაში როსტომის სახელით ცნობილი.

ხოსრო-მირზა შაპის კარზე დიდი გავლენითა და ნდობით სარგებლობდა, მას „აქუნდა ყულარალასობა ყევნისა, მოურაობა ის ჰანდისა და ნიკევიდა ყევნი ურიცხუსა, და უხმობდა მამად“¹⁰. როს-

7 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, 111, 1966, გვ. 266.

8 ე. გაბაშვილი, უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 11, 1972, გვ. 78.

9 იქვე, გვ. 83.

10 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 438.

ტომის მეფობის (1632—1658) დროს ბევრი ქართული სამოხელეო სახელო შეიცვალა სპარსულით. როსტომს ქართლში წამოყვა ქართველ დიდებულთა მრავალრიცხვანი ამაღა. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ „ამან როსტომ მოიყვანნა უკელნი ტუენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამამადინანებულნი...“ მართალია, ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი მემატიანე ამის შესახებ პირდაპირ ცნობას არ გვაუდის, მაგრამ შეძლება ვრვარაულოთ (ისევ ვახუშტიზე დაყრდნობით), რომ შაპ-სეფის როსტომისათვის გამოეყოლებინა სეიდების მოდგმის ხალხიც თბილისის მახლობლად დასასახლებლად. ეს უფრო პოლიტიკური აქტი კუთ, ვიღრე ეკონომიკური. ქართლ-კახეთის მაპმადიან მეფეს სატახტო ქალაქის ერთ-ერთ მასაზღომთან დასაყრდენი უნდა ჰყოლოდა და ა. შ.

ამის თაობაზე საუკრადებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჭალა: იოსელიანს: «Очень вероятно, что Ростомъ, нанменованный царем Грузии Шахомъ-Сефомъ расположился на время въ виду Тифлиса и раскинута была на этой высоте палатка войска Шаха-Сефа, от имени которого и вся местность около бани въ Тифлисе занятая имъ, также получила название Сейдабада.»¹¹.

თბილისის ზღუდეს სახხრეთ-აღმოსავლეთიდან ორი კარი 3 ჯონდა დატანებული — „განჯესა“ და „აბანოსი“. აი სწორედ ამ მეორე კარის, „აბანოს“ და ამავე სახელის მეონე ხიდის საშუალებით, რომელიც გადებული იყო წავისის ხევზე, სეიდაბადი უკავშირდებოდა ქალაქს. აბანოს კარიდან გატანილი გზა დღეს ასეა წარმოსადგენი: აბანოების ქუჩა, ახუნდოვის ქუჩა, ტაგიზალეს ქუჩა (ყოფილი სურბ-სარქისის), სეიდაბადის მოედანი (ამერაძ ვანო ხუციშვილის სახელობის), შემდეგ ისევე ტაგრ-ზალეს (დღეს ბოლნისის) ქუჩა¹².

ჭალა: იოსელიანი ქალაქის 7 კარს ასახელებს, აქედან პირველს „აბანოს კარს“, „სეიდაბადისას“ უწოდებს: «Первая ворота от начала стены с южной стороны Тифлиса, именовалась Сейдабатскими.»¹³

XVIII ს. ღოკუმენტში „ქალაქის მოურავის სარგო“ ვკითხუ-

11 Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Ахтала, Тифлис, 1850, გვ. 6.

12 ვ. ბ ე რ ა ნ ი ვ ა ლ ი, თბილისის გარეგანი სახ 1966, გვ. 38.

16 Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, 1856, გვ. 255—256.

ლობთ, რომ მოუტავს „წ. ქ. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვის კარზედ, თუმანზე ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოუტავისა“...¹⁴

„აბანოს ხიდის“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჩვენში სამოგზაუროდ ჩამოსული გიულდენშტედტი (1772): „სონდალულიდან თბილის მოვალწერთ განჯისკარით, რაღანაც აბანოს ხიდი გატეხილი იყო, ეს არის ამეამად ჩვეულებრივი გზა, რომლითაც ქარავანი მოდის, რაღან ხიდი აბანოს მღინარეზე მხოლოდ მსუბუქი კომუნიკაციისათვისაა განკუთვნილი¹⁵. ე. ი. „აბანოს ხიდი“ მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის და „მსუბუქი კომუნიკაციისათვის“ ყოფილა განკუთვნილი.

სამხრეთ-აღმოსავლეთდან მომავალი ქარავანი ქალაქში „განჯის კარით“ შემოდიოდა. „განჯის კარი“ „აბანოს კარის“ მაღლა, ქალაქის კედელში დატანებული იყო დაახლოებით იქ, საღაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია¹⁶. ქალაქის კარის აქ არსებობაზე მაგვანიშნებს ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან ამეამად არსებული ხიდის ახლოს წავკისის წყალში მდებარე, ძველი ხიდის დღიაბით ნაგები ბურჯების ნაშთი.

გიულდენშტედტის ნაშრომში სახელ „სეიდაბადს“ არ ვხვდებით, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგზაური გვაწვდის აღნიშნული უბნის მეორე სახელს: „...აღრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით იყო ქალაქი თბილის ქალაქი“¹⁷. ე. ი. სეიდაბადს „ქვედა გარეუბანი“ ეწოდებოდა. მისი ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, მის ჩრდილოებით მდებარე წავკისის წყლის მახლობელ ნაწილს კი „აბანოს უბანი“. მოგზაური „ქვედა გარეუბნის“ აღწერისას ამბობს: „ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მრიკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეთუბნის გარშემო არის მინშვნელოვანი ვენახები და ხილის ბალები, რომლებიც მდინარის ქვევით აღწევენ 5 ვერსამდე, და პატარა წისქვილებისა და აჩხების

14 საქართველოს სიძეველენი, 11, 1909, გვ. 523.

15 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის რელატურით, ტ. I, 1962, გვ. 85.

16 გ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე ХVIII საუკუნეში; გვ. 5, 37.

17 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 87.

საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბალებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები¹⁸.

ვახუშტის მიერ შედგენილი „თბილის 1735 წლის გეგმის“ მახედვით, სერდაბადი შემდეგნაირად შემოიფარგლება: ჩრდილოეთიდან — ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წაგისის ხევით, აღმოსავლეთიდან — მდინარე გრძელით, სამხრეთიდან — ქალაქის სამხრეთ-მდებარე ძეველი ზღუდით (ე. წ. განჯის კარი) და დასავლეთიდან — თაბორის მთით.

ამავე გეგმის თანდართულ ექსპლიკაციაში რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების ახსნაში სეიდაბადი ორგერაა აღნიშნული. ერთხელ № 47-ით „ტფილისის ბალი სეიდაბადის“, რომელიც გაშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, ხოლო მეორე აღნიშნული ქართული ასო ი-თი — „სეიდაბადი ანუ ტფილისი“, თუ პირველი აღნიშნული (№ 47) ბალებს ეკუთვნოდა, მეორე აღნიშნული (ი) საცხოვერისის აღმნიშვნელი უკრედებით აქ მციროო დასახლებაზე მიგვანიშნებს.

ვას ეკუთვნოდა სეიდაბადის ბალ-ბორტნები?

გამოქვეყნებული თუ გამოქვეყნებული. გასამყრელო თუ ნასყიდობის სიგელ-გუგრების მიხედვით, სეიდაბადის ბალების მფლობელები იყვნენ: ქალაქის მელიქი დარჩია. თავადი სუმბათაშვილები, მირიმან მირიმანვი, მეფის კარის „თათრულის წიგნის მწერალს მირზა ალალარაში“. სეიდაბადის ბალების მესაკუთრენი, გარდა თბილისის მცხოვრებლებისა, იყენენ კრწანისელები და ბევრი სხვა.

გარდა ხეხილის ბალებისა, სეიდაბადში ზერებიც უოფილა გაშენებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწეოდის 1790 წ. შედგენილი ერთ-ერთი ნასყიდობის სიგელი. საღაც ეხვდებით ასეთ სიტყვებს: მოგყიდეთ სეიდაბადში მდებარე ბალ-ვენაზი „ტაგარ¹⁹ ქვევროთა“ და „მარან საწნახლითა“.

სერდაბადის ბალები ირწყვებოდა მდინარე მტკვრისა და წავეის წყლის საშუალებით, საიდანაც საგანგებოდ გაყვანილი იყო სარწყავი რუები. საბუთებში გვეხდება ბალი „... თავის შესავალ-გასავლითა თავის ჩარხითა და რუსმულითა“²⁰.

18 გილდეშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 89.

19 ტაგარი — აბად დაწერვილი ტებილის ჩასაღინარი აუზი საწნახელის ქავეშ, 6. ჩ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, 1961.

20 სუსია, ფ. 1450, დავთ. 1, № 8134.

1800 წ. შედგენილ თბილისის გეგმაზე დატანილია მდინარე წავისიდან საგანგებოდ გაყვანილი სარწყავი აზი.

სეიდაბაღში სარწყავი არხებისა და რუების გარდა, ბალებთან მოწყობილი ყოფილა საგანგებოდ გაქრილი წყლის ჩეზერეუარი-საგუბარი და აუზი: „ბალები თავის საგუბრით“, „ეს ბალი თავისის აუზისა და სოლალკის წყლის რასათით“²¹. არხებიდან წყლის მოხმარება წესისა და ჩრივის მიხედვით ყოფილა. თითოეულ ბალს თავის მისაგდები წყალი ჰქონია, რომლის ხმარებაც მყაცრი განრიგის მიხედვით ხდებოდა. ამიტომ ძელი მეპატრონე ბალის გაყიდვის დროს მყიდველს — ახალ მეპატრონეს საგანგებოდ აფრთხილებს და არკვევს თავისი ბალის მორწყვის განრიგში: „...ეს ჩემი ბალი თავისის ნიშნებითა და თავისის სამძღვრითა და თავისის წყლითა, როგორც ყულავც ამას წინათ გქონდათ წყალი ყველაზე თავისის რიგითა და თავისის ანგარიშითა ისე უნდა ყველამ თავისი რიგით წყალი წაიღოს, ორი დღე ბარაბასია, ოთხი დღე ბეჟანასია, სამი ჩვენ ორთავე ძმის არის, ეს წყალები რომ არის ყველამ თავისი წილი უნდა წაიღოს“...

„ქალაქის მოურავის სარგო“-ს მიხედვით, ქალაქის მოურავს, ქალაქისპირა მდებარე ბალებიდან ყოველწლიურად ალებული ჭირნახულიდან თავისი წილი ერგებოდა. საბუთში ქალაქის შემოგარენის დასხელებულ ბალებს შორის სეიდაბადიცაა ნახსენები: „ქ. ქალაქის მოურავს ქალაქის ბალებმა უნდა მიართვან... მოკრეფილი ხილი... ყოვლის ბალებიდამ... სეიდაბადიდამ“²²...

XVIII ს. შედგენილ საბუთებში სეიდაბადის ბალებში საცხოვრისის — შენობების მისანიშნებელი რამდენიმე ცნობაა: „ამ ბალში შენობა ჩავაგდევი...“²³ (1736 წ.), „ქ. ოთახი გავაკეთე თავის დერეფნით“²⁴ (1753 წ.) და სხვ.

სეიდაბადი სპეციალურ ლიტერატურაში XVIII—XIX სს. მომდინარ ამბებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გვხვდება.

ვახუშტი, კახთა მეფის კონსტანტინეს (მაპმად-ყულიხანი) მიერ ქახთლისა და, კერძოდ, თბილისის ოხრებასთან და ალებასთან დაკავშირებით (1722) სეიდაბადს რამდენჯერმე ახსენებს.

თელეთთან ბრძოლაში გამარჯვებული ბაქარი თბილისისკენ

21 სტატ., ფ. 1449, № 477.

22 გასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, 6. ბერძენიშვილის რედაქციით, I, 1938, გვ. 34.

23 სტატ., ფ. 1450, დავთ. 53, № 136.

24 სტატ., ფ. 1450, დავთ. 33, № 281.

შოდის. უკან მომავალს გზაში „კახ-ლეკნი და ყიზილბაშნი“ დახვდნენ. მომხდურებს ბაქარი შეუტევს, ნაწილს ამოწყვეტს, ხოლო გადარჩენილი „ლტოლვილი“ შევეღნენ სეიდაბადსა შინა. ხოლო ბაქარ მოვიდა ტფილის“. შემდეგ მოვლენები სწრაფად ვითარდებიან. ბაქარი ლამე თავს დაესხმის თაბორის ციხეს და იყავებს მას. სეიდაბადს თავშეფარებული გაჰმადულისანი დილით კონტარშეტევაზე გადადის და თაბორის ციხეს ისევ იყავებს, მერე თაბორის ციხე ისევ ბაქარს უპყრია. ლტოლვილი კონსტანტინე ახალი მაშელი ჯარის საშოვნელად კახეთს მიღის, „ხოლო მეფე მოადგა სეიდაბათიდამ ციხეს და დამშეღდა ფრიად... მერმე მოვიდნენ და გრერთუნენ მეფესა ყოველნი წარჩინებული კახნი სეიდაბადსა შინა“²⁵. შემდეგ რაც მოხდა, საყოველთაოდ ციხილია. კონსტანტინე მაკმად-ყულისანი დაქირავებული ლეკთა ჯარით შემოუტევს (უკვე მერამდენეჯერ) თბილისს და იმარჯვებს.

სეხნია ჩხეიძე 1722 წ. ამბების თხრობისას აღნიშნავს: „ავლაბრის მხრიდან გამოვიდა კახი ბატონი და დადგა სეიდაბადსა და გასლვა ხილი ხალვათ გარსა ბოლოს, დაიკირეს თაბორი“²⁶. ამ ამბებთან დაკავშირებით სეიდაბადს ომან ხერხეულიძესთანაც ვხვდებით²⁷.

დამოწმებული ადგილებიდან ისე ჩანს, რომ სეიდაბადს ქალაქის სამხრეთ მისაღომთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული აღგარი უკავია. აქ მზადდება და აქედან იწყება ქალაქის ერთ-ერთი ფორტპოსტის თაბორის ციხეზე შეტევითი ოპერაციები, ასევე სეიდაბადს დაკავშირებით დაუსულია თბილისზე და თაბორზე მისაცვლელი გზა.

1632 წლიდან მოკიდებული პირველი ქართველი მეფე, რომელიც ქრისტიანული წესით ეკურთხა, თეიმურაზ მეორე იყო. ეს მოხდა 1744 წ.

ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ დაამტკიცა, ხოლო მისი ძე ერეკლე II კი კახეთის მეფედ.

შაჰმა-შვილი „ტრილით გაყაჩანენ ერთმანერთსა“ — მეფე ერეკლე II თავის საგამგებლო ქვეყანას კახეთს წაბრჭანდა, ხოლო შეფე თეიმურაზ II კი „მობრძანდა ქალაქს იმ ღამეს იდგა სეიდაბადში“²⁸, — მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი.

25 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 503.

26 სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 36.

27 ობან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა..., გვ. 141—142.

28 ვახუშტი ირბელიძე, ამბავი ესე ქართლისანი, საქ. ცხ. 1913, გვ.

აჯი-ჩალაბის შეილისა და განჯის ხანის წინააღმდეგ ბრძოლის შეცდეგ მეფე ერეკლე II და თეიმურაზ II ქართლში ბრუნდებიან. სონლალულში გაჩერებული მეფეები ყაზახ-ბორჩალუს ამბებს აგვარეპენ. შემდეგ „დარბარეს ხუთად-ბეგ განჯის ხანის დას-წული. რომელი იყო ქალაქს თბილისს მზეელად, გაისტუმრეს განჯის და შემობრძანდნენ ქალაქს, ჩამოხდენ სეიდაბადში, გაიხადეს ფეხთავ მეფეთა და სულ ქართველთა და კახთა დარბაისელთა, პატ-რიანები ანტონი სამღვდელო დასით წინ წამოუძლვა და ეგრე მობრძანდნენ სიონს ეკლესიაში და სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს“²⁹.

პაპუნა ორბელიანი თბილის სეიდაბადისაგან არა ჰყოფს. ივი ამბობს: „შემობრძანდნენ ქალაქს, ჩამოხდენ სეიდაბადში“.

სეიდაბადს კიდევ ერთხელ ვეკვდებით თეიმურაზ ბატონიშეილას ნაშრომში. ისტორიკოსი მოგვითხრობს 1795 წლის სექტემბრის თვეში აღა-მაჟარხანის შემოსევის ამბებს: „ხოლო დღესა სამშაფათსა, ია-სა, რიცხვსა ენკენისთვისა (რომელ არს სეკუდემბერ-) განვიდა თვთ მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა ბრძოლად სპარსთა და დაადგინნა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სეიდაბადს ბალთასა (რომელსა სეიდაბათს უხმობენ), დაადგინნა და განვიყნა იგინი ხუთ ნაწილად: ა. მარჯვენასა მხარესა დაადგინნა შეილისშვილი თვისი — მეფის ძე დავით, რომელიცა ზემოთ გზით ტფილისად შევალს და გზასა მას შეეყრებიან გზანი სოლალაკისა და ტაბახმელისანი და ეგრეთვე სეიდაბათსა საშვალუა გარდმოვლის ბორჩაყალისა კერძ მუნით გზა იწრო და შეეყრების იგიცა ქვემოსა გზასა ტფილისისასა“³⁰.

მოტანილი მონაკვეთიდან იჩვევეა, რომ მეფე ერეკლეს გარი სეიდაბადის ბალის ბოლოს დაუბანაკებია, ხოლო, როგორც ცნობილია, ერეკლე მეფემ აღა-მაჟარხანს ბრძოლა გაუმართა კრწანისის ველზე, მაშასადამე, სეიდაბადის ბალებს იქეთ იწყებოდა კრწანისის ველი. ქავე ირკვევა, რომ ერეკლე მეფემ თავის შეილი-შეილს ჩააბარა მეტად საპასუხისმგებლო პუნქტის, კერძოდ, თბილისში შემავალი გზის — „ზემოთას“ დაცვა, რომელსაც უერთდებოდა კიდევ ორი გზა — სოლოლაკისა და ტაბახმელასი. ამ გზებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. იმ შემთხვევაში, თუ

29 პაპუნა ორბელიანი, ამბავი ესე ქართლისანი, საქ. ცხ. 1913, გვ. 201.

30 თეიმურაზ ბაგრატიონი, დაცვით ბაგრატიონის ისტორია, 1972, გვ. 33—34.

შტერი მათ ხელში ჩაიგდებდა, მას გზა ეხსნებოდა ქალაქისაკენ. აღალო, მოგვითხრობს თერმურაზ ბაგრატიონი, „ტფილისის ციხით სეიდაბადის გარდამოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილის...“³¹

სეიდაბადის გეიანი სახელი ხარფეხია. იგი თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა. ეს სეტყვა სომხურია, ადგილმა აღნიშნული სახელი მიიღო თაბორის მთის ძირში, გორხანის ახლოს (თათრების სასაფლაო) მდგარი საკულტო დანიშნულების მქონე ქვის გამო, რომელზეც ხატი იყო მისვენებული. ხარფეხი სომხურ ენაზე ნიშნავს სურდოს. პოდა, სწორედ სურდოშეცალი ბავშვები თბილისელ ქრისტიან მცხოვრებლებს ჰიპიაკდათ აღნეშნულ ქვასთან. მლოცველებს შესაწირავად თან მიჰქონდათ ქსოვილისაგან შეკერილი თოჯინა, რომელსაც შხარზე პატარა ხურჭინი ჰქონდა გადაკედებული, ხოლო ხურჭინის ჯიბეებში შაქრის ნატეხები ელაგა. ა. ასეთი გასამჩქელოთი ბაუშვის შობელი ცდილობდა წმიდა ხატის გულის მონადირებას და ბავშვის განკურნებას (წმიდა ქვასთან სურდოიანი ბავშვების გარდა ყრვანახველით დააგადებულნც მიჰქიადათ).

ხარფეხი (სეიდაბადი) XIX ს.-ში სოფლად იხსენიება. სოფლის სახელად ხარფეხის წარმოშობის დრო არაა ცნობრილი. სავარაუდოა, რომ, იგი XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში გაჩნდა.

ხარფეხ-სეიდაბადს, როგორც სოფელს, XIX ს. დიდხანს აღარ უარსებია. საქართველოს მთავარმართობლის გენერალ ერმოლოვის დროს (1816 — 1827 წწ.), კერძოდ 1819 წ. ის ქ. თბილისს მიუერთეს. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ღაცულია საბუთი, სადაც ლაპარაკია სოფ. ხარფეხის ქალაქთან მერტების მიზეზების შესახებ. ესაა სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ-მაიორ ხოვენის მიმართვა მთავარმართებელ ერმოლოვისადმი. აქედან კიგებთ, რომ ხარფეხი 1811 წ. თბილისის საქალაქო პოლიციისადმია დაქვემდებარებული. 1819 წლისათვის სოფ. ხარფეხში 34 კომლი სახლობს (143 სული). იმასთან დაკავშირებით, რომ იგი თავშესაფარია უდიკუმენტო პირთათვის და, ასევე, აქ უცხოეთიდან ჩამოსულთ მოაქვთ საქონელი, რომლის შესახებაც პოლიციამ არაფერი იცის, შემდგომში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭირო იყო სოფ.

31 თე იმ ურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, 1972, გვ. 37.

ხარფუხების თბილისთან შეერთება. ჩას შემდეგაც, ხარფუხელებს ოჩებოდათ შემდეგი მოვალეობანი: ზაფხულობით უნდა გამოეყავანათ ლექა წინააღმდევ ერთი ყარაული და უოველთვიურად 5 მანეთი ვერცხლით გადაეხადათ კაზაკთა პოსტისათვის განკუთვნალი ცხენის შესანახად³².

ამავე წლის (1819 წ.) 15 მარტს მთავარმართებელი ერმოლოვი ხოვენისადმი საპასუხო წერილში თანხმობას აცხადებს სოფ. ხარფუხის ქალაქთან შეერთებაზე, ოლონდ იგვე პირობებით, რა პირობებიც წამოყენებული ჰქონდა ხოვენს. ამავე დროს ხარფუხელები თავისუფლდებოდნენ უოველგვარი საქალაქო გამოსალებისაგან.

შეისწერავად იმისა, რომ ხარფუხი 1819 წ. თბილის შეერთეს, იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ჩვენს ხელთ ასებული მომდევნო ხანის თბილისის გეგმებზე (1843 — 1859)³³ სოფლად მოიხსენიება. ისიც აღსანიშნავია. რომ სოფ. ხარფუხს ძველი სახელით — სეიდაბალითაც იხსენებენ ხოლმე (1828 წ.)³⁴

საკითხის დადგენაში, თუ რა მატერიალური კულტურის ძეგლები რყო და ახლაც არის სეიდაბალის ტერიტორიაზე, გვვხმარება როგორც წერილობითი წყაროები, ასევე XVIII—XIX ს. თბილის რუკები და გეგმები.

1701 წ. თბილისში ჩამოსული ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური ტურნეფორი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის სეიდაბალის შესახებ, კერძოდ კი, ამ დროს აქ მდგარი სასახლის შესახებ: «Мы совершили также прогулку в загородный дворец князья, который расположен в том предместьи Тифлиса, через которое идет дорога в Турцию. Этот дворец замечателен тем, что перед ним устроено место для пытки дыбою — (французское слово, саффиксальное — т.д.). Около этого дворца прекрасные сады, содержащие в гораздо лучшем порядке, чем в Турции»³⁵.

პლ. იოსელიანმა აღნიშნული სასახლის შესახებ არაფერი იცის, იგი სხვის ცნობას გვაწვდის: «Дворец в Сейдабаде. Он был у подвощвы крепости. Об нем пишет Делапорт»³⁶.

ამავე მიწისზედა შემორჩენილი ნაგებობებია: ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძველი ზოუდის ნაშთები, სურბ-ქარქისც ეკ-

32 სეისია, ფ. 7, იფ. 1, № 826.

33 ცГВИА, ფ. ВУА, დ. 22663, 22666.

34 ცГВИА, ფ. ВУА, დ. 22662.

35 Попиевкотв М., Натадзе Г., Старый Тифлис, 1929, გვ. 29.

36 П. Иоселиани, Описание..., გვ. 250.

ლესის კედლები და წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკულესია.

ჭალაქის ძველი ზღუდის ნაშთები მჯებარეობს „300 არაგველის სახელობის ბალის“ სამხრეთით, ე. წ. „საზამთროს ბალების“ მახლობლად (ამჟამინდელი ქუმისიაშვილის სახელობრს ქუჩის ბოლოს და იბილისის 75-ე საშუალო სკოლასთან). კედლელი ნაგებია ქვითა და აგურით. ზღუდის თოთოველი ქვა მოთავსებულია ქართული აგურისაგან საგანგებოდ შეკრულ ჩარჩოში. შემორჩენილი კედლის ნაწილი XVII—XVIII სს-ით თარიღდება³⁷. ალნიშვილი კედლის აგების თარიღდად ლ. ჭილაშვილი IX ს. მიიჩნევს.

როგორც გ. ლომთათიძე გადმოვცეცხს ამ ადგილს საგარაულოდ „განჯის კარი“ უწოდეს³⁸. ალნიშვილ ძეგლზე და აქ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე ჩვენ არ შეიჩირდებით. რაღაც მასზე დაწერილებით ლაპარაკი აქვთ დამოწმებულ აცტორებს.

1800 წ. თბილისის გეგმის შემთხვენილს ჩვიკოს ჭალაქის ალნიშვილ კედლელთან წარწერა აქვა: «Развалииинное крепостное строение — Халат-хан названа венецией»³⁹. შ. გესხია ხალა-ხან-ს ორი სიტყვის ნაზავად მიიჩნევს. პირველი სიტყვა მას განმარტინებული აქვს, როგორც ქართული ხალანი-ხალამი — პირფართო თიხის ჭურჭელი, ხოლო მეორე კი სპარსულია ჭახა — სახლი, ე. ი. ჭურჭლის სახლი. შ. გესხია აქ წარმოებული არქეოლოგიური კედლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით ასევნის, რომ „ექსპედიციამ გამოავლინა თიხის ჭურჭლეულობის გამოსაწვავი 6 „ქართული ქურა“. ამრიგად, არაუთარი ეკვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ XII-XIII სს. თბილისის ამ უბარში თავმოყრილი იყვნენ თიხის ჭურჭლის მკეთრებელი ოსტატები და ამიტომაც ამ უბანს ძველად „ხალან-ხანს“ უწოდებდნენ“⁴⁰. მისგან მოშორებით, სამხრეთი „ჩანადერის“ ხევია, რომლის დასავლეთით წყაროა. ამ ხევში დღესაცა წყარო და აქ მცხოვრები ხართუხელები თავიანთ თავს „წყაროს უბნელებს“ უწოდებენ. „ჩანადერში“ ორი სიტყვაა მოცემული. იგი თურქული წარმოშობი-

³⁷ რ. ჭაფარიძე, 1948 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, გასაღება აქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, 1955, 90.

³⁸ გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, 1955, 83-124.

³⁹ ცIVIIA, ფ. ВУА, დ. 22660.

143—144.

⁴⁰ დ. გერიტიშვილი, შ. გესხია, თბილისის ისტორია, 1952, 23-143—144.

საა და ნიშნავს წყლის ან წყლიან ხევს: چა — წყალი, დრე —

ხევი⁴¹. გეგმაზე აღნიშნულია ცხელი და ცივი წყლის წყაროები, რომლებიც განკუთვნილი იყო აქ არსებული აბანოებისათვის. აბანოები განლაგებულია წავისის წყლის მახლობლად. აქვეა ქვის ხილი. ამ ხილთან ერთდება ორი გზა, წამოსული განჭის კარიღან და აბანოს კარიღან. ქვის ხილი გადებული ყოფილა სურბ-სარქისის ხევზე. ხევის სამხრეთით სურბ-სარქისის სახელობის ეკლესია. სწორედ ამ ეკლესის სახელს ატარებდა ხევიც. სეიდაბადის ბალებს რწყავდა საგანგებოდ გაჭრილი თხრილი, რომელიც წყალს მდ. წავისიდან იღებდა. ბალებს ორად — დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად ჰყოფს განჭის გზა, რომელიც ზემოთ აღნიშნული სურბ-სარქისის ხევზე გადებული ქვის ხილისაკენ მოემართება. გზას წარწერა აქვს: «Ганжинская дорога на кого сходятся дороги от многих персидских городов сия дорога и из Анадолии». განჭის გზას დასავლეთიდან ერთვოდა — „Дорога в деревню Табахмелы“. აღსანიშნავია, რომ ამ ძეველი გზის აღგიღზე დღეს მდებარე ქუჩა „ტაბახმელის“ სახელს ატარებს, და დღესაც ტაბახმელელი ქალაქში რძისა და მაწვნის გასაყიდად აღნიშნული გზით დადიან.

ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ სეიდაბადის ბალების ბოლოს, ხევს იქით, სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანილი აქვს შემოზღუდული პუნქტი. ზღუდეში თითქოსდა რალაც შენობაც უნდა იდგეს. ამ აღგიღს ეწოდება ხალათ-კარი (შ. ბერძნეშვილი), ხოლო ვ. ბერიძის წაკითხვით — „სალათ გარი“⁴². „ხალათკარი“ და „სალათ გარი“-ც დღეს გაუგებარი შინაარსის მატარებელი სიტყვებია. ამ გაუგებრობის გარკვევაში გვეხმარება სეხნია ჩეხიძე.

უკვე ვთქვით, რომ სეიდაბადს მდგრადი მაპმაღ-უულიხანი გადის „ხალვათ გარსა ბოლოს“. აქ იგი გასდებს ხილს და დაიყავებს თაბორს. ისტორიკოსი ზუსტად არა ამბობს, თუ სად მდებარეობდა „ხალვათ გარსი“. კონტრექსტიდან ცნობილია, რომ: იგი სეიდაბადშია, ანდა მის მახლობლადაა, ხოლო რაც შეეხება სიტყვის შინაარსს, რგო ასეთია: „ხალვათ გარ“-ი სპარსული სიტყვაა და ორი სიტყვის

ნაზავს წარმოადგენს. პირველი ჯალი (ხალვათ) — ნიშნავს განმარტოებულს, ცალკე მდგომს, ცარიელა შენობას, მეორე კი კარ (გარ) — სადგურს, გასაჩერებელ აღგიღს. ე. ი. ხალვათ გარი

⁴¹ შეიძლება ამ სიტყვაში ქართული საჩალინარეც დავინახოთ.

⁴² ანალები, I, 1947, გვ. 135.

(گار چلوت) ნიშნავს განტალევებულ, ცალკე მდგომ, ანდა ცა-
რიელ სადგომს.

მოვიშველით ისევ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმა“,
სადაც სეიდაბადის ბაღის ბოლოს № 48-ით აღნიშნულ შემოზღუდულ
პუნქტს ხალათ-კარი (გ. ბ.), თუ სალათ-გარი (ვ. ბ.) ეწოდება. მოტა-
ნილ სიტყვებში პირველი ნაწილი ხალათ-სალათ შინაარსობრივად გა-
ურჯვეველია, მეორე ნაწილი კი (გარ) ვ. ბერიძისეული უფრო მიესა-
დაგება სეხნია ჩხეიძისეულ „ხალვათ გარას“, რაც, როგორც აღვ-
ნიშნეთ, ცალკე მდგომ სადგურს ნიშნავს. ინტერესმოკლებული არ უნ-
და იყოს ის ამბავიც, რომ მოგვიანო ხანის, XIX ს. თბილისის რუკებ-
ზე და გეგმებზე ამ ადგილზე დგას თამожня — საბაჟო სადგური.⁴³
საბაჟოს მახლობლად მდინარე მტკვარზე 1850 წ. ძველი ხიდის „კა-
ხეთის“ ადგილას ააგეს (არქ. რაისი) ახალი ხიდი, რომელსაც მეფის-
ნაცვალ მიხეილ ვორონცოვის საპატივსაცემოდ „ვორონცოვისა“ უწო-
დეს, შემდეგ მას მნაცაკანვის ხიდს უწოდებდნენ. პლ. იოსელიანი
ამის შესახებ გადმოგვცემს: «Мост Кахетинский (კახეთის ხიდი) ож-
существовал там же, где в 1850 году построен новый деревянный
тифлисским гражданином Минацакановым»⁴⁴.

სერდაბადში, ამჟამინდელ ი. გრიშაშვილის ქუჩაზე, დეგა სურბ-
სარქისის სახელობის სომხურ გრიგორიანული ეკლესია. დღეს ამ
ეკლესის ჩამდენიმე კედელილა შემორჩენილი. კედელზე გვიანი
ხანის საცხოვრებელი ოთახია დაშენებული.

ლეონ მელიქშეთ-ბეგის მიერ გამოქვეყნებულ დ. კარიშაშვი-
ლის კატალოგში დაცულია სურბ-სარქისის ეკლესიის აშენების დრო
და ამშენებლის ვინაობა. „აბანოების ხიდს გამამა, დიდის შარაგზის
აღმართის ასავალის დასრულებაზედ, არის სხვადასხვა შენობა და
სადგომები და მათ შორის ეკლესია წმინდისა სარგისისა. ეკლესია
ესე არს ალმშენებელი ტფილისის მეშვიდედ მუხლად აღწერილისა
ახალშენისა ნორაშენის ეკლესისა შინა დეკანოზის ტერ-სუქიაზისა-
გან წლისა 1737. ამას კე ეკლესიასა შინა არის ნაწილი წმინდისა
სარგისისა სასწაულთა მოქმედი და დღესასწაულობენ დღესა ამა
წმინდისასა მეზვერისა და ფარისეველის გვარის შაბათსა დღესა, და

43 დღესაც ძველი ხარფუხელები ამ ადგილს „დამოუნიას“ უწოდებენ.

44 П. Иоселиани. Описание древностей.... გვ. 257.

მცველენ მას შინა ფრიადი სიმრავლე ერთსა და უმეტეს დედათა სიმრავლე”⁴⁵.

აწრნდელ, შემორჩენილი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩამულ მარმარილოს ფალაზე ორენოვანი — ქართულ-სომხური წარწერაა: „აღვაშენე და შევწირე ოთახი ეს წმინდის სურბ სარქისის ეკლესიისათვის თელავის მოქალაქე იაგორ არუთინას ძე ოსკანივა მოსახსენებლათ სულის და მშობლებისა ჩემისა“. იგივეა სომხურ ენაზე. სომხურ წარწერაში თარიღია 1883 წელი.

შეორე ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც დგას სეიდაბად-ში, არის წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებული ბერძნული ეკლესია. იგი გვმიმდათიანია; აგლით ნაები. ეკლესია დგას ი. გრიშაშვილისა და ეფრემ მცირეს სახელობის ქუჩებს შორის, მომალლო ადგილას. ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ჩასმულ ფილაზე ასებული წარწერებიდან ვიგებთ ტაძრის აგების დროს — 1853 წელი.

აღმოსავლეთი კედლის ფასაღზე, კარის მაღლა, რუსულ და ქართულ ენაზე წერია: «Храмъ Во имя св. Чудовъ Царствъ Импв: Нико: I-го при Намест:кн:Воронцо:и при:Экзар:Исидоре:попечениемъ:Благоч Протопер Василия:Андринано конче:При Импв:Алекса:Нико I-го 1856 г». მის გვერდით ქართულად წერია: „ტაძარი ეს წმიდის საკვირველთ-მოქმედისა დაწყებული 1846-სა წელსა მეფობასა იმპერატორის ნიკოლოზის პირველისა ნამესტნიკიობისა ვორონოვისასა და ექსარხოსისასა არხიერისეპონოსისასა (...) ქმნა 1854 წელსა შენებასა იმპერატორის ალექსანდრე მეორისასა: საზოგადოებისა შეწირული საფასითა შეკრებილითა დეკანოზისა და ბლალოჩინია: ვასილ ანდრიანისაგნითა“.

დასავლეთ კედელზე, კარის მაღლა რუსულ-ბერძნული წარწერაა. რუსული წარწერა: «Храмъ Гречес. во имя Чудотв. Николая. со-ор. 1853 г. въ царствов. Императора Николая I-го при Наместнике К. Воронцова и экзарх. Исидоре попечением. Благоч. Протоиер. Василия Андринанова». ამას მოსდევს ბერძნული წარწერა, რომელიც რუსულის იდენტურია.

როგორც ვხედავთ, ეკლესიზე არსებულ წარწერებში ძეგლის აგების სხვადასხვა თარიღია, ქართულში — 1854, რუსულში (აღმ.

⁴⁵ ლ ე თ ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, მასალები თბილისისა და „სომხეთის“ სიცელუთა ისტორიისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, 1, 1923, გვ. 93.

კედ.) — 1856, მეორე ჩუსულ წარწერაში — 1853 წ. (დასავლეთი კედელი). დღეს ეკლესია გაუტესულია (შეგ მოთავსებულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო კომიტინატის მექანიკური სამეცნი).

ეკლესის ეზოში რამდენიმე საფლავია. ერთ-ერთი საფლავის ქვაზე არის ეპიტაფია: «Личиший почетный гражданин Николай Алексеевич Гуляевъ (Киторъ сей церкви) 13 апр. 1864 г. 8 янв. 1913 г.» აღნიშნული ეპიტაფიდან ვიგებთ, რომ ეკლესის ამშენებელი-ქრიტორი (ეტყობა ხელმეორედ) უოფილა საპატიო მოქალაქე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გულიავევი.

ახლა რაც შეეხება აბანოებს.

ტერიტორიაზე ჩრდილოეთ რაიონს წარვისის წყლის მარჯვენა ნაპირზე ჰატარა ლოკალურ ადგილს აბანოების უბანი ერქვა და ამეამადაც ასე მოიხსენიებს მას თბილისის ძეგლი მოსახლეობა. თერთ ქალაქის სახელის წარმოშობაზე ლეგენდაც ამ ცხელ წყაროებთანაა დაკავშირებული. ძეგლად უცხო თუ შინაური. მტერი თუ მოყვარე ქალაქში შემოსულისთანავე რიაშტურებდა საჭვეულო განთქმულ თბილისას გოგირდოვან აბანოებს. რომელთა წეახებაც ჩვენთან მყოფ არც ერთ მოგზაურს არ დაუშურებდია საქები სიტყვა [იბნ ჰაუკალი (X ს.), იაკუთი (XIII ს.). ალ-ბაქუვი (XV ს.), ეკლია ჩველები (XVII ს.), ისკანდერ მუნში (XVII ს.), ვასილ გაგარა (XVII ს.) და სხვ.].

თბილისის თითოეულ აბანოს თაერთი საკუთარი სახელი ჰქონდა. აბანოები კერძო პირებს ეკუთვნოდა: ერეკლე მეფეს, თბილელს. ორბელიანებს, სუმბათაშვილებს. მელიქიშვილებს და სხვ.

ამგვარად, სეიდაბადში წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თუ შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკული მასალით დგინდება. რომ ამ უბანში XI—XIII სს. აბანოებიდა კურამიკული საწარმო. წერილობითი წყაროების შინედვით, აქედან ძეგლი მოსახლეობის გაწყვეტის თუ აყრის შემდეგ ეს უბანი ხელმეორედ XVII ს. დასახლებულა, რომლის მოსახლეობაც სოფლის მეურნეობას მისდევდა.

თაბორის ციხე

თბილისი მდებარეობით ტაფობს წარმოადგენს, რომელიც მთა-გორებით არის შემოფარგლული. თითოეული მთა-გორა თავისი სა-

ხელით წინაქრისტიანულ თუ ქრისტიანულ რელიგიასთან არის დაკავშირებული და ისინი გორა-სამლოცველოები უნდა ყოფილიყო. ჩვენი მოსახრების სესტორეში დავრწმუნდებით, თუ ამ გორათა სახელებს გავიხსენებთ. მდინარე მტკერის მარცხენა ნაპირზე, ქალაჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მახათა (გეხთა მთა). სადაც წმიდა ილიას (ელიას) სახელობის საყდარი იდგა: კერძაცხოვლის გორა (კვირია); კერძაცხობის გორა; მტკერის მარჯვენა ნაპირზე, ქალაჭის დასავლეთით: მთაწმიდა, უძოს მთა. სადაც წმ. გორგის სახელობის ეკლესია და სამხრეთი თაბორის მთა.

ამჟერად ჩვენი ყურადღება გვინდა თაბორის მთაზე შევაჩეროთ.

თაბორის მთა თრიალეთის ქედის ერთ-ერთ განტოტებას ეწოდება. იგი თბილისის სამხრეთით, სოლოლაკის ქედის პარალელურად მდებარეობს (სოლოლაკის ქედიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განტოტებაა). თაბორის მთისაგან სოლოლაკის ქედს წავკისის წყალი ჰყოფს (ლელეთა ხევი, დაბახანა).

წმინდა მთის — თაბორის სახელი ქართულ მიკროტოპონიმიკაში, ისევე როგორც საყოველთაოდ ცნობილი სახელები — ბეთლემი, სიონი, ათონი, ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა.

სულხან-საბა ოჩბელიანი სიტყვა „თაბორს“ ასეთ განმარტებას აძლევს: „თაბორს სლვა სულისა: თაბორი — რჩეული, განაუმანეო“.

ქრისტეს გალმერთებაში, ან უფრო სწორად, მის ლეგენდარულ ბიოგრაფიაში, ისევე როგორც ბეთლემის გამოქვაბულს, სადაც ქრისტე დაიბადა, მდ. იორდანეს, სადაც ქრისტე იოანე ნათლისმცემლის ხელით მოინათლა, თაბორის მთასაც თავისი ადგილი უკავია. ქრისტემ თაბორის მთაზე იერუსალიმში თავის ხანმოკლე „ცხოვრების“ მანძილზე მრავალ სასწაულმოქმედებათა შორის ერთი სასწაულიც გომოქმედა: მან აქ სახე — ფერი იცვალა თავის მოწაფეთა წინაშე, როთაც ერთხელ კიდევ „დამტკიცა“ თავისი ღმერთკაცობა.

„ცხოვრება ილარიონ ქართველისა“-ში ილარიონ ქართველმა, რომელიც დავით გარეჯის უდაბნოში მოლვაწეობდა, გადაწყვიტა მოენახულებინა წმინდა ადგილები, მონასტრიდან მან თანამგზავრად ერთი ძმა-ბერი გაიყოლა „და წარემართა წმინდად ქალაქად იერუსალიმშად“. გზად მიმავალნი ხიფათს გადაეყრებიან, მაგრამ ილარიონის სასწაულმოქმედება მათ ყოველგვარი გასაჭირიდან ისნის. იგი წმიდა მთა თაბორზე მიდის, სადაც, გაღმოცემის თანახმად, ქრისტემ ფერი იცვალა: „და ერთი მათგანი წარჲყვა ვიდრე. მიწევ-

ნამდე მთასა მას წმიდასა თაბორსა, ვინამ იგი ფერი იცვალა დიდებით ქრისტემან, ღმერტოშან წინაშე წმიდათა მოწაფეთა თქსთა”¹.

თაბორის მთის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართველი პილიგრიმი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც მთელი წინა აზია XVIII ს. 50-იან წლებში მოინახულა. სხვა წმიდა აღვილებთან ერთად ტიმოთე გაბაშვილი წმიდა მთას, თაბორსაც ეწვია და „იყო ახლოდ მთა თაბორი, სადაც უფალმან ფერი იცვალა, კლდე მაღალი, წითელი და ზედა მონასტერი დიდი, ხოლო გვეტყდნენ, ვითარმედ თაბორის მონასტერი და ოთხი ეკლესია ნაზარეთს ქართველთაგან არსო აღშენებული, რაუამს ვახტანგ გორგასალან დაიპურო იერუსალიმი”².

მოტანილ მონაკვეთში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გადმოცემის თანახმად, თაბორის მთაზე ქართველთა მონასტერი — სავანე ყოფილა, რომელიც ვითომდა ვახტანგ გორგასალის დროს აუგიათ.

ქართველი მემატიანე ჯუანშერი მოგვითხობს, რომ ვახტანგ გორგასალი, სანამ ინდოეთში სალაშქროდ სპარსთა მეფეს ხოსროს მიეხმარებოდა დედისა და დის ხუარანძეს თხოვნით, იერუსალიმს წასულა სალოცავად. „შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი აღგილნი წმინდანი და შევევდრენ წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვადეს ანტიოქიას”³.

როგორც დამოწმებული აღვილიდან ჩანს. ვახტანგ გორგასალს, დედისა და დის თანხლებით, იერუსალიმის წმიდა აღგილებში მხოლოდ ულოცია და შესაწირი შეუწირავს (შეიძლება შენაწირებით შემდეგ ქართული მონასტერი ააგის).

გართალია, მემატიანე ცალკე თაბორზე არა ამბობს, მაგრამ საგულისხმოა, „მოილოცნეს ყოველნი აღგილნი წმინდანი” თაბორის მთასაც მოიცავდეს. თუ რატომ შევჩერდით ასე დაწერილებით ვახტანგ გორგასალის მრერ იერუსალიმის წმიდა აღგილებში სალოცავად მოგზაურობაზე, ამის შესახებ საუბარი ქვემოთ გვეძნება.

თბილისის თაბორის მთაზე ციხეც იდგა და ეკლესიაც. თუ პირველ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე შედარებით მრავლად მოგვე-

1 ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, წ. 11 (11—17 სს.) თბ., 1967, გვ. 13.

2 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, გამოსაცემად მოაშნადა ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 67.

3 ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 186.

პოვება წერილობითი გასალა, მეორეს შესახებ მწირი ცნობები შემუშავდნა.

ცნობილია, რომ VIII ს. პირველი ნახევრიდან თბილისში, ქართლის ერთმთავართან ერთად (მისი ზელისუფლება არაბებმა IX ს. დამდეგს გაუუქმეს) ზის არაბი მოხელე — ამირა. თბილისის აღმართა ქართლის ქვეყანაში მდგომარეობის სრული ბატონ-პატრინია. ეგი კრეცს ხარქს, ქვეყნიდან გამოჰყავს მოლაშქრენა და სხვ. თბილისის ამირას ხელისუფლება ქართლზე ვრცელდებოდა, შემდგვერი მასი საგამგებლო ტერიტორია თანდათან მცირდებოდა და ბოლოს მხოლოდ თბილისა და მის მიზამოებს მოიცავდა.

საქართველოში ბოლო ეღებოდა ქვეყნის სამთავრო-სამეფოებად დაქუცხაცებას, სახელმწიფო ერთიანდებოდა ერთი მეფის, ქართული გვირგვინის გარშემო. 978 წ. ბაგრატ III ქართლისა და აფხაზეთ-ს ერთიანი სახელმწიფოს მეფეა.

თბილისი ჯერჯერობით მაპმადიანი ამირას ხელში რჩებოდა. სწორედ ბაგრატ III-ის მეფობიდან, X ს. მეორე ნახევრიდან იწყება ბრძოლა თბილისის მაპმადიან დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის.

გიორგი I ბაგრატის ძემ (1014—1027) მთელი ძალ-ლონე მოძალებული ბიზანტიის მოგერიებას შეალია.

თბილისისათვის ბრძოლა ბაგრატ IV-ის დროს (1027—1072) განხლდა. პირველად 1032 წ. ძლიერმა ფეოდალებმა — ქართლის ერთ-თავმა ივანე აბაზის ძემ და კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლაპარატის ძემ მუხათვევერის შეიძყრეს თბილისის ამირა და მოჯერეს მცირეწლოვან მეფეს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ბაგრატ IV-ემ თბილისის ამირა გაათავისუფლა და თბილისი ისევ მას დაუბრუნა.

მეორედ, 1037 წ. მეფის ლაშქრის მიერ ალყაშემორტყმული თბილისიდან გასაპარავად გამზადებული ამირა ისევ ქართველი ფეოდალების ჩარევითა და ზეგავლენით გადარჩა. ბაგრატ IV-ემ თბილის ალყა მოხსნა. ამის შედეგად მეფესა და კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ლიპარიტის ძეს შორის ურთიერთობა გაფუჭება და ბოლოს მტრობაში გადაიზარდა კიდეც. და როცა თვით მეფე 1045 წ. თბილისის ამირას გარდაცვალების შემდეგ, ქალაქის ბერების შემოთავაზებით თბილისში შევიდა, ამას ახლა თვით კლდეკარის ერისთავი ალუდგა წინ.

აი, სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით, პირველად ქართული ისტორიულ წყაროში ვხვდებით თბილისის თაბორს.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ თბილისის აღინა 1045 წ. გარდა—
ცვალა და ქალაქის გამგებლობა გადავიდა ე. წ. „ქალაქის ბერების“
ხელში. ისინი ქალაქის ცოქალაქეთა სოციალურად და ეკონომიკუ-
რად დაწინაურებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, საქართველოს მე-
ფის მომხრენი იყენენ, რადგანაც „ბერები ქართველ მეფეში ხედავ-
დნენ მფარველს და არა ბატონს“. ამიტომ, როგორც კი „ბერები“
ჩაუდგნენ ქალაქის მიმართველობას სათავეში, დასაცლელ საქართ-
ველში მყოფ მეფეს წარმომადგენლები გაუგზავნეს. მეფემაც არ
დააყოვნა და თბილისისაკენ გამოსწია. მეფეს ქალაქის მისადგო-
მებთან. დილმის ველზე, „ქალაქის ბერები“ და მრავალი ხალხი და-
ხვდა. იყი დღიდი ზარ-ზეიმით ქალაქში შეიყვანეს, „კლიტენი ქალა-
ქისანი“ გადასცეს, ამიტას დარბაზში დასვეს, გაგრას მას მაინც და-
პირვებია ციხის აღება „და აღილო ციხე ქალაქისა“. მეფეს თავი
დამშვიდებულად რომ ეგრძნო და თბილისი მტკიცედ სჭეროდა, სა-
კირო შექმნილა ქალაქის შემოგარენში, სამხრეთ და სამხრეთ-დასაც-
ლეთით მდგარე თბილისის დამცველ სიმაგრეთა თუ ციხე-კოშკთა
კომპლექსში შემავალი კიდევ ორი ფორტის ძალით აღება. და,
აღილო... ორნივე კოშკი წყალყინისანი და თაბორი“⁴. ამ კოშკების
აღების შემდეგ მეცემ შიგ „....ლაშქარი თუსნი და ერისთავისა“ ჩაა-
ყენა. ჯერი თბილისის აღმოსავლეთის მხარის დამცველ ციხეზე —
ისანზე მიღდგა, მაგრამ ისნელთა მედგარი წინააღმდეგობის გამო მე-
ცემ ის ვერ აილო. შეიძლება საქე სულ სხვანაირად დამთაერებუ-
ლიყო, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე საქეში რომ
არ ჩარეულიყო. ბაგრატ IV იძულებული გახდა გასცლოდა თბი-
ლისა.


თაბორი, ზევით მოთხოვილი ამბების შემდეგ, კარგახანს
ჩვენს თეალსაწიერს მიღმაა.

XVIII ს. საქართველოში პოლიტიკური შინააშლილობა ასუს-
ტებდა ქვეყანას, ყაენი უფრო მეტად ერეოდა ქართლ-კახეთის სა-
შინაო საქმეებში. თბილისის ციხეში ყიზილბაში მეციხოვნები იღ-
ვნენ.

კახეთის მეფე კონსტანტინე სპარსეთის კარის აგენტის როლს
ასრულებდა, იგი ყაენთან ასმენდა ვახტანგ VI-ეს. სესნია ჩხეიძე
შოგვითხრობს: „გაგზავნა კახმა ბატონშა ყაენ-თან კაცი და შეა-
შინა მეფე ვახტანგი: „ამა-ზე არის მტერი შენიო და ეყმო ხელმწი-
ფესა რუსეთისას; ამოსწყვერა ჩაულისა თქვენისა მოსავნიო, მი-
ზოძე საქართველო, გიახლო ქართლისა და კახეთისა ქართა და

⁴ ქ. ც. ც. 1, 1955, გვ. 299—300.

ვსძლიო მტერთა შენთაო⁵. ამასაც არ ჯერდებოდა, თვით კახთა ჯარით იბრძოდა ქართლის მეფის წინააღმდეგ. 1723 წ. კონსტანტინე კახთა შეფე თბილისის ასალებად იბრძვის; დაიკავა ავლაბარი, ვალმოვიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და აღმო თაბორის ციხე.



ჩუკა 5. თბილისის დამცველი ციხეები (XVIII ს.).

თბილისი ალყაშემორტყმულია, მისი ბედი თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ იმარჯვა ქართლის მეფის ჯარმა, თაბორის ციხე ისევ მათ დაიკავეს — „შეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველთა, აიღეს თაბორი, დაესხა მეფე ვახტანგ დილასა განთიადისასა კახს ბატონს, ბდანებითა ღუთისათა გაემარჯვა“⁶.

თაბორის ციხის დაკარგვის შემდეგ მამად-ყულიხანი იძულებული იყო თბილის ღროვებით გასცლოდა. თბილისის ციხე კონსტანტინე კახთა ბატონის ძმას და ვახტანგ VI-ის სიძეს თეიმურაზს ეკავა. კახთა ბატონმა დარქირავა მარბეველი ლეკთა ჯარი და ისევ შემოტრია თბილის. ვახტანგ VI დამარცხდა. კონსტანტინემ თბილისი საძარცველად ლეკთა ჯარს მისცა.

5 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება შეფეთა, საქ-ს ცხოვრება, შეორე გამოც. ზ. კიბინძის მიერ. 1913, გვ. 35.

6 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 36.

1723 წ. ქართლში ყიზილბაშები ოსმალებმა შეცვალეს.

დამარტინებისა და თბილისის დაყარგვის შემდეგ, ვახტანგ VI-ეს ქართლში აღარ ედგომება. იგი დიდი ამალით რუსეთის იმპერიის კარს მიდის. მას თან ახლავს ვახუშტი ბატონიშვილი. ეტყობა, ზემოთ აღწერილი ბრძოლის დროს უნდა დანგრეულიყო თაბორის ციხე, სხვანაცრად უკავებო ვახუშტის სიტყვებს: „აქ, თაბობორს ყოფილა ციხე. არამედ აწ შემუსრვილი არს“⁷.

როგორც ჩანს, რუსეთში მიმავალ ვახუშტის თაბორის ციხე დაქცეული დაუტოვებია. ამავე დროს ვახუშტისავე შეღენალ თბილისის 1735 წ. გვეგმაზე თაბორის მთაზე № 49-ით აღნიშნულია „მთაბორი“, სადაცა დგას ნაგებობა. გვემის მახედვით ძნელია გადატრით თქმა, ეს ნაგებობა ეკლესია თუ ციხე. უფრო საგარაულოა, რომ მიცემით იგი ციხედ და მის გალავანში მოთავსებული — ეკლესიად.

თბილისის სახარეთი მხარის დამცული თაბორის ციხის დიდ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ 1723 წ. ამბების შემდეგ იგი მაღლ აღუდგენიათ. და, აი, უკვე 1729 წ. ერთ-ერთ საბუთში ისსენიება როგორც „...ციხესა მთაბორისასს“⁸.

ოსმალებს აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ უბოგინათ, უკვე 1735 წ. 6 ლვითობისთვეს (ოქტომბერს) სპარსთა ჯარით თამაზ-ხანი (1736 წ. მულაზი შაჰი კურთხევის შემდეგ ნადირ შაჰი) თბილისშია. თამაზ-ხანი თბილისში სომხეთიდან, ერევნის მხარის საქმეების მოგვარების შემდეგ მოდის. მას თან ახლავან ქართველი დიდებულები — გივი ამილახვარი, მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო ავალიშვილი. ქართლს მომავალი თამაზ-ხანი ალექსანდრეს, სარდალ ასლამაზ ხანს და ალაუზლა-ბევ ამრეჯიბს ავალებს, რომ მათ თბილისში 8.000 თუმანი ხარჯი აკრიფონ, სოფლებიდან 3.000 თუმანი, პური ათასი ხარჯირი ერთი ხარვარი, ათი კოდი, ხოლო ქართლ-კახეთიდან 2.000 მოლაშქრე გამოცყვანონ. ასევე თამაზ-ხანმა თეიმურაზ კახთ ბატონი ცოლ-შვილით თბილის დაიბარი. მაგრამ თეიმურაზმა ხანის ბრძანება არ შეასრულა და ოჯახით ფშავს შეეფარი, თამაზ-ხანის თანამგზავრი ქართველი დიდებულები კი მას გზიდან გაეპარნენ და მომალნენ. ყოველივე ამან გაანაწყენა, გაამდვინვარა თამაზ-ხანი. „მოვდა ქალაქს თამაზ-ხანი დიდისა დიდებითა,

⁷ ვახ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 334.

⁸ ქრონიკები, ტ. III, გვ. 122; საინტერესოა, რომ სახელი თაბორი ზოგ შემთხვევაში დეტომოლოგიურია განიცდა, უფრო სწორად, მას ქართული ელერადობა ეძლევა ასო მ-ს სახელის წინ დასმით.

გაუშალეს მოქალაქეთ ფიანდაზი ციხის კარიდამ ალაყაფის ჩარდა-ხამდის. დადგა ჩარდახში და შიგნით არამი დააყენა⁹. ამ ზარ-ზე-იმით მიღებამ საქმეს ვერ უშველა, ქართველ თავადიშვილთა საქცელს თამაზ-ხანი შურისძიებით დღევსო. შურისძიებას ვერ ას-ცდენია ქ. თბილისის ზრახვათა მოსიარე თაბორის ცახე. სენია ჩხეიძე გვაუწყებს, რომ თამაზ-ხანმა „დააქცია ციხე გორისა, ქა-ლაქს თაბორი“, დამრბევი ჯარი გაუსია ზემო ქართლს, არავის ხე-ობას, ქსანს, მტკვრის ხეობას. ამ დამსჯელ ექსპედიციის შედეგად ბევრი ეკლესია და მონასტერი დაიტუა. მტერშა ქართლის სოფლე-ბი დაარბია.

1747 წლაშე ქართველებს მხოლოდ თბილისი ეკავათ, მეტე-სის ციხე, თაბორის ციხე და ნარიყალა ყიზილბაშებს ეპყრათ. ალ-ნიშნული ცახების მტრის ხელში ყოფნა ყიზილბაშებს და ქართ-ლის ტახტის მაძიებელს აბდულაბეგს (მეფე უსაფს ძეს) საშუალებას ძლევდა ქალაქში მყოფნი შიშში და ძრწოლვაში ჰყოლოდათ. და აი, საჭირო გახდა ამ ცახების განთავისუფლება.

ნარიყალას აღება შეუძლებელი იყო, თუ ქალაქის კოდევ ორ დამცველ ციხეს — ჩრდილოეთიდან მეტებს და სამხრეთიდან თა-ბორს მტრისაგან არ გაათავისუფლებდნენ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, მეტებსა და თაბორის მეტად სტრა-ტეგიული აღგილი უკავია ქალაქის დაცვაში. მეტები მტერს ძლიერ ჰქონდა გამაგრებული, ამიტომ მეფე ერეკლემ ამირინდო ამილა-ხორს გორჩან დიღი ზარბაზანი ჩამოატანანა. ერეკლე ჯარით თა-ზორის მთაზე აუგადა და ციხის ახლოს თხრილი-სანგარი გააქრევი-ნა. როცა მეფე ერეკლემ ნახა, რომ თაბორის ცახე ძნელი ასალები იყო. ზარბაზანი თაბორზე ამოატანინა. დააყარეს ყუმბარები თაბორის ციხეს და ქართველთა ჯარმა იერიში მიიტანა ციხეზე. სი-მაგრისათვას ციხის მცველებს ციხისათვის მიწით სავსე ტოტები შემოეწყოთ. თუმცა ციხეს მცირერიცხვანი ჯარი იცავდა, მათ არ შეუწყერიათ თავგანწირული დაცვა, სანამ ქართველები შიგ ცა-ხეში არ შეუცვივდნენ. ციხე აიღეს, ზოგა ცოცხალი მოჰევარეს ერეკლე მეფეს, ზოგსაც თავი წაავდებინეს, ამის შემდეგ ერეკლე მეფემ „დააყენა მუშა ფრიაღი, შემოაულო სწრაფად გალავანი თა-ბორის ციხეს და დააყენა ჯარი კახთა, აგრეთვე რომელი იყო სან-გარი ჯარისა იქაც დაადგმევინა კოშკი მაგარი და შეაყენა კაცნი მი-

⁹ სენია ჩხეიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 47.

საწლონი, თითონ ჩაბძანდა ქალაქს გამარჯვებული და იურუა საქმე ციხისა“¹⁰.

თაბორის ციხის შემდეგ გაათავისუფლეს მეტეხის ციხე და ბოლოს ნაჩიყალაც (1748).

კრწანისის ბრძოლას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ეპო-პერაში მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს. სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წ. სექტემბრის დასაწყისში შუშის ციხეს ალყა მოხ-სნა. განჯას გზით საქართველოსკენ გამოემართა და მრავალრიცხო-ვანი ჯარით თბილისის მახლობლად სონღალულში დაბანკდა.

10 სექტემბერს ყაენის მრავალრიცხოვანი ლაშქარი თბილისის ასალებად დარჩრა, ერეკლე მეფე მცირერიცხოვანი ჯარით მომხ-დურს მომზადებული დაუხვდა. პირველი დღის ბრძოლა ქართ-ველთა გამარჯვებით დამთავრდა. აღა-მაჰმად-ხან უკან აპრეცდა გაბრუნებას. მოღალატეებმა (იოსებ ყორლანიშვილმა და ანტემ არარატიანმა) ერეკლე მეფის მიერ დაუკავებული აღა-მაჰმად-ხანის ელჩი გააპარეს, რომელმაც თავის მბრძანებელს მოახსენა საქვის ვითარება (ქართველთა მეფეს მცირე ჯარი ჰყავსო).

11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა ყიზილბაშებს უკან მოუყენა მათი მოძღველე თურქმანების ნასახჩ-ბაშების 6.000 რაზმი და ბრძანა, ყოველი უკან გამობრუნებული ყიზილბაში მოეკლათ. მოძალებულ გრძერს თაბორის მდგარი დავით ბატონიშვილის ზარბაზნები მოურს უკლებდა — „მეღგრად ამუშავებდა დავით ბატონიშვილი ზარბაზ-ნებს თაბორის აყოლება კლდოვანი სერით და მუსრს ავლებდა სპარ-სთა რაზმებს“¹¹.

ქართველთა თავგანწირვამ საქმეს ვერ უშველა. რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, მტერმა გაიმარჯვა. მაშინ, როგორც თვით ამბის მომსწრე დავით ბატონიშვილი გადმოვცემს, „მეფის ძემ დავითმა შთაყარა კევსა შინა საგუბრისათა ზარბაზანი იყო. რო-ნელაც აქვნდა მას თაბორის კერძო, რათა არ დაუშთეს სპარსთა, და ესრუთ განარინა... აღილეს ტფილისი, და მოწვეს“¹².

აღა-მაჰმად-ხანმა თბილისთან ერთად თაბორის ცხეც დაანგ-რია. სულ მალე, 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმიდა და რუ-სეთის იმპერიის შეღურთდა. ძლიერი „მფარველის“ კალთას შეფა-რებულ ქართველთა სახელმწიფოს დედაქალაქი დამცველ ციხეებს

10 ვაკენია ორგვლიდინი, ცხოვრება მეფეთა, საქ. ცხოვრება, მეორე გამოც. ზ. ვიკინაძის მიერ, 1913, გვ. 149.

11 ქრინიკები, III, გვ. 431.

12 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 23—24.

აღარ საქიროებდა. თაბორის ციხე აღარ აღუდგენიათ, მეტების ციხე კი ერმოლოვის თეითშმართველობის (1816—1827) დროს. სატუსალოდ გადააკეთეს.

ჩევენ მაწაწყალზე დამპყრობლური ომებით უცხო ელემენტის ხანგრძლივ გაბატონებას არ შეიძლება თავისი შედეგი არ გამოელო და გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკურ სახეზე.

ამ ხევდრს ვერც თაბორის მთა გადაურჩა. მასაც უჩინდება უცხო სახელი — კორჩიაყალა, ყორჩიკალა. თაბორის მთა აღნიშნული სახელ-თ გვხვდება 1776 წ. შედგენილ წყალობის სიგელში: — „ჩევენი ბრძანება არის იედიგარა შვილო სადუხ ბეგ მერე შენის თხოვნით, რომ გეთხოვეთ კორჩიაყალის გორაზედ ნაოხარი ადგილი არის თავი ერთი ხევის პირზე და ბოლო ახალ ნაშენს ბალამდისინ სიგანე სუფ-სარქისას შარაგზა და ყორჩიაყალის ძირამდისინ გვიბოძებია შენთვის და სოლოლაკის წყლის ნობათით ბალის გასაკეთებლათ... დაიწერა ქრისტეს შობის კუზს უდდ“¹³ (464).

რუსი მოხელის მიერ შედგენილ თბილისის 1800 წ. გეგმაზე დართულია თაბორის მთა, სადაც დგას «Разоренное укрепление Корча-Кала»¹⁴.

გეგმაზე დატანილი ნახაზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თაბორის ციხე მდგარა მთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გეგმის ნახაზით, თაბორის ციხე მთის რელიეფს მიჰყვება, კედლებში დატანებული აქვს ორმხრივ შეკრული მრგვალი ფორმისა და ციხის მხრიდან გახსნილი რამდენიმე ბურჯი, საერთოდ, ციხის ფორმაზე რაიმე კონკრეტულის თქმა ჭირს.

საინტერესოა თაბორის ციხის სახელი ყორჩი-ყალა. თაბორის ციხეს ამავე სახელწოდებით იხსენიებს თბილისის ისტორიის მკვლევარი პლატონ იოსელიანი — „Крепость фабор (თაბორი) или Корчи Ка-ла (ყორჩი-ყალა). Она была со стороны юга-Тифлиса и защищала южные или Ганджистские (განჯის კარი) ворота города. Во дни славы, она была обстроена каменными стенами“¹⁵.

ყორჩი-ყალა აღმოსავლური სიტყვაა და დამცველ, მცველ ციხეს ნიშნავს. ეს მეორე, ზედსახელი თაბორის ციხეს როდის და ვინ შეაჩევა, არ ვიცით. პლ. იოსელიანი აღნიშნულ ნაშრომში (იქვე) თაბორის

13 სციხი, ფ. 1449, № 161.

14 ЦГВИА. ф. ВУА, д. 22660.

15 Платон Иоселiani, Описание,... 1866, г. 83. 253.

მთაზე, უიხის გარდა, ეკლესიის არსებობაზეც ლაპარაკობს: «...и на плоской ея вершине была построена церковь Преображения Господня...» ამის შემდეგ ისტორიული მოგვითხრობს თაბორის უიხეს თავს გარდამხდარ ამბებს.

მეცნიერებელის ცნობა საინტერესოა იმით, რომ იგი თაბორის ეკლესიის სახელს გვაწვდის. საყდარი ღვთის „ფერიცვალების“ სახელზედ ყოფილა აგებული (გავიხსენოთ, რომ ქრისტემ თაბორის მთაზე იცვალა ფერი). ტაძრის სახელი ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ სიტყვა „თაბორი“ ძველი თბილისის მიეროტოპონიმში ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა და რომ იგი ქალაქის ერთ-ერთი პირველი ძირძელი ტოპონიმია.

თაბორის ეკლესიაზე ლაპარაკობს ისტორიული მოსე ჯანაშვილი: „ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურვეულთა ნუგეშისმცემლისა თაბორის გორაზედ... გორხებული ტაძარი“¹⁶.

როგორც აღნიშნეთ, თაბორის ციხე ვერ აღადგინეს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ხოლო, რაც შეეხება საყდარს, რუსეთის საფარქვეშ შესვლამ და 1811 წ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის დაქარგვამ განაპირობა ტაძრის ნანგრევებად დატოვება, რომლის ნაშთიც დროთა სელამ სულმთლად წარხოცა.

ჩვენს ხელთ ასეუბულ წერილობით წყაროებში და სპეციალურ ლიტერატურაში ყველაზე აღრეული ცნობა თაბორის ეკლესიის შესახებ გვხვდება 1392 წ. შედგენილ საბუთში—„... ტფილისის იქთ ლეღვის ხევი, ჩამოვარდება თაბორის ეკლესიის ჩამოსწრები წყლისპირამდისინ...“¹⁷, და სრულიად საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412—1443 წწ.) 1429 წ. გუგარში.

როდის უნდა შერქმეოდა თბილისის მახლობლად მდებარე მთას თაბორი და როდის უნდა აეგოთ მასზე ციხე და ტაძარი?

მართალია, თბილისის თაბორი ქართულ ისტორიულ და აგიოგრაფიულ ძეგლებში X და XI სს-ში გვხვდება, მისი გაჩენა უფრო ადრეა სავარაუდო.

ბაგრატ IV „ქალაქის ბერებს“ 1045 წ. თბილისში რომ არ მიეწვიათ, ალბათ, თაბორის შესახებ ქართულ წყაროებში კიდევ დიდხანს არა დაიწერებოდა-რა. ასეთმა ბედნიერმა შემთხვევამ შემოგვინახა თბილისის თაბორის სახელი.

16 მოსე ჯანაშვილი, საქ. დედაქალაქი ტფილისი, ქუთაისი, 1899, გვ. 184.

17 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, 1970 გვ. 176.

რასაკეირველია, ჩვენ არ შეგვიძლია დაპეჭითებით იმის მტკი-
ცება, თოთქოს თბილისის სანახებში სახელი თაბორი ვახტანგ გორ-
გასლის, ანდა მისი მემკვიდრის დროს გაჩენილიყო, მაგრამ ერთი
კი ცხადია, რომ ივი აღრეულ ხანაში უნდა წარმოშობილიყო.

ამგვარად, ზემოთ მოტანილ „მექლე“ წყაროებზე დაყრდნობით,
შევვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ თაბორის მთა არამარტო სტრა-
ტეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, არამედ იგი გორა-სამლო-
ცველოც ყოფილა.

1972 წ. ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიულ-
ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის თაოსნობით თაბორის მთა-
ზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. ექსპელეციის მიერ ჯერ-
ჯერობით მიკვლეულია თაბორის ციხის ნაშთი. მიუხედავად იმისა,
რომ ციხის კედლები თითქმის სულ მოშლილია, მისი გეგმის წაკი-
თხვა მაინც ხერხდება, ციხე არაა დიდი ზომის, იგი ზუსტად ისე-
თია, როგორი სახითაც დატანილი აქვს თბილისის 1800 წ. გეგმის
შემდგენელს.

პრიზანისი

სოფელი კრწანისი თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯ-
ვენა ნაპირზე მდებარეობდა. პირველად ქალაქის მახლობლად კრწა-
ნისი გვხვდება 1392 წ. შედგენილ მცხეთის საკათალიკოსო სითარ-
ხნის გუგარში — „ქალაქს ვაჭრებითა კრწანისი“¹. წყაროებში
კრწანისი რომ არ გვხვდება, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ის იყო ქა-
ლაქის „აგარანში“ შემავალი ერთ-ერთი სოფელი ანდა დაბაა?

მეფე ალექსანდრე I, დიდად წოდებული, 1429 წ. გაცემული
სიგელით სვეტიცხოველს ხელმეორედ სწირავს ქალაქისპირა სო-
ფელ კრწანისს.

1 ქართული სამართლის ტეგლები, III, 1970, გვ. 176.

ნ. ბერძენიშვილი ქალაქის შემოგარენის „აგარანშე“ თუ „აგარაებზე“ სა-
უბისას წერს, რომ სახელი „აგარანი“ გულისხმობდა ქალაქის გარშემო მდე-
ბარე სოფელს, ე. ი. ეს იყო მათი კრებითი სახელი. „აგარანის“ სოფელს თუ
დაბებს თავისი საკუთარი სახელებიც ჰქონდათ. — ძეგლი თბილისის ტოპონი-
მიკიდან (აგარანი), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 318.

დამოწმებული შეგელი მრავალმხრივ საყურადღებო მასალის შემცველი დოკუმენტია. აღსანიშნავია, რომ კრწანისი თავდაპირველად „მეტეხის ლ-ის მშობელს“ შეწირული სოფელია—იგი მეტოქია.² ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვითიქროთ, რომ სოფელი კრწანისი მეტეხის ღვთასმშობლის ეკლესიისათვის შეუშირავს XIII ს-ში მეფე დიმიტრი თავდადებულს. უამთააღმწერელი გადიოგვცემა — „მეფემან დაიწყო საბაზა წარსულად, და აღაშენია ქუეყანანი მოიკრებულნი. ამანცე ასაშენა პალატასა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელი და ზუარნი, და განუჩინა მონასტერი საძრდელი და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა“³.

უკვე ვთქვით, რომ სიგელი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა კრწანისის აღრეული ხანის ისტორიის შესწავლისათვის. ჯერ ერთი, ვიგებთ, რომ იგი ხელმეორედ შეუწირავთ სევტიცხოველისათვის, რომელიც მოშლილიყო ქვეყანაში არსებული „ეამთა ვითარებისაგან“. მოშლის მიზეზი ნათელია — ესაა თემურლენგის ურადვების რეაგზის შემოსევები; აქვე დასამახსოვრებელია, რომ სოფელს „საწყლისპირო“ აქვს, რომელიც შემღვიმელი გამოვგადგება კრწანისის ჟალაზე საუბრისას და, რაც მთავარია, ვადგენთ ძველი კრწანისის საზღვრებს: სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მას ესაზღვრება ხატის თელეთი და შინდისი, ჩრდილოეთიდან, თაბორის ეკლესის ჩამოყოლებით, ლულვთა ხევი (წაკვისის წყალი, დაბახანა), და აღმოსავლეთიდან მდ. მტკვარი.

თუ მომდევნო ხანში გვიანობამდე (XIX ს.) სოფ. კრწანისის სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და აღმოსავლეთი (აქაც თოთქოსნობინალურად ჩნდება ახალი პლესტი თართაჭალის სახელით) საზღვრები მყარია, ამას ვერ ვიტყვით სოფლის ჩრდილოეთ საზღვარზე.

XVI—XVII სს. კრწანისი ტერიტორიულად მცირდება, მოსახლეობაც კლებულობს. ამის მიზეზია არაერთგზის აღნიშნული გაშუდებული შემოსევები. ქალაქის შემოგარენის სხვა სოფლების ხვედრს კრწანისიც იჩირებს, ყველაზე კარგად კი ეს მის ჩრდილოეთ საზღვარს დატყო. ამ მხარეს სოფელი შესამჩნევად იხევს სამხრეთისაკენ და ძველი, ე. წ. „განჯის კარს“ გაცდენილია იმიტომ, რომ

² საქართველო, ფ. 1449, № 557.

³ ქ-ს ც-ა, 11, გვ. 272.

უკვე XVII ს. 30-იან წლებში ირანის მპურობელი შაპ-სეფი ლეღვ-თა ხევის მარჯუნა ნაპირზე და თაბორის ქედის აღმოსავლეთ კალ-თაზე ასახლებს სეიდების ტომბს.

ქალაქის სანახებში მდებარე სოფელთა შორის არც კრწანისია გამონაკლისი და ისიც XV ს.-დან მოყოლებული XVII ს-მდე საბუ-თებში აღარ გვხვდება.

და, ა. 1657 წ. წყალობის სიგელი გვამცნობს, რომ კათალი-კოსმა ქრისტეფორემ პაატა თაზიშეილს კრწანისის მოურავობის სა-ხელო უბოძა. სიგელით ირკვევა, რომ ძველთაგანვე სოფ. კრწანი-სის მოურავები თაზიშვილები ყოფილან⁴.

კრწანისი საკათალიკოსო მამულია. მეფე როსტომი, კათალიკოს ქრისტეფორეს თხოვნით, 1658 წ. სვეტიცხოველს ხელახლა შეს-წირავს თბილისის მეტეხის ლეთისმშობლის ტაძარს და სოფელ კრწანისს — „შემოგწირეო მეტეხთა ღთის მშობლის ტაძარი და მისი შეწირული სოფელი კრწანისი⁵. ამავე სიგელით ქართლის მე-ფე სოფელ კრწანისს ათავისუფლებს — ათარხნებს ყოველგარი სამეფო გამოსალებისაგან — „ამ წესით გვითარხნებია რომე არათუ-რი საჩვენოს სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოებოდეს რა“.

კრწანისის ისტორიის შემცველი გვიანი ღოყუმენტური მასალა ძირითადად აქ არსებული ბალ-ვენახების ყიდვა-გაყიდვასა და წყა-ლობით გაცემას ეხება — „ჩემი მევიდრი ბალი მოეყიდნათ შენთ-უის“⁶ (1769), „მოგყიდე ჩემი მამა პაპას ნაქონი, და ნასყიდი მა-მული კრწანისის ბოლოს ბალი“⁷ (1778), „კრწანის ჩვენი მამეულ-პაპეული ვენახი გვქონდა შენს ვენახთან ჩვენის ნება ყოფლობით მოგვყიდეთ ის ჩვენი სამკვიდრო ვენახი“⁸ (1807).

ამ სოფლის მოურავის და მამასახლისის სახელოების ბოძება და ჩამორთმევა კათალიკოსის უშუალო კომპეტენციაში შედის, თუმცა ზოგჯერ აღნიშნულ სახელოებს მეფეც ამტკიცებს.

ფეოდალურ საქართველოში კათალიკოსი ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ფეოდალია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არ-სებულ საკათალიკოსო მამულს მეთვალყურეობას და ზედამხედვე-ლობას უწევენ კათალიკოსის მოხელენი — სახლოუცესი, მოუ-რავი, გზირი, ნაიბი, ნაზირი, მამასახლისი და სხვ.

4 სცია, ფ. 1450, დავთ. 34, № 120.

5 ქრონიკები, II, გვ. 472—473;

6 სცია, ფ. 1450, დავთ. 6, № 159.

7 სცია, ფ. 1450, დავთ. 7, № .80.

8 სცია, ფ. 1448, № 6720.

სახელოების გაცემის გარდა, კათალიკოსი უფლებამოსილია თავის კუთხინილ მამულში ცალკეული მესაკუთრენი ანდა მთელი სოფელი ათარხნოს — გაათავისუფლოს საკათალიკოსო გამოსაღებისაგან. 1780 წ. კათალიკოსი ანტონ I სითარხნის სიგელს აძლევს. ჯორლანაშვილ ოსეფას და მის ძმის შევილებს — „მათი უმაღლესობა ჩევნი სძალი დედოფალი დარეჯან შუა-შემობდანდა და ორთაჭალას შენის ბალის სითარხნე ინება, ჩევნც ნება დავართევით და გვითარენებიხარ ყოვლის ჩევნის სათხოვრისაგან“⁹. აქეე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბალების გათარხნება ეკლესიის შემოსავალს იმდენად ამცირებდა, რომ მოტანილ სიგელებშივე კათალიკოსი იძულებულია აღნიშნოს: „ამ ყორლანას შეილის ოსეფას ბალს გარდა, რომელიც სხუა ბალები არის, იმათი გათარხნება არ იქნება, ამისათვის, რომ ეკლესიის შემოსავალსა მრავალ რიგად აკლდება“.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ეტუობა, კათალიკოსი მაინც გასცემდა კრწანისასა და ორთაჭალაში მდებარე ბალების სითარხნის სიგელებს. როგორც ჩანს, ამას ისეთი მასიური ხასიათი მიუღია, რომ 1790 წ. ანტონ II კათალიკოსს საგანგებო განჩინება-განაწესი გამოუტა: „ესე განჩინებითი წერილი დავსდევ მტკიცე და უცუაბელი, რათა ნიაღავ და შემდგომითი შემდგომად ესრული იყოს, ჰერბოდეს, და დაიდუას წინაშე ყოველთა ღრდთა და მცირედთადმი, რომელიც შესამატად დიდისა ეკლესიისათვეს ესაჭრ, და განვაჩინეთ, რათა ნიაღავ და ამამულები გასყიდულა, და იმ მამულებისაგან გამოსავალი კულტები აზატობით გათარხნებულა, რომელთამე პირულთა მოსაყრელთა ჩუღნთაგან, ესე სითარხნე კრწანისისა და ორთაჭალის ბალებისა სრულ ერთობით მოვაიშლია, ამისთვეს რომ ეკალესიისათვეს დიდი დანაკლისი იყო ამ ბალების სითარხნე, და ჩუღნც ამისთვეს შლად ქელვყავით, და ესრული განვაწესეთ, რათა ამიერითგან დიდსა სამეუფლოსა ეკალესიასა ჩუღნსა სრულებით და უკლებულად ნიაღავ წელიწადს რაგუარადაც ძუღლადგან დებულებად ყოფილა, იმაგურად თავისი ბეგარა და კულუხი ისევ უკლებულად მოერთმეოდეს ეკალესიასა ძუღლისა და ახალისა გათარხნებულის ბალებისაგან, რომელიც რომ მოვშალეთ“¹⁰.

მიუხედავად ასეთი მკატარი განჩინებისა, 1809 წ. გაცემული სიგელით ანტონ II კათალიკოსი ორთაჭალის ბალის ერთ-ერთ შფლობელს სითარხნეს აძლევს, ათავისუფლებს ყოველგვარი საეკ-

⁹ სცსია, ფ. 1450, დათვ. 6. № 62.

¹⁰ სცსია, ფ. 1449, № 2335.

լրեսու ցամովսալցեծիսացան — „ըօտարւա պողոլլխարտ տահինո ծա-
լուս ցամովսալցեծիսացան մուշայ սոտարենու սինդա մյզութռոնձք արա
պատեղութ արա կուլլութ, արա ծեցարս, արա սեցա նուշու սատեղուարու”¹¹.

յրինանու սեցագասեցա մուելլյա: մուրհազո, եսագարո, մամասաե-
լլսո, մեծեցրէ, մեկուլլութ, ֆերամեցելլու. իւրուլլոնձուտ ֆյարուրոց-
ին յրինանու մուրհազո პուրուլլալ գուելլութ յիւրուլլու յատ-
լլյուսու մուր 1657 թ. ցաւընուլ ֆյալլոնձու բուշու. սածուտու նե-
ցու ցրտելլ սյայ ճազոմինթետ, ամուրու այ մաս ալար մուզափանու.
հիյեն մեռլուր մաս ալցունինցաւու, րոմ յրինանու մուրհազոնձու սեց-
լլու սամեյմյզութռոնձ յեռմատ աննասուրունիշուլլ տահինշուլլոց մուր-
հաց մարդուացանց յու սանցելլու յայցատ დա մատ ու ար մութլուտ XIX
սասուլլունիշուլլ. մեռլուր ցրտելլ, ուսուր տուրիշ-ումալլոց ճազ-
՛՛ սինունձուտ տահինշուլլոց ճարուցուտ համորտմյզուտ յու սանցելլու ճա-
սուլ մալյ ուսուր ճածուննունձուտ¹².

յրինանու մուրհազոնձու սանցելլու մեմյզութռոնձուտ ցալապրոմաս
ցարուն մուշունունիշուլլուր ճա մերելա-մերմունու ցարե՛մը ար
հաւուլու. յուպուն, տահինշուլլոց մուրհու ամ սայուտեն տամօնանց ամ-
էլլուրո այսալուպալո ճա վայրինձա մուրենա սերուունիշուլլ պողուլա,
րոմ մատ ճասամունինցուլլալ ճա մերելա-մերմունու սակուրունուլլ ցալապրո-
մաս ցարուն մուրհու սակուրունու ցարուն ցալապրոմանու ճա ցրտունու
մուրենուրո, սրուլ ցրտունունու ցակուրունունու ճա ցրտունունու
մուրենուրո, ցայրէ ցուսելլու տահինշուլլ աշտանգուլ ճա մատու մինու ճանու
ֆյալլ նալ, սանցելլունիշու սահիլլոնձունիշու¹³. սահիլլու ցանենուլլու
մերենց աշտանգուլ տահինշուլլ ցրտու մուրհազոնձու սանցելլու (1705 թ.).
յուպուն, յու սայմը ամուտ ար ճամտացրունիշուլլ ճա մաս 1708 թ. „ծարո-
նունիշուլլ սանցելլունիշու գունու ճա մունամժլցարու ոնուցուր ճա նահո-
րու յունուշը ծարունու ծենենցուտ սամարտալու սպացուտ տահին մերուլլ
աշտանգուլ ճա նալ. ամասինուն ճուսամունու կոնու ուղանց ճիրու
ցայրունունիշու¹⁴. ճամունիշուլլ սածուտունու հանս, րոմ ցայրու ցայ-
րու ճիրու մերուն մասամուն պայլայուրու (լուժրաց-մուժրաց յունենա)
ուղուց. սանցելլու ցայրու ար մերուն մասու աշեաց-
ծու ցայրունու ոչախու որուց մեար. հոգուրու ցնանց ցարուն մուր-
հուտ յու սայուտեն ցայր ցալապրու ճա ամուրու սայմը հայրու ցատալու-

11 Սլուսա, թ. 1450, ճայտ. 51, № 246.

12 Սլուսա, թ. 1450, ճայտ. 34, № 121.

13 Սլուսա, թ. 1450, ճայտ. 25, № 142.

14 Սլուսա, թ. 1450, ճայտ. 25, № 143.

ქოსი, როგორც ამ სახელოს გამცემი. ამჯერადაც კრწანისის მოურავობა მიეკა თაზიშვილ ავთანდილს, სამაგიეროდ მეორე მხარეს, ზალ თაზიშვილს ავთანდილი ყოველწლიურად უხდიდა ოც მარჩილს. საინტერესოა, რომ ავთანდილს კრწანისის მოურავობასთან ერთად ებოძა ხასაღრობაც — „მოურაობა და ხასაღრობა კრწანისისა ავთანდილს ქონდეს“. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა კრწანისში ხასაღარი გვხვდება. საერთოდ კი ხასაღრი ქალაქისცირა სოფლებში პირველად XVII ს. დასასრულს ავლაპარშია დამოწმებული. როგორც ცნობილია, ამ სახელოს მქონე მოხელეს ევალებოდა მხოლოდ სამეფო, უფრო სწორად, მეფის კუთვნილი ხოლაპუნებისა და ზერების მეთვალყურეობა. ის მხოლოდ მეფეს ჰყავს და, ამდენად, კრწანისში ხასაღრის სახელოს არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. ეტყობა, 1708 წ. გამოტანილ დაღვენილებას სულ ბოლომდე ვერ გადაუწყვეტია თაზიშვილების საგვარეულო დავა, კერძოდ. მოურავის სახელოს მეცკვიდრეობის საკითხი. შეიძლება ამ სახელოს გარშემო ამტკიცარ დავას შეეჭირა კიდევ კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე. აი ამის შესახებ რას მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი: „უკეთურმა და ლუთის შემკოდემ, იუდის მსგაუსად ალმთუოთებულმან თამაზის შეილმა ტარიელ, ერთის უძრალოს მიზენისა-თვის სულ კათალიკოზს ნიკოლოზს სატევარი ზაკვით და შოკლა. ეგრევე ორი ყულუხი ხმლოთ ზედ დააკაფა, თავის ბიძა-შეილი პატა, ფრიად დაწყვლულა. შეწუხდა მეფე, ინითაც მართებდა, თითონ ეშმაკის უბოროტესი ტარიელ დაიკირეს და მოკლეს, ძმით ცოლ-შეილით სულ აიკლეს: წასაკენეს წმიდა გვამი პატრიარქისა დიდა ეკკლესიასა საპატრიარქოსა მცეთას“¹⁵. ეს მოხდა 1744 წ.

კრწანისის მოურავის სახელო მეცკვიდრეობითია და ერთი გვარის წარმომადგენელთა ხელშია. რასაც ვერ ვიტყვით სოფლის მეორე მოხელის მამასახლისის შესახებ. საბუთში უმეტეს წილად მამასახლისი მხოლოდ სახელით გვხვდება. რამდენიმე შემთხვევაა, როცა ამ მოხელის გვარსაც ვხვდებოთ — ბეჟუაშეილი გიორგი (1725)¹⁶, დავითაშეილი გოგია (1735)¹⁷, სოლომანოვი შიკირტუმა

¹⁵ ვაკენა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ვიჭინაძის მეორე გამოცემა, 1913, გვ. 92.

¹⁶ სცია, ფ. 1450, დავთ. 13, № 29.

¹⁷ სცია, ფ. 1448, № 1097.

(1812)¹⁸; სახელებიდან ვხვდებით — ანტონ (1761)¹⁹, ავეტიქა (1805)²⁰.

1765 წ. შეღვენილ საბუთში მოხსენიებული „ქ. კრწანელი გზი-რი ასატურა“²¹ კრწანისში მეღალე და შეკულუხეცაა. 1799 წ. კათა-ლიკოს ანტონ II-ის მიერ აზნაურიშვილ ოთარ მგალობელ ანთა-ძისაღმი გაცემულ წყალობის წიგნში კითხულობთ: „....ასე რომ ნე-ტარად ხსენებულს კათალიკოსს ანტონს, კრწანისში მეღალობა და მეკულუხობა ებოდებინა სიგელით, და აღა-მამადხან რომ მოვიდა და ქალაქი მთამხრა, სხვა ნივთიც მრავალი რამ დაგვარგოდა, და ის წყალობის სიგელიც დაგვკარგოდა, მოხველ და შენის ნებათხოვ-ნისამებრ წყალობის სიგლის გაახლებას დაგვეაჯე ჩვენც ვისმინეთ გედრება თქვენი და გიბოძეთ კრწანისშა და ორთაჭალის მოღალო-ბა და მეკულუხობა“²².

ისევე როგორც მეკულუხე და მეღალე, სოფ. კრწანისსა და ორ-თაჭალას ზედამხედველიც ერთი ჰყავთ — „მისს მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის მცხეთის მიტროპოლიტის საქართველოს და იმერეთის ექსარხოსის ვარლამის ბძანებით კრწანისსა და ორთაჭა-ლის ზედამხედველი მუშრიბი სოლომან. ამ წერილის მოწამე ვარ“²³ (1814).

კრწანისში მოხელეებთან ერთად სხვადასხვა დარგის ხელოსან-საც ვხვდებით: ხარაბს, მკერევალს, მესანთლეს, ფეიქარს და სხვ. ხელოსნობის განვითარებას აქ ხელს უწყობდა ქალაქის სიახლოევ. კრწანელი ხელოსანი სოფელში დამზადებულ ნაწარმის ნაწილს, ალბათ, თბილისის ბაზრისთვის ამზადებდა. მაგრამ ძირითადად კრწანისი ჩხებოდა სასოფლო-სამეურნეო უბნად. „ქალაქის მოუ-რავის სარგოთი“ მოურავს ყოველწლიურად ქალაქისპირა სხვა ბა-ლების მსგავსად კრწანისისა და ორთაჭალის ბალებიდან თავისი წი-ლი ერგებოდა.

კრწანისში ბალები ჰქონდათ ქალაქელებს და მეფის ოჯახის წევ-რებსაც — ბატონიშვილებს.

„დამტურლამალში“ ზაგანებო პარაგრაფი აქვს დათმობილი „ქალაქის მწვანილის ბაჟის“ საკითხს. აქ ლაპარაკია იმ ვალდებუ-

18 სცია, ფ. 1450, დავთ. 44, № 121.

19 სცია, ფ. 1450, დავთ. 6, № 158.

20 სცია, ფ. 1450, დავთ. 52, № 70.

21 სცია, ფ. 1449, № 2331.

22 სცია, ფ. 1448, № 8883.

23 სცია, ფ. 1449, № 2260.

ლებებზე, რაც ეთხოვებოდათ გალმა ჭალის მეპატრონე-მებალეებსა-
რა რაოდენობის ბოსტნეული უნდა ჩაებარებინათ ყოველდღიურად
მეფის ქარხანაში; მათ ეკრძალებოდათ გასაყიდი მწვანილის დათეს-
ვა. აქევ ვიგებთ, თუ რა სახის ბოსტნეული მოყავდათ ბალებში —
„თუ დასთესოს — ნესვი, საზამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნი-
ორი, თავი ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, ამ რიგი რამ დასთესოს, თა-
ვისი საყოფი მწვანილიც დასთესოს, თორებ სხვას კი ნუ დასთე-
სავს“. მოტანილ პარაგრაფში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ამას გარ-
და, გალმა კრწანისის ბოლოს რომ ბალები არის, იმისას ასრე იქმო-
დენ: იმათაც თავისი საქმელი მწვანილი დათესონ, როგორც ამ ზეით
სწერია, თუ არა, ვინც ამათში გასასყიდელს მწვანილს დასთესავს,
თორმეტი მინალთუნი ჯარიმა უნდა გამოიღოს“²⁴.

დამოწმებული აღგილი მრავალმხრივაა საყურადღებო, მაგ-
რამ ამ შემთხვევაში გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ერთ საკითხზე.
როგორც ვნახეთ, აქ ზოგადად იყო ლაპარაკი ჭალაქის გალმა ჭალის
ბაჟებ. რგოვე მოთითება ექლევათ აქეთა ჭალის მეპატრონებსაც —
„კრწანისის ბოლოს რომ ბალები არის, იმისას ასრე იქმოდენ“. სა-
ბოთში ჭალის თუ ბალის მისანაშენებლად, ორიენტირად კრწანისის
ტოხესნიება გვაიფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს შოვგიანო ხანის
ორთაჭალა. გვინდა აღნიშნოთ, რომ თბილისის სანახებში გეოგრა-
ფიულ სახელად „ორთაჭალა“²⁵ XVIII ს. მეორე შეოთხედში უნდა
გაჩენილიყო. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს ვა-
ხუშტი ბატონიშვილი, რომელსაც თავის ერთ-ერთ რუკაზე ორთა-
ჭალის აღგილზე დატანილი აქვს „ჭალის ბალი“²⁶. ამისთან დაკავ-
შირებით ჩნდება ერთი საცოტური, რა კავშირშია ჭალა//ორთაჭალა
და კრწანისი. ჩელო ასებულ ღოკუმენტურ წყაროებში ორ-
თაჭალა, როგორც ცალე ერთეული, იშვიათად გვაზღება. ის უფრო
ხშირად სოფელ კრწანისთანაა მოხსენებული — „ჩელნ სოფელს
კრწანის ორთაჭალას“²⁷, „გიბოძეთ კრწანისის ორთაჭალას“²⁸ და
ა. შ. უკვე ვთქვით, რომ მათ ერთი ზედამხედველი, მელალე და მე-
კულუხე ჰყავთ, და არა მარტო ეს მოხელეები, არამედ მოურავიც.
და მამასახლისიც — „ჩელნი ბრძანება არის ორთაჭალის და კრწა-

24 ჭართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 546—547.

25 ორთაჭალა ორწილადი სიტყვა და ნაწარმოებია თერქულიდან ორთა-
ORTA შეა (середина) — Древнетюркский словарь. Л.. 1969. გვ. 371. ე. ა.
შეაჭალა.

26 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H—2079.

27 სცსია, ფ. 1449, № 1076.

28 სცსია, ფ. 1450, დავთ. 24, № 5.

ნისის მოურავო და მამასახლისო“²⁹, „კრწანისის მოურავი და გალობელი ითხებ კრწანისისა და ორთაჭალის მამასახლისი ანტონა“ და ა. შ.

უკვე ვთქვით, რომ კრწანისი თბილისის აგარანის ერთ-ერთი სოფელია. ნ. ბერძენიშვილი აგარებთან დაკავშირებით ტერმინ „დასოს“ შინაარსისა და მისი ადგილსამყოფელის დაღვენისას „აგარათა ჭალასაც“ ეხება. მკელევარი „დასოს“ და „აგარათა ჭალას“ ლოკალურ ადგილს უძებნის და მათ კაბენის ეკლესიასთან (კოერი) ათავსებს. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს „აგარათა ჭალა“. და აი, ნიკო ბერძენიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „აქ ჩვენ იმ დებულებიდან ფამოვდივართ, რომ „აგარათა ჭალა“ უშუალო ნაწილია „აგარანის“, როგორც „ტერიტორიულ-სამეურნეო ერთეულის“, მაგრამ სავარაუდებელია სხვაგვარი ვითარებაც. „აგარათა ჭალას“ იქნება ამ დროს „აგარანთან“ ქავშირი არც ჰქონდეს. შეიძლება „აგარათა ჭალა“ უფრო ძველი დროის გეოგრაფიული სახელი იყოს, როცა ცნება „აგარანი“ ფართო იყო, ჯერ კიდევ ერთი დაბისა და ციხის სახელად არ ქცეულიყო, არამედ კრწანისიდან შინდის, ტაბაქმელას, კოჭორს (და კიდევ სხვა?) — ყველას საერთოდ ეწოდებოდა. ასეთი ვითარების ფათვალისწინებით „აგარათა ჭალა“ აწინდელ ორთა ჭალაშიც თავისუფლად მოთავსდებოდა“³⁰.

ჩვენ ნ. ბერძენიშვილის მეორე, სავარაუდოდ გამოთქმული მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩინია, რაც, როგორც ვნახეთ, გვიანი ხანის დოკუმენტური მასალითაც მტკიცდება. „აგარათა ჭალა“, ტრადიციისამებრ, შემორჩია კრწანისს, ეს უბრალოდ განაპირობა კრწანისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ის ძეელ „აგარანში“ შემავალ დაბათა შორის უშუალოდ ემიჯნებოდა „ჭალას“ და ეს ძეელი „მემკვიდრეობაც“ მას დარჩა (თუ უნდა დარჩენოდა?).

ორთაჭალის ბალები კრწანელთა გარდა ეკუთვნოდათ: „ქ. ჭალაქს სამინბაშოს იჯარის შემოსავალი და მისი ერთიც ორთაჭალის ბალი მეფის ძეს იულონს ეჭირა“³¹. „ქ. ორთაჭალის სამინბაშო ბალი“ მეფე ერეკლე II-ეს თავისი ძისათვის იულონისათვის უბოძე-

29 სცია, ფ. 1449, № 1456.

30 ნ. ბერძენიშვილი, ჭალის თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), საქართველოს სტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 322—25.

31 სცია, ფ. 1448, № 7723.

32 სცია, ფ. 1448, № 777,

პია³³. ორთაჭალაში ბალი ჰქონდათ: ყორდანაშვილს³⁴, თავლიდარ რეანეზას, მამასახლის ანტონას, გზის გიქუასშვილს და სხვ.

ქართლის უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის სიკვდილისა და მისი მემკვიდრის დავით ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების შემდეგ მათი კუთვნილი ორთაჭალის ბალები გადაეცა ფირცხალაურ დოსითეოს არქიეპისკოპოსს, რომელიც მერე შეისყიდა თბილისელმა სომეხმა ტერ-შიმოვანოვმა.

კრწანისის და ორთაჭალის ზურები, ბალჩა-ბოსტნები, ბალები რჩყვებოდა რუებით, ჩარხის წყლით, საგანგებოდ მოწყობილ საგუბრებში ჩამდგარი თუ დაგროვილი წყლით, მტკვარზე წყლის საქაჩი დიდი ბორბლები — ღოლაბებიც ყოფილა მოწყობილი — „თავისი წყლის გზა ღოლაბაურის რუსიულითა“³⁵. გაყიდულ ბალს თან ახლავს „თავისი რასათის წყალი და ჩარხი“³⁶, „ერთი ჩარხი ერთის თავისის რასათის თავისის რუთა“³⁷, ბალები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან ქუჩითაა გამოჯნული.

ორთაჭალის ბალებში მისულა მდინარე მტკვრის მაჩქვენა ტოტზე გადებული, კოფორბზე შემდგარი ხის ხიდის საშუალებით შეძლებოდა; ასევე, ორთაჭალაში გადასულა ნავით ხებოდა, რომელსაც ემსახურებოდა საგანგებოდ მიჩენილი მენავე. 1781 წ. შედეგენილ ერთ-ერთ საბუთში გხევდება ორთაჭალის მენავე, მეორე საბუთში (ისევ ორთაჭალას ეხება, 1782 წ.) კი პირდაპირ არის ნათქვამი: „...საცა ნავი მუშაობს..“³⁸. მენავის პირდაპირი მოვალეობა იყო მებალეების, ბალის მეპატრონებისა და სხვათა გადაყვანა. აღნიშნულ სამუშაოში მენავე მისოვის განკუთვნილ გასამრჩელოს იღედა.

ამგვარად, კრწანისი ქალაქის „აგარაში“ შემავალი და XIV—XV სს. საქართველოს მეფეთა მიერ სუტიცხოველს შეწირული სოფელია. აქედან მოყოლებული XIX საუკუნემდე იგი სიკათალიკოსო მაშულია. თუმცა კრწანისში ბალები მეფის ოჯახის წევრებს და ქალაქელებსაც ჰქონდათ.

სოფ. კრწანისი, ორთაჭალასთან ერთად, ქალაქის შემოგარენში მდებარეობდა და თავისი სარწყავი სისტემით (რუ, რუსემული, ჩარ-

33 სცია, ფ. 1450, დავთ. 6, №62.

34 სცია, ფ. 1450, დავთ. 8, № 122.

35 სცია, ფ. 1450, დავთ. 8, № 117.

36 სცია, ფ. 1450, დავთ. 6, № 156.

37 სცია, ფ. 1450, დავთ. 5, № 146.

ხი) ბალ-ვენახებით და ბალჩა-ზოსტნებით წარმოადგენდა ერთ-ერთ დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს.

შურყუთა (სონლალული)

თბილის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ყურუყთა, შემდეგი დროის სოფ. სონლალული.

სოფ. სონლალულის სახელი XVII—XVIII საუკუნეების სიგვლ-შურებში და ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება — ყურუყთა, სონლალუხი, სოლალუხი, სონლალული, სოლანლული. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოლანლული დაემკვდრა.

სახელი სოლანლული უცხოა — თურქულია და ქართულად სახვევს თუ სახახვეთს ნიშნავს.

ჩვენ აქ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უცნაურ მოვლენასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელები ჩვენში მრავლდა; გასარკვევია როგორ მოხდა, რომ ყურუყთას, შემდეგინდელ სონლალულს, სახახვეთი ანუ სოლანლული შეერქვა?

ამ კურიოზს თუ ლაფსუსს ჯერ კიდევ ისტორიული პლატონ იოსელიანი გაუოცებია: «Выезжая из Тифлиса, первым местом древнего населения является село Соганлуги, постоянно страдавшее от нападения врагов и защищавшее узкий проходъ по правому берегу р. Кура, Тифлис в 10 верстах от него. Не могу объяснить, когда и от чего дано название Соганлуги, означающее на татарском языке место лука¹ — ась წერდა თბილისიდან სომხეთის ახტალაში მიმავალი მკვლევარი. მოტანილი მონაკვეთიდან ჩანს, რომ პლ. იოსელიანი გაკვირვებას გამოთქვამს სოფლის სახელწოდების გამო.

სოფელი სონლალული თბილისის სამხრეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სონლალულს თბილისისაგან თელეთის მთა ჰყოფდა. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ ყელს — კოჩიდოჩს,

1. П. Иоселиани, Путевые записки отъ Тифлиса до Ахтала. Тиф., 1850, გვ. 4.

და, აი, სწორედ ამ ვიწრო ყელით უკავშირდებოდა სონდალული ქალაქის, უფრო სწორად, ამ ვიწროებში გამავალი სატრანზიტო-საქართველო გზით, ე. წ. „განჯის გზით“. ისე გამოდიოდა, რომ სონდალული თბილისის სამხრეთის მისადგომებთან სწორედ ამ გზის ერთ-ერთი ჩამცეტი პუნქტი იყო.

როგორც ჩანს, ყურუუთა-სონდალული ქალაქის შემოგარენში ერთ-ერთი მოსაცდელი, საპაემნო—შესახვედრი აღვილია.

პლ. ოსელიანი გადმოგვცემს, რომ ძელად სონდალულს „გზის კარს“ უწოდებდნენ. «В древности оно (Сондaluლо — т. д.) именовалось Гзис кари (гზис კარი) или вратами дороги, ведущей к Тифлису. У других называются Куркути (ყურუუთა)».

სონდალულის საზღვრებს ვადგენ 1848 წ. შედგენილი რუკით². აღნიშნულ რუკაზე ორი სონდალულია — პატარა და დიდი, რომ ლებსაც ერთმანეთისაგან შულავრის გზა ჰყოფს.

პატარა სონდალულზე შულავრის გზა გადიოდა, რომელსაც ყაზახი — განჯის გზა უერთდებოდა (თბილისი — სონდალული — ყაზახი — შამქორი — განჯა), შულავრის გზა, რომელიც კუმისის ტბას სამხრეთის მხრიდან ჩაუკლიდა (აღსანიშნავია, რომ დღეს ეს გზა კუმისის ტბას ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუდის) ნაწილი იყო დმანისზე გამავალი ცნობილი დიდი საქართველო გზის — ნახედური — დმანისი — ლორე. დღესაც ამ გზით თბილისი უკავშირდება სომხეთს. შულავრის გზის განტოტება უერთდებოდა მეორე დიდ საქართველო გზას — დებედისას. როგორც ვხედავთ, სონდალული სამხრეთიდან და აღმოსაელეთიდან თბილისში მომავალი სატრანზიტო-საქართველო გზების მნიშვნელოვანი კვანძი იყო. საინტერესოა გავიხსენოთ ისიც, რომ სონდალულთან სარვანისად წოდებული ტოპონიმია, რაც, ვახუშტის გადმოცემით, „მეფეთ აქლემთა“ სადგომს ნიშნავს. სამხრეთით „ყოჩის ქვის“ სახელით პატარა გორაა, ხოლო მის სამხრეთ-და-სავლეთით სანგრის გორა. სონდალულს დასავლეთიდან ესაზღვრება და კეტავს ხანლუხდარეს მეორე ხევი, რომელიც სათავეს აღმოსავლეთით იღებს და მის დასავლეთით ყაზახის გზამდე აღწევს.

სონდალული შემოიფარგლებოდა ლელვის ხევით, ტაშხარუანათი, მტკვრით, შულავრის და ყაზახის გზებით, ყოჩის ქვით, სანგრის გორით; ხანლუხდარეს მეორე ხევით, ამილახვრების თელეთით, ტალის (თალის) ქვის და ისევ ლელვის ხევით.

ამგვარად, სონდალულს ეკავა წყლისპირეთი, მტკვრის მარჯვე-

2 Подробная карта окрестностей г. Тифлиса, 1848.

ხი) ბალ-ვენახებით და ბალჩა-ბოსტნებით წარმოადგენდა ერთ-ერთ დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს.

შურეული

(სონლალული)

თბილის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება ყურუცუთა, შემდეგი დროის სოფ. სონლალული.

სოფ. სონლალულის სახელი XVII—XVIII წაუკუნების სიგელ-შურებში და ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება — ყურუცუთა, სონლალუხი, სოლალუხი, სონლანლული. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოლანლული დაექციდრა.

სახელი სოლანლული უცხოა — თურქულია და ქართულად სახახვეს თუ სახახვეთს ნიშნავს.

ჩვენ აქ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უცნაურ მოვლენასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელები ჩვენში მრავლადაა; გასარკევევია როგორ მოხდა, რომ ყურუცუთას, შემდეგიროინდელ სონლალულს, სახახვეთი ანუ სოლანლული შეერქვა?

ამ კურიოსის თუ ლაფსუსს ჯერ კიდევ ისტორიული პლატონ იოსელიანი გაუღიერდია: «Выезжая из Тифлиса, первым местом древнего населения является село Соганлуги, постоянно страдавшее от нападения враговъ и защищавшее узкий проходъ по правому берегу р. Кура, Тифлис в 10 верстах от него. Не могу объяснить, когда и от чего дано название Соганлуги, означающее на татарском языке место лука»¹ — ასე წერდა თბილისიდან სომხეთის ახტალაში მიმავალი მკვლევარი. მოტანილი მონაკვეთიდან ჩანს, რომ პლ. იოსელიანი გაკვირვებას გამოთქვამს სოფლის სახელწოდების გამო.

სოფელი სონლალული თბილისის სამხრეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სონლალულს თბილისისაგან თელეთის მთა ჰყოფდა. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ ყელს — კოტიდორს,

¹ П. Иоселиани, Путевые записки отъ Тифлиса до Ахтала. Тиф., 1850, გვ. 4.

და, აი, სწორედ ამ ვიწრო ყელით უკავშირდებოდა სონღალული ქალაქს, უფრო სწორად, ამ ვიწროებში გამავალი სატრანზიტო-საქარავნო გზით, ე. წ. „განჯის გზით“. ისე გამოდიოდა, რომ სონღალული თბილისის სამხრეთის მისადგომებთან სწორედ ამ გზის ერთ-ერთი ჩამქეტი პუნქტი იყო.

როგორც ჩანს, ყურუუთა-სონღალული ქალაქის შემოგარენში ერთ-ერთი მოსაცდელი, საპატიო — შესახვედრი ადგილია.

პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, რომ ძევლად სონღალულს „გზის კარს“ უწოდებდნენ. «В древности оно (солнечное — т. д.) именовалось Гзис кари (гზис კარი) или вратами дороги, ведущей к Тифлису. У других называются Куркути (ყურუუთа)».

სონღალულის საზღვრებს ვადგენთ 1848 წ. შედგენილი რუკით². აღნიშნულ რუკაზე ორი სონღალულია — პატარა და დიდი, რომელებსაც ერთმანეთისაგან შულავრის გზა ჰყოფს.

პატარა სონღალულზე შულავრის გზა გადიოდა, რომელსაც ყაზახი — განჯის გზა უერთდებოდა (თბილისი — სონღალული — ყაზახი — შამქორი — განჯა), შულავრის გზა, რომელიც კუმისის ტბას სამხრეთის მხრიდან ჩაუვლიდა (აღსანიშნავია, რომ დღეს ეს გზა კუმისის ტბას ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუდის) ნაწილი იყო დმანისზე გამავალი ცნობილი დიდი საქარავნო გზის — ნახილური — დმანისი — ლორე. დღესაც ამ გზით თბილისი უკავშირდება სომხეთს. შულავრის გზის განტოტება უერთდებოდა მეორე დიდ საქარავნო გზას — დებელისას. როგორც ვხედავთ, სონღალული სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თბილისში მომავალი სატრანზიტო-საქარავნო გზების მნიშვნელოვანი კვანძი იყო. საინტერესოა გვიხსენოთ ისიც, რომ სონღალულთან სარვინისად წოდებული ტოპონიმია, რაც, ვაცუ-შტის გადმოცემით, „მეფეთ აქლემთა“ საღვომს ნიშნავს. სამხრეთით „ყოჩის ქვის“ სახელით პატარა გორაა, ხოლო მის სამხრეთ-და-სავლეთით სანგრის გორა. სონღალულს დასავლეთიდან ესაზღვრება და კეტავს ხანლუხდარეს მეორე ხევი, რომელიც სათავეს აღმოსავლეთით იღებს და მის დასავლეთით ყაზახის გზამდე აღწევს.

სონღალული შემოიფარგლებოდა ლელვის ხევით, ტაშხარყანათი, მტკვრით, შულავრის და ყაზახის გზებით, ყოჩის ქვით, სანგრის გორით; ხანლუხდარეს მეორე ხევით, ამილაზვრების თელეთით, ტალის (თალის) ქვის და ისევ ლელვის ხევით.

ამგვარად, სონღალულს ეკავა წყლისპირეთი, მტკვრის მარჯვე-

² Подробная карта окрестностей г. Тифлиса, 1848.

ნა ნაპირის ჭალები და თელეთის (ამილახვრების) მახლობელი ველ-გინდვრები.

პირველად სონდალულის აღრეული სახელი „ყურყუთა“ სპარსე-თში გიორგი სააკაძის წახვლასთან დაკავშირებით გვევდება. ეს იმ საყოველთაოდ ცნობილ დროს ემთხვევა, როცა ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის კარზე აღზევებული და განდიღებული გიორგი სა-აკაძის მდგომარეობით გაგულისებული და შურით აღვსილი ქართ-ველი ძირძველი დიდებულების შეჩენით, ქართლის მეფე გიორგი თარხან-მოურავის დაპატიმრებას და მოკვლას გადაწყვეტს. დიდი მოურავი გაიგებს მეფის განზრახვას და თავასი მახლობლების თან-ხლებით უცბოეთში იხიზნება.

გიორგი სააკაძე ლამით ლილოებზე გაცლით თბილისს ჩრდ-ალმოსავლეთიდან ჩაუკლის, მტკვრის ფონით ყურყუთას გავა და ალვაყალას მდრის. აერდან დევნილი თბილისს მოურავი ირანის მარდანებლის შაპ-აბას I-ის კარს ეახლება.

ეს 1612 წ. მოხდა.

მოტანილი ამბავი აღწერილი და გალექსილი აქვს XVII ს. ქარ-თველ მოღვაწეს, გიორგი სააკაძის ნათესავს, თბილისის მიტრო-პოლიტს ცოსებ სააკაძე-თბილელს (1681).

„რაღა ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლ-შვილითა ვიარე;

გზა წარველეთ საგურამისი და არე მათი ვიარე.

ლილის პირს ჩაველ, ლოკინის ხევებში დაუტარე,

ურუყთას ფონი მზად დაგვედა, ჩერნოვის არ დასანთქმიარე!“³

პეტრი ეგნატაწვილი თბილელის მონათხრობს იმეორებს. შეიძ-ლება მემატიანე ამ აბის წერისას აღნიშნულ პოემას თავის წყაროდ იყრებდა, ამდა ხელთ სხვა საბუთი ჰქონდა⁴.

აღრეულ წყაროებში მოხსენიებული ყურყუთა ისე ჩანს, რომ ადგალის სახელი უნდა ყოფილიყო და არა დასახლებული პუნქტის სახელშიღდება. ეტყობა აღილის საკუთარი სახელი შემდეგში დასა-ხლებულშა პლნქტმა პლნქტრივად მიიღო და შეისისხლხორცა.

როგორც ცნობალია, როსტომ მეფის გარდაცვალების (1658 წ.) შემდეგ ირანის შაპი აბას II ქართლის ტახტს ვახტანგ V შაპნავაზად წოდებულს აძლევს.

ამ ამბავთან დაკავშირებით სენია ჩხეიძისა და „პარიუს ქრო-

³ მოსებ თბილელი, დიდ-მოურავიანი, თბ., 1897, გვ. 28.

⁴ ბერი ეგნატაწვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქ-ს ც-ა, ტ. II, გვ. 391.

ნიკის“ თხრობა ერთმანეთს მიჰყვება. ოლონდ სეხნია არაფერს ამბობს, თუ სად მიიღო შაპნავაზე შაპის რაყამი, ხოლო „პარიკის ქრონიკა“ კი გვამცნობს, რომ სარდალ პაპუნა ციციშვილის ხელით გამოგზავნილი შაპის რაყამი და ხალათი ვახტანგ V-ემ სონლალულში მიიღო:

„პაპუნა საახალწლოდ მოვიდა, სოლანლუს ჩავიდა და ყავის ხალათი ჩაიცვა, რაყამი თავზე დაიჭირა, ისე შემოვიდა ქალაქში, მეფე გაათათრეს“⁵...

მოტანილ მონაცემთში ყურადსალებია ის, რომ ვახტანგ V შაპის რაყამსა და ხალათს სონლალულში იღებს. ეს წესი მომდევნო ხანაში გრძელდებოდა.

უან შარდენს, რომელმაც ჩვენში 1672 წ. იმოგზაურია, აღნიშნული წესისათვის ყურადღება მიუქცევია. მოგზაური ამ წესს ასე აღწერს და განმარტავს: „...სამხრეთის მხრიდან მთის ფერდობზე დიდი ციხე დგას. მასში მეციხოვნებიცა და მცხოვრებლებიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სპარსელები არიან... საქართველოს მთავარი, როდესაც ხელმწიფის წერილებისა და საჩუქრების მისაღებად, ჩვეულებისამებრ, ქალაქის კარიბჭის გარეთ გადის ხოლმე, მან ციხის შუაგულში უნდა გაიაროს, რადგანაც სპარსეთიდან თბილისში შემოსელა მხოლოდ და მხოლოდ ამ ციხის გავლით შეიძლება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარს აქ გაელის დროს მუდამ იმის შიში აქვს, არ შემიპყრობო, ვაი თუ ციხისათვის საიდუმლო ბრძანება აქვს მიღებული ჩემი შეპყრობისაო. სპარსელებმა მეტად გონივრულად დაამკვიდრეს ეს წესი: საქართველოს მეფისნაცვალი და მათ სახელმწიფოში შემავალი პროეინციების სხვა მმართველები ხელმწიფის გზავნელებათა მისაღებად ქალაქგარეთ უნდა გაკიდნენ, რადგანაც ეს არის უაღვილესი საშუალება მათი შეპყრობისა, ყოველგვარი გართულებისა და საფრთხის გარეშე“⁶. მოგზაური არ ასახელებს შეხვედრის ზუსტ ადგილს, მაგრამ საგულვებელია, რომ ეს იყოს ყურყულთა — სონლალული.

როდის და ვის მიერაა ეს წესი შემოღებული, დღეს ძნელია ამის თქმა.

უან შარდენი სწორი უნდა იყოს, როცა ჩვენში ამ წესის შემოსვლას ირანთან აკავშირებს, მაგრამ არაა სწორი, როცა ქართველი

5 პარიკის ქრონიკა, გვ. 64.

6 შარდენის მოგზაურობა, ფრანგელიდან თარგმნა, გამოკვეთება და კომენტარები დაუტომ მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 317—319.

მეფის ქალაქგარეთ გაყვანის საჭიროების შემთხვევაში მისი დაბატიმრების მიზეზით ხსნის. რამდენადაც ჩენ ვიცით, არც ერთ ქართველ მეფეს თავისი გვირგვინი თბილისის მიღამოებში გატუშების გზით არ დაუკარგავს. ირანის მბრძანებლები ამ ხერხს მოერიდებოდნენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ აქტით გამოწვეული რეაქციისა ეშინდათ, მეორეც, მათ საშუალება ჰქონდათ თავის კარზე მიწვეულ მეფეს იქვე გასწორებოდნენ.

ჩენ ვთქიქრობთ, რომ თუ მართლაც ასეთი საგანგებოდ შემოღებული წესი არსებობდა, მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა გამოეხატა ქართველი მეფის ვასალური დამოყიდებულება შაპის ტახტისადმი. ეს იყო, ერთი მხრივ, სიუზერენის — ირანის ხელისუფალის, შაპის და, მეორე მხრივ, ვასალის, ამ შემთხვევაში ქართლის მეფის, ურთიერთდამოყიდებულების გამომხატველი ცერემონიალი.

როგორც ეტყობა, მეფეს, რომლის ხელდასმაც შაპის ნებასურვილზე იყო დამოყიდებული, უფლება არ ჰქონდა ირანის მბრძანებლის მიერ გამოგზავნილი რაყამი და ხალათი თავის სასახლეში, მეფის ტახტზე მჯდომს მიერო. თუმცალა შემდეგში, ეტყობა, ეს ცერემონიალი ტრადიციად იქცა და ქართლის მეფე მაღალი თანამდებობის პირს პატივისცემის ნიშნად ქალაქგარეთ სონლალულში ხვდებოდა (შეხევდრის ადგილი დამოყიდებული იყო იმაზე, თუ ბეზაერი რომელი მხრიდან მოდიოდა; მაგ., ანანურიდან წამისულ ერეკლე II-ს დიდუბეში ხვდებიან და ა. შ.). ასე იყო მაშინაც, როცა შაპინავაზი თავის შვილს არჩილს (რომელიც სპარსეთს იყო და შაპის სურეკილისამებრ კახეთის ტახტი მიიღო) სონლალულში შეხვდა.

ირანის შაპი ვახტანგ V-ს აიძულებს, მაგრამიანთა წესისამებრ (მიუხედავად იმისა, რომ მას ცოლად ჰყავს როდამ ყაფლანიშვილი) ცოლად შეირთოს როსტომ მეფის ქვრივი მარიამ დელოფალი.

ვახტანგ V-ს როდამ ყაფლანიშვილთან ჰყავდა ექვსი ვაჟიშვილი — არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, სულემანი და ორი ასული — ანუკა, თამარი.

შაპინავაზის უფროსი ვაჟი არჩილი იმერეთში ხანმოკლე მეფობის შემდეგ შაპის დახმარებით კახეთის ტახტის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ 1662 წ. თეიმურაზ I ასტრაბალში გარდაიცვალა; ამის შემდეგ კახეთის ტახტი ეკუთვნოდა მის შვილიშვილს — ერეკლე I დავითის ძეს, მაგრამ ერეკლე I იმდროინდელი საქართველოსათვის დამახასიათებელი სასახლისა და დიდებულების ინტრიგის შსხვერპლი გახდა. იგი იძულებული შეიქნა გასცლოდა საშობლოს და რუსეთში ეძია თავშესაფარი.

ამგვარად, როგორც ვთქვით, კახეთის სამეფოს ტაბტი ხელა
იგდო ქართლის მეფის შაპნავაზის ძეგმი არჩილმა.

„...კახეთის ბატონობა მისცეს (არჩილს — თ. ბ.) და შაპნავას
ხან დაარქვეს და გამოისტუმრეს და ქართლს მოვიდა, კახი ბატონი
არჩილ და შაპნავას მეფე ყურადღოს მიეგება, იქიდან ქალაქის შემო-
ვიდნენ და ქალაქიდან კახეთს წავიდა კახი ბატონი“⁷.

ეს მოხდა 1663 წ.

1722 წ. თურქები არღვევენ ირანთან 1639 წ. დადებულ ხელ-
შეკრულებას და იწყებენ მის წინააღმდეგ ომს. თურქთა ლაშქარი
ქართლში შემოდის და აი, თურქეთის მაღალი თანამდებობებს პირს —
სარასკარს კონსტანტინე სონლალულში ქალაქის კლირეს გადა-
ცემს. ამ ფაქტს ვხვდებით იმჯამინდელ ისტორიულსთა თხზულებებ-
ში და სხვა წერილობით წყაროებში. „...წავიდა ქალაქიდამ, მიეგება
სარასკარს სონლალულს, მიართვა კლირენი ციხისანი“ (სეხნია...,
გვ. 38); „...წამოიმართა სარასკარი, მოვიდა და დაიბანაკა ყურად-
გას; ხოლო ჰელი რა ესე მაპმადყულიხან... მიეგება და მიართვა
კლირენი ციხე-ქალაქისა“ (ომან..., გვ. 242); „ყურადღიან მიეგება
მამადყულობან სარასკარს, მისცა ციხე ტფილისია“ („ქრონიკები“,
III, გვ. 91).

„ქრონიკების“ სხვა აღვილას ეს ამბავი ასეა მოთხრობრლი:
„მოვიდნენ სალალულს. აქ 10 იქნას მოეგება მამადყულიხან და
მიართვა სარასკარსა კლირენი ციხისანი“ (გვ. 92).

1752 წ. ქართველ მეფების — თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს,
შაქისა და შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის თაოსნობით, განლდგნენ და
აეშალნენ ქართველ მეფეთა ადრე ყმადნაფიცი ხანები. აჯი-ჩალაბი
ისე გაკალინიერდა, რომ ჩევენ მეფებს ულტიმატუმიც კი წამოუყე-
ნა, რომ მათ ხელი აელოთ თავიანთ ყმადნაფიც მაპმადიანურ სა-
ხანობზე და მხოლოდ ქართლით დაკმაყოფილებულიყვნენ. მეფეთა
შემოთავაზებულ დაზავებაზეც კი უარი თქვა. მაშინ ქართველმა მე-
ფეებმა ქართლ-კახეთისა და დაქირავებულ ჩერქეზთა ჭარი ყაზახს
შეუსიეს. შემდეგ განჯაში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც
ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

გამარჯვებული მეფები ყაზახიდან „საქონლით სავსენი მობრ-
ძონენ სონლალულში, დადგნენ იქ და იქიდან განაწყვეს საქმენი
ყაზახ-ბორჩალოსნი, შეუნდევს ცოომა და აპატივეს დანაშაული,
მოართვეს მოსართმევნი და აქებდნენ მოწყალებასა მეფეთა ჩერქ-
თასა“ (პაპუნა, გვ. 200).

⁷ პარიის ქრონიკა, გვ. 67.

ომან ხერხეულიძე იმავე ამბავს მოგვითხრობს, ოლონდ თარიღიდან 1753 წ. ასახელებს და რომ მეფენი ყაზახიდან კი არ ჩამოვიდნენ სონლალულს, არამედ, პირიქით, ისინი ყაზახში საომრად წასვლისას ქალაქებიდან ჯერ „ორნივ მეფენი ქართლ-კახეთისა და ჩერქეზების ჯარით ტფილისით განვიდნენ. რა ესენი სონლალუს შთავიდნენ მაშინ ბაოდრიდამ აჭი-ჩალაბის შეილი ალიქიმი და სხვა ხანები ვინც იყენენ აიყარნენ და უკან გაბრუნებულნი ყაზახში მივიდნენ“ (ომან ხერხეულიძე, გვ. 258).

პაპუნას მიხედვით, ქართველი მეფენი გამარჯვების შემდეგ ჩერდებიან სონლალულში და აქედან აგვარებენ ყაზახ-ბორჩალოს და სხვა საქმეებს. ომან ხერხეულიძის მიხედვით, მეფეები, სანამ შეესეოდნენ ყაზახს, სონლალულში ჩერდებიან. ამ შემთხვევაში ორივე მონათხერობი ერთმანეთს ავსებს და ჩვენთვის საინტერესო საკითხს უფრო მეტად არკვევენ, კერძოდ კი იმას, რომ სონლალული ქართლის სამხრეთ-დასავლეთის საქმეების მოგვარებაში შეტან მნიშვნელოვანი პლანეტია.

1756 წ. გორიდან წამოსული მეფე თეიმურაზ II ერეკლე 11-ს სონლალულში შეხვდა. აქედან ისინი შეუდგნენ ქართლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეთა საქმეების მოგვარებას (პაპუნა... გვ. 206).

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან, ვახუშტის გარდა, არსად არ ეცელებით ცნობას იმდროინდელ სონლალულის ტერიტორიის განსახლების შესახებ. სონლალული XVIII ს. 40—50-იან წლებშიც დასახლებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვანაირად ვერ ავხსნით ასეთ ხშირ სტუმრობას ისეთი მაღალი რანგის პირებისა, როგორც ქართლ-კახეთის მეფეებია.

ვახუშტის „აღწერაში“ თბილისის სანახებში არსებულ სხვა სოფლებთან ერთად დასახლებული აქვს „ყურაყუთას ობა-ა“⁸ (გვ. 195). იგი სონლალულის მოსახლეობაზე, მის ეთნიკურ შემადგენლობაზე არას გვამცნობს, გარდა იმისა, რომ სოფელთა სიაში, როგორც აღვნიშნეთ, მოხსენიებული აქვს — ობა. ამ ხარევზებს ავსებს მის მიერვე შედგენილი რუკები. მკვლევარს („ქარტა ანუ რუკა ძველათ ორის საერისთაოსი ხუნანისა და სამშეილდისა“ № 11) სოფ. სონლალულის ადგილზე დატანილი აქვს წარწერა „ობანი“. პირობითი აღნიშვნით, ორი რგოლით — 00; ხოლო სხვა რუკაზე „ქარტა

⁸ „ობა ულუსთ სადგომია“. — საბა. მისივე განმარტებით „ულუსი თურქთა ენაა, ბანაკს ჰქვაან, თურქთ ბანაკი“. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ყურაყუთაში თურქთა ერთი ბანაკი(ობა) დგას.

ანუ. რუკა საბარათიანო სომხითისა და საციციანოსი", № 13)⁹ სონ-ლალულის აღგილას ყოველგვარი წარწერის გარეშე დატანილი აქვს ისევ პირობითი ნიშანი — 00.

ვახუშტის ერთ-ერთ რუკას (№ 3) თანდართულ ექსპლიკაციას ჩვენ მიერ მოტანილ აღნიშვნებს ასეთი განმარტება აქვს — „0—ობი, თათრის ობა“, რადგანაც დამოწმებულ რუკებზე მაგავ-სი აღნიშვნები წყვილადაა, სონდალულში ორი თათრული დასახლე-ბა ყოფილა (მოგვიანო რუკებზე და საბუთებშიც გვხვდება ზემო და ქვემო სონდალული, ანდა პატარა და დიდი სონდალული).

ამგვარად, ვახუშტის მიხედვით ირკევევა, რომ იმდროინდელი სონდალული მაპმადიანებით ყოფილა დასახლებული.

სონდალულის დასახლების საკითხის გარკვევისათვის მეტად დღი მნიშვნელობა აქვს ერეკლე მეფის მეურ 1765 წ. ამილახვრე-ბისადმი გაცემულ სიგელს — პირობის წიგნს. „ქ. ესე პირობა და-გვიცს ჩვენ მეფეს ერეკლეს თქვენ ამილახვრის, რევაზისა, სალთ-ხუცის დამიტრისა ამილახვრის შეილს იცესა და ერთობით ამილა-ხვარის შვალებსათვის. ასე რომე სოლანლულის აშენება. ჩვენც მო-ენდომეთ და თქვენც მოგვახსენეთ: ოცი თუმანი ციხის ასაშენებ-ლად თქვენ მოგვეცით. და რაც მეტი დაიხარჯება ჩვენ უნდა დავ-ხარჯოთ: იქ ჩვენი კაციც უნდა დასახლდეს და თქვენიცა. რაც სონ-დალულში თქვენი მამულია, — ექვსს წელიწადს. ნახევარი სარწყა-ვიცა და ურწყავიცა ნათხოვრად ჩვენ უნდა გვეკიროს. იმაში თქვენ არც ლალა აილოთ და არცარა საქმე გქნდესთ. ექვსს წელიწადს უკან თქვენი მამული თქვენვე უნდა დაგრჩესთ: მარტის: ი. ქ—ქს უნგ (მეფე ერეკლე)"¹⁰.


აღნიშნული საბუთი ნათელს პფენს იმდროინდელი ქართლ-კა-ხეთის ეკონომიურ სურათს. მეფეს, რომელიც თავის კუთვნილ სო-ფელში აგებს ცხხეს, სამშენებლო თანხა ან გააჩნია. ლფრო სწო-რად, არ ყოფნის. ამიტომ იგი იძულებულია შეიამხანავოს თავადი ამილახვარი, რომელსაც ამ საქმისათვის 20 თუმანს ართმევს. სამა-გიეროდ იგი მას სოფლის ნაწილს უთმობს, თეითონ „ნათხოვრად“ რწერს, ექვსი წლის ვადით.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ეხვდებით შემთხვევებს: როცა მტერთაგან აკლებული ბევრი სოფელი სამუდამეამოდ გამქ-რალა. სონდალული ამ ავბედობის უამს ბეღნიერი გამონაკლისია,

9. ПОИВ. АН. ф. Р-4.

10 სცხია, ფ. 1448, № 1153.

ପ୍ରତିଶ୍ରୁତି ୬. ଲୋକାନ୍ଧାନ୍ତର ଜୀବିତରେ ଅନୁଭବ ଆମ୍ବାଦାର (XVIII b).



იგი ააოხრეს, მაგრამ გამოხდა ხანი და განასახლეს. ჩასაკეირუელია, ამაში სოფელი თავის ადგილმდებარეობას უნდა უმაღლოდეს (დედაქალაქთან სიახლოვე, და მასზე გამავალი საქარავნო გზა განჯისა).

1781 წ. თბილისის შემოგარენის სოფლების აღწერის დაცთარების მიხედვით სონღალულში სახლობენ — ქართველები, სომხები: და მაკმაღიანები — თურქები¹¹.

სონღალულის მოსახლეობის წარმომავლობის თუ შემაღენლობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის იმანე ბატონიშვილის მიერ 1797—1799 წწ. შედგენილი ქართლის სოფლების აღწერის დავთარი¹². საბუთში ჩვენ ვხვდებით: „ქ. ყურადღიას ობა... ქ. სოლალული მოსახლე“. მოტანას მონაკვეთში ორ სახელს ვხვდებით „ყურადღიას“ და „სოლალულს“. შეიძლება აღმწერის მიერ ამ ორი სახელის ზმარება განაპირობა სწორედ აქ არსებულმა ეთნიურმა სხვადასხვაობამ — „ყურადღიას ობა“ თურქულ მოსახლეობას უნდა ნიშნავდეს, ხოლო „სოლალული მოსახლე“ — ქრისტიანულს, ქართულ-სომხურს. უფრო აღრე გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ სონღალულის ციხეში „...ცხოვრობენ ქართველები“ (ტ. I, გვ. 65).

ზემოთ ვთქვეთ: 1781 წ. აღწერის დაცთარის მიხედვით სონღალულში სომხური მოსახლეობაც ყოფილა. აქ სომხები უნდა დასახლებულყვენენ XVIII ს. 50-იან წლებში. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული ერთი საპუთო.

„ყ-დ უგანათლებულესო დიდო კელმწიფევ იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ თვით მპურობელო ს-დ რუსეთისათ ყ-დ მოწყალე კელმწიფევ.“

ითხოვს ერასტი ამილახვრის შეილი ორმოცდათი წელიწადია სონღალუს ყაზახელნი სომხები ჩემს მამულში დგანან წყალობას ვთხოვ იმათი თავი როგორც გიორგი მეფეს ებობებინოს ისე მამსახუროთ ან არადა თუ ჩემი თავი არუნდოდესთ ჩემი მამული დამიგვდონ საითაც უნდოდეს იქით წავიდნენ საქმე აღარ მექნება იმათანა ამის წყალობას ვთხოვ სეკპებერს, ბ. ქ-ქს უპთ“¹³.

მოტანილი საბუთი 1801 წ. შეუდგენიათ. საბუთიდან ჩანს, რომ ყაზახელი სომხები სონღალულს დასახლებულან აღნიშნული დოკუ-

11 ტფილისის მიდამოების სოფლების 1781 წ. ხალხის აღწერის დავთარი, ი. გ. ჭავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ. ძეგ., 1, 1967, გვ. 181-182.

12 ხელნაშერთა ინსტიტუტი, ფ. S—3729, ფურ. 149.

13 სუსია, ფ. 1448, № 7146.

მენტს შედგენამდე ორმოცდათი წლის წინ. სწორედ მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოში იწყება მათი ინტენსიური შემოსვლა და განსახლება.

სამეფო ქალაქის თბილისის სანახებში მდებარე კველა სოფელი ქართლის მეფის, ანდა მისი ოჯახის წევრების — დედოფლის, ბატონიშვილების კუთვნილება იყო.

1766 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით, მეფე ერეკლე II-ს სონდალულის მერვედი ეკუთვნოდა — „ქ. სონდალულის კაცი. და, მერვედი მიწაწყალი ბატონისა არი“¹⁴. — ასე წერია ქართლ-კახეთის ცოსამართლის ამილახვარ დემეტრეს შვილის საწილო მამულის დაუთარში, რომლის პირიც 1793 წ. გადაულია მეფის ძის ვახტანგის ბრძანებით ესე ბეგთაბეგოვს.

XVIII ს. მიწერულს სოფ. სონდალული ბატონიშვილების ხელში გადადის. იგი ხან იულონ, ხან კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილების კუთვნილი მამულია — „ქ. სონდალუს სახასო და საამილახვროს მერვედი. ხან მეფის ძის იულონს ეჭირა ხან ფარნავაზს“¹⁵ — გვამცნობის დოკუმენტი. სხვაგან კი სონდალულზე ასე წერია: „ქ. საქართველოს მეფის ძეს ფარნავაზს თავის მამისაგან ბოძებული რაც მამული და ყმა ეჭირა... ქ. სონდალუს სოფელი“¹⁶.

უკვე ეთქვით, რომ სონდალულის ხელახლა განსახლება 1765 წ. მომხდარა, მაშინ, როცა ერეკლე მეფეს დაუწყია ციხის აშენება თუ განახლება.

სონდალულში მამულის ნაწილი თავად ამილახვრებს ეკუთხოდა.

სოფ. სონდალული ქალაქის ბაზარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ამარავებდა. მართალია, ამის მისანიშნებელი პირდაპირი საბუთი არ გავვაჩნია, მაგრამ სოფლის ქალაქთან სიახლოეს სონდალულელ გლეხს უკარნახებდა ჭარბი პროდუქცია გასაყიდად ბაზარზე მოეტანა. გავიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: „მტკურის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა, და აწ სონდალული წოდეილი, ნაყოფიერი ყოვლითავე“. ვახუშტი მხოლოდ მტკურის კიდეზე არსებული სონდალულის ჭალის ნაყოფიერებაზე ლაპარაკობს. იგი არაფერს ამბობს სონდალულის მიდამო ირწყვებოდა თუ არა. ამ ხარებს ავსებს ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის მიერ 1752 წ.

14 საცია, ფ. 1449, № 854.

15 საცია, ფ. 1448, № 7723.

16 საცია, ფ. 1448, № 7726.

წითელი საბუთი 1753 წ. ფ. 1449, № 254) წყალობის სიგელი, სადაც
ლაპარაკია სონლალულის სარწყავა არხზე:

„...სონლალულის ძირიდამ, რომ დიდი არხი არის აღებული მას
შევემოთ მტკვრის პირზე მოხვეული ქალა და კიდევ პატარა არხი
ამ არხების საზღვრები ჩვენ გავაჩიგეთ, ქვემოთ ალიხანა აღაგს
ეძახიან, საყალტურნოს გზა, რომ გაივლის იმ ძირიდამ ზემოთ საც-
ხენოა საყაზაბო გზა, რომ გადმოვა და შემოივლის, ამ გზის ქვემოთ
რასაც ეს არხები დაიჭირა მინდორს და ქალას...“¹⁷ დამოწმებულია
სიგელი გვაშცნობს, რომ სონლალულში მტკვრიდან ორი არხი —
დიდი და პატარა — ყოფილა გატანილი.

სონლალულელები სხვადასხვა გამოსალებით იძეგრებიან.

1796 წ. ქალაქის პირა სოფლების ბეგარის გამოსალებ სიაში
სოფ. სონლალულიც არის მოხსენიებული, სადანაც ვიგებთ, რომ
მას სამი ურემი შეშა უნდა გამოელო¹⁸.

გატონიშვილების კუთვნილ მამულებში საქმიანობის აღანჯუ-
ხავად საგანგებოდ არსებობდა „დავთარი“. ამ „დავთრებში“ და-
ცული მწირი ცნობები გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ასე თუ
ასე დავადგინოთ, სონლალულში სოფლის მეურნეობის რომელი
დარგი იყო დაწინაურებული „მეფის ძის იულონის ნაქონის მამუ-
ლის ვითარებისა წერილით... ქ. სამის დღისა საბოსტო სონლალუს
ვახნევინე რომ ნესკ და საზამთრო დამითხვენებია ამისი. ხარჯი
არის თესლის ფასი და ხვნაზე პურის ჭმევისა სამი მინალთუნი“¹⁹;
ან კიდევ — „ქას უუ. ამ წელს ბატონის შვილების ყმიდამ და მამუ-
ლდან რაც ამიღა ამას ქვეით დაწერება... ქ. სონლალუხის ბოსტ-
ნისათვის დახარჯულა გ.“²⁰

1797—1799 წწ. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ნებართვი-
თა და სურვილით ითანე ბატონიშვილმა ქართლის სოფლები აღწე-
რა. დავთარში სოფლების გარდა შეტანილია „ქ. საძოვარნი ადგილ-
ი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირო ადგილი სა-
მეფო...“

ქ. სარვანის ქალა და ნათლულისა

ქ. სოლალულის ქალა“²¹.

17 საქათ, ფ. 1448, № 4569.

18 საქათ, ფ. 1448, №№ 1703, 1704.

19 საქათ, ფ. 1448, № 4071.

20 საქათ, ფ. 1448, № 7897.

21 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S—3729.

მართალია, იოანე ბატონიშვილი ადგილების ჩამოთვლისას ცალკალკე მათზე არაფერს ამბობს, მაგრამ ჩეენთვის ისიც საინტერესოა. რომ სონლალულის ჭალა სამეფო სანადირო ადგილი, ანდა წეიძლება სათიბიც იყო. ასევე ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ სონლალულის ჭალასთან ერთად იხსენიება სარვანის ჭალაც. რომელიც მისი მოშიგნავეა.

1803 წ. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის იძულებითი წესით ჩუსეთში გაყვანის შემდეგ მეფისა და ბატონიშვილების კუთვნილი მამული სახაზინოა, ხოლო სოფ. სონლალულის მერვედი კვლავაც ამილახორებს უჭირავთ. „წელსა მაცხოვრისასა ჩყპ ქართულთა ქას უცვ. კათათვის დ. ამას ქვეით იწერება რაც... ამილახვრის ყმა და მამული არის ნასყიდი და მზითვად. ქ. სონლალუხის მერვედი კაცი მამული წყალი ჩეენი არის“²².

XIX ს. 20-იან წწ. ამილახორების კუთვნილი სოფ. სონლალული ნაწილება — იყოფა. „სამილახვრო სოფლები ქალაქის უზრუნველყოფა და ბორჩალოს დისტანციაში რაოდენიც არის და ან როგორც განაწილებულია ივნისის.

ჩყარ-სა, ქ-კს ფთ. ოთხთ მედიატორეთ. ალექსანდრე მაყავევისაგან: აზნაურის იოვანე თურქისტანოვისაგან, აზნაურის ალექსევის დავით რეკტორისაგან, და ნიკოლოზ ონიკოვისაგან, ამის ქვემოთ დაწერება სახელდობრ.

ქ. სოფელი სონლალული ოთხათ გაიყოს და მერმე მეოთხედებიც გაიყოფა ვის რა ნაწილი შეხუდება იმას წაიღებს“²³.

როგორც უკვე აღნიშნეთ, სოფ. სონლალულის ნაწილი თავად ამილახვრებს ეკუთვნით, ნაწილი კი საბატონიშვილოა. ამ საბატონიშვილო მამულის მოურავი ამილახვართა გვარიდან ინიშნება²⁴.

ამილახვრებს ეს სახელო საქართველოს ჩუსეთთან შეერთების შემდეგაც სჭერიათ.

სონლალულში მიწისზედა ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა შორის, ძველ საბუთებში, ისტორიულ ლოტერატურაში და რუკებზე გვხვდება ციხე-სიმაგრე, ან ციხე-კოშკი და ეკლესია, ასევე დიდი და პატარა საჩრყავი არხები.

სამწუხაროდ, სოფლის ეკლესიას მხოლოდ 1848 წ. რუკაზე ვხვდებით: იგი ჭვრით არის აღნიშნული. რუკაზე დატანილი რუსუ-

22 სცია, ფ. 1448, № 7452.

23 სცია, ფ. 1448, № 7454

24 სცია, ფ. 1448, № 306.

ლი თავასოები P. Ц. იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ნაგებობა ამ დროს დანგრეულია.

სონლალულის ციხის მშენებლობა (თუ აღდგენა). როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, მეცე ერეკლე II-ს 1765 წ. დაუწყია²⁵. 1772 წ. იგი დამთავრებულია. ამ დროს თბილისში ჩამოსული გიულდენშტედტი მის შესახებ გვაწვდის საინტერესო ცნობებს. მკვლეეარი თავის „მოგზაურობაში“ რამდენჯერმე ასახელებს სონლალულის ციხეს. მოგზაური კახეთში მიმავალ მეცე ერეკლე II-ს თან აბლავს. გზად მიმავალი გიულდენშტედტი ყველაფერს აღწერს. რაზეც კი თვალი მიუწვდება. იგი მოვაკითხობს, რომ სოფ. ნათლული „ვირდაპირ, მტკვრის მარკვენა ნაპირზე, დგას სოფელი სონლალული, გამაგრებული ასევე კოშკით, რომელიც ეკუთვნის თავად ყაფლანიშვილს“ (ტ. I, გვ. 17).

თუ მოგზაური სონლალულის გამაგრებულ კოშკს აიგივებს სოფლის ციხესთან, მაშინ იგი ცდება მისი მეპატრონის გვარის და სახელებისას, იმიტომ, რომ ჩვენს ხელთ არსებული თერთ მეცე ერეკლეს მიერ გაცემული სიგელის თანახმად, მეცემ დასახელებული ციხე თავად ამილახორს გადასცა და არა თავად ყაფლანიშვილს.

მიყვეთ მოგზაურს. იგი ამჯერად ქვემო ქართლში მიემგზავრება. „24 მაისი. მე გავათენ მტკვრის ნაპირზე სონლალულის ციხის ქვემოთ“ (ტ. I, გვ. 67). ამგვარად, ვიგებთ, რომ სონლალულის ციხე მდგარა მდინარე მტკვრის სიახლოეს.

თბილისში უკან მომავალი მოგზაური სონლალულის ციხეშია. საშუალო, მის აკარგიანობაზე არას ამბობს „1/4 საათში ვიყავით სონლალულის ციხეში, 7/4 საათში კი უკვე თბილის მივაღწიეთ განჯისკარით“ (ტ. I, გვ. 85).

გიულდენშტედტის მიერვე შედგენილ „საქართველოს 1772 წ. რუკაზე“ დატანილია სოფ. სონლალული. რუკაზე სოფელს უზის გეომეტ-

25 პლ. იოსელიანი, „Путевые записки от Тифлиса до Ахтала“. აუტორი სონლალულის ციხეზე წერს, რომ იგი 1765 წ. აღმდეგნია მეცე ერეკლეს მეუღლეს, ე. ი. დარექან დედოფულს. მკვლეეარი ცდება, როცა დელიუალნი გამარტინ ციხის სააღმშენებლო, თუ აღსაღვენ სამუშაოები. მაგრამ აქ ანგარიშვა-საწყვია ის, რომ პლ. იოსელიანი 1765 წ. ასახელებს ციხის აღდგენის და არა მისი. შეეძლების დაწყების თარიღად. ძეველ ქართულში აღმენება ხომ შეკეთებასაც ნიშნავდა და ერეკლეს მიერ გაცემულ სიგელში სიტყვა „ასაშენებლად“ უნდა ნიშნავდეს შეკეთებას, აღდგენს და არა თავდაპირევლ სააღმშენებლო-სამუშაოს. ასევე მოსაზრებას მხარს უჭერს ამ საქმისათვის ამილახეარის მიერ გაუმტლი ფულადი თანხის სიმტკიცეს (20 თუმანი).

რიული ნიშანი ♂ , რასაც დოკუმენტს თანდართულ ექსპლიკაციაში
აქვთ ახსნა — Castellum habitatum -- დასახლებული ციხე-სიმაგრე²⁶.

მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ სახელმწიფო არქივში დაცულია
გენერალ ციციანოვის (ციციშვილის) თბილისიდან განჯაში ლაშქრობის
მარშრუტის 1803 წ. რუკა — «Маршрут от города Тифлиса до кре-
пости Ганджии». ქალაქიდან გასული რუსთა ჯარი გზადაგზა სხვადა-
სხვა დასახლებულ პუნქტში ჩერდებოდა. საბუთზე ვკითხულობთ:
«Марш ноябрь 20-го дня от города Тифлиса до лагеря при деревне
Суганлуг». ჯარის გასაჩერებელ ადგილს წარწერა აქვს: «Лагерь при
деревне Суганлуг съ 20-го на 22 числа ноября».²⁷

რუკაზე რუსთა ჯარის ბანაკი აღნიშნულია მოგრძო კვადრუ-
ბით. ხოლო სონდალულის ციხე წაგრძელებული ოთხეუთხედით,
რომელსაც ოთხივე კუთხეში დატანილი აქვს ბურჯები; რუკის მი-
ხედეთ ბანაკი და ციხეც მდებარეობს მდ. მტკვარსა და გზას შო-
რის.

დავით ბატონიშვილი გვამცნობს. რომ 1803 წ. სონდალულს
მდგარ რუსთა გარნიზონს ლევები დასხმიან: „კვალად მოვიდნენ
სოლანლუსს და წარტყვნეს უმეტეს ორასისა რუსნი“²⁸.

ცოტა მოვიანებით კვლავ ვხვდებით სონდალულის ციხეს²⁹.

1795 წ. სექტემბრის თვეში თბილისზე წამოსული ირანის შაჰი
აღა-მაჰმად ხანი სონდალულს გაჩერდა და აქ თავისი აურაცხელი
ჯარი საომრად განაწყო. „წარმომართებული აღა მაჰმად ხან მოვიდა
და დაიბანაკა 30000 კაცითა სოლალულსა შინა“³⁰ — მოვითხოვთ
დავით ბატონიშვილი.

ირაკლის ძე ვახტანგ ბატონიშვილის მიერ გაცემულ წყალო-
ბის სიგელში ვკითხულობთ — „სონდალუსს მდგარი აღა-მაჰმად
ხანს თბილისზე წამოსასვლელი ჯარი ორად გაუცვია ერთი სოლა-
ლულის გზით წამოსულა, ხოლო მეორე ზემოთის კლდეებზედ“³¹.
ამ შემოსევის შედეგად თუ რა ბედი ეწია ქალაქს, საყოველთაოდ
ცნობილია: თბილისი სასტიკად აოხრდა. ხოლო სვეგამწარებულმა

26 ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წ. რუკა, 1964, გვ. 41, 45.

27 ЦГВИА. ф. ВУА, д. 4276.

28 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 29.

29 Броневский С., Новейшие географические и исторические из-
вестия о Кавказе, ч. I, М., 1823, გვ. 89.

30 დავით ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 67.

31 სცირ, ფ. 1450, დავთ. 12, № 88.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლემ თავის ახლობლებთან ერთად ანა-
ნურს მიაშურა.

ამგვარად, ჩვენს ხელთარსებული წერილობით წყაროებით
და ისტორიული ლიტერატურით მტკიცდება, რომ ყურყუთა-
სონღალული თბილისის შემოგარენში, მის სამხრეთით როგორც სო-
ფელი, დასახლებული პუნქტი უნდა გაჩენილიყო არაუადრეს
XVII ს. დასასრულისა და XVIII ს. დასაწყისისა³². იგი საბატონო,
სახასო სოფელია.

თბილისის სანახებში როგორც სახელოსნო, ასევე სასოფლო-
სამეურნეო სოფელები და უბნები იყო. სოფ. სონღალული თავისი
სარწყავი სისტემით (ორი არხი), საძოვრებითა და სათიბი ადგი-
ლებით ამ მეორე სოფელთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც
ქალაქის ბაზარს ამარავებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით,
კურძოდ, ბოსტნეულით და ხრლით.

ავლაბარი

ავლაბარი მდებარეობდა ძეელი თბილისის აღმოსავლეთით მდ.
მტკიცის მარცხენა ნაპირზე.

მას ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფელთა თუ უბანთა შო-
რის თავისი ისტორიით, თავსგადამხდარი ამბებით ერთ-ერთი მნიშვ-
ნელოვანი ადგილი უკავია. სანამ უშუალოდ ჩვენი კულევის საგანს—
ავლაბარს შევეხებოდით, გვინდა აღენიშნოთ. რომ მკვლევართა
უმრავლესობა მას აიგივებს ისანთან — მეტეთან, რაც სწორი არ
უნდა იყოს. ამიტომ ამ ორი სახელის ისან-მეტებისა და აელაბრის
ერთმანეთში არევის თავიდან აცილების მიზნით, თავდაპირველად
შევეხებით „ისან-მეტების“ ლოკალიზაციის საკითხს.

ისანი — მეტები იმ უბანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის
შესახებაც ქართულ თუ უცხო ენაზე შექმნილ სპეციალურ ლიტე-
რატურაში ბეკრი რამ თქმულა. დაწერილა.

32 თემა სონღალულში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა VII ს. ხოსრო
I-ის (531—574) ერთი მონეტა (ეს ცნობა მოგვაწოდა ი. ჯალალინამ, რისოფისაც
დიდ გადღობას ცნიობავთ), რასაკილეველია, ერთი მონეტა და ისიც შემთხვევით
აღმოჩნდილი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ პერიოდში სონ-
ღალული განსახლებულად მივიჩნიოთ. მონეტა უფრო სამდროისოდ აქ გამავალ
და მოქმედ საქარავნი გზაზე მიგეანიშნებს.

რეგისტრის კოშკის მახლობლად, ხოლო „საღილუგო“ — საპყრობილება მეტინდელი „მეტები“-ს ადგილზე⁸.

853 წ. თბილის მოადგა არაბეთის ხალიფას მიერ გამოგზავნილი ჯარი, რომელსაც მხედართმთავრობდა ბულა-თურქი. აღნიშნული ლაშქრობის მიზანი იყო გაურჩებული ქართლის ამირას ისაკის მოთვინიერება და დასჯა. არაბ ისტორიკოსებთან აღნიშნული დამსჯელი ექსპედიციის დროს მტკვრის მარცხენა ნაპირზე „სოლდებილის მედინა“, ე. ი. გამაგრებული ციხე „სოლდებილის“ სახელწოდებით. თბილისში ბულა-თურქის ეს ლაშქრობა საყოველთაოდაა ცნობილი. მან დაანვრია თბილისი, შემუსრა მისი ციხე-კოშკები და თვით ამირა კი სიკვდილით დასაჭა. „სოლდებილის მედინა“ ამ ლაშქრობამ იმსხვერპლა. ამის შემდგომ ცოტა დრომ განვლო და მტკვრის მარცხენა ნაპირზე „სოლდებილის“ ციხის ადგილზე IX ს. ვხვდებით ახალ სიმაგრეს ისნის სახელით, რომელიც სოლდებილთან შედარებით უფრო მაგარი ნაგებობაა და თხრილითაცაა გამაგრებული⁹.

აღნიშნული თხრილის შესახებ ცნობებს, გარდა არაბი ისტორიკოსებისა, ჩვენ სხვა წყაროებში არსად არ ვხვდებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმას“ (სადაც ავლაბრის სამხრეთით აღნიშნულია თხრილი) და რუსი კარტოგრაფების მიერ შედგენილ თბილისის 1800 და 1802 წწ. გვგმებს. მათზე დატანილია წარწერა „Бывшая оинная окопа..“

ისნის ძველ თხრილს საგანგებოდ ეხება ვ. ცინცაძე. თხრილთან ერთად მკვლევარი ეხება ისნის ზღუდესაც და მასში დატანებულ კარსაც.

X ს. არაბი ისტორიკოსები — ისტახარი (930) და იბნ-ჰაუკალი (977 — 978) თბილისის აღწერისას გაღმოგვცემენ, რომ ქალაქი შემოზღუდულია ალიზით ნაგები ორერიგა კედლით, რომელშიც სამი კარი ყოფილა დატანებული. «Тифлис-город нееньше Баб-уль-Абваба по величине. Вокруг него две стены из глины и в них трое ворот»¹⁰. ვ. ცინცაძე მოცემულ ცნობას იყენებს და წერს, რომ «Действитель-

8 ლეონ მელიქე თბეგი, ძალისა — თბილისი — ფაიტაკარანი, თსუ 1500 წლის კრებული, 1958, გვ. 38.

9 გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164; თ. ცემრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

10 СМОПМК, 1901 გ. вып., 29, გვ. 11—15; СМОПМК, вып. 38, 1908, გვ. 89.

но из районов Тбилиси того периода трое ворот должны были быть только у Исаакия¹¹.

Однажды царя Грузии, короля г. Григория и брата-царя Георгия Калояни с арабами отослал в Азию для борьбы с арабами исламской империи в Иерусалим. Георгий Грузинский, бывший в то время визирем, был назначен на пост главного военного министра и командующего армией. В 1122 году он начал кампанию против арабов, но вскоре был поражен и погиб в бою. В 1123 году Георгий Грузинский был провозглашен царем Грузии.

Согласно историческим источникам, Георгий Грузинский был провозглашен царем Грузии в 1123 году. В это время Георгий Грузинский был назначен на пост главного военного министра и командующего армией. В 1123 году он начал кампанию против арабов, но вскоре был поражен и погиб в бою. В 1123 году Георгий Грузинский был провозглашен царем Грузии.

Ш. Месхиаша Георгиевна Грузинская была провозглашена царицей Грузии в 1123 году. В это время Георгий Грузинский был назначен на пост главного военного министра и командующего армией. В 1123 году он начал кампанию против арабов, но вскоре был поражен и погиб в бою. В 1123 году Георгий Грузинский был провозглашен царем Грузии.

Ш. Месхиаша Грузинская была провозглашена царицей Грузии в 1123 году. В это время Георгий Грузинский был назначен на пост главного военного министра и командующего армией. В 1123 году он начал кампанию против арабов, но вскоре был поражен и погиб в бою. В 1123 году Георгий Грузинский был провозглашен царем Грузии.

11 В. Цинцадзе. Тбилиси, 1963, гл. 37.

12 Ш. Месхиаша. Города и городской строй..., гл. 34.

13 Ш. Месхиаша. Города и городской строй..., гл. 402.

14 СМОПМК, 1908, вып. 38, гл. 8.

„ისანი“ ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად XI ს. გვხედება, 1045 წ. ქალაქის ბერების მოწვევით თბილისში შემოსული მეფე ბაგრატ IV იყარობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის დამცველ ციხე-კოშებს და შიგ თავის მხედრიონს აყენებს. მეფეს არ ნებდება „ისნის“ ციხე. მემატიანე მოვარდის მოვარდის: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს კიდი და არა მოსცეს ისნის“¹⁵, მოუხედავად ამისა მეფე გადადის მტკვარზე და დგება „ისნის ველსა“, ისნელები მეფეს დიდ წინააღმდეგობას უწევენ.

შემდგომ ხანაში „ისანში“ უკვე საქართველოს მეფეთა სასახლე დგას, სწორედ აქ გაიგო თამარ მეფემ მამის გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავი: „ესრა ესევითარი საგოდი... ესმა... თამარს ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომისა, მათსა ციხესა ისანს“¹⁶. აღრეულ ქართულ წერილობით წყაროებში ასე მინიშნებით და კონკრეტულად. რომ „ისანი“ ქალაქ თბილისშია, პირველად ვხვდებით.

ზემოთ, როგორც ვნახეთ, მემატიანე ყუთლუ არსლანის კარვის დადგმის აღგილად „ისნის“ ველს ასახელებს, ე. ი. კარავი ციხის ზღუდის იქით მდგარა, გაუმავრებელ აღგილზე.

ქართველ მემატიანესთან „ისანს“ კიდევ ვხვდებით, „ეამთააღმწერელი“ რამდენჯერმე ახსენებს მას. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მეფე დიმიტრის მიერ ისანში მეტების ლვოთისმშობლის სახელზე ეკლესიის აგების ფაქტი. მოვიხმოთ თვით მთხრობელი: „მეფემან დაიწყო სიბასა წარსვლად, და აღაშენა ქუეყანანი მოოჯრებულნი. ამანვე აღაშენა პალატისა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტებთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდოთა. და შესწირნა სოფელი და ზუარნი“¹⁷; ე. ი. XIII ს. 80-იან წწ. ისანში აუგიათ მეტების ეკლესია. ამიერიდან „ისანს“ უჩნდება მეორე სახელი — „მეტები“, რომელიც სულ მალე აღგილის საკუთარ სახელად იქცევა კიდეც. მომდევნო ხანაში „ისანის ციხის“ მაგივრად წერილობით წყაროებში „მეტების ციხე“ იხსენიება.

ამგვარად, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქის საპყრობილე-საღილეგოა (VIII ს.), შემდეგ იგი ქალაქის ამირას (IX) მიერ გადაკეთდა „სოლდებილის მედინად“ ანუ ციხედ, რომელიც გარნიზონის საღვამის — ამსარის როლს ასრულებდა, სოლდებილის მედინა ჰელმეორედ გადაკეთდა (IX), აშენდა ქვითეირით, შემოავლეს

¹⁵ ქ. ც. I, 1955, გვ. 299—300.

¹⁶ ქ. ც. 1959, გვ. 24.

¹⁷ ეამთააღმწერელი, ქ. ც. II, 1959, გვ. 272.

თხრილი და სახელად ისანი — ციხე ეწოდა, ხოლო ბოლოს, ისანში „მეტეხის“ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აგების შემდეგ, ამ ადგილზე სამუდამოდ მეტეხის სახელი დაიმკვიდრა.

თუმცა ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის ამ ნაწილს მაინც „ისნალ“ მოიხსენიებს: „ისნს არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა... ისნს არს ეკლესია ერთი უგუმბათო, არამედ გუმბათიანი ორი, და უგუმბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძუელად მრავალნი ეკლესიანი ტფილის, კალას და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან“¹⁸.

დამოწმებული ადგილი საჭიროებს განმარტებას. გარდა იმისა, რომ მკვლევარი თვით უშუალოდ „ისნის“ ციხეზე ლაპარაკობს, ის აქვე სახელს „ისანს“ უფრო ანზოგადოებს და მას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზეც ავრცელებს, კერძოდ კი ავლაბარზე. ვახუშტი დასახელებულ ნაშრომში საიმდროისო ქალაქ თბილისის შემადგენელ უბანთა ძეელ სახელებს უსადაგებს ახალ სახელებს და წერს; „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილის და განყოფით: ქალას—ტფილისსა, ტფილისს — სეიდაბადს და ისნს — ავლაბარს, და გარეთ—უბანი არს ტფილისსა“¹⁹ ე. ი. „ისანი“ ავლაბარია, რაც სწორი არ უნდა იყოს. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას გვაძლევს თვით ავლაბრის ეტიმოლოგია და XVII—XVIII საუკუნეების თბილისის გრაფიკული გამოსახულებანი, რომელთაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, როცა მოგვითხრობს ულუ დავითისა და ნარინ დავითის ორმეფობის ამბავს, ამბობს: „შემოვიდნენ ტფილისს მეტეხს ეკლესიასა შინა და დასხდნენ საყდართა ზედა ორნივე ქასა ჩ-სმდ, ქართულსა უდღიურთხნენ მუნვე ტფილისს“²⁰. მაშასალამე, მეფენი შემოვიდნენ თბილის მეტეხის ეკლესიაში. დასხდნენ (სასახლე — ისნის) და იქვე (მუხ) თბილისში ე. ი. მეტეხში მეფედ ეკურთხნენ.

ერთხელ კიდევ დავესესახოთ ვახუშტი ბატონიშვილს. XVII ს. ქართლის მეფეებს თბილისში ორი სასახლე ჰქონდათ — კალას ციხეში (ნარიყალა) და ისნის (მეტეხის) ციხეში. როსტომ მეფემ ორივე სასახლე მიატოვა და თავისთვის სიონსა და ანჩისხატს შორის აიგო ახალი სასახლე.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს თბილისში მტკურის მარ-

¹⁸ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 337.

337—338.

¹⁹ ვახუშტი, აღწერა სამცოსა საჭართველოსა, ქრ. ცხ. IV, 1973, გვ.

²⁰ იქვე, გვ. 212.

ცხენა ნაპირზე მდგარი სამეფო სასახლის ადგილმდებარეობა და მისი სახელი. ვახუშტი ასე ამბობს: „...კუალად დაუტევა სასახლე ისნის ციხისა...²¹.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“—დან დამოწმებულ ადგილებიდან ვნახეთ, ულუ დავითი და ნარინ დავითი თბილისში, მეტებში მდგარ სამეფო სასახლეში სხედან და იქვე მდგარ მეტების ეკლესიაში ეკურთხენ მეფედ. იმავე თხზულებაში, სხვა აღგილზე კი ვახუშტი ამბობს, რომ როსტომ-შა მიატოვა ისნის ციხეში მდგარი სამეფო სასახლე. რასაკირველია, ამ შემთხვევაში ისნისა და მეტების ციხეთა და იქ მდგომ სამეფო სასახლეთა იდენტურობა ეკვევარეშეა.

ძველი თბილისის პირველი გრაფიული გამოსახულება, რომელიც ჩვენს ხელთ არის, მისიონერ უან შარდენის (1673) ნახატია.

აღნიშნულ ნახატზე ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გალავანშემოზღუდულია, ხოლო რაც შეეხება მარცხენა ნაპირს, აქ გალავანი მხოლოდ მეტების ეკლესიას და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიას აქვს.

მეტების გალავანში, ეკლესიის გარდა, რამდენიმე ნაგებობა დგას. მეტების გალავანს ჩრდილო-დასავლეთით კარი აქვს დატანებული. ამ მხარეს გალავნის კედელი გრძელდება და მტკვრამდე აღწევს. აღნიშნულ კედელში კარია გაჭრილი, რომლიდანაც იწყებოდა „ავჭალის გზა“.

ამგვარად, უან შარდენის ნახატის მიხედვით ირკვევა, რომ მოგზაურს მიზნად ჰქონდა მხოლოდ საკუთრივ გალავანშემოვლებული ქალაქის ჩახატვა. მოგზაურისთვის მეორეხარისხოვნია ის, რაც აღნიშნული ზღუდის იქით ხდება; თუმცა მას გალავნის გარეთ რამდენიმე ნაგებობაც დაუტანიებია. ამ შემთხვევაში, რადგანაც ჩვენ გრძელის მარცხენა ნაპირი გვაინტერესებს, აღვნიშნავთ, რომ აქ უან შარდენს გალავნის მიღმა, ერთმანეთისაგან მოშორებით თითო-ორიოლა შენობა აქვს დატანილი.

ჩვენს ხელთა ტურნეფორის მიერ შესრულებული (1701) თბილისის კიდევ ერთი გრაფიული გამოსახულება. აქაც მოგზაურის მიზანია მოგვცეს გალავანშემოვლებული ქალაქის მთლიანი სურათი, ტურნეფორის ნახატი უან შარდენისეული ნახატისაგან განსხვავდება იმით, რომ მასთან ქალაქის გალავნის იქეთა ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული, თუმ-

21 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 439.

ცა არც ეს ნახატი იძლევა ქალაქის გარეუბნების მთლიან სურათს.

ვახუშტი ბატონიშვილს „თბილისის 1735 წლის ეკვაზე“ და-
ტანილი აქვს, როგორც გალავანშემორტყმული ქალაქი, ასევე მისი
მომიჯნავე გარეუბნებიც. აქ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ციხის გა-
ლავანში დგას მეტეხის ეკლესია (№ 55). ძეგლი საერთო ტერიტო-
რიისაგან გამოყოფილია ჩრდილოეთის მხრიდან ზღუდის-ზღუ-
დით.

ვახუშტი თბილისის აღწერისას ამბობს: „ხოლო ისნის ციხე
ყოფილ არს დიდი, რომელსა განახლებდნენ ისმალნი ქრისტესა
ჩლებ და დაშთათ უსრულნი“²². მაშასადამე, ყოფილი ისნის დიდი
ციხის განახლება ოსმალებს დაუწყიათ 1728 წ., მაგრამ მისი და-
რულება ვერ მოუხერხებიათ. ისმალთა ისნის ციხის განსახლებე-
ლი აღდგენითი სამეშაოები, აღბათ, ეხებოდა მეტეხის ციხეს, რო-
მელსაც ვახუშტისავე გადმოცემით „...მოავლო მეტეხს ზღუდე და
ქნა. კითარცა ციხე მტკიცე კიდითურთ და შეყენნა მცელნი ყი-
ზილბაში მას შინაცა“²³.

ციხის მიმდებარე ტერიტორია („ავლაბარი, ისანი“, № 56) შე-
მოუწოდავია. ავლაბარის ტერიტორიაზე დატანილია საცხოვრისის
აღმნიშვნელი უჯრედები და სამხრეთიდან და ჩრდ.-აღმოსავლე-
თიდან ძველი თხრილითაა შემოფარგლული.

პიშჩევიჩის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილი თბილისის
1785 წ. გეგმაზე მეტეხი და ავლაბარი ცალ-ცალკეა შემოზღუდუ-
ლი.

მეტეხის გალავანს აღმოსავლეთიდან კარი აქვს დატანილი,
საიდანაც მოხეველია შეიძლება ავლაბარში. ავლაბარს ცალკე აქვს
ზღუდე, რომელიც იწყება მტკვრიდან. კედელში ორი კარია, ჩრდი-
ლოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

გეგმის მიხედვით, ავლაბარში ქუჩებია. რომელთა საშუალე-
ბითაც ამ აღგილის მთელი ტერიტორია კვარტალებად იყოფა. რო-
გორც ვნახეთ, XVIII ს. 80-იან წლებისათვის ავლაბარის ტერიტო-
რია გალავანშემოვლებულია, ამასთან დაკავშირებით საინტერესო
ცნობას გვაწვდის დარეგან დედოფალი 1801 წ.. შედგენილ სადე-
დოფლო შემოსავლის ნუსხაში, საღაც იგი, სხვათა. შორის, ამბობს,
რომ ოცდაექვსი წლის წინ, ე. ი. დაახლოებით XVIII-სა-20-ან
წლებში, მისი ბრძანებით ავლაბარისათვის. გალავანი შემოუკლიათ.

„1801, აპრილის დამლევი.

22 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 337.

23 ივ 3 ვ, გვ. 439.

დ. ქ. ავლაბარი ოსმალობას აქეთ ხარაბა ყოფილა, ოცდაექვესი წელიწადი არის ჩემის ხარჯით გალავანი შემომიულია, სასახლე და ეკლესია ამიშენებია, ხალხი შემიტებია და დამისახლებია²⁴.

ჩენონთვის ცნობილ წყაროებში პირველი წერილობითი საბუთი, სადაც ეხედებოთ ავლაბარის ხენებას, არის 1392 წ. შედგენილი სეეტეცოელისაღმი შეწირულობის სიგელი.

„ტფილის ქალაქის: ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარი, ქულბაჯინი და ბაჟნი, თუსითა შესაკლითა.

ავლაბარის: მონასტერი მეტეხის ყოვლად წმიდისა, მისითა მამულითა ავლაბარითა და ავლაბარის ვალითა²⁵.

მოტან-ლ მონაკვეთიდან აშეარად ჩანს, რომ „ტფილის ქალაქი“ ცალკეა, ხოლო „ავლაბარი“ კი მისგან დამოუკიდებელი პონქტია.

როგორც აღნიშნეთ, ვახუშტი ძველი ქალაქის შემადგენელ ნაწილთა დასახლებისას ამბობს, რომ „ისანს“ მის დროს „ავლაბარის“ უწოდებენ. ვახუშტი არათერს ამბობს, თუ როდის უნდა გაჩენილიყო „ისნის“ სინონიმად „ავლაბარი“. შ. მესხია სავარაუდოდ ამ აძიანს XIV ს. მიაწერს — „ისანს“ ავლაბარი, როგორც ჩანს, ძირითადად XIV საუკუნიდან შეერქვა“.

აქეთ ერთხელ კადევ გვინდა გავიხსენოთ, რომ მეტეხის ეკლესია ისანში აშენდა. ისანი ქალაქის ნაწილია, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ისანი ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დევს X ს. მაინც. ამიტომ ხომ არ უნდა იყოს, რომ XVI ს. სიგელ-გუჯრებში მეტეხი ყოველთვის ქალაქთანა გვხედება: „ტფილის ქალაქს მეტეხთა მონასტერი“ (1532—1549)²⁶, „ქალაქს მეტეხი“ (1559)²⁷. აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როცა მეტეხის ეკლესია ავლაბართან ერთად გვხედება ზემოთ ნასხენებ სიგელში (1392 წ.); ასევე 1596 წ. შედგენილ ერთ საბუთში მეტეხი ქალაქთან და ავლაბართან ერთად იხსენიება: „ესე ძლუენი და შესაწირავი: ტფილის: ქალაქს: ავლაბარს: მეტეხთა: ღოთისა: მშობლისა:“²⁸.

სავარაუდებელია, რომ საბუთებში მეტეხის ქალაქთან და ავლაბართან ერთად მოხსენიება გაპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მრავალგზის შემმუსვრელი შემოსევების შედეგად ქა-

21 საქართველოს სიძეელი. ტ. III, 1910 წ., ვვ. 298.

22 ქრონიკები II, 1897, ვვ. 383.

23 ქრონიკები II, 1897 ვვ. 383.

24 იქ ვვ, ვვ. 400.

25 სცხია, 1449, № 1630.

ლაქის აღმოსავლეთ მხარის დამცველი ციხე ზღუდემორლვეულია ამიტომ ძეველ ისანს, როგორც ციხეს, თავის ფუნქციები დაკარგული აქვს. აქ მხოლოდ მეტების ლვონისშობლის ეკლესიალა იდგა.

XVII ს. როსტომ მეფემ „მოავლო მეტებს ზღუდე და ჭმა ვითარცა ციხე მტყიცა კიდილურთ“. მან ახალი ციხე კი აზ ააგო, არა მედ ძველი ტრადიცია განაახლა, მოშლილი მეტების (ისნის) ციხე აღადგინა.

ვფიქრობთ, მეტების ეკლესიის მოხსენიება ავლაბართან ერთად იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საბუთის შემდგენელი ავლაბარს რეენებს ადგილის მინიშნების, დაკონკრეტების მიზნით — ორიენტირად, მეტები ქალაქში დგას, ოლონდ ავლაბრის მხარეს.

1392 წ. საბუთის მიხედვით ავლაბარს თავისი მაჩული და ჭალა აქვს. 6. ბერძენიშვილი ამბობს, რომ „ჟალა“ ძეველ საქართველოში დასახლებულ პუნქტს (დაბას, ქალაქს) ახლდა. ის, როგორც ნაწილი, იმ კომპლექსურ ტერიტორიულ ერთეულში შევიოდა, რომელიც განვითარებული მიწის მეურნეობის ქვეყანაში (როგორიც საქართველო იყო) დაბას (სამეურნეო თვალსაზრისით) ქმნიდა და ხასიათდებოდა „მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წილითა, წისქეოლითა, საძოვრითა, სათიბითა, ჭალითა, სანადიროთა“²⁹. ამით კიდევ ერთხელ მტყიცება, რომ ავლაბარი დამოუკიდებელი დასახლებული პუნქტი იყო, რაც აზ შეიძლება ითქვას „ისანზე“, ანდა „მეტებზე“.

კითხვაზე — ავლაბარი ძეველი ისანია თუ არა, ასევე ის ქალაქის შემადგენელი ნაწილი, უბანი, იყო თუ არა? ყველაზე კარგად პასუხობს თვით სიტყვა „ავლაბრის“ ეტიმოლოგიის ახსნა.

სიტყვის „ავლაბრის“ განმარტებისას მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

თეომურაზ ბაგრატიონი „ავლაბარს“ ასე სსნის: „ეს სახელი ავლაბარი ქართული, რთული სახელი არის. ესე იგი ავლა ნიშნავს ძირის ადგილიდან მაღლა ასვლას, ბარი ნიშნავს მდაბალს, ვაკე და ტფილს ადგილს ესე იგი: მთა და ბარი. მთა მაღალი და გრილი: და ბარი მდაბალი, ვაკე და თბილი ადგილი“³⁰. ეს, რასაკეირველია, სიტყვის მეტად გულუბრყვილო ახსნაა და, ჩვენის აზრით, მას სინამდვილესთან საერთო არათერი აქვს.

ს. ქანაშია სიტყვას „ავლაბარი“ ასე სსნის: „ავლაბარი, ისე

29 ნ. ბერძენიშვილი, ძეველი თბილისის ტაძონიშიერდან, საქ. ისტ: საეთხები, I, 1964, გვ. 319.

30 თეომურაზ ბაგრატიონი, ტფილისისაუს, 1838 წ., სანკტ-პეტერბურგი, მ. ბროსეს კოლექცია, E—82 (E—156), ლენინგრადის აზიის ხალხთა ინ-სტიტუტი:

როგორც ისანი, არაბული წარმოშობის ძველი სახელწოდებაა: ისანი „ციხეს“ ნიშნავს, ხოლო ავლაბარი „სასახლის მიდამოს“³¹.

შ. გესხიას ავლაბარზე საუბრისას სიტყვის ახსნა სქოლიში ჩააქვს და ამბობს, რომ „ავლაბარი“ სასახლის მიდამოს ნიშნავსო³².

ნ. ბაღრიაშვილი სიტყვის ასეთივე ახსნას იძლევა: „Авлабаръ“ проинсходит из „Хавели-бар“, т. е. окрестность дворца.³³

როგორც ვნახეთ, ზემოთ დამოწმებული მკვლევარი „ავლაბარში“ ორ სიტყვას ხედავენ — „სასახლე“ და „მიდამო“ ე. ი. კომპიზიტია: خواли (ჰავალი) და بار (ბორ). იგი სპარსულ-არაბული წარმოშობისაა. — اَرَبَّهُ لَعْلَةً — არაბულად და სპარსულადაც — მიდამოს ნიშნავს³⁴, გაშასაღამე, თუ სიტყვის პირველი ნაწილი მიდამოს ნიშნავს მეორე სიტყვა სასახლეს უნდა ნიშნავდეს და ეს ასეც არის³⁵.

აქ უჩვეულო რამ თითქოსდა არ მომხდარა. ცნობილია, რომ ისნის ციხეში იდგა ქართველ მეფეთა სასახლე და აღვილად დასაშვებია ადგილს ამის გამო ზემოთ აღნიშნული სახელი — „ავლაბარი“ მიელო. რადგანაც სასახლე ციხის ტერიტორიაზე იდგა, ავლაბარი უნდა შერქმეოდა პირველ რიგში ციხის გალავნის მიგნითა ტერიტორიას (ისანს — მეტებს).

როგორც ვნახეთ, გვიანი ხანის თბილისის გრაფიკულ გამოსახულებებზე (კან შარდენი, ტურნეფორი, განუშტი) მეტები, ძველი ისანი შემოზღუდულია, ხოლო ავლაბარი კი შემოუბლუდავი. არაა გამორიცხული, რომ სახელი „სასახლის მიდამო“ გავრცელებულიყო ზღუდის იქით ტერიტორიაზე. ჩვენ ავლაბრის ასეთ ახსნას მივიღებდით, რომ არ იყოს ერთი საცთერი — სიტყვა „ავლაბრის“ მეორე ნაწილის — „ბარის“ სხვაგვარი ახსნა.

სიტყვა ბარ ნიშნავს — თხრილს, სანგარს, ზღუდეს, ლობეს, გალავანს, მიწაყრილს³⁶. ამის შემდეგ „ავლაბარში“ მივიღეთ

31 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მოკლე ისტორიული ნაჩვევა, თბილისის საიუბილეო კრებული, 1946, გვ. 18.

32 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შ. გ ე ს ხ ი ა, თბილისის ისტორია. 1952, გვ. 110; შ. გ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 355.

33 Н. Бадриашвили. Тбилиси, 1957, გვ. 26.

34 Персидско-русский словарь, сост. Б. В. Миллер, М., 1958, Арабско-русский словарь, сост. Х. К. Баранов, М., 1970.

35 Персидско-русский словарь, составил Ягелло, Ташкент, 1910, გვ. 277.

36 Персидско-русский словарь, сост. Мирза Абдулла Гафааров, М., 1914, გვ. 89; Персидско-русский словарь, сост. Миллер, М., 1953.

სულ სხვა სემანტიკის შემცვლელი სიტყვა—ზღუდის, გალავნის თხრილის იქეთა მიღამოა და არა სასახლის მიღამო. — حَوَالِي بَارِه — ჰავლაბარი, რომ გაღმოვაქართულოთ მივიღებთ გარეთუბანს. გარეთუბანი კი ყოველთვის იმ ტერიტორიას ეწოდებოდა, რომელიც ქალაქის ზღუდის იქეთ მდებარეობდა (იხილეთ ვახუშტის გეგმა). უფრო სწორი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ავლაბარი ძველი სოლდებილის ნაწილს, „ისანის ველს“ ეწოდება.

სიტყვა „ავლაბარის“ ჩვენეულ ახსნას ამაგრებს ავლაბარის კარის სომხური სახელწოდება. 1795 წ. თბილისში ჩამოდის სომეხი ვაჭარი არტემ არარატიანი. ეს ის დროა, როცა ქალაქი აღა-მავმაც ხანის მიერ განადგურებულია. არარატიანი თბილისში მტკერის მარცხნა ნაპირიდან, ავლაბარის მხრიდან შემოდის. «Перешед дорогу сию, почти все по трупам и пришед в Тифлис, через Тапатагские ворота, я еще более ужаснулся, увидевъ даже женщинъ и младенцевъ посеченныхъ мечемъ...»³⁷ ე. ი. არარატიანი ქალაქში მოხვედრილა, შემოსულა თაფთალის კარით. შ. მესხია თაფთალის კარს აიგივებს ავლაბარის კართან³⁸.

თაფთალი — ორ სიტყვისაგან შედგება თაფ (Թափ) და თალი (Թაշ). სიტყვის მეორე ნაწილი — თალი სომხურად ნიშნავს ქალაქის უბანს, კვარტალს (Թაշ-մի Քաշարը մասերը); ჩვენთვის უფრო საინტერესოა სიტყვის პირველი ნაწილი თაფ (Թափ); თაფი თხრილს ნიშნავს თაფის სომხური სინონიმია — Խորք (ხორქ): — თხრილი³⁹. ე. ი. მთლიანობაში სიტყვა თაფთალი ნიშნავს თხრილის უბანს, გაეიხესხოთ სიტყვა ჰავლაბარის ბოლო ნაწილი ბარ (ბარ) — თხრილი, ზღუდე. ავლაბარის ტერიტორიის ლოკალიზაციისათვის ასევე საყურადღებო ცნობას გვაწვდის XIX ს. შედგენილი დოკუმენტი:

«Предместье гор. Тбилиса, Авлабаръ воиникшей возле известной в истории Грузии под названием «Исни» или «Исани» царской резиденции и крепости»⁴⁰.

ავე გვინდა აღვნიშნოთ, რომ XVII ს., კერძოდ, 1673 — 1689 და 1681—1682 წწ. შედგენილ ოჩენოვან, ქართულ-სპარსულ

³⁷ А ртэм Араратский. Жизнь Артема Ааратского. Санкт-Петербург. 1813. გვ. 39.

³⁸ Ш. Месхна, Города и городской строй...., 1959, გვ. 402.

³⁹ Ս. Ստելլա և ს. Հայերեն բացարական բառարան, Երևան, 1944. II.

⁴⁰ Материалы по истории территориального развития города Тифлиса, записки об Авлабаре и авлабарских землях: Ալմա, գ. 29. պ. 638.

საბუთში ავლაბარი სპარსულ ენაზე ასეთი ფორმითაა — ბარ ბარ (ჰალვაბარ)⁴¹.

XVI ს. დასასრულიდან მოყოლებული XVII ს. მიწურულამდე წერილობით წყაროებში ავლაბარი აღარ გვხვდება.

თითქმის მთელი ერთი საუკუნით ავლაბრის ჩვენს თვალთახედვის მიღმა დარჩენა შეიძლება ჩვენამდე იმდროინდელი საბუთების მოულწევლობას მიერჩეროთ, მაგრამ უფრო უპრინანი და მართებული იქნება, თუ ამ საკითხის დადგენისას გავითვალისწინებთ XV—XVI სს. საქართველოს, კერძოდ თბილის, თავსგადამხდარ ისტორიულ მოვლენებს.

XVII ს. ავლაბარი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან — ჩუღურეთის ხევით (ავლაბრის, სურბ-კარაპეტის, კიბალჩიჩის), აღმოსავლეთიდან — ლომელაურით და ლირიკალის ბალებით, და-სავლეთიდან — მდინარე მტკვრით და მეტეხის ციხით. როგორც ვხედავთ, ამ დროისათვის (XVII ს.) ავლაბარს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა.

ზემოთ ვთქვით, რომ მოხსენიებულ ავტორებთან ავლაბარი მეტად მეჩხერადაა დასახლებული. ამის მიზეზებზეც ვისაუბრებთ. ახლა გვსურს კარტოგრაფთა თუ მოგზაურთა ეს ხარვეზი შევავსოთ XVII ს. რამდენიმე წერილობითი მასალით, საღაც ლაპარაკია ავლაბრის ტერიტორიის განსახლებაზე.

1654 წელია. ზარაბულუს ხოჯა ბეჭბუთას, მისივე თხოვნით, მეფე როსტომი ქალაქის სასაფლაოსთან მახათის მთის ქვევით, ავლაბრისაეკენ ეკლესიის აშენების უფლებას აძლევს⁴².

როსტომ მეფის დროს წოდორეთიდან რამდენიმე კომლი გლეხი გადმოასახლეს ავლაბარში: „უძეოსაა და უშვილოს ჯავახის შეილს ზაქარიას: უმანი: ვიყავენით: და წოდორეთს: ვესახლენით; ის მოკვდა: და: თავის: კერძობით: უშვილოდ: გარდავლინდა და ჩვენ: როსტომ მეფემ: სახასოდ დაგვიქირა: იქიდამ ავიყარენით; და: ავლაბარში: დავსახლდით“. (1673 წ.)⁴³.

ეს შემთხვევით არაა, სწორედ როსტომ მეფეს და მისი მემკვიდრის შაპნავაზის (ვახტანგ V) დროს შედარებით სიმშვიდე სუფევს აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი იზრდება, შესაბამი-

41 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაუტოვ ვ. ფუთერიძემ, 1955 გვ. 320, 335.

42 ქართულ-სპარსული საბუთები, წ. I, ნაკვ. I, გვ. 244—245.

43 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad—2246.

სად მისი სანახებიც სახლდება და საქალაქო ცხოვრებაში ინტენსიურად იწყებს მონაწილეობის მიღებას.

თუ ავლაბარი XVI—XVII სს. წერილობით წყაროებში და სიგელ-გურებში იშვიათად გვხვდება, XVIII ს. იგი თბილისის სხვა გარეუბნებთან შედარებით ხშირადაა მოხსენიებული.

ავლაბარი სახასო მამულია. აქ სახლობენ ჩოგორუ სამეფო, ასევე დედოფლის, თავად-აზნაურთა, საკათალიკოსო თუ საეპისკოპოსო, თბილელის ყმა გლეხები. ავლაბარში ქართველების გარდა სომხები და მაჰმადიანები ცხოვრობენ. ზოგი ინათლება და ქართველება კიდევ. მაგალითად, 1706 წ. შედგენილ საბუთში უკითხულობთ: „მე სომეხი: ვიყავი: და: თქვენს: საყდარს: მოვინათლე“⁴⁴. 1769 წ. შედგენილი წყალობის წიგნით კათალიკოსი ანტონ I იესეს ძე კვეზერელ ოთარს და მის შვილებს უწყალობებს ავლაბარში-სვეტიცხოველის კუთვნილ მამულს⁴⁵.

1766 წ. საპატრიარქო ყმათა ნუსხაში არიან:

„ქ. ავლაბრელი. სუქანას შვილი ესტატე

ქ. ავლაბრელი კვეზერელი დავითა“⁴⁶.

ქალაქში, გარეუბანში და ავლაბარში მცხოვრებელ საკათალიკოსო ყმა გლეხებს თავიანთი მოურავი ჰყავდათ. XVIII ს. ეს სახელო სვეტიცხოვლის სახლთუხუცესს მაღალაძეთა გვარს ეპყრა⁴⁷.

ჩვენ ამდღნიმე დოკუმენტი დავიმოწმეთ, სადაც ლაპარაკი იყო ქალაქში და ავლაბარში მსახლობელ საკათალიკოსო ყმა გლეხებზე და სხვა.

1701 წ. შედგენილ დოკუმენტში საგანგებოდ ხაზგასმულია თბილელის უფლებებზე ქალაქსა და ავლაბარში მოსახლე მოქალაქეებზე.

„ქ. ჩვენ: ბატონს: კათალიკოზს: დიასამიდეს: ევლემოზს: თბილელ მიტობოლიტ ორბელიშვილი დომენტი დაგველაპარაკა ქალაქურს სამწყოსზე:... ვინც მოქალაქე ალობარში დასახლდეს თფილელის მამათმთავარს კელი აღარა აქვს და ვინც ალობრელი ქალაქში დასახლდეს იმისი დრამა და საკანონო თბილელის მამათ მთავარმა მოიკითხოს“⁴⁸.

1783 წ. მოეწყო თბილისის აღწერა: „ქ. მისი სიმაღლის ბრძანებით ქალაქი აიწერა ავლაბრით გარეთ უბნით 1783 წ.“

⁴⁴ ს. კავაბაძე, ისტორიული საბუთები, წ., V, 1913, გვ. 8.

⁴⁵ სცსია, ფ. 1449, № 2328.

⁴⁶ სცსია, ფ. 1449, № 2330.

⁴⁷ სცსია, ფ. 1448, № 1418.

⁴⁸ დოკუმენტი საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, 1940, გვ. 215.

რლვ ქ. გარეთ ავლაბარში კომლი (136).

სით ქ. შიგნით ავლაბრის კომლი (219).

ოგ ქ. მეტეხში ხიდიდან (73)

რპვ ქ. ხიდიდან ციხეში (186)

ფნ ქ. გარეთუბანი (550)“.

აღწერის ნუსხა მნიშვნელოვანია მრავალმხრივ; ჯერ ერთი ის, რომ აქ ორი ავლაბარია — გარეთა და შიგნითა, გარდა ამისა, ავლაბრისაგან დამოუკიდებლადაა მეტეხი და ციხე.

თბილისის 1800 წლის გეგმაზე დატანილია გალავანშემოვლებული მეტეხი (IX), რომლისგანაც ზღუდის-ზღუდით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გამოყოფილია ციხე (ასევე გამოყოფილია ავლაბრისაგან), მის ჩრდილოეთ კედელს ებმის ავლაბრის გალავანი. შიგნითა ავლაბარი შემოზღუდულია და აღნიშნულია ლათინური ციფრით (X), ხოლო გალავნის ქეთა ტერიტორია — გარეთა ავლაბარი (XII) შემოზღუდულია, რომელსაც გეგმაზე ეწოდება „ავლაბრის უბანი“.

XVIII ს. ბოლოს იოანე ბატონიშვილის მიერ ჩატარებულ ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის სიაში წერია: „ქ. თბილის მიერებიან სოფელნი აღმოსავლეთის მხარეს.

„ქ. ტფილისი თვით ქალაქი

ქ. ავლაბარი, შენი მოსახლენი“⁴⁹.

ამ ნუსხის მიხედვითაც ავლაბარი ქალაქისაგან დამოუკიდებელი პუნქტია, რომელიც „შენი მოსახლეა“.

აელაბარი ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფლებისა და უბნებისაგან გამოიჩინა აქ არსებული სამეფო თუ ადგილობრივი დანიშნულების მოხელეთა სიმრავლითა და ნაირსახეობით.

აელაბრის ამ მხრივ შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვიდგინოთ გვიანი შუასაუკუნეების ქალაქისპირა სოფელი.

ავლაბარში შემდეგ მოხელეებს თუ მსახურს ვხვდებით: მოურავს, მამასახლისს, ხასადარს, მილახვარს, მებაჟეს, მელალეს, მეკარეს, ყარაულს, ზედამხედველს, სარდარს და სხვა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ავლაბარი სამეფო-სახასო მამულია. მეფის საკუთარი მამულის მეთვალყურედ XVII—XVIII სს. საგანგებოდ შეუქმნიათ სახელო — ხასადარი.

როგორც უკვე ვთქვით, ხასადარი მეურვე-ზედამხედველის

⁴⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, 5—3729.

ჭუნქციების შემსრულებელი მოხელეა და მისი უფლებები მევა-
შულეთა კუთვნილ მამულებზე არ ვრცელდება. აქ ხასაღრის სახე-
ლო სულ რამდენჯერმე გვხვდება და ის მაღე ქრება კიდეც. მის
ნაცვლად ავლაბარში სახასო ყმა-მამულის მეურეედ ისევ მოურა-
ვია.

სამეფო მამულების გარდა, აქ მემამულეთა ყმა გლეხთა მიწე-
ბიცაა, რომელთაც თავიანთი მოურავები ჰყავთ. ჩვენ ზევით უკვე
ვილაპარაკეთ ავლაბარში მოსახლე (ქალაქთან და გარეუბანთან ერ-
თად) საკათალიკოსო ყმა გლეხებზე და მათ მოურავზე.

1781 წ. 28 თებერვალს გიორგი ბატონიშვილი ქალაქში და ავ-
ლაბარში მოსახლე ლორელ ყმა გლეხთა მოურავად მაყაშვილს სი-
მონს ნიშანავს⁵⁰.

ცოტა მოგვიანებით, უკვე მეფე გიორგი XII 1798 წ. ავლა-
ბარში მოსახლე ერევნელ სახასო ყმა გლეხთა მოურავის სახელოს
უბოძებს: „ერდგულს ყმას მირზა აფარასობს“⁵¹.

ავლაბარში დედოფალსაც ჰქონდა თავისი მამული, დედოფლის
კუთვნილი მამულის საქმეთა მწარმოებელს თუ ზედამხედველს, რო-
მელიც საფინანსო და სამეურნეო საქმეებს აწარმოებდა, მილახვა-
რი ეწოდებოდა. XVIII ს. დასასრულს დედოფლის მილახვრის სა-
ხელო იოსებ ყორლანაშვილს უკავა.

გარდა იმისა, რომ იოსებ ყორლანაშვილი დედოფლის მილახ-
ვარია, მას ავლაბარში დედოფლის მოურავის სახელოც უკავია“. „ქ. ავლაბრის მოურავო მილახვარო იოსებ ყორლანოვი, ამ აზით
ამ ჩვენს აზნაურიშვილს გაბრიელას ავლაბარში ჩვენის ყმის ბეი-
თალმანი ოთია ქაქანასეული სახლი რომ უთხოვნია. ის სახლი ამის-
თვის გვიბოძებია... მარტის ია. ქ-ქს უქა“⁵² (1803), როგორც ჩანს,
ყორლანაშვილს სხვა საქმეებთან ერთად ყმების დასახლების საკით-
ხის მოგვარებაც ევალებოდა. ყმა ხურო გოგის თხოვნაზე საცხოვ-
რებელი ადგილის მიცემის შესახებ, დედოფალი დარეჯანი წერს:
„ქ. ავლაბრის მოურაო მილახვარო ყორლანაშვილო იოსებ და ავლა-
ბრის მამასახლისო. მერე ეს გოგიტელა იმერელი რომ ამდენი ხა-
ნია აქ ავლაბარში ჩვენს ყმათ სახლობს და ჯერ ამისათვის მამული
არ გვიბოძებია“⁵³. საბუთში ლაპარაკია, რომ გოგის ბეითალმანი
ადგილი მიეცეს.

50 საქ. სიც. II, 1909, გვ. 550.

51 სცია, ფ. 1448, № 9699.

52 სცია, ფ. 1448, № 7483.

53 სცია, ფ. 1448, № 9709.

საბუთიდან ჩანს, რომ ავლაბარში მამასახლისის სახელოცაა, ეს-სახელო აქ პირველად 1737 წ. სიგელში გვხვდება, სადაც მამასახლისი ღოკუმენტის შედგენის თანდამსწრე პირია „...ავლაბრის: მამასახლისი: ობა“.

ავლაბრის მამასახლისი, ამ შემთხვევაში დარეჯან დედოფლისა, ვალდებულია სახლ-კარის გაძიებელ ყმა გლეხებს გამოუძებნოს სამოსახლო და ამის შესახებ მოახსენოს თავის ბატონს — დედოფლს. 1796 წ. დარეჯან დედოფლალი ვინმე ივან ეფრემიჩს ავალებს ყურადღება მიაქციოს აღა-მაჟმად ხანის დროს აწილკებულ აფლაბარს, რომ სანამ ავლაბრის ყმა გლეხებს „თავიანთ მოხელე მოუვიდოდესთ თვალყური თქვენ ადევნოთ“⁵⁴. ეს მოხელე მამასახლისი ორა; „მამასახლისის დავითისათვისაც მოგვიწერია“, რომ იმანაც ყურადღება მიაქციოს იქ შექმნილ მდგომარეობას. ე. ი. ავლაბრის დედოფლის ყმა გლეხებს მოურავის, მამასახლისის გარდა კიდევ ჰყოლიათ მოხელე. სამწუხაროდ, დედოფლალი კონკრეტულად არაფრენს ამბობს ამ მოხელეს რა სახელო უკავია.

უკვე ითქვა, რომ ავლაბარი გალავანშემოგელებულია; ბუნებრივია, ყოველ გალავანს კარს ატანდნენ. ზღუდეს შეიძლება ერთი ან მეტი კარი ჰქონოდა. ავლაბრის კედელში, ღოკუმენტების მიხედვით, ორი კარია გაჭრილი — „პატარა კარი“ და „ავლაბრის კარი“.

საბუთებში „ავლაბრის კართან“ დაკავშირებით ვხვდებით „მებაჟეს“⁵⁵.

„ავლაბრის კარს“ მებაჟის გარდა „მეკარეცა“ ჰყავს, რომელიც თავისი სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჩელოს იღებს⁵⁶.

ავლაბრის „მებაჟესა“ და „მეკარესთან“ დაკავშირებით, გვინდა შევეხოთ ზღუდეში დატანებულ ავლაბრის კართა განლაგების თუ აღგილმდებარეობის საკითხს.

რაღგანაც უან შარდენისა და ტურნეფორის მიერ შესრულებული თბილისის გეგმები არა სრული, ამიტომ აქ მათ არ შევეხებით; თუმცა უან შარდენთან მეტების გალავანში ერთი კარია, სამწუხაროდ, მოგზაური მის სახელს არ გვაწვდის.

ვახუშტი ბატონიშვილის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ მეტების გალავანში „ავლაბრის კარს“ პირველად ვხვდებით. ილნიშნული კარი ზღუდეში აღმოსავლეთიდან იყო დატანებული.

54 საქ. სიძ. III, 1910, გვ. 250.

55 სცია, ფ. 1448, № 1452.

56 სცია, ფ. 1448, № 8710.

ცნობილია, რომ ქალაქის კედელში დატანებული კარი იმ სა-
ხელს ატარებდა რომელი ქალაქისკენ თუ სოფლისაკენაც იყო იგი
მიქცეული. მეტეხის გალავანში დატანებული „ავლაბრის კარი“ ქა-
ლაქს სოფელ ავლაბართან აკავშირებდა.

შ. მესხია, როგორც ვნახეთ, ავლაბარის ზღუდეში დატანე-
ბულ თავთალის კარი „ავლაბრის კართან“ აიგივებს, ხოლო ამ უკა-
ნასკნელს კი სოღდებილის კართან.

სამწუხაროდ, ვახუშტის მეტეხის ციხის გალავანში ერთი კარი
აქვს დატანიებული. შემდეგი გეგმა, რომელზეც აღნიშნულია „ავლა-
ბრის კარი“, ესაა პიშჩევიჩის „თბილისის 1785 წლის გეგმა“. ვახუშ-
ტის გეგმისაგან განსხვავებით, აქ თვით ავლაბარი უკვე შემოზღუ-
დულია და აქაც „ავლაბრის კარი“ გალავნის აღმოსავლეთით № 71-
თაა დატანილი. ავლაბრის გალავანში „ავლაბრის კარის“ სახელით
კარიბჭის გავრა, ერთი შეხედვით, თითქოსდა ტრადიციის გაგრძე-
ლებად ჩანს. მაგრამ ეს ასე არაა. ავლაბრის ზღუდის იქეთ კიდევაა
ე. წ. „გარეთ ავლაბარი“, ანდა, როგორც თბილისის 1800 და
1802 წწ. გეგმებზე, „ავლაბრის უბნის“ დასახლება.

მაშ ასე, ვახუშტის და პიშჩევიჩის თბილისის გეგმების მიხედ-
ვით, „ავლაბრის კარი“ ზღუდეს აღმოსავლეთით აქვს.

ავლაბარში „პატარა კარიცა“ როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის
ავლაბარში ერთი კარი აქვს დატანებული; პიშჩევიჩთან, ისევე რო-
გორც „თბილისის 1800 წლის გეგმაზე“, ავლაბრის გალავანს მეორე
კარი ჩრდილოეთის მხრიდანაა აქვს. აღსანიშნავია, რომ არც პიშჩე-
ვიჩთან და არც „თბილისის 1800 წლის გეგმაზე“ აღნიშვნა არა აქვს
გალავნის ჩრდილოეთით დატანიებულ კარს. ვახუშტის გეგმაზე
„ავლაბრის კართან“ თავს იყრიან აღმოსავლეთიდან და ჩრდილოე-
თიდან წამოსული გზები: ბაღების გზა, კახეთის გზა, შუატბის გზა,
ავჭალის გზა, ზედა გზა.

პიშჩევიჩთან „ავლაბრის კართან“ მხოლოდ ერთი გზაა — „და-
ლესტანის ღიღ გზაზე გამავალი“, რომელიც შემდეგი დროის კახე-
თის გზას უნდა მიესადაგოს. მეორე კართან გზის არავითარი ჩვე-
ნება ამ აღნიშვნა არაა.

როგორც ვთქვით, „თბილისის 1800 წლის გეგმაზე“ ავლაბრის
ზღუდეს ორი კარი აქვს. ე. წ. „ავლაბრის კართან“ თავს იყრი-
ან ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული გზები: სოფელ
ნავთლულიდან — ქვემო გზა, კახეთის სოფლებიდან წამოსული
„ზემო გზა“ და გზა სოფელ მარტყოფიდან.

ჩრდილოეთ კართან მხოლოდ ერთი გზა მოღიოდა — „ავტალის გზა“. გეგმის მიხედვით აღნიშნული გზით მოსულ მგზავრს „შეიგნითა ავლაბარში“ მოხვედრა შეეძლო აღმოსავლეთის კარითაც. მას ამის საშუალებას აძლევდა ადგილობრივი გზა, რომელიც აერთებდა ავლაბრის ორივე კარს.

„ავლაბრის კართან“ გზათა ინტენსიური თავმოყრა საშუალებას და უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ავლაბრის მებაჟე და შეკარების მირითადად „ავლაბრის კარიდან“ იღებდა შემოსავალს.

XVII ს. ერთ სიგელში „ავლაბრის მელალეა“ ნახსენები⁵⁷, რომელიც ალებულ ლალას სახელმწიფოს აბარებდა.

„დასტურლამალის“ კარი—50 „ქარხნის ნაზირისა ასნაფებისა“ ეხება სატიკისპიროს.

მეტიყისპირეობა საპატიო სამსახურია. იგი გაპიროვნებული ყოფილა. სხვა სოფლებთან ერთად ამ სამსახურის შემსრულებლად გვხვდება „ავლაბრელი თამაზა“⁵⁸.

„ქარხნა“ იყო მეფის მამულებიდან შემოსული ყოველგვარი სურსათ-სანკოვაგის, ფრინველის, წერილფეხა და მსხვილფეხა საქონლის შესანახი „საწყობი“, აი, ამ საქონლის მიღება-გაცემას ზედა-მხედველობას უწევდა ქარხნის ნაზირი, რომელსაც მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებოდა: „მეჯლისის წესების გამგეობაა“⁵⁹. მას, ქარხნის ნაზირს 7—8 კაცისაგან შემდგარი მეტიყისპირეთა ჯგუფი ჰყავდა, რომელთა მოვალეობას შეაღენდა ტიყიდან ლვინის ჩამოსხმა. როგორც უკვე აღნიშნეთ, ერთ-ერთი მეტიყისპირეთაგანია „ავლაბრელი თამაზა“. ეს გვაფიქრებინებს, რომ სხვა სოფლებთან ერთად ამ მოვალეობის შემსრულებლად მუდმივად ერთი ავლაბრელიც უნდა ყოფილიყო. შეიძლება იმიტომ, რომ ავლაბრი სამეფო-სახასო მამული იყო.

„დასტურლამალაში“ სხვა აუშტართა შორის გვხვდება „ავლაბრელი ზურაბა“⁶⁰. აუშტარის მოვალეობა იყო მეფის სასახლის პროდუქტებით მომარაგება. აუშტარებს სათავეში ედგა თავლიდარი, რომელიც საანგარიშო დარგის მოქელეა.

სამეფო მეჭოგეთა შორის „ავლაბრელი ბერუკა“⁶¹—ა ნაშენები.

57 ხელნაწერთა ინტიტეტი, ფ. ჩდ—14966.

58 ქართ. სამ. ქეგ., 1970, გვ. 671.

59 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

60 ქართული სამართლის ძეგლები, 672.

61 დასახ. ნაშრომი, 677.

მისი მოვალეობა იყო სამეფო ჯოგის მწყემსვა. ავლაბარს ედო სა-
მეხრეო გადასახადიც, მეხერის შესანახი გამოსალები⁶².

„დასტურლამალში“ ავლაბარს ცალკე, საგანგებოდ შედგენილი
კარი (31) აქვს დათმობილი: „ავლაბრისა და მისი მოხელეებისა“ —
ავლაბრის რიგი და სამსახური.

ავლაბრის რიგი და სამსახური: „რასაც ქალაქის მოყალნე და
თარხანი იქს, ისრე ესენიც გაერევიან, ლალა-დღიურზედ სამი ფო-
ხალი პური საბალახე სამართლიანად. ერთი მეხერე ვინც იქნების,
ერთის სამეხრეო უნდა შეინახოს, სითარხანე აქვს; და თორმეტი
კოდი პური ულუფა მუშას სოფლებიდან აქვს გარიგებული. სამ-
კალი ხარჯი, ბევრი მოვა თუ ცოტა, ნაზირი ისე მისცემდეს.“

ქათამი თუ აბარია, თავი 17, ამისი ნაშენი წელიწადში 51.⁶³

მაშასადამე, ისევე როგორც ქალაქს, ავლაბარსაც ჰყავდა თა-
ვისი მოყალნე-მებეგრე, რომელიც იგივე უფლებებით სარგებლობ-
და.

ქალაქს ავლაბრის მხარეზე ეყენა ყარაული. „ქ. ბატონო მანუ-
ჩიარ მდივანო ავლაბრის ყარაულებს ჩიტჩიფ მამადას და იმის ამხა-
ნაგებს მორიგის თეთრილამ ერთი თუმანი მიეც ლუნობისთვეს. ა. ქქს
უოე“⁶⁴.

როგორც ვნახეთ, ავლაბარს ჰყავდა თავისი — ადგილობრივი
მც, ავალსახოვანი მოხელენი, რომელიც ემსახურებოდნენ და ზედა-
მედეველობას უწევდნენ მეფის, დედოფლის, კათალიკოს-პატრიარ-
ქის, თუ ბატონიშვილების ავლაბარში მდებარე მამულებს თუ აქ
მოსახლე მათ უმა გლეხებს.

ავლაბართან დაკარგილებული ჩვენს ხელთ არსებული დოკუ-
მენტური მასალა ავლაბარს წარმოგვიდგენს, როგორც მრავალდარ-
გოვან სახელოსნო უბანს. ავლაბარში სახლობს და აქვე ხელოსნობს:
ხურო, მკალავი, კუპრავი, ყაზაზი, მეთუნე, მეკრამიტე, მეაგურე,
გეკურჭლე, ოქრომჭედელი.

1683 წ. ერთ-ერთ ნასყიდობის სიგელში საბუთის დამმოწმე-
ბელთა შორის გვხვდება ავლაბრელი მეკურჭლე მამუკა⁶⁵.

ავლაბარში გაცხოველებულ აღებ-მიცემობაზე მეტყველებს აქ
არსებულ დუქანთა სიმრავლე. აღსანიშნავია, რომ დუქანი არა მარ-
ტო სავაჭრო პუნქტი იყო, არამედ აქვე მზადდებოდა ბაზარზე გა-

62 დასახ. ნაშრომი, 511.

63 ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 602.

64 სცია, ფ. 1448, № 4837.

65 საქ. ხელ. ინსტ., ფ. Hd — 13696.

სატანი საქონელი ე. ი. დუქანი სახელოსნოც იყო. ხშირად წყალობის წიგნში მთხოვნელს სახლთან ერთად დუქნის აღვილიც ეძლევა. „რადგან ტუეობიდან მოსული ხარ. ჩვენი ყრმობა შორინდომე. ჩვენს ავლაბარში. ჩვენს ყმად დაგადგინეთ. დუქნისა და სახლის ალაგიც გიბოძეთ“⁶⁶. (1788) ხელრთვა დარეჯან დედოფალი.

დუქანს მიწის მუშა არ მოითხოვდა, ვფიქრობთ, რვი ან ვაჭარია, ანდა უფრო სავარაუდოა, რომ ის იყოს ხელოსანი. ავლაბარში დუქან—სახელოსნოთა სიმრავლე გაპირობებული იყო იმით, რომ ის ქალაქის უახლოესი უბანია, ამავე დროს მის გალავანში დატანიებულ კართა მეშვეობით, აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხრიდან წაშოსული მგზავრნი.

ავლაბარს თავისი ბაზარიც აქვს. აქვე დგას ქარვასლა — შორიგზიდან მოსულ მგზავრთა თავშესაფარი — სასტუმრო, ქარავნებით ჩამოტანილი აურაცხელი საქონლის საწყობი — სათავსო.

ავლაბარი თავისი ხუროთმოძღვრული ძეგლებითაცაა მღიდარი. აქ იდგა და ახლაც დგას ქართული მართლმადიდებლური და სომხურ გრიგორიანული ეკლესიები. რაღანაც ჩვენ იმ თვალსაზრისს ვადგევართ, რომ მეტეხის ლვისიშვილის ეკლესია ავლაბარის ტერიტორიაზე არასოდეს მდგარა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ იგი ავლაბარის ეკლესიათა სიაში არ შეგვაქვს. რასაკვირველია, ისევე როგორც უკვე ქართველს და მართლმადიდებელს, ავლაბარის მაცხოვრებლებსაც შეეძლო აქ სალოცავად მოსვლა. შეიძლება ამან განაპირობა კიდეც, რომ გვიანობამდე, ყოველ შემთხვევაში XVII—XVIII საუკუნეებამდე მაინც, ავლაბარში ქართული ეკლესია არ აგებულა.

ზემოთ უკვე ვთქვით, ქალაქმა XIII—XVI სს. რამდენი გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. თბილისის შემოგარენი მოსახლეობისაგან იცლებოდა, დანაკარგის შევსება ხელოვნურად უფრო ხდებოდა ხოლმე, ხიზნობისა და ტყვეობიდან უკან დაბრუნებულებით.

გავიხსენოთ როსტომ მეფის მიერ წოდორელ გლეხთა ავლაბარში გადმოსახლების ფაქტი. ქართველების გარდა უცხონიც მოდიოდნენ. გარეშე კაცი, უცხო მხარეში მოხევდრილი, ცდილობს გარემოს შეეწყოს, იგი თავისად აქციოს. ამისი ცდაა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების აგება თბილისა და მის შემოგარენში დასხვ. ამიტომა, რომ ქალაქში და მის სანახებში XVII—XVIII სს. ქართულ ეკლესიას სომხური სჭარბობს.

⁶⁶ სცია, ფ. 1448, № 438.

ქართული ეკლესიებიდან ძეელ აელაბარში დღესაც დგას ერეკ-
ლე 11-ის მეულლის დარეჭან დედოფლის მიერ XVII ს. 70-იან
წლებში აგებული კარის ეკლესია. ეკლესია „მოწამეთა ირაკლი და
დარეჭანის“ სახელზე ყოფილა აგებული. კარიჭაშვილის კატალოგ-
ში ეკლესის აგების თარიღიად 1789 წელია⁶⁷

მოსე ჯანაშვილი აღნიშნული ეკლესის შესახებ მოგვითხობს
შემდეგს: „წმ. ირაკლისა და დარიას მონასტერი შეტეხის გორა-
ზედ. ეს სასახლე მისის ეკლესითურთ შეიძინა ექსარხოსმა თეო-
ფილაქტემ და გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკო-
ლები. იონა მიტროპოლიტი (1824 წ. 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხნა
მაცხოვრის ფერიცვალების მონასტერად“⁶⁸.

ეკლესია დღეს უმოქმედოა, ხოლო დარეჭან დედოფლის სასახ-
ლეში, ე. წ. „საჩინო“-ში, მოთავსებულია 26 კომისრების რაიონუ-
ლი მუზეუმი.

აელაბარში, დარეჭან დედოფლის კარის ეკლესის მახლობ-
ლაღ, იდგა წმ. მარიამის ქართული ეკლესია. მისი აგების თარიღი
არაა ცნობილი. ეს ეკლესიაც მეორედ იონა მიტროპოლიტს უკურ-
თხება⁶⁹.

ავლაბარში მდგარი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიებია: „ხო-
ჯა ვანქის ასტვაწაწინ“ (ხოჯავანქის ლოთისმშობლის), „სურბ-კარაპე-
ტას“ (წმ. კარაპეტი), „ლუსავორიჩი“ (გრიგოლ-განმანათლებელი),
„კარმირავეტარან“ (წითელი სახარება), „ეჩმიაწინი სურბ-გევორქ“,
„ძორაბაში სურბ-გევორქ“ (ხევისთავის წმ. გიორგი), „სურბ-მინას“
(წმ. მინასი).

დასახელებული სომხური ეკლესიებიდან უველაზე აღრეულია
ხოჯა ვანქის ასტვაწაწინი (XVII ს). იგი თბილისის რეკონსტრუქ-
ციისთან და ძეველი სასაფლაოს პარკად გადაკეთებასთან დაკავში-
რებით აღებულ იქნა, ასევე აიღეს „სურბ-მინასის“ ეკლესია.

დარჩენილი ეკლესიებიდან „ეჩმიაწინის სურბ გევორქის“ ეკ-
ლესია XVIII ს. დასასრულსაა აგებული, სომხეთის სოფელ ეჩმია-
წინიდან ჩამოსახლებული სომხების მიერ.

საქართველოში ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსმა
შმართველობამ 1802 წ. 12 ივლისს უმალესი ხელისუფლებისადმი

67 ლეონ მელიქსე თბეგი, მასალები ტფილისისა და „სომხითის“
სიძეელეთა ისტორიისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, №1, 1923, გვ. 86.

68 მოსე ჯანაშვილი, საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, 1899, გვ.

184.

69 ლეონ მელიქსე თბეგი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 86.

10. თ. ბერიძე

განსახილველად წარდგენილ „საქალაქო და სათემო პოლიციის“ დაარსების პროექტის პირველ პარაგრაფში ქალაქი თბილისი სამ ნაწილად დაჲო. თვითეული ნაწილი თავისთავად კი ორ-ორ კვარტალად. პროექტის თანახმად ავლაბარი ქალაქის მეოთხე ნაწილად ცხადდებოდა.

1803 წლისათვის ავლაბარში დარეჯან დელოფალს ეკუთვნოდა 137 კომლი ყმა გლეხი, აქედან ძველ ავლაბარში 10 კომლი ქართველი, 57 კომლი სომხი, დავით ბატონიშვილს აქვე 11 კომლი, ფარნაოზ ბატონიშვილს ახალ ავლაბარში 4 კომლი.

ავლაბარში ქართველ ბატონიშვილთა და სამეფო ოჯახის სხვა წევრთა მიწები XIX ს. დასაწყისშივე გადავიდა ხაზინის ხელში, ხოლო გლეხებს სახაზინო ყმა გლეხები ეწოდათ.

1816 წ. ავლაბარი ირიცხებოდა ქალაქის მეორე საპოლიციო უბანში. მიუხედავად ამისა ავლაბრელი ყმა გლეხები კიდევ რამდენიმე ხანს სარგებლობდნენ აქ არსებული სახაზინო მიწებით და ბეგარასაც იხდიდნენ. «Но жители его продолжали пользоваться авлабарскими казенными землями и платили за это хлебную подать в казну вплоть до 45 года, когда жители Авлабара были причислены к составу городского поселения и подать эта была отменена»⁷⁰.

ამგვარად, ძველი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე სახასო გამული—აელაბარი თავისი ზერებით და ხოდაბუნებით, სამეფო მოხელეებით, ღუჯან-სახელოსნოებით და მრავალსახოვანი ხელოსნებით ქალაქის შემოგარენში წარმოადგენდა ერთ-ერთ დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანს.

ლომელაშვილი და დირსიჭალა

გვიანშუასაუკუნეებში (XVIII ს.) ავლაბარსა და ნაეთლულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა სოფელი ღომელაური და ღირსიჭალის ბალები. ივ. ჭავახიშვილის რედაქციით 1923 წ. შედგენილ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ სოფ. ღომელაური დატანილია ნაეთლულის შემდეგ — სამხრეთით. აქ აღნიშნულ სოფელთა თანმიმდევრობა დარღვეულია.

1786 წ. ერთ-ერთ დავის სიგელში მეფურიშვილები და მეით-

⁷⁰ სცხა, ფ. 29, აღწ. 1, № 638:

ჩიშვილები ერთმანეთს ედავებიან მამულის საზღვრებზე: „...ჩვენ საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება ამ სადაოს ადგილის გასა-
სინჯავად ჩავედით და მელიქის მაგიერ მინისკარბაში იოსებაც ჩვენ-
თან იყო. ჩვენ ასე გავსინჯეთ ავლაბრის მამულიდამ რომ წავა ნათ-
ლულისაკენ, შევა ღომელაურის მამულში, ღომელაურის გამულს
რომ გაივლის ნათლულის სოფელს ახლო მიადგება ერთს კევს. ეს
კევი ზეიდამვე მოსდევს ლარზედ ამ მეითრიშვილებისა და ღომე-
ლაურის მამულს ჰყოფს და მტკვარს შეერთვის, რომელიც მისის
უმაღლესობას მეფის ბრძანებამ და ადგილის მდებარეობამ ეს კე-
ვი მიჯნად დაამტკიცა, რომ იმის იქით ნათლულის სოფლამდის მიჯ-
ნა აღარ არის“¹. დამოწმებული ღოკუმენტი ნათელს ჰყონს სადაც
საკითხს და ამტკიცებს, რომ ავლაბარსა და ნავთლულს შორის
სოფელი ღომელაური იდო.

ღომელაური, როგორც სოფელი, XVII ს. უკვე არსებობს, შემდეგ
იგი გახარაბებულია, მისი განახლება XVIII ს. მომხდარა და, როგორც
დასახლებული პუნქტი, აღნიშნული საუკუნის ბოლომდე გვხვდება.
იგი შეტანილია იოანე ბატონიშვილის მიერ 1797—1799 წწ. სოფელთა²
ნუსხაში. 1829 წ. თბილისის გეგმაზე ორ ნავთლულს ვხვდებით: «Дер-
Натлуги» და მის ჩრდილოეთით იქ, სადაც აღრე ღომელაური უნდა
ყოფილიყო «Слоб. Навтлуга». ვთიქონდთ, მეორე ნავთლული (პირ-
ველის ჩრდილოეთი) უნდა წარმოშობილიყო სოფ. ღომელაურის მა-
მულების ხარჯზე. აღნიშნულ გეგმაზე აქვე გვხვდება მეორე დასახ-
ლება — სოფ. მირზაბადი (ისიც მეორე ნავთლული — Слоб. Нав-
тлуг-ის მსგავსად XIX საუკუნეშია გაჩენილი).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დირსიჭალაში მხოლოდ ბალები იყო
გაშენებული. დირსიჭალის ბალების მესაუტრენი არიან როგორც
ქალაქელები, ასევე ახლომახლო სოფლელები — ავლაბრელები, ღო-
მელაურელები, ნავთლულელები და სხვ.

დირსიჭალის ბალები გაშენებული იყო ღომელაურის დასავლე-
თით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხევის დაბოლოებაზე, მის ქვემო
წელზე.

ქალაქის სანახებში დირსიჭალის არსებობაზე დღეს მიგვანიშ-
ნებს ამეამად აქ არსებული პატარა ქუჩა, რომელიც ამავე სახელს
ატარებს — „დირსიჭალის ქუჩა“. იგი მდებარეობს „5 დეკემბრის“

¹ სტატ., ფ. 1450, დავთ. 21, № 3.

² ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S—3729.

³ ცГВИА, ფ. ВУА, დ. 19813.

ქუჩის პერპენდიკულარულად, XIX ს. მეორე ნახევარში აგებული წმ. პარბარეს სახელობის ეკლესიის სიახლოესა.

საბუთებში დირსიჭალას ვხვდებით „დარსიჭალის“ ფორმითაც: „დარსიჭალაში ბაბანათა გრიქურას პაპეული ბალი“⁴.

„დირსიჭალის“ ერთმოლოგიის დადგენა სიძნელესთანაა დაკავშირებული. ღლევანდელი ქართული სალაპარაკო თუ ლიტერატურული ენა მას აღარ იცნობს. ამას ისიც აძნელებს, რომ ადგილმდებარეობისადა მიხედვით წარმოშობილი ტოპონიმების ახსნას ხელს უშლის ქალაქის მიღამოების განსახლება, განაშენიანება, რასაც, თავისთავად, მოსდევდა და მოსდევს თბილისის მიღამოს ლანდშაფტის შეცვლა (ხევების ამოვსება და მათი გადახურვა).

სიტყვა „დირსიჭალა“ კომპოზიტია, ორი სიტყვის ნაზავია. ბოლო სიტყვა — კალა გასაგებია, წყლისპირეთს ნიშნავს, ხოლო პირველი. საწყისი სიტყვის — „დირსი“-ს ახსნა კი ვირს.

დირსიჭალაში ვხვდებით მეტად საინტერესო სახელოს, რაც ქალაქის შემოგარენის სოფელთა, უბანთა თუ ბაღების მოხელეთა ისტორიის შესწავლისათვის იძლევა მეტად იშვიათ ცნობას: „ქ. ჩვენი ბრძანება არის დირსიჭალის ბაღების პატრონებო და მებალეებო. შერე: დირსიჭალის უსტაბაშს ნიკოლოზს, რომელიც უსტაბამობას შეეცილება და ან მიზეზი შეიქნება უსტაბაშობის წართმევისა. ფიციონ ვბძანებთ ასი თუმანი... მებალეებო გაფრთხილებთ, რომ ამაზედ აჩას არა აწყენინოთ, თორემ სწორეთ ასე აღვასრულებთ და ვერც იპატიებთ ამ ჯარიმას. ხათრი—ჯამი იყავით. ივნისის, იც, ქ' უპავ..⁵ შედგენილია 1794 წელს. ამას მეფე ერეკლე ბრძანებს. აღნიშნულ სიგელს 1800 წელს ხელმეორედ ანახლებს მეფე გიორგი.

მაშასადამე, ისევე როგორც ქალაქის ამქართა უსტაბაშების, დირსიჭალის მებალეთა უსტაბაშის სახელოც მეფის მიერ გაიცემოდა და მტკიცდებოდა.

აღნიშნული სიგელის შედგენით ჩვენ ბეღნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საგულისხმოა, რომ საბუთის საგანგებოდ დაწერა, შედგენა უნდა გამოეწვია დირსიჭალელ მებალეთა რაღაც საპროტესტო გამოსკვლას, შეიძლება მათთვის არასასურველი უსტაბაშის დანიშნვას. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობა ქალაქის შემოგარენში მდებარე ბაღების უსტაბაშის არსებობის შესახებ.

⁴ სცია, ფ. 1450, დათ. 56, № 64.

⁵ სცია, ფ. 1448, № 8711.

როგორც ქალაქისპირა უველა ბალიდან, ქალაქის მოურავს დირსიჭალიდანაც ეკუთვნოდა თავისი სარგო.

თუ XIX ს. ლომელაური ქალაქის სანახების გეოგრაფიიდან ქრება, ამას ვერ ვიტყვით დირსიჭალაზე. იგი აღნიშნულია რუსულად შედგენილ XIX ს. ქალაქ თბილისისა და მისი შემოგარენის გეგმებზე — «Виноградные сады Тирсы чалии»⁶ და «Сады Дарси чалии»⁷ (1859).

აქედაბ ჩანს, რომ დირსიჭალაც ორთაჭალის მსგავსად თავისი ბალებით XIX ს-შიც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას, როგორც ქალაქისპირას მდებარე ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო ერთეული.

ვფიქრობთ, რომ XIX ს. უნდა გაჩენილიყო ლომელაურისა და დირსიჭალის ადგილზე ახალი ტოპონიმები — ძალლის უბანი, შავი სოფელი და სოუ. სამება. „ავლაბრიდან სამზრეთით, უოფილ კახეთის „საყარაულოს“ იქით, კახეთის საფოსტო გზის ორივე მხარეზე, მდებარეობს შავი სოფელი ანუ ძალლის სოფელი, რომლის ზემოთ არის რუსთა სასაფლაო; ხოლო შავი სოფლის იქით დასახელებულ საფოსტო გზის მარცხნივ, იმყოფება სოფელი სამება. შავისოფლიდანვე ქვემოთ, მტკერის მარცხენა ნაპირისაკენ ჩამოშვებულია ყაფარი, რომელიც უკავია ნავთლულს”⁸.

ნავთლული

სოფელი ნავთლული თბილისის აღმოსავლეთით, მდ. მტკერის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

ნავთლულსაც, ისევე როგორც ზოგიერთ ქალაქისპირა სოფელს ორი სახელი ჰქონდა — ნავთლული და ერეკლეს ციხე. სახელი ნავთლული აღრეულია, ხოლო „ერეკლეს ციხე“ კი გვიანი. თუმცა ეს უკანასკნელი არ დამკეილდა, ციხე-გალავნის დანგრევასთან ერთად ისიც დავიწყებას მიეცა და სოფელს ისევ თავისი ძველი სახელი დაუბრუნდა.

ნავთლულის ეტიმოლოგიის ახსნა ძნელი არაა. იგი ორი სიტყ-

6 ЦГВИА, ф. ВУА, д. 22659.

7 ЦГВИА, ф. ВУА, д. 22666.

8 შ. ჩ ე ტ ი ა, ტიტლის ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., 1, 1938, გვ. 62.

ვას ნაზავს წარმოადგენს — ნავთი + ლული. „ნავთი“ — აღმოსავ-ლური სიტყვაა. „ლული“ — თურქული სიტყვაა და ადგილს ნიშ-ნავს. ე. ი. ნავთლული — ნავთის ადგილს, ნავთისას, სანავთეს აღ-ნიშნავს.

თბილისის სანახებში ამ სახელის მქონე პუნქტი რო-დის გაჩნდა ზუსტად არ ვიცით. ერთი რამ კი აღსანიშნავია; ქარ-თულ სალაპარაკო ენაში სიტყვა ნავთი უკვე VIII საუკ. გვხვდება— „მარტვილობად ჰაბო ტფილელისად“-ში. აბოს გვამი ურმით გაი-ტანეს „გარეშე ქალაქსა და აღილეს ადგილსა, რომელსა საგოდე-ბელ ეწოდების... და მოილეს შეშაბ და თივაძ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი“¹.

ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში გადმოვკ-ცებს: „ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნავთლური. მუნ-დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავა-ლი არ აიღების“².

თუ ადგილის აღრეული სახელის — „ნავთლულის“ წარმოშო-ბის ზუსტი დრო არ ვიცით, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს მისი მეორე სახელი — „ერეკლეს ციხე“. აი, მის შესახებ რას წერს გრულდენშტედტი: „სოფელი ნათლული მდებარეობს მტკურის მარ-ცხენა ნაპირას, შესდგება დაახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მიხედვით, ბევრი მიწურისაგან (რუსუ-ლად „ზემლიანეა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხუთხა კედელი ადგილს დიამეტრით 80 ნაბიჯი, და ღაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“³.

ეს ისეთი უტყუარი და პირდაპირი მინიშნებაა ადგილის სახე-ლისა. რომ მასში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მეფე ერეკლე II-ს ნავთლულში ციხე გალავანი უნდა აეგო მის მიერ ქართლის სამეფოს ტახტის დაკავების ე. ი. 1761 წ. შემდეგ. გიულდენშტედტმა ჩვენში იმოგზაურა 1772 წ. მაშასადამე, ნავთლულის ციხე-გალავანი აგე-ბულია 1761—1772 წწ.

„ერეკლეს ციხეს“ პირველად 1770 წ. ვხვდებით. თბილისში შა-ვი კირი გაჩენილა, რის გამოც ქალაქი დაცარიელებულა. ამასთან დაკავშირებით თავადი მურავიოვი 10 ივლისს უპატაკებს გრაუ

1 იოვანე საბანის ქ. მარტვილობად ჰაბო ტფილისად. ძეელი ქარ-თული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1964, გვ. 73.

2 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 338.

3 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 17.

ტოტლებენს, რომ მან თავი შეაფარა თბილისიდან 7 კერსით მოშორებულ სოფელ ერეკლეს ციხეს⁴.

ჩვენს ხელთ არსებული მოგვიანო ხანის (1802 წ. საბუთი) გოულდენშტედტის ცნობას ავსებს და XVIII ს. ნავთლულის სურათს მთლიანად წარმოგვიდგენს სუმბათაშვილის განცხადება საქართველოს მმართველის პეტრე კოვალენსკისადმი: „ითხოვენ კრისტიან სუმბატოვები. ოცდა ხუთი წელიწადი არის, რაც მეფემ ერეკლემ ნავთლულის სოფელი (ა) შენა. რადგანაც მტრის ალაგი იყო, ქალაქის დაცვისათვის თითო კაცი სოფლებიდამ მოაგროვა და ჩვენს მამულში სოფელი გა(ა)კეთა ახლა ნება მიგიციათ აყრისა და სხვაგან დგომისა, თავადებს ჰყითხეთ და თუ ნავთლულის სოფლის მოშლა ქალაქის სამჯობინარი იქნება, ნება გაქვსთ. მოშალეთ...“⁵

მოგზაურის მიერ მოწოდებული ცნობისაგან განსხვავებით, დამოწმებული ადგილით ვიგებთ, რომ ერეკლე II-ს არა მარტო ციხეგალავანი აუგია, არამედ გახარაბებული ადგილი ნავთლული სხვადასხვა სოფლებიდან მორქეილი ყმა გლეხებით დაუსახლებია კიდეც; ასევე, სოფელ ნავთლულის ხელმეორედ დასახლებას ქალაქისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია: აქა ციხე-გალავანი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოულოდნელად შემოსულ მტერს შეაჩერებდა. 1796 წ. ერეკლეს ციხეს შეწერილი აქვს 7 ურები შეშა — „ზ. ქ. ერეკლეს ციხემ ურები“⁶.

1803 წ. თავადი სუმბათაშვილები ამჯერად პავლე ციციშვილი-საღმი (ციციანვი) ორგზის მიმართული არზით მოითხოვენ „მოჯანლეთა“ დასჯას, სოფელიდან გასახლებას. ისინი თავიანთი მოთხოვნის კანონიერებას ასაბუთებდნენ და ამტკიცებდნენ იმით, რომ სოფელი ნავთლული მათი მამულია, რომ მეფეთა მიერ მათ გვარს ებოდა სოფელ ნავთლულის მოურავობა. „თქვენს ბრტყინვალებას მოხსენებული აქვს, რომ ნავთლულის სოფელი ჩვენი მამული არის და გლეხეკაცნი სახელმწიფონი დგანან და რადგანაც ის სოფელი ჩვენი მამული არის, ამას უწინარეს მეფეთაგან იმათს მოურავათ ჩვენ გახლავართ და რაც მოურავის განწესება არის, ისე გვემსახურებოდნენ“⁷ სოფელ ნავთლულის მოურავობა სუმბათაშვილებმა შეიძლება სოფლის ხელმეორედ დასახლებისას, XVIII ს. 60—70-იან წწ.

4 Гравюры и другие исторические документы XVIII столетия, под редакцией А. А. Цагарели, СПб., 1891, с. 128.

5 დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, ტ. II, 1953, გვ. 87.

6 სასია, ფ. 1448, № 1704.

7 დოკუმენტები საქ-ოს სოც-რი ისტ-დან, 11, 1953, გვ. 221.

მიღებს; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ სოფელი მათთ კუთვნილი გამტები იყო — ძნელია ახლა ამის მტკიცება, ანდა უარყოფა. შეიძლება დავუშვათ, რომ მეფემ თავად სუმბათაშვილებს სამეფო სოფელი ნავთლული XVIII ს. დასასრულს უბოძა.

XVIII ს. დასასრულისათვის ნავთლულის ველ-მინდვრები გამოიყენებოდა სანადიროდ და სათიბადზ⁸.

1780 წ. (ქვს უიტ) მოწყობილ სოფელთა აღწერის ნუსხის მიხედვით ერეკლეს ციხეში 62 კომლი ყმა გლეხი ცხოვრობს⁹.

აღწერის ნუსხაში ვხვდებით სხვადასხვა ხელობის ყმა გლეხებს: თოფჩი ბერუა, მქედელი მამაჯანა, ბატონის მებაღე აზატი კუჭია-შვილი ლთისია, სიაში სოფლის მამასახლისიცაა მანველაშვილი (სხვათა შორის, ნავთლულის მამასახლისს XIX საუკუნეშიც, 1819 წ. ვხვდებით)¹⁰ და სხვ.

ასევე, ნავთლულში მეტად საინტერესო მოსამსახურეა დელოფლის ჯილავდარი იმნაძე: „ჯილავდარი — ჯილავის დამქერი ცხენით მიმავალთა დიდებულთა“¹¹.

რაც შეეხება სოფლის წიაღისეულს — ნავთს, მისი ექსპლოატაცია, არ ხერხდებოდა მდინარის სიახლოვის გაშო. ამას გარდა, ეტყობა, მარაგიც არ იყო დიდი.

დღეს შემორჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ნავთლულში აღსანიშნავია ორი ეკლესია — წმ. ბართარეს ახალი და ძველი ეკლესიები.

პირველად ნავთლულის ეკლესიის შესახებ ცნობას ვხედებით 1779 წ.,¹² მაგრამ აქ ეკლესია უფრო ადრე უნდა აეგოთ, რადგანაც ერეკლეს ციხის მღვდელი უკვე 1774 წ. იხსენიება¹³.

თბილისის 1800 წ. გეგმაზე ნავთლულში დატანილია დანგრეული ეკლესია — «Раззоренная грузинская церковь святого Георгия»¹⁴. ესაა ავლაბრიდან მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეკლესიის ნანგრევები მდ. მტკიცის ნაპირის სიახლოვესაა და ის უნდა მდგარიყო იქ, სადაც ამჟამად დგას ნავთლულის წმ. ბართარეს ძეგლი ეკლესია. ეკლესია ქვითუირითაა ნაგები. ამჟამინდელი სახე მას XIX ს. უნდა მიეღო.

⁸ საქართველო, ფ. 1448, № 7591.

⁹ ი 3. ჯავახიშვილი, საქ-ოს ეკონ. ისტ-იის ძეგ., 1, 1967, გვ. 158—160.

¹⁰ საქართველო, ფ. 1448, № 7591.

¹¹ 6. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, გართული ლექსიკონი.

¹² საქართველო, ფ. 1448, № 336.

¹³ ღოვ. საქ. სოც. ისტ-დან, 11, 1953, გვ. 87.

¹⁴ ცГВИА, ფ. ВУА, ლ. 88660.

მეორე ეკლესია, რომელსაც წმ. ბარბარეს ახალ ეკლესიას უწოდებენ, აგებულია XIX ს. მეორე ნახევარში. ძეგლი აგურითაა ნაგები და დგას „5 დეკემბრის“ ქუჩაზე¹⁵.

ამგვარად, ნავთლული — ერეკლეს ციხე ქალაქის შემოგარენში მდებარე ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო უბანია.

ჩუღურეთი

სახელს „ჩუღურეთს“ პირველად ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის თბილისის 1735 წ. გეგმაზე (№ 62), იგი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე და თბილის ემიჯნება ჩრდილოეთიდან. გეგმაზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით ჩუღურეთი საყმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია. „მტკვრის აყოლებით მოსახლეობა უკვე მარცხენა ნაპირზეცაა გაჩენილი, ისნის ჩრდილოეთით, ჩუღურეთში („№ 62“) — აღნიშნავს ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმის“ მკვლევარი ვახტანგ ბერიძე¹⁶.

წერილობით წყაროებშიც სახელს „ჩუღურეთს“ ისევ ვახუშტი ბაგრატიონთან — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ვხვდებით, მკვლევარი ჩუღურეთს იხსენიებს სოფლების სიაში² და ჯავახეთის მხარის აღწერისას³. საკვირველია, რომ ამავე ნაშრომში ქ. თბილისის და მისი მიმდებარე სოფლების აღწერა-ჩამოთვლისას. ვახუშტი ჩუღურეთზე არაფერს ამბობს (მაშინ, როცა მისსავე შეღენილ თბილისის გეგმაზე ჩუღურეთი დატანილია დასახლების აღმნიშვნელი ნიშნებით — უჯრედებით).

წერილობით წყაროებში ჩუღურეთს, ოლონდ ჩუხურის ფორმით, ვხვდებით 1707 წელს გაცემულ წყალობის სიგელში.

¹⁵ XIX ს. ნავთლულში იდგა ერთი სომხერ-გრიგორიანული ეკლესია — „წალიკანქ“ (ყველის ეკლესია), რომელიც ამჟამად აღარ არსებობს.

¹⁶ 3. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, ტ. 1. 1947, გვ. 134.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 197.

³ ვახუშტი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 130.

„ქ. ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ
ჩვენ, დედოფალთ დელოფალმან, პატრონმან რუსულდან, პირშომან
და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ბაქარ თქუენ, ჩვენის
კარის მღრღელს ნაობს, შეიღლსა შენსა პეტრესა, გიორგის და ია-
კობს. ასრე რომე შეიღლიან კაცი იყავით და ერთი კაცის სასახლისა
და საბძელ-კალოს ალაგს დაგვეაჭენით, ჩვენცა მოკითხული ვეჭენით
და გაღმა ჩუხურში, შენისავ სიმამრის ნაქონი უოტა რამ ბეითალ-
მანი ნავარი ალაგი იყოს (Sic), რადგან ქალაქში მისი ნაქონი
სახლ-კარი შენ გქონდა, არცა ვის კელი ჰქონდა არცა ვის ეხელუ-
და. და თვინიერ შენსა, და რადგან შენის სიმამრის ნაქონი იყო,
ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და როგორათაც შენს
სიმამრს ლუარსაბს ქონებოდეს, რისაც მზღურითა და გზით, იმ
გვარად შენთვის და შენთა შვილთათვის გვიბოძებია. ქონდეს და
გიბედნიეროს ღ-თნ“⁴.

ამ საბუთში მოხსენიებული „ჩუხური“, ეჭვს გარეშე, „ჩულუ-
რეთია“. აქედან გამომდინარე ზემოთ გამოთქმული ჩვენი მოსახ-
რება-ვარაუდი (ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ დაყრდ-
ნობით), რომ ჩულურეთში მოსახლეობა აღრე, XVII ს. უნდა გაჩე-
ნილიყო, მართებული ჩანს. წყალობის წიგნში ლაპარაკია იმის შე-
სახებ, რომ მღვდელს აქლევენ სიმამრის ნაოხარ მამულს გაღმა მხა-
რეში — ჩუხურში და თვით სიგელიც გაცემულია 1707 წ. ძნელი
დასაჭერებელია, რომ მღვდლის სიმამრს აქ არ ეცხოვრა რამდენიმე
წლით ადრე...

ჩუხური ქართულ წერილობით წყაროებში მეორეჯერ გვხვდე-
ბა ქართლის 1721 წ. აღწერის დავთარში.

„ქ. ახალ—ჩუხურში.

მამასახლისი ხატისა ა, თავი	5 კ-ი
ფეხშიშველაშვილის ესტატე	„ ა, „ ბ
ასატურაშვილი გასპარა	„ ა, „ ა
გიგუაშვილი პეტრე	„ ა, „ ა
სომხიშვილი იათუნა	„ ა, „ ა
ყელიაშვილი ელიზბარა	„ ა, „ ა
მოლაშქრე იჩემა	
მოლაშქრე ოთარა	
სულ 8 კომლი მოლაშქრე 2“ ⁵ .	

⁴ ექ. თა ყა ა შვი ლი, საქართველოს სიძეელენი, ტ. 2. 1909, გვ. 326.

⁵ ექ. თა ყა ა შვი ლი, შასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერი-
ლობისა მეთვრამეტე სუკუნეში, 1907, გვ. 5.

აღწერის მიხედვით ახალ ჩუხურიდან შეიძლებოდა ცხრა მოლაპერის გამოყენა.

მკვლევარი იას. ლორთქიფანიძე ნაშრომში „ქვემო ქართლი“ (ნაწ. II, 1935 წ.) საგანგებოდ გამოყოფილ IX თავში — „ქვემო ქართლის მე-XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები“ — აღნიშნავს: „73. ახალ ჩუხური— მტკვრის გალმა მხარეს (ფ56)—1721 წლ. „აღწერაში მოთავსებულია ქვითეირის ლილოსა და დიდუბეს შუა სამეფო საბარათაშვილოში (გვ. 51), იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (მეფე), 6 გამომლები, და 2 ბოგანო ყმა“. (გვ. 287). „...809 — ჩულურეთი — მტკვრის გალმა მხარეს, სიით 675, დიდუბეს და ახალ სოფელს შუა (იხილე წ—55, გვ. 368)“.

როგორც ვნახეთ, 1721 წ. აღწერიდან მოტანილ მონაკვეთში სოფ. ჩულურეთი ცალკე არაა, რაც იმაზე მიგვითოთებს, რომ ახალი ჩუხური იგივე ჩულურეთია.

იას. ლორთქიფანიძე უზუსტობას უშევებს, როცა ორივე სოფელს — ახალ ჩუხურს (№ 73 გვ. 287) და ჩულურეთს (№ 809, გვ. 368) ასახელებს, როგორც ორ დამოუკიდებელ პუნქტს.

თვით სიტყვა „ახალ ჩუხური“ ადგილის ახალ დასახლებაზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ მის გვერდით არსებობს ადგილი „ახალ სოფელის“ სახელწოდებით.

საინტერესოა სიტყვა „ჩულურეთის“ წარმომავლობის და მნიშვნელობის ასსნა-დადგენა. ვახუშტი თავის ნაშრომში „აღწერა...“ ჯვარეთის მხარეზე ლაპარაკისას ხსნის ტერმინ „ჩულურეთს“: „ამავწყილზედ არს ფოსო ანუ ჩულურეთი“⁶.

სიტყვა „ფოსო“ ვახუშტის თანადროულს დიდ ქართველ ლექსიკოლოგს საბას ასე აქვს განმარტებული: „ფოსე ფოსო, მცირე, ღალრმომბილი“⁷. მეორე ცნობილი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი „ფოსოს“ ასევე განმარტავს: „ფოსო, ფოსოვი მცირედ ღალრმავებული ადგილი“.

ჩულურეთი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან-„جوقر“ (ჩუკორ),

⁶ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 670.

⁷ სულხან საბა ღრმელიანი, თხზულებანი, ტ. 4/2, 1966, გვ. 197.

⁸ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961, გვ. 396.

جُوْخُورُ (بُوكُرُ), جُوْخُورُ (بُوكُرُ)— ḥəmə, təxəsə, ləmə, bərəmə, ərləmə, quləmə, ədələmə, ədələmə, ədələmə, ədələmə.

1826 წ. თებერვლის ერთ-ერთ საბუთში ჩულურეთის ეტიმოლოგია ასეა ახსნილი: „...ჩულურეთი არის თათრულს ენასა ზედა მცირე მამული, რომელშიც არმა ანუ სამმა გვარმა მიაფარონ თავისი თავი“⁹.

სიტყვა „ჩულურეთი“ არც ერთ ჩვენს ლექსიკოლოგს არა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. ჩეენდა საბედნიეროდ, იგი დღეს-დღეობით შემორჩენილია შიდა კახეთის სოფლების — გრემის, ენისელის, ალმატისა და შილდას დიალექტურ ლექსიკაში. აქ მცხვრები გლეხები ამბის თხრობისას ამბობენ ხოლმე: „შარშანა, აი იმ ჩულურში ხარი გადამეჩება“, ანდა „იმ ჩულურში ბევრი ზღმარტლია“ და სხვ. „ჩულური“ აქ დახვევებული მთის კალთის — ფერდის გამომხატველი ცნებაა. ასეთი მთის ფერდზე შეუენილია ბუჩქნარი, ანდა ტყე. ვახუშტი ბაგრატიონი ზუსტად ასეთი რელიეფით წარმოგვიღენს ჩულურეთს „თბილისის 1735 წ. გეგმაზე“.

ამ გეგმის მიხედვით, სოფ. ჩულურეთი ყოველი მხრიდან შემოზღუდულია ბუნებრივი საზღვრებით. მას სამი მხრიდან აკრავს ხევი, ხოლო დასავლეთის მხრიდან — მდინარე მტკვარი. ჩულურეთის ჩრ. და სამხრეთის საზღვრების ზუსტად დაღენაში გვეხმარება ორი საორიენტაციო პუნქტი — სოფლის სამხრეთი ხევის (ჩულურეთის) მარჯვენა მხარეს მდგარი სომხის საყდრის „სურბ-კარაპეტის“ (№ 61) და ჩრდილოეთი ხევის (დიდი ხევის) მარჯვენა მხარეს მდგარი კვირაცხოვლის ეკლესია (№ 63).

გეგმით სოფლის მოსახლეობა მოთავსებულია აღნიშნულ ხევებს შორის და განსახლებულია მდინარე მტკვრის ნაპირზე. ჩულურეთი ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს მასზე გამავალი „ავჭალის გზა“; ომელიც იწყება ქალაქის კარიდან (ისნიდან) და მიემართება მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირისაკენ.

ვახუშტის შემდეგ „ჩულურეთს“, თითქმის XVIII ს. დასასრულადე, კვედებით მხოლოდ 1765 წ. შედგენილ კათალიკოსის კუმათა ნუსხაში: „ქ. ჩულურეთელი მექურჭლე თომას“¹¹. გიულდენშტედტს საქართველოს რუკაზე (შედგენილია გერმანულად

⁹ Справошнительный словарь турецко-татарских наречий, составлен Лазарем, Будагом, Ст. 16., 1869.

¹⁰ სტათ., ფ. 2, აღწ., 1, № 1553, გვ. 71.

¹¹ სტათ., ფ. 1449, № 2331.

1772 წ.)¹² ქ. თბილისის გვერდით დატანილი აქვს სოფლები: კუკია, დიღომი, დიღუბე, ნავთლული, სონდალუხი, რაც შეეხება ჩულურეთს, მოგზაურს იგი არ აღუნიშნავს. რა არის ამის მიზეზი არ ვიცით. შეიძლება ლეკიანობაშ ისე შეათხელა მოსახლეობა, რომ მოგზაურმა საკიროდ არ ჩათვალა ასეთი პატარა პუნქტი რუკაზე დაეტანა. მკელევარი ქალაქის გარეუბნების განსახლების აღწერისას აღნიშნავს: „...მიდამო ქალაქის გარშემო, ისე როგორც მთელი საქართველო, მცირედ და უზადად გაშენებული და დასახლებული“¹³. შეიძლება გიულდენშტედტს რუკის შედგენისას უბრალოდ გამორჩა სოფელი ჩულურეთი. ამას იმიტომ ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია კუკის გვერდით ჩულურეთის პირწმინდად გაქრობა; ანდა შეიძლება მან ჩულურეთი თბილისის გარეუბნად მიიჩნია ქალაქთან სიახლოების გამო. მოგზაური მტკვრის მარცხენა მხარეს ასე აღწერს: „...მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის პირდაპირ, არის ბალები და ყანები“¹⁴. მოგზაური არა დაინტერესებული გაარკვიოს, რომელ დასახლებულ პუნქტს ეკუთვნის აღნიშნული ბალები და ყანები.

პიშჩევიჩის თბილისის 1785 წლის გეგმის¹⁵ (შედგენილია ფრანგულად) ექსპლიკაციაზე ჩულურეთი საერთოდ არა ჩანს. მის ტერიტორიაზე № 85-ით აღნიშნულია ქართული მონასტერი, ხოლ № 86-ით სომხური მონასტერი. სომხური მონასტრის ჩრდილოეთით ბალია გაშენებული. სხვა აღნიშნავა ამ ტერიტორიაზე არაა. ვფიქრობთ, რომ გეგმაზე დატანილი № 85-ით აღნიშნული მონასტერი უნდა იყოს კვირაცხოვლის ეკლესია, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ № 86-ით აღნიშნული სომხური მონასტერი უცნობია და სად უნდა მდგარიყო, ძნელი გასარკვევია. თუ ვივარაუდებთ, რომ პიშჩევიჩის შეცდომა მოუვიდა ქართული და სომხური მონასტრების გეგმაზე დატანისას და მის შეცდომას გავასწორებთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: ქართული მონასტერი (№ 85) არის კვირაცხოვლის ეკლესია, ხოლო სომხური მონასტერი (№ 86) იქნება ვახუშტის 1735 წ. თბილისის გეგმაზე დატანილი „ახალი სოფლის“ ეკლესია, რომელიც გაშენებულია მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

¹² ქ. გამ რეკალი, საქართველოს 1772 წლის რეკა, 1964.

¹³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, მ. გელაშვილის რედაქციით, ტ. 1, 1960, გვ. 89.

¹⁴ იქვე, ტ. 1, გვ. 93.

¹⁵ თბილისის 1785 წ, გეგმის და ექსპლიკაციის ხმარებისას ესარგებლობთ გამისა ბერძნიშვილის წიგნით — „თბილისის გარეგანი სახე მე-18 საუკუნეში“, თბ., 1965.

შეიძლება პიშჩევიჩმაც თავის გეგმაზე იმავე მიზეზით არ აღნიშნა ჩულურეთი, რა მიხეზითაც აუარა გვერდი გიულდენშტედტმა, კერძოდ, ჩულურეთის ტერიტორიის ათხელების გამო. 1800 წ. თბილისის გეგმაზე (შედგენილია რუსულად) ჩულურეთი დატანილია № 10-ით. გეგმაზე ჩულურეთს ასეთი წარწერა აქვს: „Урючище Чурукеты“. აქვე ჩულურეთის ტერიტორიაზე დატანილია მასზე გამავალი ავტალის გზა და მის აღმოსავლეთით მდებარე კეირაცხოვლის ეკლესია.

1800 წ. თბილისის გეგმის განხილვისას პროფ. შ. მესხია ამბობს, რომ „ამ დროს ასევე დაუსახლებელი იყო ჩულურეთიც“¹⁷. ამაში პატივცემულ მეცნიერს არ ვეთანხმებით, და თუ რატომ — უფრო ქვემოთ ვიტვით.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული თბილისის გეგმების მიხედვით ჩულურეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის გაჩენა უნდა ვივარაულოთ XVIII საუკუნეზე აღრეულ ხანაში. როგორც უკვე ვთქეით, 1707 წ. სიგელი, 1721 წ. აღწერის დავთარი, ვახუშტის 1735 წ. თბილისის გეგმაზე დატანილი მოსახლეობის აღმნიშვნელი უჯრედები მიგვანიშნებენ, რომ აღებულ პერიოდში სოფელი ჩულურეთი მცირდო და მრავალრიცხვოვანი დასახლებაა. შემდეგ იგი ნელ-ნელა კლებულობს ან სულ ქრება (გიულდენშტედტის საქართველოს 1772 წ. რუკა, პიშჩევიჩის 1785 წ. და 1800 წ. გეგმები).

ჩვენ არ ვიცით, რა ეწოდებოდა ვახუშტიზე აღრეული ხანის ჩულურეთს¹⁸ და რა სახის მეურნეობას მისდევდნენ მისი ბინადარნი (ქალაქისპირა სოფლები და უბნები არიან როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ხელოსნური).

ძნელი დასაჯერებელია, რომ შუასაუკუნეების ძლიერი და გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქის სანახები აუთვისებელი ყოფილიყო და „ჩულურეთი“, როგორც სოფლის ან უბნის დასახლება, არ გაჩენილიყო, ანდა არ ყოფილიყო ამის მცდელობა, მით უმეტეს, რომ საამისოდ არსებობდა ყოველგვარი პირობა: ქალაქის, როგორც ბაზრის, სიახლოვე, მის ტერიტორიაზე გამავალი, იმ დროისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა — „ავტალისა“, რომელიც თბილის (მეფის სასახლეს) „ქალაქის კარით“

16 ცГВИА. ფ. ВУА. დ. 22660.

17 შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 368.

18 შეიძლება ამ აღვილს ქველად ქართული სახელი ფოსვი ერქვა. ასეთი სახელწილდების სოფელი ხომ ბოლო დრომდე არსებობდა თბილისიდან არცუ-ისე მოშორებით, სოფ. გლდანსა და ჭვარს შორის (ვახუშტი).

(ისანის) აკავშირებდა ჩრდილოეთთან. „...გზა მცხეთიდან არაგვზე ხიდით მიღიოდა (შეიძლება ამის მოწმობა იყოს სოფელი ჭავჭავი, რომელიც სადღაც არაგვის მარცხენა მხარეზეა ნაგულისხმევი. შეიძლება ამ სოფლის სახელიც იმ ხიდთან იყოს დაკავშირებული...).“

ეს გზა მაშინ ასევე წარმოსადგენი: მცხეთა, არაგვი, ჭავჭავი, ჯვარი და აქედან ავჭალისაკენ“¹⁹.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას ემოწმება თბილისის 1800 წ. გეგმის ექსპლიკაცია: «Дорога в деревню Авчала а от оной у местечка Мцхет выходит на большую, в Россию идущую дорогу».

როგორც უკვე ოლენიშნეთ, „ავჭალის გზა“ ვახუშტისაც აქვს დატანილი თბილისის 1735 წ. გეგმაზე (№ 74). უნდა გავიხსენოთ, რომ იგი სათავეს იღებს „ქალაქის კართან“ და გატანილია ჩულურეთის ტერიტორიაზე. ავჭალის გზას ქვეყნისათვის პქონდა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სამხედრო-საფორტიფიკაციო მნიშვნელობა, იგი ქვეყნის ცენტრს აკავშირებდა პეტრიული გარებათან (კერძოდ ჩრდილოეთთან), სოფელს ქალაქთან, დამამზადებელს გამსალებელთან, გზა ხელს უწყობდა ჭარის სწრაფ ფორსირებას და სხვ.

ავჭალის გზის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იგი იწყება „ქალაქის კართან“ — ისანთან. გალავანში დატანებულ კარს ქალაქისათვის ისეთივე მნიშვნელობა პქონდა, როგორც ქვეყნისათვის — გზას. „ქალაქის კარიღიან“ იწყებოდა სატრანზიტო გზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასე რომ კარს ქალაქის გალავანს იმ მხრიდან ატანდნენ, საიდანაც წარმოებდა ინტენსიური მიმოსვლა და ვაჭრობა²⁰.

XII ს. დასასრულისათვის, XIII ს. დასაწყისში საქართველოს მეფის საჯდომი მტკვრის მარცხენა ნაპირია. თმარ მეფე იმყოფება „...საჯდომსა მათსა ციხესა ისანს...“²¹. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჩქეფს სიცოცხლე. სხვადასხვა საქონლით დატვირთული აურაცხელი ქარავანი თბილისში შედის „ქალაქის კარით“. გამარჯვებული მეღლე მტრისათვის წართმეულ ნადავლს მტკვრის მარცხენა ნაპირზე

19 ნ. ბერძენიშვილი, გზები ჩუსთაველის ეპოქის საქართველოში, 1966, გვ. 18.

20 Ш. Месхиა. Города и городской строи феодального Грузии XVII и XVIII вв. 1959, გვ. 401.

21 ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ჭავჭავიშვილის რედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 24.

„ქალაქის კარიდან“ გლობანამდე ფენს²², მეფე ჭვარს იწერს დიდუბის ეკლესიაში, ქორწილს იხდის დიდუბის სასახლეში²³: ძველი ჩუღურეთის ტერიტორიაზე გამავალი ავტალის გზა ინტენსიურად გამოიყენებოდა XII—XIII სს. ეს იქედანაც ჩანს, რომ სწორედ ამ გზის ახლოს (აღმოსავლეთით) 1940 წ. რიყის ქუჩაზე მიწის თხრისას აღმოჩნდა ქალალებინის დროინდელი მონეტების განძი (საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზატიკის განყ. ინვენ. № 4565—4804). იმავე წელს ამ ქუჩის გაგრძელებაზე, ხეთაგუროვის ქუჩაზე მიწის თხრისას აღმოჩნდა XIII ს. ორი ცალი მონლოლური მონეტა (საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზატიკის განყ. ინვენ. № № 4587—4588).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდუბეში მიმავალი გზა გატანილია „ჩუღურეთის“ ტერიტორიაზე მდებარე ორ ხევზე — „ჩუღურეთსა“ და „დიდხევზე“. საგულვებელია, რომ სწორედ ამ დროს გაჩენილიყო ჩუღურეთის ტერიტორიაზე სოფლური დასახლება, ანდა, შეიძლება, ამის მცდელობა იყო, მაგრამ ბედის უკულმართობამ ქართველი ხალხის ისტორიის წინსვლა ქურ შეაფერება, მერე კი წალმა დაატრიიალა. ჩუღურეთის სოფლად ჩამოყალიბება ჩანასახშივე მოსპო მოძალებულმა მტერმა — მონლოლებმა, თურქებმა, ყიზილბაშებმა. თბილისი დროის მცირე მონაკვეთში რამდენჯერმე იქნა დარბეული, გაძარცული და დანგრეული. ერთ ახლის გაეთებას და აშენებას კი არა, მტრისაგან მიყენებული იარების მოშუშებას უნდებოდა. მოძალებული მტრისაგან ბევრი საქარავნო გზა გავერანდა და დავიწყებას მიეცა. ვერც ავტალის გზა აცდა ამ ხევდრს, იგი ისე ინტენსიურად აღარ გამოიყენებოდა.

ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა. სახელმწიფო სათავადოებად დაიყო. თავადი თავის მამულში — სათავადოში გამოიყერა და მეფეს ნომინალურად ემორჩილებოდა. „ავტალის გზაზ“ ჩრდილოეთან კავშირის დამყარებაში პირველობა „დილმის გზას“ დაუთმო. „ავტალის გზა“ ადგილობრივ გზად იქცა, თუმცა იგი მთლიანად მაინც არ ჰქარებას თავის მნიშვნელობას.

XVII ს. დასაწყისში არაგვის გოროზი ერისთავი ნუგზარი, რომელსაც თბილისში, „...დაახლოებით იქ, სადაც პიონერების სასახლეა ან საქართველოს მუზეუმი...“²⁴, ედგა სასახლე, მდინარე მტკვარზე, ახ-

22 ბასილი ეჭოსმოდეა რი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თავარისი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხნიშვილის ჩედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 128.

23 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხნიშვილის ჩედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 47.

24 კ. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, ტ. 1, 1947, გვ. 133.

Лаңდელი ბარათაშვილის სახელობის ხიდის აღგილას, აგებს ქვითკირის ბურჯებზე შემდგარ „2 ან 3 მალიან“²⁵ ხიდს. 1850 წ. «Кавказский календарь»-ში (გვ. 399) ვხვდებით ცნობას მდინარე მტკვარზე ამ აღგილას ძველი ხიდის ბურჯების არსებობის შესახებ: «Башни от предполагавшегося когдато моста северной части Тифлиса, по преданию, они построены князьями Эриставами Арагвскими». აქ ხიდის არსებობაზე ასევე მოგვითხრობს მკვლევარი პლატონ იოსელიანი. მისი გადმოცემით, ხესნებულ ხიდს დიდხანს არ უარსებია;²⁶ ხიდის მოშლა-მორლევევის მიზეზი უცნობია. შეიძლება მისი ხის ნაწილი ადიდებულმა მდინარემ მოშალა, ანდა მტრის რომელიმე შემოსევის მსხვერპლი გახდა, ხოლო ქვის ბურჯები, როგორც გაზეთი «Кавказъ» მოგვითხრობს, აუფეთქებიათ 1909 წ., „მუხრანის ხიდის“ მშენებლობისას²⁷. საინტერესოა, რამ უკარახა გოროზ ფეოდალს მდინარე მტკვარზე ხიდის აგება. მკვლევარი კვეზერელი-კოპაძე, სარგებლობს რა ისტორიულს პლატონ იოსელიანის ცნობით, იმეორებს მის აზრს და წერს, რომ არაგვის ფეოდალმა ნუგზარმა, რათა სახიდე გადასახადი-საგან გაეთავისუფლებინა თავისი ქვეშევრდომები, თავისი ხარჯით ააგო თბილისის გარეუბანში ქვის საყრდენებზე განლაგებული ხის ხიდი: აღ-სანიშნავია, რომ ხიდის მშენებლობა, მისი აგება მეტად შრომატევადი და ძირიად ლირებული საქმე იყო. ხიდზე გადასვლისას მგზავრი იხდიდა საგანგებოდ დაწესებულ გადასახადს — სახიდურს, რომელსაც კრეფ-და ხიდის თავში მდგომი პირი. მცხეთის ხიდზე გადასვლისას ბაჟის აკრე-ფას მშვენივრად აღწერს იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“²⁸. „სა-ხიდურზე“ მოგვითხრობს გიულდენშტედტიც: მცხეთის ხიდის „...სარ-გებლობისათვის ერთი მცხეთელი აზნაური იღებდა ხიდის ბაჟსათ“²⁹; რაღაც ხიდის გადასახადი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ ითვლებოდა, უეჭველია, მისი ამგები ისეთ აღგილს ამოირჩევდა, საღაც მოსახ-ლეობა მრავლად იყო და მიმოსვლაც ინტენსიური იქნებოდა. ძნელი დასაჯერებელია პატივცემულ მკვლევართა — პლატონ იოსელიანისა და კვეზერელ-კოპაძის აზრი, ვითომდა არაგვის ერისთავების მტკვარზე ხი-დის აგებისას ამოქმედებდა მხოლოდ ქველმოქმედება და ჰუმანურობა.

25 ნ. კვეზერელი-კოპაძე, თბილისის ხიდები, 1961, გვ. 36.

26 11.1. Иоселиан и. Описание древностей города Тифлиса, 1866, გვ. 257.

27 «Кавказъ», 1909, გვ. 127.

28 ი თ ბ ე ბ ა ტ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, 1935, გვ. 61—62.

29 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. მ. გელაშვილის რედაქ-ციონით, ტ. 1, 1960, გვ. 59.

11. თ. ბერიძე

განა ხსენებულ ხიდზე მარტო არაგვის ერისთავის ყმა გლეხები დაღილდნენ? განა იმ ღროს თბილისის გარშემო დასახლებული სოფლები ალარ იყო? ეკვს გარეშეა, არაგვის ერისთავი მტკვარზე ხიდს მარტო თავისიანებისათვის არ ააგებდა. აღსანიშნავია, რომ ხიდის არსებობა დამოკიდებული იყო მის ინტენსიურ ექსპლოატაციაზე — გამოყენებაზე, რადგანაც ხიდის შეკეთება-აღდგენა ხიდზე გამავალი მგზავრებისაგან შემოსული თანხით ხდებოდა.

არაგვის ერისთავის მიერ აღნიშნულ ადგილას ხიდის აგება მიგვანიშნებს, რომ XVII ს. „ავჭალის გზა“ გამოცოცხლებას იწყებს და თავის ადგილს იყავებს ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. XVII ს. საქართველოში საქალაქო ცხოვრება ცოცხლდება — ხელახლა იწყება თბილისის დაცარიელებული უბნების გამოცოცხლება და დასახლება.

შესაძლოა, XVII ს. დასაწყისში ჩულურეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ხიდის აგებამ ბიძგი მისცა მისი ტერიტორიის ათვისებას და განსახლებას, ან, პირიქით, ნუგზარ ერისთავს აქ ხიდის აგება უკარნახა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლების: ჩულურეთის, კუკის, დიღუბის, ავჭალის, გლდანის ხელახალმა განაშენიანებამ და ეკონომიკურად მომზღვავრებამ. ხიდის აღნიშნულ ადგილზე აგებისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც — თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქის გაღავანში დატანიებული კარი.

თბილისის ზღუდეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩრდილოეთიდან, დატანიებული ჰქონდა სამი კარი: „კოუორის“, „დილმისა“ და „ქვემო“, ანუ „წყლისა“. „კოუორის“ (კოჭრის) კარით შემოდიოდა სამხრეთ-დასავლეთიდან მოსული მგზავრი, „დილმისას“ უფრო ჩრდილოეთიდან ეძალებოდა მგზავრი, ხოლო მისგან ცოტა მოშორებით, აღმოსავლეთით, მტკვრის ახლოს მდებარე „ქვემო“ კარი ძირითადად ემსახურებოდა გარეთუბნელებს და, ალბათ, ავჭალის გზით მოსულ ქალაქისპირა სოფლელებსა და ჩრდილოეთელ მგზავრებსაც.

XIX ს., როცა ჩულურეთი და ძველი კუკია თბილის შემოუერთეს, ძველი „ავჭალის გზის“ ნაწილს, მდინარე მტკვართან სიახლოვის გამო, „რიყის ქუჩა“ (აწინდელი ხეთაგუროვის ქუჩა) ეწოდა.

ჩულურეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით, გაღიოდა მეორე გზა — „ზემო გზა“. იგი გატანილი იყო „ავჭალის გზის“ პარალელურად, დაახლოებით იქ, სადაც დღეს რკინიგზა გადის. „ზემო

გზა” მიემართებოდა სოფელ ავლაბრიდან და სადღაც დიდუბესთან თუ ავჭალასთან უერთდებოდა „ავჭალის გზას“. ძირითადად ამ გზით სარგებლობდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან წამოსულნი.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ჩულურეთის ტერიტორიაზე დღესდღეობით შემორჩენილია სამი ეკლესია: „კვირაცხოვლის“, „წმ. ნიკოლოზის“ ქართული ეკლესიები და „ლვთისმშობლის“ სომხური ეკლესია.

ამათგან უველაზე აღრეული — „კვირაცხოვლის“ ეკლესია მღებარეობს ჩულურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდხევის მარცხნა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შემაღლებულ აღგილზე (დღეს მას დაყარგული აქვს ეკლესის სახე, იგი გადაკეთებულია საცხოვრებელ შენობად).

რა ხნისაა კვირაცხოვლის ეკლესია, არ ვიცით, იგი ქართველ გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონს დატანილი აქვს № 63-ით „თბილის 1735 წ. გეგმაზე“. ეკლესის მიმდებარე ვორასამლოცველობი: ყევნის, კვირიკობის³⁰ (სამგორის ზღვის ჩრდილოეთით და დასავლეთით), გვაფიქრებინებს, რომ კვირაცხოვლის ეკლესია უფრო აღრინდელი უნდა იყოს. შეიძლება იგი ააგეს ლვთაება კვირის ძველი საკულტო ნიშის აღგილას.

საგულებელია, რომ დროთა ცვლაში წარმართთა ლვთაება კვირიად ქრისტიანულ რელიგიაში კვირაცხოვლის სახელი მიიღო. «Расположенная в селении Тчалисопелии Тчартальского ущелья Мтиулети христианская церковь с окружающим ее небольшим участком земли у мтиулов почиталась под названием Квирацховелис хати в качестве святынища божества Квирила.»³¹

მლოცველთა შეგნებაში წარმართთა კვირიას და ქრისტიანთა ეკლესიას „კვირაცხოველს“ ერთი და იგივე ფუნქციის შესრულება ევალებოდათ. ეს სალოცავები განაგენდნენ ამქვეყნიურ საქმეებს. ამაზე მეტყველებენ კვირიას ეპითეტები: ხელთმოურავი, კარავიანი. მას ეკუთვნოდა ცოდვა-მადლის განკითხვა, წულიანობა, მოსავლიანობა, განაყოფიერება³² და სხვ. თვით სახელი „კვირაცხოველი“ უნდა იყოს კომპოზიტი „კვირიასა“ და „ცხოველისაგან“ ნაწარმოები. „ცხოველი“ — ცოცხალი, ე. ი. კვირია — ლვთაება სი-

30 Подробная карта окрестностей г. Тифлиса, 1868 г.

31 В. Бардавелидзе, Древнейшее религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1959, гл. 13.

32 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო ჩ ბ ე ლ ი ა ნ ი, ტ. 4/2; ლ. ჭ ი ლ ა ჭ ვ ი ლ ი, ნაჭალაქირი ურბნისი, 1964, გვ. 13.

ცოცხლისა და ნაყოფიერებისა. შეიძლება ძველად, ქართველი ხალ-
ხის წარმართობის დროს, დღევანდელი კვირაცხოვლის ეკლესის
ადგალზე იდგა წარმართი კვირიას კარავი (შეად. ეპითეტი: კარა-
ვან).

ამა, რაც შეეხება კვირიასა და ყენის კავშირს. ივანე ჭავახიშ-
ვილი. ეხება რა ზემო სვანეთში საყველიერო დღესასწაულთან — მუ-
რავან-ბასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევებს და მათ შორის „კვი-
რიას“, დასკვნის, რომ სვანეთში დაცული ამ ჩვევებით შეიძლება მეტ-
ნაკლებად ყენობის პირველყოფადობის დადგენა³³. დროთა სვლამ და-
ამახინ წულიანობისა და ნაყოფიერების მთავარი ღვთაების — კვირიას
დღესასწაულის პირვანდელი სახე. იგი თბილისურ, საერთოდ ქართულ,
ყოფაში შემონახულია ყენობის სახით. რადგან „კვირია“ და „ყენი“,
მიუხედავად მათი სახელების წარმოშობის დროის სხვადასხვაობისა,
იდენტური არიან (ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში ყენობა ბევრი
რამორ ჰგავდა „კვირიას“ წეს-ჩვევას)³⁴, ამდენად, ჩვენი აზრით, ზე-
მოთ ნახსენები „ყენის გორა“ კვირაცხოვლის ეკლესიასთან გენეტი-
კურ კავშირში უნდა იყოს. კვირაცხოვლის ეკლესია, როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, გარაუდის სახით პიშჩევიჩის თავის 1785 წ. თბილისის გეგ-
მაზე № 85-ით უნდა ჰქონდეს დატანილი. 1800 წ. თბილისის გეგმაზე № 11-ით კვირაცხოვლის ეკლესია ნანგრევების სახითაა დატანილი, გეგ-
მის ექსპლიკაციაში ვკითხულობთ: «Разоренная грузинская церковь
святого апостола Фомы». ეს უსათუოდ აღა მაპმაღებანის თბილისზე
1795 წ. გამანადგურებელი შემოსევის ნამუსრევია. ხევს, რომლის პი-
რასაც კვირაცხოვლის ეკლესია დგას, გეგმის ექსპლიკაციაში ეწოდე-
ბა «Цховели хеви». ეს სახელი ეკლესიის სახელიდან უნდა იყოს ნა-
წარმოვბი. კვირა ცხოველი-კვირაცხოვლის ეკლესია XIX ს. 80-იან
წლებშიც არ ყოფილა აღდგენილი. მის შესახებ 1884 წ. თბილისის
გეგმის ექსპლიკაციაში აღნიშნულია: «Св. Георгия (строящаяся цер-
ковь на Красной горке)»³⁵.

ქართველები კვირაცხოვლობას დღესასწაულობდნენ აღდგო-
მის სტორს. საქართველოში კვირაცხოვლობას — წმინდა თომას
დღეს ბურთის თამაში იყო მიღებული. ეკლესიაში წირვის შემდეგ
ორ ჭავულად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის

33 ი. გ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნაწ. 1, გვ. 72.

34 გ. წერეთელი, ყენობა, გაზ. „ველი“, № 6, 1893, გვ. 8, 10.

35 ქართველი სამოსახლის სამართლის მიერ გადასახლის ეკლესიაში აღნიშნულია: «Св. Георгия (строящаяся церковь на Красной горке)»³⁵.

ალექსაში. თამაშში მონაწილეთა ჩრდენით, რომელი ჯგუფიც გამარჯვებდა და აიღებდა ბურთს, მთელი წლის განმავლობაში უხევი ჰირნახული ექნებოდა. ზოგჯერ ბურთს გლეჯდნენ ამდენიმე ნაკრად (იმდენად მაგიური მნიშვნელობა ეძლეოდა ბურთს), ნაგლეჯის პატრონი დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს მთელი წელიწადი არ მოაკლდებოდა სიუხვე და ბარაქა.

კვირაცხოვლის გორას (წითელი გორა) Красная горка ეწოდება ამ დღეს აქ წითელი კვერცხების დაგორების ჩვეულების გამო. დილაადრიან კვირაცხოვლის გორაზე მლოცველები ანჩისატის ეკლესიიდან მოასვენებდნენ ხატს, რომელზეც ხალხი ლოცულობდა. ლოცვა-წირვის დამთავრების შედეგ იმართებოდა სახალხო დღესასწაული — სანახაობანი, ჭირითი, ცეკვა-თამაში და ლხინი³⁶.

ჩუღურეთის მეორე ქართული ეკლესია — „წმ. ნიკოლოზი“ დგას მტკვრის ნაპირას. იგი სამნაცვანი-გუმბათიანი ეკლესიაა. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღგილის მინიშნებისას უზუსტობას უშევებს უ. ბერიძე, რომელიც წერს: „მის გვერდით (სამების ეკლესის, თ. ბ.) შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ წმ. ნიკოლოზის ეკლესია კუკიაში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მარქსის ხიდის მახლობლად“³⁷, შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ეკლესია 1859 წ. აუგიათ დეკანოზ იოანე იმნაძის თაოსნობით, უფრო აღრინდელი, 1815 წ. აშენებული, ეკლესიის ადგილას“³⁸.

„Ведомость о церкви“, რომელიც ინახება ეკლესიის მოძღვრის შოშიაშვილის ოჯაში, გვაწვდის ცნობას ეკლესიის ხელმეორედ აგების შესახებ. ამ ცნობის მიხედვით ეკლესია აგებულია 1856 წ. ეკლესიის შემოსავლითა და მრევლისაგან შემოწირული სახსრებით; ეკლესიის სამხრეთ სკეტში დატანილ მარმარილოს ფილაზე დაწერილი ეპიტაფია გვაუწეუბს ეკლესიის აღმშენებლის ვინაობას: „ეს არს განსასუმნებელი ჩუღნი ამას დავემკვიდრენით მარჯვნივ მხარეს ღუთაების ხატის წინ განისუმნებენ გუამნი, ამა ეკლესიის აღმშენებლის უწმინდესის სინოდის კანტორის ჩლენის დეკანოზის იოანე პეტრეს ძის იმნაძისა გარდაცვალებულისა 1872 წ-სა მარტის 4-სა შობიდგან 84-ის წ-სა და მეულლისა მისისა მაგ-

³⁶ П. Иоселiani. დასახულებელი ნაშრ.მი, გვ. 262.

³⁷ 3. ბერიძე, თბილისის ხეროვნობრება, 1801—1917 წწ. გ. 2, 1963, გვ. 29.

³⁸ იქვე, გვ. 29.

დანელ მაკარის ასულისა გარდაცვალებულისა 1876 წ.-სა სეკლემბრის 30-ს შობიდან 66-ის წლისა».

1901—1904 წწ. მრევლილან შეგროვილი სახსრებით, საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით ეკლესია გაფართოვდა, მას მიემატა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები. მშენებლობას მოთავეობდა ეკლესის მოძღვარი სოლომონ შოშიაშვილი. მშენებლობა დაჭდა 4.000 მანეთი. მოძღვარ შოშიაშვილის მოწვევით 1901—1902 წწ. მხარევარ გიგო ზაზიაშვილმა ეკლესია მოხატა თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ფრესკებით, აგრეთვე აღადგინა ძველი მხატვრობა³⁹. შოშიაშვილისავე თაოსნობით ეკლესისათან XIX ს. 80—90-იან წწ. დაარსდა ქართული სამრევლო სასწავლებელი, სადაც თვითონვე ასწავლიდა. ალსანიშნავია, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ ქართველ მოძღვაწეთა შორის, რომლებმაც ქართულ ეკლესისათან დააახსეს სამრევლო სასწავლებლები. მოძღვარ შოშიაშვილთან (რომელიც წმ. ნიკოლოზის ეკლესის ეზოში ცხოვრიდა). როგორც ქართველი ერის მესვეურთან და გულშემატკივართან. ხშირად დადიოდნენ დიდი ილია, სოფრომ მგალობლიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ზაქარია კიკინაძე.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1832 წ. ერთ-ერთი საბუთო იუცვევა, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესის აღგილზე აღრეც მღვარა ეკლესია, რომელიც ან დაინგრა, ან ითან იმნაძემ გააფართოვა, ან და ძველის აღგილზე აიგო ახალი ეკლესია. მოხსენიებულ საბუთში არის ვინე პოდპორუჩიკ ნაკაშიძის თხოვნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილისადმი: «В городе Тифлис по левому сторону реки Куры между веревошным мостом и церковью с-ю Николая (в Чугуретах) имеется пустопорожнее место пространством с берегом реки Куры на 100 квадратных саженей...» ნაკაშიძე მოითხოვს, ნება მიეცეს აღნიშნულ აღგილზე «Постоялый двор»-ის, ანდა «Гостиный»-ის აგებისა, მას ამ თხოვნაზე უარი ეთქვა, რადგანაც ჩულურეთის ტერიტორია ამ დროისათვის ჯერ კიდევ ას იყო აზომილი და დაგეგმარებული⁴⁰. დამოწმებული საბუთი საინტერესოა იმით, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესია⁴¹ მოხსენიებულია ჩულურეთში⁴² უფრო აღრე, ვიდრე იხსენიება «Ведомости о церкви».

³⁹ თ. ბ ე რ ი ჭ ე, გვმართებს მეტი პატივისცემა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, გვ. № 69.

⁴⁰ სცსია. ფ. 209, აღწ. № 411, გვ. 2.

⁴¹ აღნიშნული საბუთი, გვ. 3, 5.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: როდესაც საქართველოს ეგზარქოსი თავის მოხსენებით ბარათში ჩამოთვლის თბილისა და მის გარეუბნებში არსებულ ცყელა მართლმადიდებლურ ეკლესიას,⁴² არ იხსენიებს ჩულურეთში მდებარე წმ. ნიკოლოზის ეკლესის, როგორცა ჩანს, გამორჩენია. ზემოთ ნახსენებ საბუთში გხვდებით საინტრიქსო ცნობას: ჩულურეთი მტკვრის მარჯვენა ნაპირთან დაკავშირებული ყოფილა დროებით «ვერივოშნება» ხიდით, შეიძლება ეს იყო დაკიდებული — ბონდის ხიდი.

ეიხარევის მიერ კუკიისა და ჩულურეთის 1825 წ. შედგენილ გავმაზე⁴³ დღევანდელ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღგილზე დატანილია ეკლესიის იმპნიშვნელი ჯვარი. ეკლესიას გალავანი აკრავს, რომელსაც საცხოვრებელი ნაგებობები გაუყვება.

ლეონ მელიქშეთ-ბეგმა 1904 წ. დ. კარიქაშვილის კატალოგში მიაკვლია ნაშრომს — „მონასტრები და ეკლესიები ტფილისა და მის მიღამოებში“ (დაწერილია 1837 წ.). აღნიშნულ გამოკელევაში ვხვდებით ჩევნთვის საინტრეჩესო მონაკვეთს — „ჩულურეთში (წმ. ნიკოლოზის) ჯვარის გამოჩენისა. ავლაბრისავე ჩულურეთსა შინა არის ეკლესია ჯვარის გამოჩენისა, 7-სა დღესა ზედა მაისისა თვისასა უგუმბათო სიონური პატარა, ქვით-კირისა, რომელიცა აღმშენა ერთა ქრისტეანეთაგან მღვდელობითა აწ გარდაცუალებულისა პეტრე იმნაძისათა ძველად მყოფსა საძირკველსა ზედა წელსა 1812-სა და არის ამას შინა ერთი მღვდელი“⁴⁴. ეს ცნობა მეტად საინტრეჩესოა ჯერ ერთი იმით, რომ წმ. ნიკოლოზის (ჯვრის გამოჩენის) ეკლესია 1812 წ. აუგიათ ძველი ეკლესიის აღგილას. ე. ი. ჩულურეთში (ჩულურში) მდგარა საყდარი, რომელიც უნდა აეგოთ აღმათ XVII—XVIII სს. მეორეც ის, რომ ეკლესიის აღმშენებელია პეტრე იმნაძე, მამა იოანე იმნაძისა, რომელმაც მამის მიერ აგებული ტაძარი ან განაახლა ანდა მის აღგილას 1856 წ. ააგო ახალი ეკლესია. როგორცა ჩანს, იმნაძეები ძველი ჩულურეთელები არიან. აღსანიშნავია, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში დღესაც სახლობენ ძველი იმნაძეების ნაშიერები.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე მოგვითხრობს თბილისის ისტორიის მკვლევარი პლატონ იოსელიანი: «Церковь в предместьи Тифлиса Кута-

42 სცხია, ფ. 209, აღწ. 1, № 294, გვ. 45.

43 ე. ი. ა. ს ა ლ ი ს ე თ - ბ ე გ ი, მასალები ტფილისის და „სამხეთის“ სის ეკლესია ისტ-თეის, „ჩევნი მეცნიერება“, 1918—1923, № 1, გვ. 86.

44 ლეონ მელიქშეთ-ბეგმა, მასალები ტფილისის და „სამხეთის“ სის ეკლესია ისტ-თეის, „ჩევნი მეცნიერება“, 1918—1923, № 1, გვ. 86.

Киц во имя явления св. креста построенная в 1815 году и освященная Экзархом Грузии Митрополитом Варламом, для населения тамошнего в Куке, после переселения из опустевшей деревни Дицубе между двумя нынешними немецкими колониями, Недавно на развалинах этой церкви построена другая с куполом и освящена во имя св. Николая Чудотворца.⁴⁵ მკვლევარი ეკლესიის ადგილის მინიშნებისას უშვებს უზუსტობას, იოსელიანისეული კუკიის „წმ. ნიკოლოზის“ ეკლესია, უჭველია, არის ჩუღურეთის „წმ. ნიკოლოზის“ ეკლესია.⁴⁶ „წმ. ნიკოლოზის“ ეკლესიის კუკიის ტერიტორიაზე მოთავსება გამოწვეულია, იმით რომ XIX ს. 40—50-იან წწ. ქალაქისა და მისი გარეუბნების გეგმებზე დატანისას ნიკოლოზის ქუჩა, რომელიც იწყებოდა კუკიაში და ჩუღურეთის „ტერიტორიაზე გადმოდიოდა (დღევანდელი კალინინის ქუჩა და ხეთაგუროვის ქუჩის ნაწილი), წმ. ნიკოლოზის ეკლესიას ცოტათი შორდებოდა სამხრეთის მიმართულებით, ამიტომაც ქალაქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ კვარტალებად დანაწილებისას გეგმის შემდგენლებს ოდითგანვე სოფ. ჩუღურეთის ტერიტორიაზე მდებარე საყდარი შეტანილი აქვთ სოფ. კუკიის ტერიტორიაში, შემდეგში ამ უნებურ შეცდომას თითქმის ყველა მკვლევარი იმეორებს.

ჩუღურეთში მდებარე მესამე ეკლესია „ღვთისშობლის“ სომხური ეკლესია. იგი იდგა მექოთნეთა და პანასევიჩის ქუჩებს შორის (აწინდელი მ. თოიძისა და ნ. ჩხეიძის ქუჩები). ეკლესია აგებული უნდა იყოს XIX ს. პირველ მეოთხედში. მისი აგების ზუსტი თარიღი არ ვიცით. აღნიშნულ ეკლესიას ვნედებით 1831 წ. 16 დეკემბერს შედგენილ საბუთში № 22-ით, სომხურ ეკლესიათა სიაში⁴⁷. იგივე ეკლესია დატანილია თბილისის 1825 წ. გეგმაზე⁴⁸.

ქ. თბილისი და მისი სანახები სოფლებითა და გარეუბნებით ოდითგანვე მეფის კუთვნილებაა⁴⁹. ჩვენ უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, თუ რა მნიშვნელობა პქონდა ქალაქის ეკონომიკურ და პოლი-

45 П.И. Иоселиани, Опис. древ. г. Тифлиса, 1866, гл. 86.

46 როგორც ჩანს, მკვლევარი ვ. ბერიძე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე საუბრისას, სარგებლობს პლ. იოსელიანის მოუკანილი ცნობით. იხ. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

47 სცია, ფ. 209, აღწ. I, № 294, გვ. 3.

48 ТГВИА. ф. ВУА. д. 19821.

49 ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, ტ. 2, 1965, გვ. 188.

ტიკურ ცხოვრებაში ქალაქისპირა სოფლებს. გამუდმებულმა ომებმა და ამით გამოწვეულმა მოსახლეობის გამეჩერებაშ სახელმწიფოს არსებობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ გახადა იმიგრაციის საკითხი. იმიგრაციასა და რეპატრიაციას ქვეყნის აღორძინებასა და სამეურნეო ცხოვრების აღდგენაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ქართულ სამართალში.

ვფიქრობთ, სწორედ ამ მოტივით, ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიკური პოლიტიკით ხელმძღვანელობდა მეფე ერეკლე მეორე, როცა ქალაქისპირა, თავისი კუთვნილი მამული — სოფელი ჩულურეთი თავად ამატებს უბოძა 1795 წ. დეკემბერში. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია 1829 წ. 29 მარტის ერთი საბუთი, მართალია, დოკუმენტი გვიანი ხანისაა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და ნათელს ფენს საქართველოს სახელმწიფო ისტორიის უკანასკნელ პერიოდს, ესაა სახაზინო ექსპედიციის მოხსენება საქართველოს მთავარმართებლი-სადმი. ამ მოხსენებაში ვკითხულობთ: «Казенная Экспедиция, по рассмотрении шести делопроизводств, доставленных из Тифлисского уезда, Экспедиции Исполнительной и Экспедиции Суда и Расправы, находит: в письмах Царя Ираклия от 15 ноября 1795 года значится между прочим, что он по просьбе Князя Георгия Аматуни о деревне удостоверяет, что ее пожалует и еще безнаследственныя Татарския в Тифлисе имения, сад и лавки, а в другом от 23 декабря 1795 года царь Ираклий написал: Нашу Государственную деревню Чугуреты с принадлежащими местами и крестьянами детям Саркис-Ага, Карапету и Георгию пожаловали на вечное владение и ныне повелеваем Эгиш-Ага-баше⁵⁰ Томазу Орбельянову опу деревню отдать в вечное владение.»⁵¹ თვით წყალობის სიგელს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიყოთ და ამდენად აღნიშნულ საბუთს პირველი წყაროს მნიშვნელობა ეძლევა სოფელ ჩულურეთის ისტორიისათვის.

50 ეშიკალა-ბაში საპლიციო აპარატს ედგა სათვეში. ეშიკალა-ბაში თერქელი სიტკვაა და მისი სახელი ქართულ სამოხელეო წყობილებაში პირველად XVII ს. 20-იან წლებში შემოვიდა როსტომის მეფობის დროს. იგი აღასრულებდა მეფის ამა თუ იმ ბრძანებას. მის უფლებებში შედიოდა კლებთა აურა ან დასახლება, გაცემა ან წართმევა.

ეშიკალა-ბაში თამაზ თხბელიანი ის თხბელიანია, რომლის შესახებაც აღექ-სანდრე ბატონიშვილი აღა-მამად-ხანის შემოსუების შემდეგ დაჩრდან დედოფალს წერს: „თამაზ ეშიკალა-ბაში მეტად ცდილობს ქალაქის აშენებას და კარგადაც იჩრდება“.

51 სცხია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 112—113.

မოტာნილი საბუთით ირკვევა, რომ ერეკლე მეორემ გიორგი ამა-
ტუნს მისივე თხოვნით უბოძა ჩეფის კუთვნილი მამული, სოფელი ჩუ-
ლურეთი. აგრეთვე ირკვევა, რომ წყალობა გაცემულია 1795 წ. 23 დე-
კემბერს. ეპეს გარეშეა, აღა-მამად-ხანი ქალაქ თბილისისა და მისი
მიდამოების დარბევისას ჩულურეთსაც გაანადგურებდა და მოშლიდა.
შეიძლება ამ მძიმე მდგომარეობით ისარგებლა თავადმა ამატუნმა და
მეფეს სოფელი ჩულურეთი გამოსთხოვა. ასე თუ ისე, ფაქტი რჩება
ფაქტად: 1795 წ. 23 დეკემბრიდან სოფელ ჩულურეთის მფლობელი
ხდება თავადი ამატუნი. იგი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა თავისი უფ-
ლების გასამტკიცებლად ახალ მამულზე დაესახლებინა თავისი ყმა გლე-
ხები. ამის გარდა მორანილ საბუთში ხომ სწერია, რომ ერეკლე მეფემ
მას სოფელთან ერთად გლეხებიც უბოძა: «...Деревнио Чугуреты
с принадлежащими местами и Крестьянами.»

XVIII ს. ბოლოს მეფის კუთვნილი დომების სოფ. ჩულურეთის
სათავადო მამულად გადაქცევა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ობიექ-
ტები პირობების გამო XV—XVI სს. დაწყებული საქართველოს
სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაცია ვრძელდებოდა. სოფ.
ჩულურეთის თავად ამატუნის მფლობელობაში გადასულა, როგორც
ნაწყალობევი მამულისა, ნიშნავდა მეფის ხელისუფლების დასუს-
ტებას და თავადის გაძლიერებას.

როცა ვიხილავდით თბილისის 1800 წ. გეგმას, არ გავიზიარეთ
პროფესორ შ. მესხიას აზრი, ეითომდა ჩულურეთი იმ დროს (ე. ი.
1800 წლისათვის) დაუსახლებელი ყოფილიყო.

გეგმაზე დატნილია «Урочище Чугуреты», სიტყვა «Урочище»
ცინობილ რუს ლექსიკოლოგს დალს აქვს განმარტებული: «Урочище
всякий природный знак, мера, естественный межевой признак,
как: речка, гора, овраг, грифка, лес и пр.»⁵² დ. უშავოვის რედაქ-
ციით გამოსულ ლექსიკონში ამ სიტყვის ასეთ ახსნას ვკითხულობთ:
«Урочище» а. ср. 1) Естественная граница, природная межа (нап.:
река, лес, гора, овраг и т. п.).

2) Участок, местность, отличающийся от окружающей каким
либо естественным признаком напр. лес среди поля, болото и
т. п.»⁵³

52 Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. IV, 1909, 33. 1062.

53 Толковый словарь русского языка, под ред. проф. Д. Ушакова, М., 1940.

ვფიქრობთ, 1800 წ. გეგმის შემდგენლის მიერ ჩუღურეთის მოხსენიება „Урючишце“-დ გამოწვეულია ადგილის რელიეფის — ხევნარის გამო. ჩუღურეთი ხომ მართლაც ბუნებრივ სამანს წარმოადგენდა თავისი სამი ხევით და მდინარე მტკვრით, რომლებიც მას გამოყოფდნენ მომიჯნავე ტერიტორიისაგან. რუსი მკვლევარები და მოგზაურები მერეც, მომდევნო ხანშიც, ხშირად მოიხსენიებდნენ თბილისის გარეუბნებს — ავლაბარს, ჩუღურეთს, კუკიას, დილუბეს „Урючишце“. მართალია გეგმაზე ჩუღურეთში არა დასახლების აღმნიშვნელი ნიშანი, მაგრამ აქ გასახსენებელია, რომ მეფე ერეკლე II-მ 1795 წ. დეკემბერში სოფელი ჩუღურეთი გლეხებითურთ უბოძა ამატუნს. მამული მწარმოებელი და საწარმოო ძალების გარეშე არაფერი ბედენაა. დავუშვათ, რომ მეფემ თავადს უბოძა ცარიელი მამული, მაგრამ ძნელი დასახერებელია, რაც 1795 წლიდან 1800 წლამდე ამატუნმა, თავადმა, ახალ მამულში არ დასახლა თავისი ყმა გლეხები, ანდა ემიგრანტები — რეპატრიიანტები. ამას ხომ ყოველნაირად უწყობდა ხელს მეფის ხელისუფლების კანონი. ჩუღურეთი რომ დაუსახლებელი და მატერიალურად არამომწებიანი ყოფილიყო, მეფე გიორგი X 11-ის მეულე მარიამ ჯელოფურლი აღარ შეეცილებოდა გიორგი ამატუნს⁵⁴.

მარიამ დედოფალმა სოფელი ჩუღურეთი უ-ირაცა მეფე გიორგი X 11-ის გარდაცვალების (1800 წ. 28 დეკემბერი) შემდეგ, როცა მეფის მრავალრიცხვოვანი ოჯახის წევრები ერთმანეთს ეცილებოდნენ სამეფო ტახტის დაკავებაში, მამულების მიტაცებაში და სხვ. დედოფალმა მარიამმა ისაჩიგებლა გიორგი ამატუნის რუსეთში ყოფნით და მისი მამული — სოფელი ჩუღურეთი მისაკუთრა⁵⁵ როგორც მეფის კუთხვილი ძველი მამული. დიდი დავა ატყდა ჭერ ამ ცილობის, ხოლო შემდეგ ამატუნის მიერ სოფელ ჩუღურეთის მომიჯნავე სოფლების — კუკიას, დილუბისა და აელაბრის — მიწების მიტაცების მცდელობისათვის.

საქართველოში რუსული მმართველობის დაარსებისთანავე, 1802 წელს გიორგი ამატუნმა სარჩელი აღძრა სოფელ ჩუღურეთზე. მან, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანს, თავის სარჩელს თან დაურთო ერეკლე მეფის წყალობის სიგელიც. სამო-

⁵⁴ K. K. 1847, გვ. 158. K. K. 1865. გვ. 62.

⁵⁵ სცხია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 23.

⁵⁶ სცხია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 44.

ქალაქო ექსპედიციაშ განიხილა წარმოდგენილი საბუთები და სოფელი ჩულურეთი ამატუნს დაუმტკიცა. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულომ დაამტკიცა სამოქალაქო ექსპედიციის გადაწყვეტილება⁵⁷.

1804 წ. 20 დეკემბერს საქართველოს უმაღლესი მთავრობამ სახაზინო ექსპედიციის წარდგენით ხელახლა დაამტკიცა ჩულურეთი ამატუნის მფლობელობაში⁵⁸. მაგრამ ამატუნი ამას არ დასჯერდა და პრეტენზია განაცხადა ჩულურეთის მომიჯნავე სოფლების — ძელი კუკის, დიდუბისა და ავლაბრის კუთვნილ მიწებზეც, რომელიც სოფელ ჩულურეთის ფარგლებში არასოდეს არ შემოდიოდა. 1807 წ. 17 დეკემბერს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალ-ფელდ-მარშალმა გრაფმა გუდოვიჩმა კვლავ დაამტკიცა 1804 წ. 20 დეკემბერის დადგენილება. დადგენილების სისრულეში მოყვანის მიზნით, საქმე გადაეცა აღმასრულებელ ექსპედიციას; მან თავის მხრივ საქმე გადასცა გუბერნიის მიწისმზომელს ვიატკინს, რომელსაც უნდა დაემზადებინა ჩულურეთის გეგმა. ექსპედიციები და უმაღლესი მთავრობა ამატუნის საქმის განხილვისა და დადგენილების გამოტანისას საფუძვლად იღებდნენ მთავარმართებელ ციციანოვის მრჩევლის სუმბათაშვილისა და ეშიკ-ალა-ბაშ თამაზ ორბელიანის ჩვენებას⁵⁹; ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალო მონაწილეობას იღებდა ერკელე II-ის ბრძანების თანახმად ამატუნისათვის სოფელ ჩულურეთის ბოძების საქმეში. რასაკირველია, ყველაზე უკეთ სწორედ მას ეცოდინებოდა, თუ რა საზღვრები ეკავა ჩულურეთს და ვინ სახლობდა მის ტერიტორიაზე. მაგალითად: ერთი საბუთის მიხედვით 1809 წ. ჩულურეთში, დიდუბელი გლეხების გარდა, სახლობენ განჯელები და სხვა კუთხის სახაზინო გლეხები⁶⁰.

ერკელე მეფის ეშიკ-ალა-ბაშის, თამაზ ორბელიანის ჩვენების თანახმად სოფელ ჩულურეთის ტერიტორია შემოიფარგლებოდა ასე: ჩრდილოეთიდან მას ზღუდავდა თელის წყაროს ხევი (ცოდვიანის ხევი, კვირაცხოვლის ხევი, დიდი ხევი. თ. ბ.), რომელიც იწყებოდა ილვიანის ტბასთან (ტბამ ეს სახელი მიიღო მის მიდამოებში გავრცელებული მცენარის — ილღუნის-იალღუნის-სამასრე ტირიფის გამო. თ. ბ.) და ეშვებოდა მტკვრამდე; სამხრეთით შემოიზღუდებოდა ისევ ხევით (ჩულურეთის, სურბ-კარაპეტას, კიბალჩიჩის,

57 სცია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 18—20.

58 სცია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 213.

59 სცია, ფ. 2, აღწ. 1, № 213, გვ. 18.

60 სცია, ფ. 2, აღწ. 1, № 213.

თ. ბ.), რომელიც სათავეს იღებდა მახათას მთასთან და ეშვებოდა მტკრამდე; დასაცლეთიდან შემოიზღუდებოდა მდინარე მტკრით, ხოლო აღმოსაცლეთით — ხევით, რომელიც მოემართებოდა ავლაპ-რიდან და უერთდებოდა თელის წყაროს ხევს.

ამატუნს აეკრძალა ამ საზღვრების იქეთ მდებარე მიწებიდან ლალის აღება. მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა, პრეტენზიას აცხადებდა მასზე და აქ დასახლებული გლეხებისაგან მიწის გადა-სახადს თხოულობდა.

ჩრდილოეთის საზღვრის აღნიშვნისას ყურადღება უნდა მიექ-ცეს ერთ გარემოებას: ილვიანის ტბასთან მდებარეობდა თელი-წყარო და მისგან კარგად მოშორებით, სამხრეთისაკენ თელიანთ ხე-ვი. თელისწყარო დიდუბის ტერიტორიაზე იყო (1848 წ. გეგმა). ერთი შეხედვით სახელწოდებათა ერთნაირობა (თელიანთ ხევი: თელისწყარო) ხელს აძლევდა ამატუნს. რუსმა მოხელეებმა, რომ-ლებიც ამ საქმეს იძიებდნენ, ქართული ენა არ იცოდნენ და იშვე-ლიებდნენ თარჯიმნებს, ისინი კი ხშირად არასწორად უთარგმნიდნენ, ურევდნენ ამ ორ დასახლებას ერთმანეთში, რაც თავისთავად დიდ არეულობას ქმნიდა სოფელ ჩულურეთის ჩრდილოეთი მიწის დაღ-გენაში. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა. რომ ერთი ექსპედიციის დაღვენილება ინსტანციიდან ინსტანციაში გადადიოდა, საქმე იჩ-ლივეოდა ხან ამატუნის ხელახალი სარჩელით, ხან კიდევ ჩულურე-თის ფარგლებს გარეთ მცხოვრები გლეხების სარჩელით, რომ-ლებსაც ამატუნი ავიწროვებდა ლალის აღებით.

1817 წ. გიორგი ამატუნის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემ-კვიდრეებმა ისევ ატეხეს დავა ჩულურეთის საზღვრების გამო. 1827 წ. ბოლოს სამხედრო გუბერნატორის სიპიაგინის მმართველო-ბის დროს გამოყოფილმა სამიჯნო ექსპედიციამ ალადგინა და დაად-გინა ჩულურეთის ზუსტი საზღვრები. 1829 წ. 29 მარტს სახაზინო ექსპედიციამ ჩულურეთის შესახებ თავისი მოხსენება და გადაწყვე-ტილება წარუდგინა საქართველოს მთავარმართებელს გენერალ პას-კევიჩს. სახაზინო ექსპედიციის კომისიას ამ მოხსენებაში შეჯამებუ-ლი ჰქონდა თავისი წინამორბედი კომისიებისა და ექსპედიციების დაღვენილებები და დასკვნები, რის საფუძველზეც თავად ამატუნის მამული, სოფელი ჩულურეთი შემოიფარგლა მისი ბუნებრივი და არსებული ძეველი საზღვრებით. დადგინდა, რომ ჩულურეთი მოი-ცავს: 49 დესეტინა და 1040 საუენ სასარგებლო მიწას და 3 დესე-ტინა და 200 საუენ გამოუსადეგარ მიწას. ჩულურეთის მიწაზე სახ-

ლობს 104 კომლი მოსახლე, აქედან: 12 — საეკლესიო, 44 — სა-
ხელმწიფო და 48 — სათავადო და სააზნაურო გლეხი.

ეს აქტი უზენაესმა სენატმა დაამტკიცა 1836 წ. 4 მაისს.

მართალია, რუსეთთან შეერთებით საქართველომ დაკარგა თავი-
სი სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებელი სახე, მაგრამ არსებითად
ამ აქტის პროგრესულობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქარ-
თველმა ხალხმა ფიზიკურად შეინარჩუნა თავი, რაც აუცილებე-
ლი და ესოდენ საჭირო იყო ეროვნული კულტურისა და ეკონომიკუ-
რი ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის.

სულ მცირე მშვიდობიანი შესვენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა,
რათა თბილის გაერლვია თავისი საუკუნოვანი ზღუდე და მდინარე
მტკვრის აღმა, ორივე ნაპირზე განევრცო თავისი ტერიტორია და
ფარგლები.

თავდაპირელად ქალაქმა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. გა-
რეთუბნის ტერიტორიაზე დაიწყო განაშენიანება. ამას ხელს უწყობ-
და ის, რომ აქ გადიოდა რუსეთისაკენ მიმავალი გზა, — გზა ხომ
ჩველაზე დიდი ფაქტორია განსახლება-განაშენიანების საქმეში.

უკვე XIX ს. 20-ანი წლების დასაწყისში დღის წესრიგში დადგა
ქალაქისპირა სოფლების — ჩულურეთის, კუკიისა და ხარფუხის ქა-
ლაქთა შეერთების საკითხი.

1823 წ. მოწყო თბილისისპირა სოფლების კამერალური აღწე-
რა. ამ აღწერის შედეგად გაირკვა, რომ ჩულურეთის ტერიტორიაზე
სახლობდნენ როგორც მიწათმოქმედი ყმა გლეხები, ასევე სხვადასხ-
ვა ხელობის ხელოსაწინი.

1823 წლისათვის საქართველოს სტატისტიკური აღწერის მი-
ხედვით ჩულურეთში სახლობს: სახაზინო 44, საეკლესიო 12, და სა-
ბატონო 57, სულ 113 კომლი ყმა გლეხი. მამრობითი სქესის ყმა
გლეხი შეაღგენდა სახაზინო 97, საეკლესიო 20 და საბატონო 206,
სულ — 323 სული⁶¹. საზოგადოდ, ამ დროს სოფ ჩულურეთში სახ-
ლობდა 601 სული მოსახლე⁶². სოფელ ჩულურეთის ტერიტორიაზე
სახნავ-სათესად გამოიყენებოდა 5.000, ხოლო გამოუსადეგარი იყო
500 დღიური მიწის ფართობი. აღწერის შედეგადვე გამოირკვა, რომ
ჩულურეთში იყო: ათი აგურის ქარხანა, ოთხი სამეთუნეო ქარხანა,
რეა სამღებრო, სამი სამჭედლო, ერთი საპნის ქარხანა, ერთი სადა-
ლაქო, ორი ღუქანი, ორი გაჭის ქარხანა, ერთი თორჩნე.

61 Статистическое описание Грузии, ЦГВИА, ф. ВУА, д. 18481, გვ. 47.

62 დასახელებული დოკუმენტი, გვ. 63.

დიდუბის მიწაზე ჩულურეთლებს ეკუთვნოდათ ცხრამეტი ბალი⁶³. ამგვარად, ჩულურეთი ყოფილა როგორც სასოფლო-სამურნეო, ასევე ხელოსნური მეურნეობის უბანი.

20-იან წლებში სოფელი ჩულურეთი და კუკია ისე შეერწყენ ქ. თბილისი, რომ აღგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო ეს სოფლები ქალაქისათვის მიერთებულად გამოეცხადებინა.

ამიერიდან ჩულურეთი და კუკია საერობო პოლიციის მეურვეობიდან გადადიან თბილისის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მიუხედავად ჩულურეთის თბილისთან შემოერთებისა, მისი მცხოვრებლები ისევ სოფლებად იწოდებოდნენ და იბეგრებოდნენ საბატონო ბეგარით⁶⁴.

ქალაქთან ჩულურეთის ტერიტორიული შეერთების მიუხედავად მისი კეთილმოწყობის, აზომვა-დაგეგმარების საქმეში კარგა ხანს არაფერი გაკეთებულა. საქართველოს მთავარმართებლების ხშირ-ხშირი ცვლა ხელს უწყობდა იმ ქაოსს, რომელიც გამეფებული იყო აღგილობრივი მართვის აპარატში. აღგილობრივი და, საერთოდ, მეფის რუსეთის ხელისუფლება იმ ღროს დაინტერესებული იყო კავკასიის მთიანეთის ამბებით (კავკასია ჭერ კიდევ მთლიანად არ იყო დაპყრობილი) და სამოქალაქო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

63 სცია, ფ. 254, აღწ. 1, № 608, გვ. 283—284.

ჩულურეთის ტერიტორიის აღწერის მიხედვით, აქ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ქარხნები ყოფილა. მოხსენიებული ქარხნები, ცხადია არ უნდა წარმოედგინოთ ამ ტერმინის დღევანდველი გაებით: იმდროინდელი ქარხანა იყო პატარა სახელოსნო, სადაც მუშაობდა ორი—სამი, ან ცოტა მეტი ხელოსნი მკერლევარი. ვ. ჯაოშვილი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა საქართველოში კერაიკული წარმოების ისტორიას, ტერმინ „ქარხნის“ წარმომავლობის ისტორიის ასწილას არასწორად განმარტება მის ეტომოლოგიას. პატივუებული მეცნიერებარი წერს „...ჩანს ქარხანა წარმოშობილია ტერმინ „ქურხანიდან“ (ვ. ჯაოშ ვ ი ღ ა, კერაიკიული მრეწველობა საქართველოში, 1957, გვ. 48).

„ქარხანა“ ზოგადი შინაარსის სიტყვაა. იგი საარსელი წარმოშობისაა და წარმოადგენს ორი სიტყვის ნაზავას, კარ (ქარ)—საქმიანობა და ცაჯა (ხანი) — სახლი, ე. ი. სახლი. შენობა, სადაც რაღაც საქმიანობას ეწევიან. ასე რომ, „ქარხნის წარმოშობას „ქარხანასთან“ საერთო არა აქვს რა. კურპლის გამოსაწვავ სახელოსნოს ერქვა ქუზიხანე ცაჯა კუზ ჟ. კუზ (დოქები — ჟ. კუზ) ივ. ჯავახიშვილი ლ 9, ქალაქი, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქ-ში XVII — XVIII სასრ. უფრ. „პრომეთე“ 1918, № 1, გვ. 57.

64 სცია, ფ. 16, აღწ. 1, № 3123.

1827 წ. 29 ივნისს დაარსდა კომიტეტი, რომელსაც ეკისრებოდა თბილისის კეთილმოწყობა.

კომიტეტს თავმჯდომარეობდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი. იგი შედგებოდა საგუბერნიო პროკურორის, თბილისის პოლიციელის განახლებისა და განსახილველად იკრიბებოდა კერძაში ორჯერ — ხუთშაბათობით და შაბათობით, ხოლო ორ კვირაში ერთხელ უნდა წარედგინა მემორიალი სამხედრო გუბერნატორისათვის. იგი თავის სამუშაოს წარმართავდა წინასწარ შემუშავებული შვიდი მუხლისაგან შემდგარი დღის წესრიგით. მას უნდა აეზომა და გეგმაზე დაეტანა ყველა დაუსახლებელი სახაზინო მიწის ნაკვეთი. იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი მოითხოვდა სახაზინო მიწის ნაკვეთის გამოყოფას, კომიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა, შემდგომში აღნიშნულ აღგილზე ხომ არ აშენდებოდა სახელმწიფო დაწესებულება; უნდა განეხილა გეგმები და პროექტები, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მშენებლობათა სამოქალაქო უწყებანი; გამოეძებნა სახსრები იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც აპარატებინა მიწის ნაკვეთის შექენას, მიექცია ყურადღება ძველი შენობების შეკეთებისათვის; დროის დაუკარგავად გამოეძებნა ქალაქის შუაგულში მდებარე სასაკლაოსათვის ახალი ადგილი და სხვ⁶⁵.

XIX ს. დასაწყისში ჩულურეთში მეტწილად მიწური სადგომები და ერთსართულიანი ბანიანი სახლები იყო, ნაშენი ყოველგვარი გეგმისა და პროექტების გარეშე, უსისტემოდ. იმ დროს ასე თუ ისე ჭურის სახე ჰქონდა ძეველი აეკალის გზას (შემდგომში რიყის ჭურის სახელით ცნობილი), რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გატანილი იყო ჩულურეთის ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით, ჩულურეთის კეთილმოწყობას ესაჭიროებოდა კონკრეტული ლონისძიებანი.

1827 წ. ოქტომბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორი სიპიაგინი ქ. თბილისის მომწყობ კომიტეტს მითითებას აძლევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალაქთან ახლად შემოერთებული კუყისა და ჩულურეთის კეთილმოწყობის საქმეს: უნდა შემდგარიყო აღნიშნული უბნების გეგმა, სასტიკად იკრძალებოდა ამ ტერიტორიაზე მშენებლობა მთავრობის ნებადაურთველად და გეგმაზე დაუტანებლად; უნდა დაგეგმარებულიყო ჭურის მითითების თანახმად, თუ ჭურის გატანას ხელს შეუშლიდა რომელიმე ძველი ნაგებობა, ის უნდა აელოთ და ა. შ.⁶⁶

65 სცია, ფ. 209, აღწ. 1, № 321, გვ. 2—3.

66 სცია, ფ. 209, აღწ. 1, № 5, გვ. 1.

ჩულურეთისა და კუკის ტერიტორიის ახალი ქუჩებისა და კვარტლების (თუ ასეთი რამ იყო) გეგმაზე დატანა დაევალა კომიტეტის წევრს ინჟინერ-პოდპორუჩიკ ლაზარევს, მაგრამ, სამწუხა-როდ, ეს საქმე ხელიდან ხელში გადადიოდა: ლაზარევის შემდეგ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ანიჩკოვი (1831 წ.), რომელმაც, თვის მხრივ, ამ დავალების შესრულება გადააძარა სოკოლოვანოვს.

ეპეს გარეშეა, რომ საქმის შემსრულებელთა ასეთი ხშირი ცვლა კარგ შედეგს ვერ გამოიღებდა. საქმე ფერხდებოდა და ჩულურეთს ისეთივე გარეგანი სახე ჰქონდა, როგორიც საუკუნის დასაწყისში.

იმ დროს თბილისის მარჯვენა ნაწილი მარცხენას უკავშირდებოდა ავლაბრის ხიდით. ნორმალურ მიმოსვლას დაბრკოლებას უქმნიდა ჩულურეთის ხევნარი, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფ-ლებამ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია საკომუნიკაციო სა-კითხს, გზებისა და ხიდების მშენებლობას.

1827 წ. 26 დეკემბერს სამოქალაქო გუბერნატორის მითითე-ბით იწყება ჩულურეთის ხიდის მშენებლობა ავლაბრის მხარეს. ხიდის მშენებლობაზე დახარჯული სააღმშენებლო მასალა, გარდა ქვისა, შეძენილი იქნა ქალაქის ხარჯით⁶⁷.

რასაკირველია, ხიდებისა და გზების მშენებლობაზე ადგი-ლობრივი ხელისუფლების ასეთი დიდი ყურადღება განპირობებუ-ლი იყო პირველ რიგში სამხედრო საქმეებით. მეფის რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში — კავკასიის მთიანეთში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

თბილისის პოლიცეისტერის 1831 წ. 11 დეკემბრის მოხსენებაში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისაღმი მოკემუ-ლია სია თბილისის ხიდებისა. თბილისში რვა ხიდია, აქედან ერთი ჩუ-ლურეთში. „Чугуретский (ხიდი, — т.д.) из Тифлисии к горцам в Пшав-Хевсуретию“⁶⁸. აქვე ვხვდებით მეტად საინტერესო ცნობას: «Ведомость о количестве мостов кои нужно устроить: 1. Через реку Куру из нескольких сводов близ Мухранских городских ворот, по уважению тому, чтобы сблизить соединение деревен-Куки и Чугуреты с городом присоединенных по тракту через Тифлис и горским народом»⁶⁹.

ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს XVII ს. არაგვის ერისთავის მიერ

67 სცსია, ფ. 16, აღწ., 1, № 3519, გვ. 1.

68 სცსია, ფ. 16, აღწ., 1, № 4459, გვ. 22—25.

69 სცსია, ფ. 16, აღწ. 1, № 4459, გვ. 22—23.

ნეკვარზე აგებული რამდენიმე მალიანი ხიდის აღდგენის მცდელობასთან. ზემოთ მოყვანილ საბუთში აღვილი ისე ზუსტად არის. გინიშნებული, რომ მის სარწმუნოებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ხელისუფლებას ხიდის აშენება უნდოლა როგორც კუკიის ჩულურეთთან კავშირისათვის, ასევე კავკასიის მთიელებთან კონტაქტის. დასამყარებლად, — ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში უფრო აინტერესუებდა.

ქალაქის მომწყობმა კომიტეტმა ჩულურეთის კეთილმოწყობისათვის ბევრი ვერაფერი გააკეთა. თბილისის 1850 წ. გეგმით ჩულურეთში ამ დროს შენობები უგეგმოდაა განლაგებული⁷⁰.

კავკასიის მეფისნაცვლის სახელო პირველად მიიღო გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა (1845—1854), იგი ახალი თანამდებობის შესასრულებლად თბილისში ჩამოვიდა 1845 წ. გაზაფხულზე.

მეფისნაცვალ ვორონცოვს კავკასიაში აღგილობრივი ხალხის მიმართ იგივე რუსიფიკატორული მიზნები ამოძრავებდა, რაც მის წინამორბედ მეფის რუსეთის მოხელეებს, ოლონდ, მათგან განსხვავებით. იგი ამ მიზნების მისაღწევად სხვა ხერხსა და პოლიტიკას ხმარობდა, უფრო მეტ მოქნილობასა და მანევრირებას იჩენდა: მის დროს იწყება ქ. თბილისის გაცხოველებული ინტენსიური საქალაქო მშენებლობა; ქალაქიდან იდევნება (ყოველ შემთხვევაში ამისი მცდელობა) ეროვნული, ქართული და მის აღგილს იკავებს ეკრაპული წეს-ჩვევები. მის დროს იწყება რუსების ინტენსიური ჩამოსახლება საქართველოში⁷¹.

¶ 1845 წ. 7 ნოემბერს მეფისნაცვალმა ქალაქის გარეუბნებში— ჩულურეთში, კუკიაში, ავლაბარსა და ნავთლულში სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარებისათვის დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელიც აღნისხავდა აღნიშნულ გარეუბნებში მდებარე სახლების მდგომარეობას, დაიტანდა ქუჩებს, ქუჩათა გეგმებს, თუ კი ასეთი რამ არსებობდა და ამ უბნებში მიწის ნაკვეთების მფლობელთა უფლებებს.⁷² ।

XIX ს. 20-იან წწ. აგებული ჩულურეთის ხის ხიდი დროთა განმავლობაში დაბა და დაზიანდა, მასზე გავლა ფეხით მოსიარულეთათვისაც კი საშიში შეიქნა⁷³. დაიწყო ქვის საყრდენებზე ახალი ხიდის მშენებლობა⁷⁴.

⁷⁰ Қазказский Календарь, 1850.

⁷¹ К. К. за 1916 г., отд. статистическое, გვ. 92.

⁷² სცსია, ფ. 205, აღწ. 1, № 305, გვ. 2.

⁷³ სცსია, ფ. 205, აღწ. № 701, გვ. 8.

⁷⁴ სცსია, ფ. 205, აღწ. 1, № 344, გვ. 6:

1845 წლის 3 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტ რეუტს დაევა-
ლა ქალაქის გარეუბნების-ჩუღურეთის, კუკიის, ავლაბრისა და
ნავთლულის საზღვრების დადგენა და გამიჯვნა. ამ მიზნით, 1847 წ.
დეკემბერში შეიქმნა ახალი განსაკუთრებული კომისია რეუტის
თავმჯდომარეობით⁷⁵.

თანდათანობით სოფელი ჩუღურეთი, რომელიც 40-იან წწ.
თბილისის გარეუბნად იხსენიებოდა, კარგავს ამ ზედსახელს და ქა-
ლაქის განუყოფელი ნაწილი ხდება, სამუდამოდ შორდება გარე-
უბნის ეპითეტი. თითქმის 50—60-იან წლებამდე ჩუღურეთის და-
გაგმარება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. შართალია, აյ ნელ-ნე-
ლა ჩნდება ქუჩები, მაგრამ ისინი მაინც ვერ პასუხობენ გაშინდელ
ქალაქის მოთხოვნილებებს და ნორმებს.

1847 წ. თბილისის სამ საპოლიციო უბანში 58 ქუჩაა, აქედან
მესამე საპოლიციო უბანში, რომელშიც შედიოდა ჩუღურეთი, კე-
კია და ავლაბარი, იყო 7 ქუჩა. ⁷⁶ აღვილი წარმოსალებრივია, თუ რა
წილი ედებოდა ამ ქუჩათა რაოდენობაში ჩუღურეთს. ჩუღურეთში
დღეს აზებულმა ქუჩების უმეტესმა ნაწილმა თავისი აწინდელი
სახე დაახლოებით 60-იან წლებში მიიღო. ამიტომ უნდა ვიღიქმოთ,
რომ შემდეგდროინდელ ქუჩებს სახელწოლებანი მეტწილად უნდა
შეჩრქმეოდა მათზე ადრე მობინადრეთა საქმიანობის მიხედვით,
როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე. 50—60-იან წწ. და უფრო გვი-
ანაც ჩუღურეთში მრავლად იყო დაუსახლებელი მიწის ნაკვეთე-
ბი — სამოსახლოები. მაგალითად, 60-იან წლებში მექონიკეთა ქუ-
ჩაზე სამოსახლოს ყიდულობენ: კაპანაძეები, ბერიძეები, ულრო
გვიან — მაკა თოიძე, გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თო-
იძის დედა და ბევრი სხვა.

ჩუღურეთისა და კუკიის თიხნარი ნიადაგი, რომელიც სამეოუ-
ნეო მეურნეობის ერთ-ერთი წყაროა. ველარ გამოიყენება ამ საქმი-
ანობისათვის, რაღგანაც მოსახლეობა იყავებს ამ ადგილებს. თბი-
ლისში იწყება თიხის „შიმშილი“. ხელოსნები ეძებენ თიხის მოსა-
ჭრელად ახალ-ახალ ადგილებს — კარიერებს. 1847 წ. 11 მარტს
თბილისის მეთუნეები მეფისნაცვალ ვორონცოვს მიმართავენ თხო-
ვნით მტკვრის პირას, გერმანელთა კოლონიის მახლობლად, თიხის მოქმედის ნებართვის თაობაზე.⁷⁷ მაგრამ მტკვრის პირას მდებარე
თიხას იქ მოსახლე გერმანელები თავიანთი პირადი საჭიროებისა-

75 სცია, ფ. 205, აღწ. 1, № 695, გვ. 13—14.

76 ქაკაცკის კალენდარი, 1847.

თვის ჰუდონენ, გარდა ამისა, ეს ადგილები გამოყენებული ჰქონდათ ვენახისა და ბალების გასაშენებლად.

გარეუბნის მომწყობი კომისიის წევრმა, მიწის მზომელმა ფედოროვმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მიწის ნაკვეთის გამოყოლა თბილისის მეთუნებისათვის, აღნიშნულ კომისიას მოახსენა, რომ ობილის მეჭურჭლეებს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო. მიწის ნაკვეთი თიხის მოსაპრელად გამოყოთ ახალ კუკიაზე. ხელოსნებს თვითეული კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთში უნდა გადაეხადათ 40 კაბ. ვერცხლით.

მეთუნები, ისე როგორც სხვა სახის ხელოსნები, გაერთიანებული იყვნენ ამქარში. საინტერესოა მეჭურჭლეთა ამ კორპორაციის უსტაბაშის მოხსენებითი ბარათი გარეუბნის მომწყობი კომისიის თავმჯდომარის გენერალ-ლეიტენანტ რეუტისადმი: «Мастеров всего нас будет 40 здмюов и ремесло нашелся города очень нужное. Ваше превосходительство признаем смелость изъяснить, что как город существует ни какой царь не воспрешал нам заниматься этим ремеслом да и сам город не может обойтись без того...»⁷⁷ შემდეგ ლაპარაკია თიხის მოჭრის უფლებებზე და სხვ. რადგანაც ამქრის უსტაბაშმა გიორგი წოვანოვმა წერა არ იცოდა, მის თხოვნას ხელს აწერენ ლსრატები: გიორგი ხეროდინოვი და სოლომონ ბაირამოვი. ამჭრის სახელით ხელს აწერს ლსტატი გიორგი ხეროდინოვი⁷⁸.

მართალია, ეს დოკუმენტი კერძოდ ჩუღურეთს არ ეხება, მაგრამ მასში ასახულია ქალაქის მეჭურჭლეების ზოგადი სურათი. სახელდობრ, თუ როგორ ავიწროვებს და უტევს მათ ახალი ცხოვერება — ახალი ყოფა.

თბილისში 50-იანი წლების ბოლოს ვხვდებით 5 სამეთუნეო ქარხანას, რომელიც იძლეოდა 3.000 მანეთის პროდუქციას. აქ დამზადებული ნაწარმი ხმარდებოდა თბილისის ბაზრის მოთხოვნილებებს⁷⁹. ღუნკელ-ველინგის მიხედვით 60-იანი წლების დასაწყისშე ქარხანათა რაოდენობა იგივეა, ოლონდ გამოშევებული პროდუქციის ღირებულება კლებულობს 1 000 მანეთით, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა იმ კონკურენციის შედეგი, რომელსაც თიხის ნაწარმს საილენდის კურპელი უწევდა. მისივე ცნობით, უკვე 60-იან წლებში

77 სცია, ფ. 210, აღწ. 1, № 94, გვ. 17.

78 სცია, ფ. 210, აღწ. 1, № 94, გვ. 17.

79 სცია, ფ. 210, აღწ. 1, 94, გვ. 17.

80 სცია, ფ. 5, აღწ. 6, № 447, გვ. 54.

თბილისის ბაზარზე სხვადასხვა ნაწარმთან ერთად დიდი რაოდენობით შემოდის სპილენძის, პროლის, მინის და ქაშანურის კურპელი⁸¹. სპილენძის კურპელის ქარხანა წელიწადში უშვებდა 45.000 მანეთის პროდუქციას, ხოლო ქალაქის 5 სამეთუნეო ქარხნის პროდუქციის ლირებულება წელიწადში 2.000 მანეთს არ აღმატებოდა⁸². მართალია, გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ჩულურეთში არის სამეთუნეო ქურები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი უმეტესი ნაწილი ან უქმდება, ან არადა მათი გამოშვებული ნაწარმი მეტისმეტად უმნიშვნელოა და ქალაქის ბაზარზე მცირე რაოდენობით გადის. 1885 წ. შედგა თბილისის უძრავი ქონების აღწერის დოკუმენტური დავთარი. წიგნში მოტანილი სამეთუნეო ქარხნების უმეტესი ნაწილი ჩულურეთზე მოდის⁸³. კურპელის ქარხანა ჰქონდათ იაკობ გუკასოვს, კარაპეტა ეგანოვს, დიმიტრი ჯანაშვილს.

ალნიშნული წიგნის მიხედვით ჩულურეთის ტერიტორიის ნაწილი ეკატერინეს ქუჩამდე (ამჟამინდელი სვერდლოვსკის ქუჩა) შედიოდა მე-8 საპოლიციო უბანში, ხოლო აქედან მოყოლებული მიეკუთვნებოდა მე-9 საპოლიციო უბანს, რომელიც კუკიასაც მოიყვა.

დოკუმენტის მიხედვით, მექოთნეთა ქუჩა და მექოთნეთა ქუჩის შესახევევი შეტანილია მე-8 საპოლიციო უბანში⁸⁴.

მთავრობა კრძალავდა ქალაქში საცხოვრებელი სახლების ახლოს გამოსაწვავი ქურების მოწყობას, ხოლო უკვე არსებულის ადგილას შენდებოდა სახლები. როგორც ჩულურეთის ძველი მცხოვრებლები — სოფიო დარიელაშვილი, ზაქარია და ოლა ბერიძეები და სტეფანე ჩუგუნიძე გადმოგვცემენ. XIX ს. მიწურულს ამ უბანში, მექოთნეთა ქუჩის ზემოთ, დოქის ქუჩაზე, სახლობდა მექურპლე ორქოდაშვილი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისშიაც ამზადებდა თიხის ქურკელს — კოკებსა და დოკებს.

დღეს ჩულურეთში მეთუნეობის ხელოსნობაზე მეტყველებს შემორჩენილი მიქროტოპონიმიკა — ქუჩების სახელები. ძველი

81 Н. Дункель-Велики, Стат. опис. г. Тифлиса, отд. III, გვ. 53, К. К. 1865.

82 იქვე, გვ. 58—59.

83 Документальная книга наимуществ по описаннию 1885 г.: 8 участок, отд. I и 9 участок, отд. I.

84 Называние улиц г. Тифлиса по алфавиту А до О. Гос. арх. Грузии, ф. 192, оп. 6, дело № 1920, გვ. 3.

ქუჩების საბელებიდან ზოგი ცხოვრების წინსელას შეეწირა, ზოგიც ადამიანთა დაუდევრობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ზოგმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა თავისი მყოფადობა. დროს თავისი მიპქონდა. თიხის კურპელზე მოთხოვნა ნელნელა კლებულობდა, რაც, თავსთავად ცხადია, გავლენას იქონიებდა მის საწარმოთა და მწარბიერებულთა ძალასა და რაოდენობაზე. თუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ. 1852 წლისათვის თბილისში 40 ოჯახი მექურპლეა, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების 1903 წ. უწყისის მიხედვით ამ დროს ქალაქში არს 6 სამეთუნეო „ქარხანა“, რომლებშიც დაკავებულია 10 მუშა ხელოსანი⁸⁵.

XIX ს. 60-იან წლებამდე ჩულურეთში ხელოსნური მეურნეობის გვერდით კვლავ არსებობს სოფლის მეურნეობაც. ილევიანის ტბის დასავლეთ მხარეზე მდებარე ჩულურეთის კუთვნილი ტერიტორია გამოიყენებოდა სახავ-სათესად და საძოვრად. XIX ს. 50-იან წლებში ზოგი ჩულურეთელიც მისდევდა სოფლის მეურნეობას და ამჟავებდა მიწას.⁸⁶

ჩულურეთი ტერიტორიულად დიდი არაა და მასზე მდებარე ქუჩაა რაოდენობაც შესაბამისია. ზოგი ქუჩის სახელის ეტიმოლოგია არ მოითხოვს დაღვენას. მათ სახელში ჩაქსოვილი შინაარსი გამოხატავს და ხსნის მის ისტორიას (მაგალითად: მექოთნეთა, კოკის, დოქის, ჩულურეთის, არსენალის, რიყის) და მათი წარმომავლობა ეკვეგარება. მაგრამ არის ქუჩათა სახელები, როგორთა რაობა და წარმომავლობაც საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, — ასეთებია, ზარბაზნის, დიდხევის, საპნის, სანთლის, კრასნოგორსკაიას ქუჩების ეტიმოლოგია.

რაც ძველია ქალაქი, მით უფრო ძველი და ხანდაზმულია მისი ქუჩათა სახელებიც. მათში შერწყმულია ქალაქის ისტორიის ესა თუ ის ეპიზოდი თუ მომენტი. ქალაქს ამშვენებს არა მარტო კარგი გარევნობა, არჭიტეტურული სახე, არამედ ქუჩათა შინაარსიანი სახელებიც... უნდა ვიცოდეთ, რატომ პქვია ამა თუ იმ ქუჩას ესა თუ ის სახელი, რა მნიშვნელობა აქვს მას ქალაქის ისტორიისათვის. ქალაქის ისტორიული და ეთნოგრაფიული წარსულის ალდგენა-შეცნობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ძველი ქუჩებისა და უბნების სახელწოდებათა ეტიმოლოგიის დადგენა-შესწავლა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX ს. ქ. თბილისში ინტენსიური

85 საქია, ფ. 192, აღწ. 6, № 273, გვ. 23—24.

86 საქია, ფ. 192, აღწ. 9, № 1429, გვ. 190, ქ. 1847, გვ. 159.

განაშენიანება დაიწყო მტკვრის მაჩვენა მხარეს, ჩრდილოეთისა-კენ. ძველი გარეუბნის ტერიტორიაზე აშენდა აღმინისტრაციული და სამხედრო დანიშნულების სახლები და ნაგებობანი. ამჟამინდე-ლი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის დასავლეთით მდებარე-ობდა არსენალი, ხოლო აწინდელი სასტუმრო „ინტურისტის“ წინ კი მოწყობილი იყო სამხედრო პლაცი — მოედანი. 1845 წ. 22 დეკემბერს მეფისნაცვალმა კორონცოვმა ბრძანება გასცა საქარ-თველოს ოლქის საარტილერიო გარნიზონის უფროსის სახელზე, რომ პირველი იანვრიდან, ე. ი. 1846 წლიდან, არსენალის მოედნა-დან ყოველდღე — შუადღის ალსანიშნავად — ერთჯერ გაესრო-ლათ ზარბაზანი⁸⁷. ცოტა მოვიანებით არსენალმა და საერთოდ სამხედრო უწყებებმა და ყაზარმებმა მტკვრის მაჩვენა ნაპირიდან გადაინაცვლეს მარცხენა ნაპირზე, კერძოდ, ჩულურეთის აღმოსავ-ლეთით მდებარე გორაზე, რომელსაც შემდეგში ეწოდა არსენალის გორა. აღნიშნული „საათი-ზარბაზანი“ დაიდგა ჩულურეთის ტე-რიტორიაზე, არსენალის გორის მახლობლად, საღაულოებით დღეს ზარბაზნის ქეჩაა. და, აი, აქედან ყოველდღე, დღის 12 სა-ათზე, თბილისელთ ზარბაზნის გასრულით ეუწყებოდათ შუადღის მოახლება. ეს ტრადიცია მოიშალა რევოლუციის შემდეგ.

ცნობილია, რომ თბილისელნი სასმელ წყლად იუენებლენ მდინარე მტკვარს. წყლისმიზანავებს — მეთულუხებებს ეზო-ეზო დაქვრცდათ მტკვრის წყალი კოებით, რუმბებით და კასრებით. შაგრამ მტკარზე ჩასელა და წყლის აღება არცოთ ისე იოლი საჭმე იყო და ნებისმიერ ადგილას ამას ვერ გააკეთებდით. ამიტომ წყლის მომარაგების უკეთ მოწყობის მიზნით 60-იან წლებში სამხედრო უწყებამ ჩულურეთში მტკვრის ნაპირის მახლობლად, წმ. ნიკოლო-ზის ეკლესიის გვერდით, დადგა წყალსაქაჩი (...Водоподъемное зда-ние...)⁸⁸. წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა და ამ წყალსაქაჩის⁸⁹ შე-ნობებს შორის გაკეთდა მდინარეზე ჩასასვლელი ვიწრო ბილიკი — გზა წყლის მზიდავებისათვის. აღნიშნული წყალსაქაჩი გათვალის-წინებული იყო არსენალის გორაზე მდებარე სამხედრო ნაწილის

87 არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. 10, № 9, გვ. 9.

88 სცია, ფ. 192, აღწ. 9, № 629, გვ. 35.

89 პრეცედენტი წყალსაქაჩი ვერის ხიდის მიღამოებში დადგა საშასხურიდან გადამდგარმა ვენერალმა ყორლანვმა. წყალსაქაჩის მიღების სიგრძე იყო 5.5 კმ და წყალს აწვდიდა 62 მოსახლეს, აგრეთვე იმ დროს გაშენებულ ალექსანდრეს ბალს.

წყლით მომარაგებისათვის. ჩუღურეთში წყლის მზიდავებს წყალი დაქონდათ ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩით. უამინდობის დროს ეს კუჩა გაუვალი და ძნელად სავალი ხდებოდა. ალნიშნულ ქუჩას შემდეგში ეწოდა „წყალსაწევი“ მტკვრის პირას მოწყობილი წყალსაქანის გამო⁹⁰.

ქალაქის ბაზარზე ჩუღურეთის ქურებში გამომწვარი აგურის კრამიტისა და თიხის კურქლის გარდა გადიოდა საპონი, რომელიც მზადდებოდა ჩუღურეთის საპნის სახარშში, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ერთადერთი იყო იმდროინ-დელ თბილისში. საპნის სახარში თავად ამატუნის კუთვნილება იყო⁹¹. ამატუნს იგი იჯარით ჰქონდა გაცემული თბილისელ აზნაურ გეო ლორის-მელიქოვზე და თბილისის მოქალაქე დავით ტატოვ-ზე.

საპონი ჩუღურეთის ქურებში გამომწვარ ას ცალ თიხის ქო-თანში იხარშებოდა⁹².

საპნის სახარში მდებარეობდა მტკვრის პირას, დიდხევის ახ-ლოს (1825 წ. გეგმა⁹³ შეადგინა უიხარევმა). აქელან საპნის ნა-ხარში იღვრებოდა მტკვარში. ჩუღურეთი, როგორც უკვე აღვნიშ-ეთ, თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მთელი ეს ნაგავი მდინარეს ქვევით, ქალაქის ცენტრში ჩაჰქონდა. ქალაქის მოწყობ-მა კომისიამ ამატუნს აუკრძალა მტკვრის პირას საპნის ხარშვა, სა-ხარშის პატრონს წინადადება მიეცა თავისი საქმიანობა გადაეტანა ქალაქის სხვა, მოშორებულ ადგილას, კერძოდ, თბილისელი მოქა-ლაქის მიხეილ სარაჭიშვილის მიერ ქალაქგარეთ, ნავთლულში მოწ-ყობილ ქარხანაში. აღსანიშნავია, რომ სარაჭიშვილისავე ქარხანაში ქალაქის ცენტრიდან უნდა გადაეტანათ ტყავის გამოსაყვანი სახე-ლოსნოები — სადაბალოები.

ამატუნის და მისი პარტნიორების წინააღმდეგობის მიუხედა-ვად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიძულა ისინი საპნის სახარ-

90 აღსანიშნავია, რომ ჩუღურეთში და საერთოდ თბილისში ძველ ქუჩათა სახელები უმოწყალოდ იყარება და ამ საქმეს გამიითხავი ვერა და ერ გმო-ენდა. სანამ ჭერ კიდევ გვიან არაა, საჭიროა ჭეროვანი და გადაშერელი ზომების გილება

ამეაზად ჩუღურეთის ტერიტორიაზე ველარ შევხედებით ვერც მექონეთა ერჩასა და ვერც ჩაღალაწევის ქუჩას. დღეს მათი და ბევრ ამგვარ ქუჩათა სახელები თბილისის ისტორიაში ისმის როგორც ხმა ლალადისა უდაბნოსა შინა...

91 სცია, ფ. 209, აღწ. 1, № 506, გვ. 8.

92 სცია, ფ. 209, აღწ. 1, № 506, გვ. 12.

93 ცГВИА, ფ. ВУА, დ. 19812.

ში გადაეტანათ, მაგრამ სად—არ არის ცნობილი, შესაძლებელია, თავისავე მამულში სურბ-კარაპეტას ხევში. ასეთი ვარაუდის გამო-თქმის უფლებას გვაძლევს აღნიშნულ ხევთან დღესაც არსებული ქუჩა, რომელიც საპნის ქუჩის სახელითაა ცნობილი. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია (შეიძლება აქ უფრო გვიან მოეწყო საპნის სა-ხარში). ამ შემთხვევაში საპნის სახარშის არსებობის საკითხი გვა-ინტერესებს ძველი ჩულურეთის მიკროტოპონიმიკის შესწავლის თვალსაზრისით.

* * *

ჩულურეთის ჩრდილოეთი საზღვრის დიდი ხევის ამოვსება და ნიაღვარსაშვები კოლექტორების გადახურვა დაიწყო XIX ს. 70-იანი წლებიდან. ამ საქმის დაჩარებას ხელი შეუწყო თბილისი-ბა-ქის რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც დამთავრდა 1872 წ. აღსა-ნიშნავია, რომ ამ რკინიგზას უნდა გადაეკვეთა „დიდი ხევი“ და ამი-ტომ თავდაპირველად ხევის ის ნაწილი ამოვსო, რომელზედაც მას უნდა გაევლო, კერძოდ, კვირაცხოვლის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. აქედან მოკიდებული ნელნელა იწყება ძველ ხევზე ქუჩის გაყვანა კოლექტორების საშუალებით. „დიდი ხევზე“ გატანილ ახალ ქუჩას ეწოდა კრასნაიაგორსკის (წითელი გორა) სახელი იმ გორის მიხედვით, სადაც იდგა კვირაცხოვლის ეკლე-სია. გაღმოცემის თანახმად, გორის ეს სახელი შერქმევია წეს-ჩე-ულების, თამაშის მიხედვით, რომელსაც მართავდნენ ეკლესიაში მოსული მლოცველები კვირაცხოვლობა დღეს — აღღომის კვი-რის თავზე საგანგებოდ მოწყობილ არხში, ანდა პირდაპირ მიწა-ზე, გორის ფერდზე, აგორებდნენ წითლად შელებილ სააღდგომო კვერცხებს. შორს გაგორებული კვერცხის პატრონი მოგებულად ითვლებოდა. ეს თამაში ჩვენში რუსი მართლმადიდებლების შემო-ტანილია (ქართველ მლოცველებს კი ამ დღეს ჩვეულებად ჰქონ-დათ ბურთის თამაში, რაც დაკავშირებულია მიწათმოქმედებას-თან). დღეს ძველ ხევზე გაყვანილი ქუჩა მაქსიმ გორის სახელს ატარებს, ხევის ზევითა ნაწილს კი ვეძათხევის ქუჩა ჰქვია. საერ-თოდ, აქ ხევის არსებობაზე მიგვანიშნებს პატარა ქუჩა, რომელიც იწყება აწინდელი კალინინის მოედნიდან და პერპენდიკულარულად ეშვება მტკვრისაკენ. ეს ქუჩაა „დიდი ხევის“ დამზართი. თავის დროზე „დიდ ხევზე“ ქუჩის გატანას და იმის გადახურვას დიდი მნი-

შვენელობა პქონდა ორი უბნის—კუკიისა და ჩულურეთის მცხოვრებ-
თა წყლით მომარაგებისათვის, რაღაც „დიდი ხევის“ ახალი ქუჩა,
წყალსაწევის ვიწრო და მოუკირწყლავ ქუჩასთან შედარებით, უფ-
რო ფართო და ადვილად ასასელელი იყო. „დიდ ხევთან“ მოეწყო
წყლის მზიდველებისათვის წყალზე ჩასასელელი საგანგებო ბილი-
კი⁹⁴. „დიდი ხევის“ გადახურვით გაუმჯობესდა აგრეთვე მიმოსვლა
რიყის ქუჩასე.

1861 წ. დაიწყო რიყის ქუჩის მოკირწყელა; ამ ქუჩის მნიშვ-
ნელობა უფრო და უფრო იზრდებოდა, როგორც მტკვრის მარცხე-
ნა ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალისა⁹⁵.

რიყის ქუჩა თავისი სიგრძით მეშვიდე ადგილზე იყო მაშინ-
დელ თბილისში, მისი სიგრძე 530 საუკუნს უდრიდა. იგი აერთიანებ-
და, ავლაბარს, ჩულურეთს, კუკისა და თბილისთან ახალშემოერთე-
ბელ გერმანელთა კოლონიას⁹⁶.

80—90-იან წლებში გატარდა დიდი ლონისძიება უამინდობის
დროს ჩულურეთის ხევნარიდან მოვარდნილი წვიმის წყლისათვის
წყალსაღენებისა და ნიაღვარსაშვებების მოსაწყობად⁹⁷.

ჩულურეთის სამხრეთით მეორე დიდი ხევის — კიბალჩიჩის
კეთილმოწყობა დამთავრდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. ამ სა-
მუშაოს შესრულებისას დაიფარა ძველი ერთმალიანი, ქართული
აგერით ნავები ჩულურეთის ხიდიც.

ჩულურეთის უბნის კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყო-
ბაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XIX ს. 70-იან
წლებში რიყის ქუჩაზე, მტკვრის პირას, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის
ჩრდილოეთ მხარეს არსებობდა აბანო, რომელსაც ეკავა 600 კვ. სა-
უენი და ცხელი წყლით მარაგდებოდა საგანგებო ოჩთქლის ქვა-
ბის საშუალებით. აბანო ეკუთენდა იზმაილოვს⁹⁸.

* * *

ქ. თბილისის მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდა ქალაქის
წელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მასზე გამავალი სატრან-

94 სცია, ფ. 192, აღწ. 9, № 629, გვ. 12.

95 სცია, ფ. 17, აღწ. 1, № 8962, გვ. 67.

96 სცია, ფ. 5, აღწ. 6, № 447, გვ. 1.

98 Т. Г. У Документальная книга недвижимых имуществ по описанию 1885 г. 8 участок, отдел I, გვ. 117—118.

ქიტო გზები. თბილისის ქარვასლებში შეუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა საქონელი: ერთი მხრით, თურქეთიდან, სპარსეთიდან, არაბეთიდან, ინდოეთიდან, ხოლო მეორე მხრით, ევროპიდან — რუსეთის გამოელით და შავი ზღვის საშუალებით. თბილისი იყო ამიერკავკასიის არამარტო კულტურისა და ადმინისტრაციული, არამედ მთელი კავკასიის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური და საეკონომიკო ცენტრი. იგი თავისი მრავალრიცხვოვანი ქარვასლებით წარმოადგენდა ამ მოზღვავებული საქონლის უზარმაზარ საწყობს. ქალაქის ქარვასლებში შემოტანილი საქონლის ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გაძვინდათ გასასყიდათ, ნაწილი კი აქედან გაღიოდა მსოფლიოს ბაზარზე — აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ⁹⁹.

1864 წ. 13 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება თბილისის გუბერნიაში გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული რეფორმის შემდეგ თბილის აწყდება სოფლიდან წამოსული იაფი მუშახელი. სავაჭრო კაპიტალთან ერთად თბილისში მტკიცდება სამრეწველო კაპიტალი: შენდება და მუშაობრში დგება სხვადასხვა სახის მსხვილი საწარმო.

თბილისის მოსახლეობა სწრაფად იზრდება: თუ 1862 წელს 62.318 სული ცხოვრიბს¹⁰⁰, 1876 წლისათვის იგი ასი ათასს აჭარბებს. მოსახლეობის შესაბამისად მატულობს ტრანსპორტიც. 1852—1853 წწ. აგებული ნიკოლოზისა და მიხეილის (ეორონცოვის) ხიდები ცელარ აქმაყოფილებენ ქალაქის მზარდ მოთხოვნილებას.

XIX ს. 80-იან წლებში იწყება მუშაობა მტკიცდებად ახალი ხიდების ასაგებად. 1884 წ. დამთავრდა ვერის ხიდის მშენებლობა.

ქალაქის ტერიტორიაში შემავალი მტკიცრისპირა მიწების უმეტესი ნაწილი კერძო პირებს ეკუთვნოდათ. ისინი ცდილობდნენ ესარგებლათ ხელსაყრელი შემთხვევებით და თავიანთი მიწის ნაკვეთში აელოთ ნამდვილ ღირებულებაზე მეტი საფასური. ამჯერადაც, როცა ჭერი მიღება მუხრანის ხიდის აგებაზე, მიწის ნაკვეთების მეტატრონებმა მოითხოვეს დიდი ფასი, რისი გადახდაც ქალაქს არ შეეძლო. ამის გამო 1880-იან წლებში წამოქრილი მუხრანის ხიდის მშენებლობის საკითხი, მხოლოდ XX ს. დასაწყისში გადაიტრა.

⁹⁹ Н. Евлаков, Тифлисские Караван-Сараи, Записки Кавказского отд. Императорского Русского Географического о-ва, к. I, 1852, გვ. 167—183.

100 Н. Дункель-Веллиг, Стат. описание г. Тифлиса, К. К. 1865. отд. 3. გვ. 49.

¹⁰¹ გ. გვ. ეს ი ს ი ნ ი, მოსახლეობა, თბილისი, 1957, გვ. 106, (საუბილებული). Ш. Чхетиა, Тбилиси в XIX столетии, 1942, გვ. 142—166.

1908 წ. 9 ნოემბერს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ პატონის პროექტით საფუძველი ჩაეყარა მუხრანის ერთმალიანი რკინის ახალ ხიდს. იგი უნდა აშენებულიყო ძველი ხიდის — XVII ს. არავეზე ერთსათვის მიერ ავებული ხიდის აღვილას (როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ნაშთები ახალი ხიდის შენებლობისას ააფეთქეს 1909 წ.).

როგორც 1911 წ. 24 აპრილს „Тифлисский листок“-ი წერდა, ხიდის გახსნის საზემო ცერემონიალზე დასწრების მსურველი იმდენად ბევრნი ყოფილან, რომ მოსაწვევი ბარათები დაუწესებიათ. მის გახსნას დასწრებიან: მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშვილი, მეფისნაცვლის მოადგილე ინფანტერიის გენერალი შატილოვი, სენატორი ვატაცე, საქართველოს ეგზარქოსი ინკვენტი, რომელიც გეთაურობდა ანჩისხატის ეკლესიიდან სასულიერო ლიტანიას, ქალაქის ინტელიგენცია და სხვ. ხიდზე გადასასვლელი ზონარი გაქრა მეფისნაცვლის მეუღლებ, სტატ-დამაზ ელისაბედ ანდრიას ასულმა... ხიდის ახლომახლო სახლებზე სადღესასწაულო დროშები იყო გამოკიდებული, საგანგებოდ გაუშენებიათ სკვერები, ხოლ სალამოთი კი ქალაქში ილუმინაცია მოუწყვიათ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური, საარქივო მასალით, თბილისის და მისი გარეუბნების გეგმებით, რუკებით, ძველი ჩულურეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი და არსებული მიკროტოპონიმიით ჩულურეთი ჩანს ქალაქის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნად, რომელსაც გარკვეული წილი ედო ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ე ლ ი ა — მ ა ს ა თ ა

ძველი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩულურეთის უბნის აღმოსავლეთით, კიბალჩიჩის (ჩულურეთის, სურბ-კარაპეტის) ხევისა და რკინიგზის გადამკვეთ ტერიტორიას — რკინიგზის გადაღმა მხარეს ელია ეწოდება. ელია ქართულ პოკრიფულ მოთხ-რობებსა და სასულიერო ლექსებში „ლრუბელთა წინამძღვარია“ ე. ი. იგი განაგებს სეტყვას, ელვა-ქუხილს, წვიმას, გვალვას!

1 ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919 წ. გამოცემა მესამე, გვ. 111—115.

უბან ელიაში ჩაიმე საკულტო ნაგებობის თუ სალოცავის ნიშანები ჩვენს მიერ დღესდღეობით დამოწმებული არა და მის არსებობაზე არც ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროები მივითოთებენ.

საკითხის დადგენაში გვეხმარება ისტორიუსი პლატონ იოსელიანი: «На Авлабаре есть высокая возвышенность горы известная под именем Махата (Махата)², на ней была церковь Св. пророка Илии. На это возвышение, как эмблему чудесного его возшествия на него, приходили и приходят на поклонение в день праздника святого 20 июля. Кирпичные основания, возвышающиеся на один аршин, еще целы»³.

მახათას მთაზე⁴ ძველი ეკლესიის არსებობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის როსტომ მეფის მიერ გაცემული წყალობის წიგნი (1654 წ.), შედგენილი ქართულ და სპარსულ ენებზე. სპარსულ საბუთში წერია: „...შეწყალებულმა სახელოვანმა ხოჯა ბეგბუღმა, ქალაქ თბილისის ზარაბმა, ითხოვა, რომ მახათის ეკლესიის ქვემოთ მდებარე ვაკე აღვილიშე თავის მშობლისათვის და სხვა ნათესავებისათვის სასაფლაო (მოაწყოს) და მის გვერდით ბალი გაძმენოს... აღნიშნულ აღვილას... თავის ფულით გამოიყვანა წყალი, რომლის სათავე სენებული მახათას ეკლესიის ხევია...“⁵, მოტანილ მონაკვეთში მახათას მთაზე ეკლესიის არსებობის ფაქტი გვაინტერესებს.

2 XIX ს. 90-იანი წლების თბილისის გზამკელევის მიხედვით, მახათის მთა ჩელურეთის ტერიტორიის ფარგლებში შემოლის. Путеводитель по Тифлису под ред. К. И. Бегичева в Тифлисе. 1896: „თბილისის 1800 წლის გეგმაზე“ (მემკვიდრეობის ჩეიკო) დატანილია ეკლესია წარწერით: „разорен. церковь Махатасъ“, ЦГВИА. ф. ВУА. Д. 19807.

3 Платон Иоселiani. Списание древностей города Тифлиса, 1866. 33. 260—261.

4 თბილისისპირას მახათას XIII ს. მდებარი დაკავშირებით ვხვდებით. მეტე დიმიტრი თავდადებულის სიკედილის შემდეგ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაიქარისა. მისი შეილები დავითი და ვახტანგი ერთმანეთს ეცილებოდნენ სამეცნიერო ტახტის დაკავებაში. მდების ურთიერთბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის გადმოცემისას კამთააღმენელი მოვაკითხოვა: „ესმა ეს ვახტანგს ტაბაქელას მდგომა, მივიდა მცირითა კაცითა, განვლო კიდე და სახიდაბელი, და განვიდა მახათას, რამეთ დავით და ლაშვარი მისი მახათას დგეს, თავსა ქედისასა“ (ქ. ც. II, 1959, გვ. 316).

5 ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, 1955, გვ. 245—246.

დამოწმებული ადგილი ძვირფას ცნობას იძლევა ძველი ჩულურეთის ტერიტორიაზე დღესდღეობით შემორჩენილი სახელწოდება „ელიას“ არსებობის გაგებისათვის. შემთხვევევითი არ უნდა იყოს მახათას მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელობის სალოცავის არსებობა, ლეგენდარული ილია ხომ კარმილის მაღალ მთაზე იჯდა და იქედან ადევნებდა თვალყურს, თუ რა ხდებოდა მის ქვეყანაში, ამ მთიდან იცავდა კეშმარიტი ღმერთის ღირსებას („ილია“ ნიშნავს ღმერთის მფარველ ციხე-სიმაგრეს)⁶.

მახათას მთა ახლო-მახლო მდებარე მთებისაგან გამოირჩევა და გამოიყოფა თავისი მკვეთრი კონფიგურაციით. პირამიდის ფორმის მახათას მთა ცისკენაა აღმართული და იგი უთუოდ მშვენიერ ადგილს წარმოადგენდა წმიდა ილიასათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის. როდის ააგეს მახათაზე ილია წინასწარმეტყველის სახელზე სალოცავი თუ ეკლესია, არაა ცნობილი. მაგრამ აქ ილია წინასწარმეტყველის სალოცავის არსებობის ფაქტი ნათელსა ფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

დაახლოებით 34 საუკუნის წინათ მესაქონლე-მომთაბარე ეპრაელმა ტომებმა არაბეთის ნახევარკუნძულზე დაიპყრეს ქანანე-ელთა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევდა და საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა⁷. ეპრაელებს აქ დახვდათ ადგილობრივი სხვადასხვა ღვთაება. დამპყრობელმა, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ბევრი რამ შეითვისა დამპყრობილისაგან⁸. ქანანეველთა მიწათმოქმედების, კექა-ქუხილისა და წვიმის ღვთაება იყო ილ-ელ, რაც ქანანეველთა ენაზე ნიშნავდა ღმერთს⁹. მას შემდეგ, რაც მომთაბარე ეპრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, მათაც იწამეს ილ-ელ ღვთაების კულტი.

ილ-ელ ქანანეველთა ღვთაებას დაემატა ეპრაელთა ღმერთის-დალვის შემოკლებული ია, და მიიღეს ილ+ია-ელ+ია.

ღვთაება ილიამ ბევრი რამ შეითვისა თავისი წინამორბედი ღვთაების ილ-ელ-ისაგან: იგი გახდა ცეცხლისმფრქვეველი (ელვა, ჰექა-ქუხილი) და წყლის სტიქის (წვიმის, წარლვინის) ღვთაება. ამგვარად, ღვთაებათა პანთეონში ილია-ელია მფარველობდა მიწათ-

6 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1963 წლისათვის.

7 ვ. ვ. სტრუვე, ძეველი აღმოსავლეთის ისტორია, 1946, გვ. 326—327.

8 С. А. Токарев, Религия в истории народов мира, М., 1964, გვ. 346—347.

9 ღლესაც სემიტურ ენებში ილ-ელ ღმერთს ნიშნავს.

მოქმედებას¹⁰. ილია-ელია წინასწარმეტყველის ქანანურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს მეტად საგულისხმო ფაქტი: ხატზე ილია წინასწარმეტყველთან ერთად ხშირადაა გამოსახული ფრინველი — ყვავი¹¹. ეს ფრინველი ქანანეთში ითვლებოდა წმიდა ფრინველად, ქანანეველთ იგი თავიანთ მფარველად მიაჩნდათ¹². ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში ყორანი ელიას სახელთან ერთად მოიხსენიება: „...რომელმან გამოზარდა ელია და უდაბნოსა შინა ყორნისა მიერ“¹³... და „...და მწყერ-მარჯილი უწვმა შორის ბანაკისა მთისა, და ელია ყორნისა მიერ გამოზარდა“¹⁴

იუდეველთა ლვთაება ილია-ელია გადმოვიდა ქრისტიანთა ჩელიგიაშიც და მოსავლის, ჰექა-ქუხილის ფუნქციების შემსრულებლის აღგილი დაიკავა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მისი დღეობა იმართებოდა და იმართება შუა ზაფხულში, 20 ივლისს¹⁵, როცა პურის მოსავალი მწიფდებოდა და ამინდს უდიდესი შნაშენელობა ჰქონდა მოსავლის აღგილისათვის. სეტყვა და ხშირი წვიმები ანადგურებდა ჭირნახულს, ხალხი, რომელსაც სჯეროდა ილიას ძალისა, მას შესთხოვდა საარსებო წყარო არ მოგვისპო და მტარეულობა გავვიწიეო.

მეტად საინტერესოდ აქვს ახსნილი თეიმურაზ ბაგრატიონის „მახათას“ ერთმოლოგია.

„9. გახათა. მეხთა აღგილი მაღალი და უნაყოფო აღგილი არ-ის გოგირდიანი და გვარჯილიანი მიწა, და ქუხილის უამს მეხი ცის“¹⁶.

დამოწმებული აღგილიდან ჩანს, რომ მკვლევარი „მახათას“ მეხის დაცემის აღგილად მიიჩნევს და თვით სახელსაც მეხს უკავშირებს. თეიმურაზ ბაგრატიონის ახსნამ საშუალება მოგვიარეობა

10 ლ. ჭიათურა, ჩანაკლიანი, გვ. 24.

11 საინტერესოა და საგულისხმოა საქართველოში ყვავის სახელთან დაკავშირებული ეკლესიების არსებობა, მაგ. ყვავის თავის მონასტერი (ქართლში), ყვავის ეკლესია (კახეთში — გრემი) და სხვ.

12 ლ. ჭიათურა, ჩანაკლიანი, 1966, გვ. 20—23.

13 ცხოვრებამ შიომისი და ედაგრესი, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1 (V—XIV), 1964, გვ. 218.

14 ცხოვრებამ დავით გარეჯელისამ, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 230.

15 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1963 წლისათვის.

16 თე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, ტუილისისათვის, 1638 წ. სანკტ-პეტერბურგი, მ. ბროსეს კოლექცია E—82 (E—156), ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტი.

ჩავკეირვებოდით სიტყვა „მახათას“ არსს. მახათა შეიძლება იყოს მეხსის მთა და მისი უძეველესი სახელიც. ეს სახელი უფრო აღრინდელი ჩანს, ვიდრე აქ ილია-ელიას სახელზე ეკლესიას ააგებდნენ. დასაშვებია, რომ აღრე აქ მეხის, წვიმის, ელვა-ქუხილის ძელ ქართველთა ღვთაების სალოცავი იღვა. და, როგორც ტრადიცია ქართულ მსოფლმხედველობაში, ქრისტიანულ რელიგიაში ელვა-ქუხილის, წვიმის ღვთაებად ილია-ელიას შემოსვლის შემდეგ მეხის მთაზე ამ ღვთაების სახელზე ეკლესია აშენდა.

ჩულურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების, ღვთაებათა სალოცავებისა თუ ეკლესიების არსებობა (...—ყეინის გორა“, „კვირიკობის გორა“, „კვირაცხოვლის ეკლესია“, „კვირაცხოვლის ხევი“, „ილია-ელია წინასწარმეტყველი“) მეტყველებს იმაზე, რომ ძველად აქ, აწინდელი სამგორის ზღვის სანახებში მიწათმოქმედება ყოფილა განვითარებული.

ამგვარად, ილია და ელია ერთი და იგივე ღვთაებაა, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ეკლესიის კედლის შხატვრობაში დამოწმებულია ილია წინასწარმეტყველის გამოსახულება. ვფიქრობთ, ელია წინასწარმეტყველის ფრესკის არარსებობა ერთხელ კიდევ იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახელები — ილია და ელია იდენტურია და ერთ ღვთაებას ეკუთვნის. ამდენად, ჩულურეთში ელიას სახელის არსებობა უეჭველად მახათის (მეხის) მთაზე არსებული ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის თუ სალოცავის გავლენაა. სახელი „ილია“ დაიკარგა და შემორჩია თბილისის ყოფაში მიკროტოპონიმის სახით სახელი „ელია“¹⁷.

ძნელი სათქმელია, როდის შემოვიდა ილია-ელიას ღვთაება ქართულ ღვთაებათა პანთეონში, თუმცა მის ადრეულობაზე ლაპარაკობს „ელიას“ გაჩენა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

ივანე ჯავახიშვილი ქართული წარმართული პანთეონის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ცხადია, ქართულ-ქართველური წარმართული პანთეონი, ისევე როგორც ზოგადი ენა და კულტურაც, მხოლოდ ერთი რომელიმე ტომის შექმნილი არ

¹⁷ მოსე ჯანმშევილი ნაშრომში — საქართველოს დედაქალაქი ტფილის (1879, გვ. 184), თბილიში არსებული ქართული ეკლესიების ჩამოთვლისას ამბობს, რომ „ტაძარი“ ელია გახათის მთაზე აწ დაგრეულია.

საქართველოში ბევრ ადგილს გვხვდება ღვთაება ელიას სახელზე აგებელი ეკლესიები: წითელ წყაროში (დღეობა 3 აგვისტოს), ქვემო ბოლხესა და სოფ. გამარჯვების გზაზე ელიას ეკლესია (დღეობა 20 ივნისს), ანგაში — ელიას მთა და სხვ.

უნდა იყოს”¹⁸. რასაკვირეელია, ივანე ჭავახიშვილი აქ მხოლოდ ქართულ ტომებს არ გულისხმობდა.

ელია-ილიას წარმოშობა და მისი ადგილი ქართულ ლეთაებათა პანთეონში ცალკე კვლევის საკითხია. ჩენ ამ შემთხვევაში არა გვაქვს ამ საკითხის ამომწურავი განხილვის პრეტენზია.

პუკია

გვიანშუასაუკუნეების ხანის თბილის, მტკერის მარცხენა მხარეზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფ. ჩუღურეთის შემდეგ ესაზღვრებოდა ახალსოფელი (შემდეგდომდელი სოფ. კუკია).

თბილისისპირა ახალსოფელი წყაროებში და სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გვხვდება ვახუშტის „აღწერა სამეცნოსა საქართველოსაში“ მოთავსებულ სოფელთა სიაში¹⁹.

1721 წ. ქართლის სოფელების აღწერათა სიაში ახალსოფელი გამოტოვებულია. საკითხავია, აღმწერმა იგი რატომ არ შეიტანა? იმიტომ, რომ იგი, როგორც დასახლებული პუნქტი, აღწერის დროს არ არსებობდა თუ სხვა მიზეზი იყო? ამ საკითხის გარკვეულში გვეხმარება თვით სოფელის აღწერის მოწყობის მიზეზის გარკვევა. აღწერის შესავალში ვახუშტი ბაგრატიონი და მეფის მწიგნობარი გივი თუმანიშვილი ალნიშნავენ, რომ „... აღეწერეთ ამ დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჭართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეცნოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოლებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვა ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოლება, განუტევით და არა აღეწერეთ წიგნსა ამასა შინა“²⁰.

ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ 1721 წ. აღწერაში ახალსოფელი შეტანილი არაა. ამის მიზეზი კი აღმათ ის იყო, რომ ახალსოფელს არ ევალებოდა მოლაშქრის გამოყვანა და სხვ.

18 ი ვ ა ნ ე ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 164.

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეცნოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და 6. ბერძნიშვილის გამოცემა, 1941, გვ. 179.

2 ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქართველოს სტატიკ. აღწერ. მეთვრამეტე საუკუნეში, 1907, გვ. II.

მკვლევარმა იასონ ლორთქიფანიძემ ქვემო ქართლის სოფლების ისტორიის შესწავლას ორტომეული (ოთხი თავისაგან შემდგარა). მონოგრაფია მიუძღვნა.

მონოგრაფიაში კრიტიკულადაა შესწავლილი როგორც ქართული ისტორიული ლიტერატურა და წყაროები, ასევე რუკები. ისტორიკოსმა მის ხელთ არსებული მასალის შეჯერების შემდეგ ბევრი გაურკვეველი საკითხი გახსნა და განმარტა. კერძოდ, 1721 წ. ქვემო ქართლის სოფლების აღწერის სიისა და ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მისაღაების შემდეგ გაირკვა, რომ ვახუშტის ნაშრომში დამატებული აქვს მტკვრის გაღმა მდებარე სოფლებიც და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო დასახლებული პუნქტიც. ქალაქისპირა ახალსოფელი³. მკვლევარი ასკვნის: „ს 100 სოფლების სიაში (რომლებიც მოთავსებულია ს 71-ში) ჩამოთვლილია 924 სოფელი და ადგილი. აქედან 1721 წ. აღწერაში მხოლოდ 572 სოფელი და ადგილია აღნიშნული. დანარჩენი 352 სოფელი და ადგილი ასე ნაწილდება:

მტკვრის გაღმა—8 სოფელი.

65. ახალი სოფელი	533. რუსთავი
218. თბილისის ლილო	535. სააკას ლილო
401. მაღალი ლილო	712. ლომელაური
472. ნათლენი	809. ჩულურეთი ⁴

მაშასადამე, 1721 წ. არსებული ახალსოფელი გამორჩენიათ აღწერლებს და, აღბათ, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი და არცთუ უმართებულო მიზეზის გამო.

ვახუშტი ბაგრატიონის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ ახალსოფელი დატანილი აქვს № 64-ით. დასახლების აღმნიშვნელი უკრედების მიხედვით იქ დასახლება მეჩხერი ჩანს.

გეგმით ახალსოფელი მდინარე მტკვრის ნაპირის სიახლოესაა გაშენებული. გზა (№74), რომელიც გატანილია ქალაქიდან და მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ახალსოფელს ჩაუდის მოშორებით, აღმოსავლეთიდან. ესაა ის გზა, რომელიც მოგვიანო ხანის საბუთებში, საქართველოს რუკებსა და თბილისის გეგმებზე გვხვდება „დიდი ავტალის გზის“ სახელით (როგორც ცნობილია, მას დღეს საბჭოს ქუჩა ჰქვია). ახალსოფელ-კუკიას XVIII ს. მიწურულშიც იგივე ტერიტორია კავებია;

³ ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. I და II, 1935, გვ. 62.

⁴ ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV 1938, გვ. 129.

1795 წ. ავლაბრიდან მცხეთაში მიმავალი სომეხი ვაჭარი არტემ არა-რატელი მოგვითხრობს, რომ გაიარა «...чрезъ деревнию Коки стояшию на берегу прямо противъ Тифлисъ...»⁶.

შემდეგი ჩუკა, რომელზედაც დატანილია ახალსოფელი (კუ-კიის სახელით) არის გიულდენშტედტის მიერ შედგენილი „საქართველოს 1772 წლის ჩუკა“⁷. კუკიას გვერდით უზის გეომეტრიული ნიშანი — Δ. ამ აღნიშვნის ახსნას ვხვდებით ჩუკას თანდართულ ლათინურ ენაზე შემდგარ ექსპლიკაციაში: *Castellum desertum* (ნიშ-ნავს გაპარტახებულ ციხე-სიმაგრეს).⁸

მოგზაურის მიერ სოფელ კუკიის, როგორც გაპარტახებული ციხე-სიმაგრის აღნიშვნა, უფიქრობთ, უნდა ნიშავდეს იმას, რომ კუკია ამ დროს მიტოვებულია და გავერანებული.

მისი ხელმეორედ დასახლება უფრო მოგვიანებით ხდება.

ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს 1801 წ. დარეჯან დედოფლის მოხსენება წარდგენილი ჩუსი ხელისუფლე-ბისადმი⁹.

დედოფთალი საბუთში ავლაბარზე ლაპარაკიისას აღნიშვნავს, რომ მან აქ ამ ოცდაექვესი წლის წინ სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ხალხი დაასახლა. ცოტა უფრო ქვემოთ დარეჯან დედოფთალი სოფ. კუკიაზეც ლაპარაკობს.

„პირი სადედოფლო მამულების და სოფლების ნუსხისა, და-რეჯან დედოფთლის მიერ მიზანმეული თხოვისამებრ ჩუსის მართე-ბულებისადმი.

5 Артем Арапатский. Жизнь Артемия Арапатского, част. вто-рая. Спб.-Петербург. 1813. გვ. 33.

6 ცოტა არ იყოს სეპვოლ ჩანს კუკაში ციხე-გალავნის არსებობა. აქ რომ ციხის მაგვარი ნაგებობა მღვარიყო გიულდენშტედტის შეზღევი ღრიის, ანდა მისი წინარე ხანის რომელიმ ისტორიელი წყარო ან საბუთი ამ ცნობას აუ-ცილებლად შემოვენახვდა. მოგზაურს თავის ჩუკაზე ციხე-გალავნებისათვის, სოფლების, დაბების და ა. შ. აღსანიშვანი პირობითი ნიშნები აქვს და შეიძლება ნებისმ თე უნდაბლიერ მოსვლოდა შეცდომა ერთი პირობითი ნიშნის მავირად ეხმარა სხვა, მაგალითად, ჩგოლის მაგირად სამკუთხედი. აქ რომ ჩგოლი ყო-ფილიყო მაშინ იქნებოდა *Locus singularis nominis incultus* (ნიშნავს: დაუმუშავებელ, მხოლოდ სახელდებულ აღვილს — ვ. გ. გ. რ. ე. კ. ა. სა-ქართველოს 1772 წლის ჩუკა, გვ. 45), ასეა თე ის როვე შემთხვევაში ამ ღრის XVIII ს. 70-იანი წლებში სოფელ კუკიის ტერიტორია დაცარიელებულია.

7 ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძელენი, ტ. III, 1910, გვ. 298.

ს. მ. ქ. წინწყარო სოფელი ხარაბა, ამისი გლეხნი აქა-იქ დაფან-ტულნი მომიკრეფია და კუკიას დამისახლებია, რომ არის ჩემგან დასახლებული კაცი დღეს კუკიაში კომლი ლ, ამათ სხვა გამოსალები არა ედვათ რა ჩემგან და ესენიც რადგან ჩემზედ მახლობლად იდგნენ ავლაბრელთათვის ვიმსახურებდით და ამითი სამსახურის ჭასი იქნებოდა წლის ივ, ცოტა რამ ან მეტი, ან ნაკლები. აქავ კუკას განჯის ასკანაპატელნი კომლი ივ, რადგან ახალი მოსულნი იყვნენ, ჯერ სამსახური არა დამედვა რა ამათვის, ამ კუკიის მინდორიც რადგან სამეფო იყო, მანამ მე მეტირა, ამათს ლალას მეტე იღებდა და რაც ჩემთვის წაურითმევიათ და მარიამ დედოფალს უკირავს, მას აქეთ ლალასაც ის იღებს, და რაოდენობა ლალისა არ ვიცი⁸.

სოფ. კუკია სადედოფლო მამული იყო. ბუნებრივია, დედოფლი დაინტერესებული იქნებოდა თავის მამულში სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა ფეხზე წამოეყენებინა და განვითარებისათვის საჭირო მწარმოებელი ძალა, მიწის მუშა გლეხი ჰყოლოდა. ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობდა და ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის ხელოვნურ ზრდას. ამ მიმართებით და მიზნით ერეკლე II-ის მეულემ დარეჯან დედოფლალმა თავის კუთვნილ სომხით-საბარათიანოში მდებარე სადედოფლო სოფელ წინწყაროდან ქალაქის პირა სოფ. კუკიაში გაღმოასახლა 30 კომლი გლეხი და 16 კომლი განჯელი სომხის ოჯახი. ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო მე-18 ს. 70-იან წლებში. გავიხსენოთ გიულდენშტედტის საქართველოს 1772 წ. რუკა, რომლის მიხედვითაც კუკია გაპარტახებული ადგილია. იქ მოსახლეობა არაა, ხოლო სულ რაღაც 8—10 წლის შემდეგ (1781 წ. აღწერა) მას მოლაშქრის გამოყენაც კი შეუძლია.

ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტში — კრებულში „დატურლამალი“ საგანგებო მუხლი აქვს მიძლვილი და დათმობილი შინ დაბრუნებულ ხიზანთა საკითხს:

„წ კდ. ახალის მოსულის კაცისათვას.

ახალ მოსული კაცი ერთს წლამდის თარხანი იყო, ნურასა ჰსთხოვენ საბატონო ულაყი არა ჰსლებიან, ნურც ჰსთხოვენ. თევზის ფასი გარდაკვეთით ოთხი თუმანი არის, ერთობით ყაიყულზედ, და მისს დროს ისაულით შეაგდებენ... აყრილის კაცის სახლში, რომ

⁸ ექ. თაყაიშვილი, დასახ, ნაშრომი, გვ. 298.

სხვა მოსული გლეხი შევიდეს იმის სახნავ-სათესს ნუ წაართმევენ, და ამ გლეხმა ბატონს სამსახური და გამოსალები იმ წელიწადს არ ქნას”⁹.

სახელმწიფოს ეკონომიკურად მოლონიერებაში აქტიური და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთმა ლონისძიებამ, რომელიც შეეხებოდა გაქცეული, გახიზნული გლეხის და ტყვედ მყოფის უკან დაბრუნება-გამოსყიდვას. სახელმწიფო კანონით უცხოობაში მყოფს და ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულს თავისუფლად შეეძლო ადგილსაცხოვრებლისა და ბატონის არჩევა. ვისაც უნდოდა იმას ეყმებოდა. იგი დროებით თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

მსგავსი ლონისძიების შედეგი იყო, რომ თბილისში XVIII ს. მეორე ნახევარში მოსახლეობამ იმატა და 60—70 წწ. 25000 მილწიდა¹⁰.

დარეჯან დედოფლის ჩვენების გარდა არსებობს მეცე გიორგი X II-ის მეუღლის დედოფალ მარიამის ჩვენება, ახსნა-განმარტება სოფ. კუკიის მოსახლეობასა და მათ საქმიანობაზე.

დარეჯან დედოფლის ჩვენებას, რომ კუკიაში მან დაასახლა განჯელ სომეხთა 16 ოჯახი, მარიამ დედოფალი ასწორებს და ასახელებს 12 კომლს¹¹.

კაპიტან ჩუკიოს მიერ 1800 წ. შედგენილი თბილისის გეგმის¹² მიხედვით კუკია მტკვრის აღმა, ჩრდილოეთითა გაზრდილი. კუკია ზტკვრის აღმა მდებარე ვიწრო ზოლს იკავებს. ავჭალის გზა მისგან მოშორებით, აღმოსავლეთით დევს, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კუკიისაკენ და ჩულურეთისაკენ მოქმარება «дор. из степи» და «дор. Раззореной деревни Гдрданы» (გლდანი, თ. ბ.); ქალაქიდან ჩრდილოეთით მიემართება «Верхняя дорога селение большая Овчалы и от онного выходит в местечке Мцхнет на большую в Россию идущим дорогу», ამ გზას დასავლეთიდან ერთვის — «Нижняя дорога селение большее Овчалы».

სოფ. კუკია მოქცეულია ბუნებრივ საზღვრებს შორის: სამხრეთიდან კვირაცხოვლის (დიდხევი), ხოლო ჩრდილოეთიდან უსახელო ხევი. კვირაცხოვლის ხევის (დიდხევის) ადგილმდებარეობა

9 დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის გამოცემით, 1886, გვ. 10—11.

10 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 364.

11 Акты, т. I, გვ. 214.

12 ЦГВИА, ф. ВУД, д. 19807.

ცნობილია, ხოლო რაც შეეხება ჩრდილოეთის საზღვარს, დადგენა ძნელება. მოგვიანო ხანის თბილისის სხვა რუკებთან და გეგმებთან შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ იგი უნდა მდებარეობდეს დაახლოებით ამჟამინდელი მარჯანიშვილის ქუჩის ჩრდილოეთით. დასაცლეთიდან მას მდ. მტკვარი და აღმოსავლეთიდან ხელოვნური, მიწაურილიანი თხრილი ერტყა.

XIX ს. დასაწყისიდან სოფ. კუკიის ტერიტორია ძირითადად იზრდება ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. დიდუბის ტერიტორიის ხარჯზე. ამის შესახებ უფრო დაწერილებით ლაპარაკი გვექნება ქვემოთ.

მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი გზა უშუალოდ სოფ. კუკიას არა კვეთდა და მასზე გამავალი არ იყო, მაგრამ უთუოდ სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებაში, სოფლისა და ქალაქის ურთიერთებავშირისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

თბილისის მეორე გეგმაზე¹³ (შეაღვინა პოლკოვნიკმა ტიხონოვმა დაახ. XIX ს. პირველ ათეულში) სოფ. კუკიას აღმოსავლე-იაზან შემოუყვება ხელოვნურად გაჭრილი თხრილი — ველიანის იკითხ. თხრილი საგანგებოდ გაჭრილი ჩანს. კუკიას მცირე-რიცხვანი მოსახლეობა ჰყავს, ამიტომ მან ქვეყნის ძნელბედობისას საკუთარი ძალით მტრისთვის ადგილად მისასვლელი აღმოსავლეთი მხარე ხელოვნურად გამაგრა, მიწაურილიანი თხრილი შემოავლო.

თბილისის 1802 წ. გეგმაზეცაა¹⁴ დატანილი მიწაურილიანი თხრილი. აღნიშნული თხრილი გაჭრილია „დიდი ავჭალის“ გზის დასაცლეთით, დაახლოებით დღევანდელი კლარა ცეტკინის ქუჩის გაყოლებით.

აღვილის სახელი — ახალსოფელი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე. იგი ახლად გაჩენილი დასახლებული პუნქტია. კერძოდ, როდის უნდა გაჩენილიყო ეს დასახლება, ზუსტად არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ახალსოფელი მე-17 ს. დასასრულს და მე-18 ს. დასაწყისში წარმოშობილი სოფელი უნდა იყოს.

სურაედ ამ დროს „ქართულმა სამეფო ხელისუფლებამ, ფეოდალური, ბატონიშვირი მეურნეობის შემდგომი (აღმავლობის) აღორძინების მიზნით, მრავალმხრივი ღონისძიება ჩაატარა, უპირველეს ყოვლისა, იგი შეეცადა ქართლიდან კახეთს გაქცეული

¹³ ცГВИА. ფ. ВУД, დ. 22660.

¹⁴ ცГВИА. ფ. ВУД, დ. 22661.

რა იქ თავშეფარებული გლეხობა უკან, თავ-თავიანთ ძველ მიწა-წყალზე დაებრუნებინა და ქართლის გაეერანებული აღგილები ისევ მოეშენებინა. ქართლში დიდი ხნის დაცლილ-გაუკაცრიელებული სოფლები და მხარეები ხელახლა დასახლდა, ქართლში სოფლის მეურნეობის აღმოჩნდინებისათვის დიდი მნიშვნელობა პქონდა აგრეთვე მოშლილი სარწყავი არხების განახლებას და ზოგი აზალი არხის გაყვანას.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების აღმოჩნდება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების, ვაჭრობისა და საერთოდ, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას¹⁵.

უფრო ძნელი და საკამათოა „ახალი სოფლის“ მეორე, გვიანი ხანის სახელის — კუკის სადაურობის და წარმომავლობის დაღენა-გარკვევა.

ქალაქისპირა დასახლებული აღგილი როდის კარგავს თავის ძელ საკუთარ სახელს — ახალსოფელს და როდის იქნენ ახალ სახელწოდებას — კუკის — ძნელი სათქმელია.

ზოგადად „კუკია“, როგორც აღგილის საკუთარი სახელი, წერილობით წყაროებში უფრო აღრე გვხვდება, ერთე ის გაჩნდებოდა თბილისის პირას. ეს სახელი, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, ქალაქისპირას პირველად გვხვდება რუსი მოგზაურის გიულდენშტედრის მიერ შედგენილ საქართველოს 1772 წ. რუკაზე.

დღეს ძველი სოფლის, კუკის სახელი შემოვკრჩა ქალაქ თბილისის მიეროტოპონიშში აღგილის მიმანიშნებელ ტერმინად.

დღევანდელი ქართული სალაპარაკო ლექსიკა ტერმინ „კუკიას ახსნეს საშუალებას არ იძლევა. იგი დღეისათვის ქართულ ყოფით ეთნოგრაფიულ მასალაში შემორჩენილია სიტყვა „კუკი“ — „გონჯის“ სახით.

ქართული დედოფალების წარმოშობისა და წარმომავლობის ისტორიის მკვლევარი ნინო ლოლობერიძე აღნიშნავს, რომ „იმათ (კუკი-დედოფალები, თ. ბ.) ძალიან დიდ ხანს, სულ ბოლო დრომდე ადამიანის გამოსახულება მაგიურ საშუალებადაც რჩებოდა... გარკვეული ტიპის დედოფალებს მრავალი საუკუნის მანძილზე იყენებდნენ მაგიური წეს-ჩვეულების შესრულებისას“¹⁶.

15 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 331.

16 ნინო ლოლობერიძე, ქართ. ხალხური დედოფალების კატალოგი, 1958, გვ. 4.

როგორც მკელევარი აღნიშნავს, ქართულ ყოფაში არსებობდა მრავალი დელოფალა-კუკი და თითოეული სხვადასხვა დანიშნულებისათვის იხმარებოდა და სხვადასხვა კუთხეში შათ თავიანთი საკუთარი სახელი ერქვათ. ჩვენ არ შეეცდებით იმის კვლევას, თუ რომელი კუკი — თოჯინა წარმოიშვა აღრე თუ გვიან. ეს არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, ამ შემთხვევაში გვაინტერესებს თვით ფაქტი, სახელი „კუკი“—დელოფალას არსებობა საქართველოს სინამდვილეში, როგორც მაგიური ძალის მატარებელი არსებისა.

„...რაც შეეხება გონქაობას, იგი დიდებისაგან განსხვავებული სპეციალური რიტუალი იყო და ზაფხულობით (უმეტესად კათათვეში) სრულდებოდა. ამ რიტუალს საფუძვლად ედო ხალხური რწმენა, ერთი მხრით, წვიმის გამოწვევისა და, მეორე მხრით, ხშირი წვიმების შეწყვეტისა და დარის გამოყვანის. შეკრებილნი გააკეთებდნენ თოჯინას, რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა კუკი“¹⁷—აღნიშნავს მკვლევარი მ. გეგეშიძე.

კუკია, როგორც ადგილის საკუთარი სახელი, უფრო აღრე გვხვდება „დასტურლამალში“: „თრიალეთის სოფლების სამძლვრები... გელაზის ქვა რომ ძეს, იმის გასწორ, კუკიას და სამეხერეოს. შუა დიდი სამძლვარის ქვა ძეს“¹⁸.

ის. ლოროთქიფანიძე ადგილის — კუკიის მდებარეობას უფრო აზუსტებს: „კუკია — თრიალეთში, მდ. ქიის მარცხენა მხარეზე, საბატეს დასავლეთით, სამეხერეოს აღმ. (რ)... ესაზღვრება სამეხრეოს“¹⁹.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი შრომებიდან ამოკრეფილი ადგილების მიხედვით, სულაც არაა გამორიცხული და, ჩვენ გვგონია, დასაშეებიცაა, რომ ქციაზე არსებული სოფლის სახელი „კუკი“ და-გავშირებული ყოფილიყო სამიწათმოქმედო რიტუალთან.

ქართულ სამიწათმოქმედო წეს-ჩვევასთან დაკავშირებული „კუკი“-ს გადაქცევა ადგილის საკუთარ სახელად გვაფიქრებინებს, რომ თრიალეთში მდებარე სოფ. კუკიაში იყო რაიმე საკულტო ნაგებობა ან მსგავსი რამ სალოცავი, რამაც განაპირობა ამ მაგიური ძალის მატარებული არსების (კუკის) ადგილის საკუთარ სახელად გადაქცევა.

17 მ. გეგეშიძე, საქართველოში მიწათმოქმედება საქართველოში, 1961, გვ. 79.

18 დასტურლამალი, ქ. ს. ძ. 1970, გვ. 624.

19 ის. ლოროთქიფანიძე, დასახელებული ნაშრომი, ნაწ. I და II, გვ.

კუკი-ს დაემატა კნინობითი ფორმის მაწარმოებელი სუფიქსი, „ა“ და მივიღეთ კუკია²⁰.

დასაშვებია, რომ სოფელმა — ადგილმა სახელი „კუკია“ მიიღო ტერიტორიის სიმცირის, სიპატარავის გამო, მაგრამ, ვფიქტობთ, ჩვენი პირუელი მოსაზრება უფრო უცილობელი და სწორი უნდა იყოს.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ქართველ ისტორიკოსთა შორის თბილისის მიდამოების სახელთა ახსნას, მათი სადაურობის დადგენას და საგანგებოდ შესწავლას ვხვდებით თემურაზ ბაგრატიონის მიერ აკადემიკოს მარი ბროსესათვის საგულდაგულოდ შედგენილ და განკუთვნილ საქართველოს ისტორიის შემცველ ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ტფილისისათვის“.

„და გარემონი ტფილისისანი ქართულსა სახელითა იწოდებიან: ესე იგი.

7 კუკია. დაკუკებული ანუ წამომჯდარი“²¹.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა გვცოდნოდა, როდის გაჩნდა ჩვენს სინამდვილეში ეს უცხო სახელის მატარებელი არსება. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, დღეს დღეობით სოფელ კუკიის ეტიმოლოგიის ახსნას მხოლოდ კუკი²² — თოჯინას საშუალებით ვახერხებთ და შეიძლება არც მცდარად.

ჩვენ ვფიქტობთ, რომ თბილისისპირა ადგილს სახელი „კუკია“ გილებული უნდა პქონდეს თრიალეთის სოფელ კუკიიდან აყრილი და ქალაქისპირას გადმოსახლებული ყმა გლეხების გამო მე-18 ს. 40—50 წლებში, როცა ხდება სომხით-საბარათიანოს სოფლების მასიური აყრა და გახიზვნა. „ქორონიკონს ლმე დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გაეიდა კახეთს,

20 თრიალეთის კუკიას ამეამად თერქელი მოსახლეობის გამო სანამერ კევია.

21 თე ი მუ რაზ ბა გ რა ტიო ნი, ტფილისისათვეს; 1838, წ., სანქტ-პეტერბურგი, მ. ბროსეს კოლექცია, E—82 (E—156). ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტი. სამწერაოდ, ქუიაზე მდებარე ქეელი კუკიის რელიეფის რაობა ჩვენ არ ვიცით. შეიძლება მართლაც ადგილს სახელი კუკია წამოსკუპებულ-წამომჯდარი ადგილმდებარეობის გამო ეწოდა (თემურაზ ბაგრატიონი). ისიც სავარაუდოა, რომ წამოსკუპებულ-წამომჯდარი ადგილი (თუ ასეთი რამ იყო სწორედ აღნიშნული მაგიური ძალის მატარებელი ლეთაების კუკი-ს ადგილსაშუალებით) უფლისიყო.

22 სოფლის სახელწოდება აშ ფორმით ხშირად გვხვდება შემდეგი დროის ქართულ, რუსულ წერილობით წყაროებში, თბილისის და მისი შემოგარენის ჩეკებსა და გეგმებზე.

ზოგნი ავილნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში, ალარ-სად დარჩა შენობა იმ მხარეს... იყო ცემა ლეკთა-გან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა“²³.

ეს ცნობა საყურადღებოა იმით, რომ უთუოდ ამ დროს უნდა აყრილიყვნენ ქვიის კუკელები და დასახლებულიყვნენ თბილისის-პირას — ახალსოფელში, ამის შემდეგ უნდა შერქმეოდა ამ ადგრძს კუკია.

აღვრლი დასაშვებია, რომ ქციიდან აყრილებს ახალსოფელი რეარქმნილი დაწვდათ და ამიტომ უფრო ადვილად შეარქვეს ნაონარ ადგილს თავიანთი სოფლის სახელი.

ვახუშტი ბატონიშვილის შრომების შემდეგ ახალსოფელი (კუკია) კარგა ხანს ჩვენს თვალსაწირს მოფარებულია და, როგორც უკვე აღნიშნეთ, გვხვდება გიულდენშტედტის შრომაში — „საქართველოს 1772 წლის რუკა“.

ამ ხნის განმავლობაში (1721, 1735—1772) არ ვიცით, რა წილი უღევს კუკიას (ახალსოფელს) ქალაქის პირა სოფლების და ქალაქის ურთიერთობაში, რა საქმიანობას ეწევა მისი მოსახლეობა და სხვ.

1781 წ. კელავ ეწყობა ქართლის მოსახლეობის აღწერა, როგორსაც მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით ატარებენ ომანი ლაშქარნივრის და ყორისაულობაში ნაიბი გლახა ფალავანდიშვილი.

მოსახლეობის ყოველი აღწერა საგულისხმო (ცნობებს გვაწვდის როგორც დემოგრაფიის, ასევე მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ასევე ყოველ აღწერას თავისი დანიშნულება აქვს და რაიმე მიზანს ემსახურება. 1781 წ. აღწერაში ლაშქარნივრის მონაწილეობა განსაზღვრავს აღნიშნული აღწერის არსს და მიზანს.

ლაშქარნივრის ქართული სახელმწიფო მართვის აპარატში განაგებდა სამხედრო საქმეებს. იგი მოხელეა: „რომელიც აწარმოებდა ქარის მიწერ-მოწერას და მხედართა სიას“...²⁴.

1781 წ. აღწერის მიხედვით სოფ. კუკიაში 48 კომლი ყმა გლეხი სახლობას. 1781 წ. მოყოლებული სოფ. კუკიის ცხოვრებაში აღარ შეიმჩნევა წყვეტილი ხაზები. იგი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესაფერისად ინტენსიურად იღებს მონაწილეო-

23 პავენა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, საქ-ს ცხოვრება, ზ. კოჭინაძის გამოცემით, 1913, გვ. 238.

24 ალ. ხახანაშვილი, საქ. სამეფოს მოხელენი, უკრ. „მომბე“, 1897, № 2, გვ. 6.

ბას მის საშეურნეო თუ კულტურულ ცხოვრებაში. აღწერაში ვხვდებით მეტად საინტერესო ცნობას: კუკიელი ხელოსნები ყაზახი მიყირტუმა და მჩითავი გიჩუა სახლობენ ქალაქში, იქ საქმიანობენ, მაგრამ ამავე დროს ისინი ითვლებიან სოფ. კუკიის მცხოვრებლებად.²⁵

1791 წ. შედგენილი საბუთით ირკევეა, რომ სოფ. კუკიის ქერის მოსავალიდან უნდა გამოელო 5 საპალნე და ბზის საფასური მანეთი. „1791 წ. ქერის მოსავალისა და ბზის ნასყიდობის ნუსხა...“

ჩ. (მინალთუნი) ქ. ოთხშაბათს კუკი (ი) დამ საპალნე ე²⁶.

1795 წელი. ცონბილია, რომ აღამაშვალ-ხანის შემოსევის დროს ქალაქი თბილისი აოხრდა. ამ ხევდრს, ბუნებრივია, ვერც მისი მოსაზღვრე სოფლები ასცდებოდნენ. ჩვენი მოსაზრების დადასტურებაა 1800 წ. თბილისის გეგმებზე დატანილი დანგრეულ-განადგურებული ქალაქისპირა სოფლები, მიწასთან გასწორებული გალავნებით და ეკლესიებით²⁷.

ითანებ ბატონიშვილი ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის სიაში, რომელიც შედგენილია 1797—1899 წწ. სოფელ კუკიის მოიხსენიებს როგორც ნაშენს: „ქ. კუკია, შენი მოსახლენი“²⁸.

1803 წლისათვის კუკია ისევ სახასო სოფელია. მისი მოსახლეობა იძეგრება. „წელსა ჩყა, ამ წლის სურსათი სომხით საბარათა-შვილოს სახასო სოფლებს, სათავაღოებს, ეკლესიის ყმებს და აზნაურიშვილების ყმებს და გატეხილხიდს ზემოთელებს, ყველას სახელდობრ სურსათი შესწერდათ, კომლზე სამი კოდი ამ წლისა, და ერთი ამდენიც შარშანდელი დანარჩომი უნდა გამოერთვას...“

იტ. ქ. კუკიის მოსახლეთ დიდუბელებმა კოდი... (18).

იე. ქ. კუკიის კათალიკოზის ყმებმა კოდი²⁹. (15).

მარიამ დედოფლის რუსეთში გადასახლების (1803 წ.) შემდეგ

25 ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, 1967, გვ. 160—161.

26 6. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონ. ისტ. წ. III, 1955, გვ. 241.

27 ცГВИА, ფ. ВУД. დ. 19807 II ქ. 22660.

28 ითანებ ბატონიშვილი, ქ. დროსა მეფისა იჩაკლისასა, და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთათა, აღწერილ სოფლები შენი და უშენი სოფლები ქართლისა და კახეთისა..., ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S-3729, გვ. 128.

29 6. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტ. წ. III, 1955, გვ. 142.

სოფ. კუკიის ტერიტორიას, ჩულორეთთან ერთად, იჩემებდა თავადი ამატუნი.

რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისეთი ქაოსი სულევს აღმოსავლეთ საქართველოში, რომ კარგა ხანს ვერავინ გარკვეულიყო რომელი იყო სახასო, რომელი საბატონო და რომელი საეკლესიო-საკათალიკოსო მამული. ამის კიდევ ერთი დამოწმებაა თავად ამატუნის წერილი საქართველოს უკანასკნელი კათალიკოზის ანტონ მეორის ერეკლეს ძისადმი.

„მათ უწმინდესობას.

ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ პატრიარქს სრულიად საქართველოს მეფისძის და კავალერის ანტონის

თავადი გიორგი ამატუნისა მიერ

უმდაბლესი თხოვნა.

ნეტარ ხსენებულის მამის თქვენის მეფის ირაკლის წყალობა მამული, რომელიც სასამართლოსაგანაც დამიმტკიცა და მომბარდა; მამულისა მას შინა ყმათა თქვენის უწმინდესობისათა და კულიში მცხოვრებთა, რომელთაც მოსავალი ჰქონდათ და ჩემდა შესახვედრისა ლალისა მოცემა ჩემდა არ უნდოდათ, რომლისათვის ებრძანა თქვენის უწმინდესობისაგან, რომ მამულისა ჩემისა ლალა მომცენ მე და ახლა კიდევ წასულან კაცნი თქვენის უწმინდესობისანი და ჩემის მამულის ლალა იმათ უთხოვნიათ. ვედრებით ყ-დ უმდაბლესათ ვითხოვ თქვენი უწმინდესობისაგან ოქმით ებრძანოსთ, რომ ჩემს მამულის ლალაზე აღარ მალაპარაკონ.

თავადი გიორგი ამატუნი ხელს ვაწერ

ივლისს, ე-ს

1810 ს—წელს“³⁰.

ამ წერილზე კათალიკოზი ანტონ მეორე იქვე პასუხობს: „ქ. თავადს გიორგი ამატუნო შენ საცა მამული გაქვს თუ იქ მოელნენ ჩეენი ყმანი და ან წლეულ ჰქონიათ შენის მამულის ლალა გამოართვი. ჩეენ უნდა მოგვართვან კოდის პური და არა ლალა.

ივლისის, ე. ქ—ქს უეტ

ხელს აწერს ანტონ კათალიკოზი“³¹.

მაგრამ სულ მალე გაუქმდა საქართველოს ექლესის ავტოკე-

30 სცსია, ფ. 1448, № 6954.

31 დასახ. საბუთო.

ფალობა (1812 წ.), ხოლო ანტონ მეორე ერეკლეს ძე ჩუსეეთს გადაასახლეს. ივი იქ, ქ. ნიუნი-ნოვგოროდში გარდაიცვალა 1828 წ.

გიორგი ამატუნმა და მისმა მემკვიდრეებმა კუკიის ტერიტორიის მისაყუთრებაზე დაწყებულ დავას კიდევ საუკუნის მეოთხედი მოანდომეს.

1813 წ. მიწისმზომლის კოლექსი სეკრეტარის ოსვეიკის შიერ შედგენილ საქართველოს გენერალურ ჩუკაზე დატანილია სოფ. კუკია. სოფელს შემოედებული აქვს წითელი მელანი და შიგ ჩასმულია ლათინური ასო — A.

ჩუკაზე თანდართულ ექსპლიკაციაში ასო A-ს მიწერილი აქვს: Казенныи селенни имеющиie Казенную землю. ე. ი. 1813 წ. სოფ. კუკია მთელი თავისი მიწებით სახაზინო მამულია.

1823 წ. მოეწყო სოფ. კუკიის კამერალური აღწერა. ამ აღწერით კუკიაში სახლობდა 19 კომლი საეკლესიო ყმა გლეხი, 107 სული; აქედან 2 მეტულე და ქალანთარი იყო³². სახაზინო გლეხი — 145 კომლი — 810 სული მოსახლე. კუკიის მოსახლეობა მისღევდა როგორც ხელოსნობას, ასევე მიწათმოქმედებას. იყვნენ: მეთუნეები, მექუდე-ჭონები, მენაბდეები, მეკენ-მეუნაგირეები, მეკერავო-თერაები, მკედლები, კალატოზები, ყასაბი, მწყემსი, ვაჭარი...³³

ამის გარდა, კუკიაში სახლობდნენ თავად-აზნაურთა: თუმანი-შვილების, შანშიაშვილების, თომა ყორლანაშვილის, ბებუთაშვილებას, ჭილაშვილების, ამირეჯიბების, გურგენიძეების, 19 კომლი ყმა გლეხი, 91 სული მოსახლით³⁴, აქვე სახლობდნენ საკათალიკოსო ყმა გლეხებიც.

ამგვარად, კუკიაში სახლობდა 183 კომლი 1008 სული მოსახლით³⁵. მოტანილი ცნობები გვიჩვენებენ, თუ რა მრავალსახოვანი და ღიღი დასახლება ყოფილა კუკია XIX ს. 20-იანი წლები-სათვის.

1824 წ. სოფ. კუკია სოფ. ჩულურეთთან ერთად მიაკუთვნეს ქალაქ თბილისს. «предложение ген. Эрмолова ген. М. Ховену от 29-го июля 1824 года № 2606.

Здешняя полиция представляет что жители селения Куки и Чугурети перекупают подвозимые в город с'естные припасы и от того увеличивают дороговизну оных в городе, а городское на-

32 სცხა, ფ. 254, აღწ. 21, გვ. 20.

33 სცხა, ფ. 254, აღწ. 1, № 803, გვ. 255.

34 სცხა, ფ. 254, აღწ. 1, № 802, გვ. 266—269.

35 Статистическое описание Грузии, ЦГВИА. ф. ВУА, д. I, 481, გვ. 63.

чальство, не имея никакого влияния на означенных к уезду, не может принять достаточных мер к уничтожению зла сего...»³⁶ Абросей Шефлэг и его министрство, впрочем, не имели никакого влияния на уезды, а лишь подавали соответствующие рапорты в Петербург.

Министерство юстиции и Министерство внутренних дел, впрочем, имели право вмешиваться в дела уездов, но это было не всегда возможно из-за отсутствия соответствующих полномочий. Важно отметить, что в то время в России действовало множество различных министерств и ведомств, каждое из которых имело свои полномочия и ответственность перед императором.

Важно отметить, что в то время в России действовало множество различных министерств и ведомств, каждое из которых имело свои полномочия и ответственность перед императором. Важно отметить, что в то время в России действовало множество различных министерств и ведомств, каждое из которых имело свои полномочия и ответственность перед императором.

1825 г. Юрий Родионович Шефлэг инициировал создание специальной комиссии по борьбе с криминальностью в провинции. Комиссия была создана в 1826 году и состояла из представителей различных ведомств, включая Министерство юстиции и Министерство внутренних дел.

1826 г. Юрий Родионович Шефлэг инициировал создание специальной комиссии по борьбе с криминальностью в провинции. Комиссия была создана в 1826 году и состояла из представителей различных ведомств, включая Министерство юстиции и Министерство внутренних дел.

1827 г. Юрий Родионович Шефлэг инициировал создание специальной комиссии по борьбе с криминальностью в провинции. Комиссия была создана в 1827 году и состояла из представителей различных ведомств, включая Министерство юстиции и Министерство внутренних дел.

1828 г. Юрий Родионович Шефлэг инициировал создание специальной комиссии по борьбе с криминальностью в провинции. Комиссия была создана в 1828 году и состояла из представителей различных ведомств, включая Министерство юстиции и Министерство внутренних дел.

1829 г. Юрий Родионович Шефлэг инициировал создание специальной комиссии по борьбе с криминальностью в провинции. Комиссия была создана в 1829 году и состояла из представителей различных ведомств, включая Министерство юстиции и Министерство внутренних дел.

36 Акты, т. 6, ч. I, № 70, № 111.

37 СУСНО, ф. 1448, № 5861.

38 ЦГВИА, ф. ВУА, дело 19812.

39 СУСНО, ф. 2, № 1553, № 40.

40 СУСНО, ф. 209, № 5, № 1.

41 ЦГВИА, ф. ВУА, д. 22662.

ახალი კეთილმოწყობილი გზა შეაერთებდა უშუალოდ კუკიას, ჩულურეთს, ავლაბარს, თბილისის გერმანელთა კოლონიას და წავრდოდა ავეჯალის მიმართულებით. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანამდე კუკიას აღმოსავლეთიდან უვლიდა, ახლა კი მის ტერიტორიას კვეთდა⁴².

XIX ს. 40—50 წწ. ჩულურეთიდან და ავლაბრიდან იწყება მასიური გასვლა კუკიაში დასასახლებლად. კუკიის ტერიტორია იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ავეჯალის დიდი გზის გადამა, აღმოსავლეთ და ჩრ.-აღმოსავლეთს (1850 წ.) გაჩნდა ახალი კუკიის დასახლება.

ახალი კუკიის ტერიტორია მანამდე აუთვისებელი იყო და გიშის ნაკვეთი აქ შედარებით იაფი ლირდა.

კუკიაში თითქმის ყველა მოსახლეს გაშენებული ჰქონდა ბალვენახი, მიწის ნაკვეთი ეზოში გაჭრილი ჰის წყლით ირწყევებოდა. რასაკვირველია, ეს ვერ შეუწყობდა ხელს ინტენსიურ მიწათმოქმედებას. სოფელს საყანე, დასამუშავებელი მიწები ჰქონდა სამგორის ტბებთან და ხევნარების პირას.

ნ. ღუნელ-ველინგი უფრო მოგვიანებით, XIX ს. 60-იან წლებში აღნიშნავს, რომ «...жители Кук, Чогурет и Авлабара, как крестьяне, собственно принадлежащие грузинским царям, платившие особую подать сурсат пользовались и пользуются значительным количеством пахотных и выгодных земель на востоке от Тифлиса в смежности с предместием Навтлуг и деревнями Лило и Глад-Ни»⁴³.

1842 წ. ქ. თბილისის მომწყობი კომისია ადგენს დოკუმენტს ქალაქის გარეთუბნის — კუკიის მიწების შესახებ. დოკუმენტაციის შედეგად უნდა გარევეულიყო კუკიაში რამდენი თავისუფალი და დასახლებული მიწის ფართობი იყო, ვის ეკუთვნოდა ის, ასევე მფლობელთა ვინაობა, დასახლების დრო და სხვა. აღნიშნული მასალების შესაღენ-შესაქრებად შედგა საგანგებო კომისია, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობის გამოყითხვას აწარმოებდა. თითოეული დაკითხული პირი ჩვენებას იძლეოდა ფიცის შემდეგ. ფიცს ხელს აწერდნენ კუკიაში მცხოვრებნი, როგორც მართლმადიდებელნი, ასევე გრიგორიანელი მოსახლეობა. ფიცი შედგენილია 1842 წ.

42 სცხია, ფ. 209, აღწ. 1, № 356, გვ. 1.

43 :I. Дункель-Веллиг. Статистическое описание г. Тифлиса, Кавк. Календарь, 1865, გვ. 62.

მიუხედავად იმისა, რომ 1827 წ. ქალაქის მომწყობმა კომისიაშ
მიიღო საგანგებო დაღვენილება — კუკიას მიქეოდა განსაკუთრე-
ბული ყურადღება, მხოლოდ 40-იან წლებიდან იწყება კუკიაში სახ-
ლებისა და ქუჩების დაგეგმარება.

1847 წ. მეფის ნაცვლის გრაფ მიხეილ ვორონცოვის საგანგე-
ბო მოთითებით დაიწყო ახალი კუკიის ინტენსიური დასახლება. სა-
მოსახლოებს, როგორც აღრე, ასევე ახლაც, ძირითადად თხოუ-
ლობდნენ ჩუღურეთელები, ავლაბრელები, ძველი კუკიელები⁴⁴. რო-
გორც აღვნიშნეთ, მიხეილ ვორონცოვის ღროს იწყება რუსული
მოსახლეობის ინტენსიური შემოსვლა მთელს საქართველოში და,
კერძოდ, თბილისში. ზემოთ ჩამოთვლილი კუკიის მეზობელი
უბნებიდან შემოსული მოსახლეობის და რუსი კოლონისტების
ხარჯზე იქსება ახალი კუკიის დაუსახლებელი და თავისუფალი მი-
წის ფართობი.

თბილისის 1850 წ. გეგმის⁴⁵ მიხედვით კუკიაში მდებარე ქუ-
ჩებმა თავიანთი პირეანდელი სახით თითქმის დღევანდლამდე მო-
აღწიეს.

ქალაქთან სოფ. კუკიის შეერთების შემდეგ თბილისი ჩრდი-
ლოეთის მიმართულებით მდინარე მტკვრის ორივე მხარეს სწრა-
ფად იზრდება. მტკვარზე მანამდე არსებული ხიდები და რამდენი-
მე ბორანი ვერ აქმაყოფილებდნენ ქალაქის მსარდი მოსახლეობის
და ტრანსპორტის მოძრაობის მოთხოვნილებებს.

თბილისის ახალი უბნის, კუკიისა და მტკვრის მარჯვენა მხა-
რეს, მის მთპირდაპირედ მდებარე გარეთუბნის შესაერთებლად
დაიწყო მდინარე მტკვარზე ქვითკირის ბურჯებზე შემდგარი ხიდე-
ბის მშენებლობა⁴⁶. ხიდების მშენებლობა დამთავრდა 1850—
1853 წწ. (არქიტ. სკუდიერი).

ხიდები აიგო იმ ადგილას, სადაც მტკვარი ორად იყოფოდა.
გდინარის მარჯვენა ტოტზე აშენდა ერთმალიანი ქვითკირის ბურ-
ჯებზე დაყრდნობილი მცირე ხიდი, რომელსაც იმპერატორ ნიკო-
ლოზის პატივსაცემად ეწოდა მისი სახელი, მეორე ტოტზე აიგო

⁴⁴ სცია, ფ. 205, აღწ. 1, № 365.

⁴⁵ ქავკასკის კალენდარь, 1850 წ. ჩასკვირელია, ეს გეგმა პერ-
საქეტიელი იყო, თორებ ჭრ კიდევ გასული საუკუნის დასასრულისათვის ამეა-
მინდელი ხერისშევსყისა და კლარაცეტინის ქუჩების შესაყირზე კუკიელებს
კალო ჰქონდათ. ეს ცნობა მომაწოდა მამისა ბერძნიშვილმა, რისთვისაც მადლო-
ბას მოვახსენებ.

⁴⁶ სცია, ფ. 209, აღწ. I, № 280, გვ. 25.

ხუთმალიანი ქვითყირის ბურჯებზე დაყრდნობილი დიდი ხიდი, რომელსაც მეფის ნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სახელი ეწოდა.

1857 წელს ადგილობრივმა საზოგადოებამ მოითხოვა: „პატივ-საცემად ყოფილის კავკასიის ნამესტნიკად, განსუენებულის ღენე-რალ-ფელდმარშლისა უგანათლებულესის კნიაზის მიხაილ სუმონისძის ვორონცოვისა სურვილი საქართველოს კეთილშობილთა და სხუათა წოდებისა ერთა აღსაღვინებლად ძეგლისა, პატივცემულად ყოფილის კავკასიის ნამესტნიკად განსუენებულის ღენერალ-ფელდმარშლისა უგანათლებულესის კნიაზის მიხაილ სუმონისძის ვორონცოვისა, შუამდგომლობისამებრ კავკასიის ნამესტნიკისა, უშუეშევრდომილესად მოხსენდა კელმწიფე იმპერატორისა კეშმარიტნი სამსახურის განსუენებულისა ფელდმარშლისა მართლ-ღირსეულად ჰსცნა მისმა უდიდებულესობამან და მის გამო ინება თანხმობა რათა აღმართოს მას ძეგლი ჭ. თბილისის მტკვრისა მდინარისა ხიდთან, რომელსაც ეწოდების მისის უგანათლებულესობისა სახელითა, ხიდი მიხაილისა, და რათა მოწეულ იქმნენ ყოველნი წოდების კავკასიისა ერთი მიღებისათვის მონაწილეობისა აღმართესა-თეს ესე ვითარისა ძეგლისა“...⁴⁷

მეფის ნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვის ძეგლის დასაღმელად იმპერატორის სახელით გამოიყო 3000, ხოლო იმპერატორის შვილის, ტახტის მემკვიდრის სახელით 2000 მანეთი. შეწირული თანხა 36104 მანეთს და 44 3/4 კაპ. შეადგენდა.

1860 წ. ქანდაკების დამზადებას შეუდგა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფ. პიმენოვი. მისი დაწყებული საქმე განაგრძო მხატვარმა კრეიტანმა. 1866 წ. ბრინჯაოს ორმეტრიანი ქანდაკება ზღვით ჩამოიტანეს ფოთში, აქედან კი თბილის. ქანდაკება აღგეთის ქვისაგან აგებულ კვარცელბეჭზე დაიდგა 1867 წ. 25 მარტს. სამუშაოს ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორი აკად. ოტო სიმონსონი⁴⁸.

ვორონცოვის ძეგლის დადგმა⁴⁹ და მდინარე მტკვარზე ხიდების გადებამ ძველი თბილისის მიკროტოპონიშში შემოიტანა ახალი სახელები. ძველ კუკიაში გაჩნდა ხიდის ქუჩა (ახლანდელი ნეკრასოვის ქუჩა) და მონუმენტის ქუჩა (აწინდელი პლატონის ქუჩა), ხოლო მოედანს, რომელზედაც აღიმართა ძეგლი, ეწოდა მიხეილ ვორონცოვის სახელი (ამჟამინდელი კარლ მარქსის მოედანი).

⁴⁷ სცია, ფ. 205, აღწ. 205, № 1429, გვ. 95.

⁴⁸ კანკავეკის კალებაპარ 1874, ც. 170.

⁴⁹ ძეგლი მოხსენეს 1929 წ. მოედნის რეკონსტრუქციის დროს.

მტკეთარზე აგებული ორი ხიდის — მიხეილისა და ნიკოლოზის — შესაერთებლად ადგილი რომ აეწიათ, დაიყარა დიდძალი მიწა, გაჩდა ახალი ქუჩა, რომლის გაყოლებითაც, გარდიგარდმო დაიღვა ვაკარ მირზოევის სავაჭრო დუქნები და ფარდულები.

50—60-იან წლები იწყება ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა: გამონაკლისა არც კუკის უბანი წარმოადგენდა.

ამ სამუშაოს კუკიელი გლეხები იძულებითი წესით ასრულებდნენ, ეს სამუშაო იძღვნად მძიმე იყო, რომ გლეხი მუშები განთავისუფლებას მოითხოვდნენ.

კუკიაში შენდება როგორც აღმინისტრაციული დანიშნულების, ასევე საცხოვრებელი ერთსართულიანი, ორსართულიანი და სამსართულიანი ქეითკირითა და აგურით ნაგები შენობები.

როგორც უკვე არაერთგზის აღვინიშნავს, სოფ. კუკია და ჩულურეთი სახელოსნო უბნები იყვნენ. ჩვენი მოსაზრების დადასტურებაა წერილობითი წყაროები და ზემოთ ნახსენები უიხარევის მიერ შედგენილი კუკისა და ჩულურეთის 1825 წ. გეგმა. მასზე სამოსახლოების მოშორებით, აღმოსავლეთით, დატანილია სამეთუნეო ქუჩა-ხანები (თიხის კურპლის გამოსაწვავი ქურები) და აგურის ქარხნები.

1835 წ. 12 მაისის საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა საქართველოს საინჟინრო ოლქის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ლატროვმა, საღაც ლაპარაკია კუკიელი მეთუნეების მიერ კუკისა და თბილისის კოლონიას შორის მდებარე 500 კვ. საყ. თავისუფალ მიწის ნაკვეთის მოთხოვნაზე კრამიტის ქარხნის ასაშენებლად. ქარხნის გეომეტრიული გეგმა შეადგინა მიწის მშომელმა ანიჩკოვგა⁵⁰.

1847 წ. აგურის ქარხანას აგებენ გერმანელთა ეკლესიასა და მტკვარს შორის, თბილისის კოლონისტთა მიწაზე. ⁵¹ კუკიაში აგურის ქარხნები ეკუთვნოდათ: აზნაურ მირო მირიმანოვს⁵², კაზაროვს⁵³, და ბადალოვს⁵⁴. 1857 წ. ერთი დოკუმენტი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობას გვაწიდის კუკის ხელსნური საქმიანობის შესწავლის ისტორიისათვის. კუკის გურიაშვილები საეკლე-

50 სცია, ფ. 209, აღწ. 1, № 395, გვ. 1.

51 სცია, ფ. 205, აღწ. 1, № 441, გვ. 12.

52 სცია, ფ. 205, აღწ. 1, № 462, გვ. 4.

53 სცია, ფ. 210, აღწ. 1, № 132, გვ. 2.

54 სცია, ფ. 210, აღწ. 1, № 218, გვ. 2.

სიოთ გლეხი გიორგი სარიგაშვილი ითხოვს ახალ კუკიაში, ახლად დასახლებული მალაქების უბნის მახლობლად კრამიტის ქარხნის გშენებლობაზე უფლების მიღებას. ხელოსანი თავის მოთხოვნას ამგვარად ასაბუთებს: «... с давних времен предки мои и я проживали в предместьии Куках, занимались и занимаются че-репичного промыслом...»⁵⁵

ეს დოკუმენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აյ საქმე გვაქვს კუკიელ მკვიდრ ხელოსანთან, რომელსაც თავისი ხელობა მიუღია მემკვიდრეობით, ე. ი. კუკიელი სარიგაშვილების გვარი მეკრამიტე ხელოსანთა გვარს განკუთვნებოდა.

კუკის აგურის, კრამიტის ქარხნებში და ქუზ-ხანებში მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ასევე თბილისის სხვადასხვა უბნელი ხელოსნებიც — ავლაბრელები, ჩულურეთელები და სხვა.

როგორც ვნახეთ, კუკიაში ბევრი აგურის, კრამიტის ქარხანა და თიხის კურკლის გამოსაწვავი ქუზ-ხანა იყო (1825 წ. გეგმა და სხვ.), ამ წარმოებას ესაკიროებოდა დიდალი საწვავი მასალა—ხე-ტყე. თბილისის ახლო-მახლო მდებარე ტყის საფარის საუკუნო-ვანმა ექსპლუატაციამ თბილისის მიდამოები გააშიშვლა (აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ნაზშირის გამოსალებითაც იძეგრებოდა და სხვ.). 40—50-იან წწ. კუკიაში მდებარე მეთუნეების ქუზ-ხანისა, აგურისა და კრამიტის ქარხნებისათვის ხე-ტყეს აცურებდნენ მტკვარზე.

კუკის მიწების სამოსახლოდ გამოყენებას თანდათან მოჰყვა ქუზ-ხანების, მეკურკლეების სახელოსნების, აგურის და კრამიტის ქარხნების გაუქმება, შემცირება. კუკიაში, ისევე, როგორც ჩულურეთში და საერთოდ მთელს ქალაქში, თიხის კურკლის წარმოებას სდევნის ბაზარზე შემოტანილი ფაიფურის ნაწარმი და სპილენძის კურკელი. ცნობილია, რომ მე-19 ს. მეორე ნახევრიდან ქალაქი გაევროპიელების გზას დაადგა, ამან კი თავისი გაელენა იქონია თიხის წარმოებაზე. თიხის კურკლის გამოსაწვავ ქურათა რიცხვი კლებულობს, ხოლო კრამიტისა და აგურის ქარხანათა რიცხვი კი მატულობს. ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო ქალაქის სწრაფ ზრდასა და მშენებლობასთან. ამიტომ იყო, რომ კუკიაში გვიანობამდე შემორჩა აგურის და კრამიტის ქარხნები. თვით კუკიის მიკროტოპონიში ერთმა ქუჩამ შემოინახა „აგურის“ სახელი

(ამჟამინდელი მ. ბოჭორიძის ქუჩა). თუმცა ახალი კუკიის მოსახლე (ლამის ქ. № 12) ავთანდილ ცაგურიშვილი გადმოგვეცემს, რომ ჩვენი საუკუნის 20—30-იან წწ. ლამის ქუჩაზე მდებარე ქურაში ლადო რაზმაძე წვავლა კრამიტს, ხოლო კუკიის სასაფლაოსთან მდებარე ქურხანაში ანტონ ბებურიშვილი თიხის კურჭელს (საინტერესოა თიხის წარმოებასთან დაკავშირებული თვით ქუჩის სახელწოდება — ლამი. ზოგი ქუჩის სახელის გაჩენას ტალას — ლამს უკავშირებს).

1876 წლისათვის კუკიაში უკვე ჰურჭლის გამოსაწვავი სამი ქარხანაა⁵⁶.

მიუხედავად იმისა, რომ კუკიის ტერიტორია, ისევე როგორც ჩულურეთი, ქალაქთან კარგა ხნის შეერთებული იყო, კუკიელები მეთუნეობასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ, კერძოდ, პურის ყანები ჰქონდათ და აქ მოყვანილი კირნახულით ამარავებდნენ თბილის. «Хлебопашество составляет также весьма незначительную отрасль промышленности жителей Тифлиса. По недостатку собственной земли, большая часть посевов производится на казненной и частной, с платою за десятину-некоторая только часть жителей занимается хлебопашеством, в урочищах Куках, Чугуретах и на Авлабаре. Сбивают хлеб в незначительном количестве в самом Тифлисе, не имеют хлебных запасов, и остатки сберегают единственно для посева на следующий год».⁵⁷

კუკიის ისტორიის შესწავლაში დიდი აღგილი უკავია მის ტერიტორიაზე არსებულ მიწისზედა ძეგლების აღმოჩენას და შესწავლას. სამწუხაროდ, სოფ. კუკიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ უწარმოებიათ, ხოლო რაც შეეხება მიწისზედა ძეგლებს, იგი მდიდრადაა წარმოდგენილი (6 ეკლესია). ეკლესიათა უმეტესობა XIX ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კუკიაში არსებული ეკლესიები ეკუთვნოდათ როგორც მართლმადიდებლებს, ისე კათოლიკებს და სომეხ-გრიგორიანებს (XX ს. 20-იან და 30-იან წლებში იწყება ძველი თბილისის გარეუბნებში სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შენდება ახალი მრავალსართულიანი სახლები და სხვა, რასაც მოჰყვაზოგირთი ეკლესიის აღება).

56 Тифлис по однодневной переписи 25 марта 1876 г. ССК, т. VI, 1880.

57 Кавказский календарь 1847. г., გვ. 158.

ზემოთ უკეე აღვნიშნეთ, რომ კუკიაში (ახალსოფელში) ვახუშტი ბაგრატიონის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ დატანილია კუკიაში (ახალსოფელში) მდგარი უგუმბათო ეკლესია. ესაა ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ძველი ცნობა. ვის ეკუთვნოდა ეკლესია ან ვის სახელზე და როდის იყო აგებული, არა ცნობილი. 1782 წ. ფრანგულ ენაზე შემდგარი და პისჩევიჩის მიერ შედგნილი თბილისის 1785 წ. გეგმებზე დატანილია მტკვრის მარცხნანაპირზე № 86-ით და № 85-ით აღნიშნული სომხური ეკლესია. მართალია, ეს ორი გეგმა ზუსტად არ იმეორებს ვახუშტის გეგმაზე დატანილ ეკლესის აღგილმდებარებას, მაგრამ, ვთქმიობთ, საქმე უნდა გვქონდეს, ყველა შემთხვევაში, ახალ სოფლის (კუკიის) ეკლესიასთან. მეორე საკითხია, თავიდანვე კუკის ეკლესია ეკუთვნოდათ მართლმადიდებელ ქართველებს თუ გრიგორიან-სომხებს?

დასაშვებია, რომ თავდაპირველად ახალსოფლის (კუკიის) ეკლესია ეკუთვნოდათ ქართველებს. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ სახელმწიფო არქივში დაცული თბილისის 1802 წ. გეგმა, რომელზედაც დატანილია სოფ. კუკის ტერიტორიაზე აღნიშნული ორი ეკლესია. ერთს, სოფლის სამზრეთ ნაწილში მდგომს აქვს წარწერა «церковь Грузинская», ხოლო მისგან მოშორებით სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში მდგომს — «церковь Армянская»⁶⁸.

ჩვენ არაერთგზის აღვინიშნავს, რომ გამუდმებულმა ოქებმა, ლვარცოფად მოდებულმა მტერმა, გაუთავებელმა ტყევენამ, გახიზნამ ქართლ-კახეთის სამეფო დასუალა აღგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან. საჭირო იყო მწარმოებელი, ქვეყნის მაცოცხლებელი ძალის მოზიდვა, უცხო ელემენტით ამ ხარვეზის შევსება, გავიხსენოთ ერეკლე II-ის ორნისძიება — მომთაბარე ელის ტომის ძძულების წესით ჩასახლება. ამ დროსვე იწყება სომხური მოსახლეობის შემოსვლა საქართველოში. მემატიანე ომან ხერხეულიძე მოგვითხოვთ, რომ 1780 წ. მეფე ერეკლე II-ემ ერევნის ლაშქრობის შემდეგ „აპყარნა მრავალნი მეკომურნი სომებნი და წარმოასხნა საქართველოსა შინა, რომელი დღესაცა მდგომარებენ რაოდენსამე აღგილსა და სხვა ტყვე...“⁵⁹

58 ЦГВИА, ф. ВУА, д. 22661.

59 ო გ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თემერაზის ძისა, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჰიკინაძის გამოც. 1913, გვ. 273.

საქართველოში ჩამოსულ სომხებს თან მოპქონდათ თავიანთი გრიგორიანული სარწმუნოება და სადაც სახლდებოდნენ, იქვე აშენებდნენ საკუთარ ეკლესიებს. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ქართველების მიერ მიტოვებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს ისინი ეპატრონებოდნენ და ვრიგორიანულად აქცევდნენ (ამაში დასარწმუნებლად XVIII ს. თბილისის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთი აღთვალვაც კი კმარა). ჩვენი მოსაზრებების გასამაგრებლად მოვიტანთ ისტორიულ პლატონ იოსელიანის აზრს ამ საკითხზე.

«Очень возможно, что разрушенные вторжениями врагов церкви были передаваемы армянам для возобновления службы по обряду их исповедания. Сократившееся православное население города, не нуждалось в церквах, а самый город нуждался в промышленниках и торговом классе, каким должен был явиться армянский народ, потерявший отчество и политическую самостоятельность.»⁶⁰

მოვიანთ ხანის, XIX ს. პირველი მეოთხედის საბუთებით ორკვევა, რომ კუკის სომხური ეკლესია ლვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. კიხარევის მიერ შედგენილი სოფლების — კუკისა და ჩულურეთის 1825 წ. გეგმაზე დატანილია ლვთისმშობლის სომხური ეკლესია⁶¹.

1831 წ. 26 ოქტომბერს საქართველოს გუბერნატორ ზავილეისკისადმი მიწერილ წერილში სომხეთა არქიეპისკოპოსი მინასა ქალაქ თბილისში და გის გარეთ მდებარე სომხური ეკლესიების ჩამოთვლისას ასახელებს კუკის ლვთისმშობლის ეკლესიას⁶².

1837 წ. აღწერაში მოხსენიებულია კუკიაში მდებარე სომხურგრიგორიანული სარწმუნოების ორი ეკლესია. „მტკვრის მხარეს, კუკიად წოდებულსა შენობასა შინა, არის ეკლესია მცირე ყ—დწმინდისა ლ-თისმშობლისა სახელითა, ქვით-კირით ა(ლ)შენებული, უგუმბათო და დაბურვილი აგურით, მუნებურთა მრევლისაგან ა(ლ)შენებული წელსა 1807-სა... მეორე მახლობელ უპირველესად ამისსა წინა დაწერილისა დიდისა მონასტრისა არს ეკლესია სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა ყაფლანიანთ სასახლ(ი)სად წოდებუ-

60 Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса. 1866. гл. 233.

61 ЦГВИА, ф. ВУА, д. 19812.

62 საკითხი, ფ. 209, აღწ. 1, № 394, გვ. 3.

լո; Մայմանդատու և մըսորե, Քյելսա 1790 ալմենքծովունո, այս ցարկալուա-
լութեալունուս լուգանս Ծյր-ցիրոցի սանցլոցուսացան”⁶³.

Կյույսուս „Հայութութեանձնութեալունուս“ սոմենուրու յէլլուսու XIX և. 40-ուն թի. Այսպէս օմքեալ ճանանցեծունու, հռմ սակուրու Շյշմենունու մուսու Շյշետե-
ծան⁶⁴. տօնութունու, կյույսուս և հուլուրութեան մուենցի մուենցի մու-
սոմենցի մուսուս սասահցեծունու ճանանցեծուտ և մուուեալուս անալու
յէլլուսուս ասացեծու ազգունու (հռցուրու Այսպէս ալունունետ, սոմենցի
կյույսու ուրու յէլլուսու Յշունութ: Երտու օդցա ամյամնութեալու Յշուն-
ունուս կյուիսու և յանու մարյանուս մուունուս Շյսապարտան, եռլու մյ-
ուրու օդցա ոյ, սաժաւ գունու կոնութեարու ՝Կոռլենութա“). տօնյմուս
մուութու ստո թի. Էլլու օմքունունենց անալու և մայլու կյույսուս սոմենուրու
մուսաելլունա անալու յէլլուսուս ացեծուսացուս Ենձահցուս մուսալու-
նաց. տօնունաս օմ մուութու ասածութեալուն, յուտումքա հուլուրութեալ
սոմենցի սկունութեալութ յէլլուսուն⁶⁵. յալայուս մմարտՎելունամ սոմ-
ենցի թի մուուսայնա Տուրունա, ուր հուլուրութութան մուութու սոմենուն հա-
մուսաելլութեալու կյույսու, մանուն մատու Յհյերեննույնու գայմապոյու-
թեալու օյնեծութ. հասայցուրութեալու, ամանու հուլուրութեալմա սոմ-
ենունամ յանու ցանցածա. կյույսուս սոմենուրու մուսաելլունա — միջունու
տօնունա ազգալուս չիս սուսելուցուս — Ենցայուսու և յաձանամուս սաե-
լունցի մուտացութեալ տացուսութալ մոխուս նայցետին անալու յէլլուսուս ացեծան.

Տօնութունու ցարյութեանցի մոմիւնուս տացմիւնու յումունու գուսու-
թունու 1856 թ. 3 սեպտեմբերու մուուս նալունու յանցուրունուս գումարունուս
մուցալլունու Շյմսիւլութեալու յշունունենցին թիթ: «...что армянское
церковное ведомство имеет в Куках два участка, один при ста-
рой армянской церкви близ моста, а другой под временного ар-
мянского церковью на бывшем кладбище при саде Исаарловых на
улицу идущую в немецкую колонию»⁶⁶.

Կյույսու մուենցի մուենցի մանուն տօնունունենց անալու յէլլուսու-
ս ացեծուս սուսելունա, մացրամ յանու յուշցատ.

Կյույսու սոմենցի մուտեանցան օսյ ըամբունութեան օմիւնու
Շյշիւրութու, հռմ ցույիւնունու ուր հա սամուալլութեան և Երենցին

⁶³ Ա Յ Թ Յ Ա Լ Ո Յ Ս Ե Թ Ձ Յ Գ Ո, Ցամալուն... „Խյենո Շյունուրունա“, 1918—
1923, № 1, ց3. 92—93.

⁶⁴ Սաման, ց. 210, ալֆ. 1, № 141, ց3. 1—2.

⁶⁵ Հասան. Սաման, ց3. 4—5.

⁶⁶ Սաման, ց. 210, ալֆ. 1, № 141, ց3. 12.

არ მიმართავდნენ ისინი, რათა კიდევ ერთი ეკლესია აეგოთ თბილისში, იყო თუ არა ამის აუცილებლობა. ამის შემდეგ ნათელი გახდება, რატომ იღვა თბილისში სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები უფრო მეტი, ვიდრე მართლმადიდებლური ქართული ეკლესიები.

1857 წ. დაიწყო მიხეილის ხიდთან (ქარლ მარქსის ხიდთან) მდგარი ძველი სომხური ეკლესიის ადგილას ახლის აგება, ამშენებელი იყო აზნაური იაკობ ყორლანვიჩ⁶⁷.

კუკიაში იღვა და დღესაც დგას მართლმადიდებელთა ორი ეკლესია.

1856 წ. საქართველოს ეგზარხოსი ისიდორე ახალი კუკიის მომზყობ კომიტეტში თხოულობს, რომ აქ აიგოს ეკლესია. ამის გამო საქირო გახდა მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობის გარკვევა. მრევლის რაოდენობა განსაზღვრავდა ეკლესიის აგებას. აღწერის შედეგად შედგა სია და გამოიჩინა, რომ კუკიაში ამ დროს სახლობდა 132 მუდმივი მოსახლე და 98 დროებით მოსახლე კომლი, სულ 230 კომლი. აღწერაში არ შეიყვანეს კუკიაში მდგარი სამხედრო ნაწილები. მართლმადიდებლური ეკლესიის ასაგებად საკმარისი აღმოჩნდა მრევლის ეს რაოდენობა.

ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1856 წ.⁶⁸ ეკლესია დაიდგა კირიხნისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში (ამჟამინდელი მარგანიშვილის და კალინინის ქუჩები).

მართლმადიდებელთა მეორე ეკლესია უფრო გვიანი ხანისაა, რვი დგას კუკიის სასაფლაოზე.

, კერ კიდევ მეფის ნაცვლის მიხეილ ვორონცოვის დროს სოლოლაკის და ლაბორატორიის (ამჟამინდელი კიროვის და ძერეინსკის) ქუჩების გაშრა-გაყვანისას, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი მიწის ნაწილი, 250 კვ. საუენი ალნიშნულმა ქუჩებმა დაიკავეს. 1849 წ. მეფისნაცვალმა საეკლესიო საბჭოს აცნობა, რომ კათოლიკები დაკარგული მიწის ნაცვლად მიიღებდნენ ან მიწის საფასურს, ანდა მიწის ნაკვეთს ქალაქის რომელიმე უბანში.

1855 წ. კათოლიკებმა ახალ კუკიაში ნიკოლოზის ქუჩაზე (კალინინის ქ.) ეკლესიისათვის 400 კვ. საუენ. ფართობი მიწის ნაკვეთი მიიღეს. აღრე, როგორც ზევით ვთქვით, ალნიშნულ ადგილას სომეხ-გრიგორიანელებს სურდათ ეკლესიის აგება. მიწისმზომელ ფეოდორო-

67 სცსია, ფ. 210, აღწ. 1, № 221, გვ. 1.

68 სცსია, ფ 210, აღწ. 1, № 436, გვ. 1—3.

зюс: Митрополит Йоаким Гатчина указывает: «... свободный участок земли в предместье Новых Куках на Николаевской улице оставленный для постройки Армянской церкви, заключает в себе 400 кв. саж. может быть отведен для постройки таковой же католической».⁶⁹ Эту же землю митрополитом Симеоном Католиконом в 1870 г., Римско-Католической Епархии в Тифлисе было заключено соглашение о строительстве католической церкви в Новых Куках на Николаевской улице.⁷⁰

Митрополиты и архиепископы Грузии (Архангельский, Тифлисский) неоднократно просили разрешения на строительство католической церкви в Тифлисе, но до 1946—47 гг. это не было сделано.

Исполнительные органы Грузии в 1946—47 гг. выдали разрешение на строительство католической церкви в Тифлисе. В 1947 г. в Тифлисе началось строительство католической церкви в Новых Куках на Николаевской улице. Церковь была построена в 1950 г. и освящена в 1951 г. под названием «Святого Иосифа». В 1951 г. в церкви было совершено первое богослужение. В 1952 г. церковь была передана Римско-Католической Епархии в Тифлисе.

Католическая церковь в Новых Куках на Николаевской улице была построена в 1950 г. и освящена в 1951 г. под названием «Святого Иосифа». Церковь была передана Римско-Католической Епархии в Тифлисе.

XIX в. 50-е годы были характеризованы как период активного строительства новых церквей в Тифлисе. В 1850 году было построено здание церкви Святого Иосифа в Новых Куках на Николаевской улице. Церковь была освящена в 1851 году.

Согласно документам, в 1850 году было построено здание церкви Святого Иосифа в Новых Куках на Николаевской улице. Церковь была освящена в 1851 году.

69 Служебный указ № 210, арх. 1, № 204, л. 1—4.

70 Документы Симеона Католикона, № 20.

71 № 210, арх. 1, № 204, л. 1, № 204, л. 1—4.

72 Служебный указ № 210, арх. 1, № 204, л. 1—4, 1850 г. Церковь Святого Иосифа в Новых Куках на Николаевской улице.

ახალ კუკიაშე დასახლებულმა მალაკნებმა 1855 წ. ითხოვეს საკუთარი სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთი. ამავე წელს 10 აგვისტოს შეფის ნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის თავად ბებუთოვის ბრძანებით ტერ-გუკასოვის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მალაკნთა დასახლების ჩრდილო-დასაცლეთით, მთის ფერდობზე 300 კ3. საკ. ფართობი დაეთმო მალაკნების სასაფლაოს⁷³.

ახალი კუკის მალაკნების საზოგადოებამ 1862 წ. 8 ნოემბერს მიმართა თბილისის მომწყობი კომისიის თავმჯდომარეს დესიმონს. მიმართვაში მალაკნები მოითხოვდნენ ახალ კუკიაში, დაახლოებით იქ, საღაც ახლა საკოლმეურნეო ბაზარია, სავაჭრო ადგილს. ისინი ძირითადად ვაჭრობდნენ თევზით და მარილით⁷⁴. დღესაც ხშირად გავიგონებთ ხოლმე ნათქვამს „მალაკნების ბაზარი“, „მალაკნების უბანი“ და სხვ. ეს ძეველი სახელი ადგილმა დაკარგა, მაგრამ იგი, როგორც მიყროტოპონიმი, შემორჩია ახალი კუკის ამ ნაწილს.

ამგეარად, ისევე როგორც სოფ. ჩულურეთი, ჩერნი ხელთ არ-სებული დოკუმენტური, საარქივო მასალით, თბილისის და მისი გარეუბნების გეგმებით, რუკებით, ძეველი კუკის ტერიტორიაზე შემორჩენილი და არსებული მიყროტოპონიმით მტკიცდება, რომ სოფ. კუკია ძირითადად ქალაქ თბილისისათვის თიხის ნაწარმის მიმწოდებელი უბანი იყო. თუმცა კუკიელები ქალაქს მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აწოდებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასაც, კერძოდ მარცვლეულს.

* * *

ქ. თბილისის ტერიტორია იზრდებოდა, შესაბამისად მისი მოსახლეობაც მატულობდა. 1818 წ. გენერალ ერმოლოვის მთავარმართებლობის ხანაში, ვიტენბერგიდან საქართველოში გადმოსახლებულ გერმანელ მოახალშენეთა ნაწილი დასახლდა თბილისიდან მოშორებით, სოფ. კუკის ჩრდილოეთით, მდინარე მტკიცრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე (კუკიასა და დიდუბეს შორის). მიწის ეს ნაკვეთი ისტორიულად ძველ დიდუბეს ეკუთვნიდა.

«Рапорт ген. М. Стала ген. Л. Вельяминову от 28 IX—1818 №3358.

⁷³ სცხია, ფ. 210, ალ. 1, № 427, გვ. 4.

⁷⁴ სცხია, ფ. 210, ალ. 1, № 344, გვ. 1—2.

Витенбергским колонистам, имеющим поселица близ города отдана была казенная земля между Авлабаром и дер. Мирзабад, но они по трудному ходу, признав окую неудобною к поселению, избрали для себя землю выше Куки, объявив, что место сие для здоровья хотя и хуже, чем вышеописанное, но они полагают, что обстроивший себя хорошо, могут избегнуть болезней подобно тому, как Куккийские жители. Как-же выбранныя ими земли принадлежат кн. Аматуни, то я предписал Тифлисскому земскому исправнику постараться склонить его на уступку оной взамен казенной... Кн. Аматуни из⁷⁵ явил согласие на уступку из принадлежащей ему выше сел. Куки земли, пространством до вдоль по Куре на версту, а в поперечное от Куры до дороги, идущей от Тифлиса в Авчалы... а взамен просит с... сего землею у оз. Ильгиани тба по его выбору»⁷⁶.

1818 წ. შემდგარი უწყისის მიხედვით, თბილისის გერმანელთა კოლონიაში დასახლდა 49 ოჯახი⁷⁷.

თბილისის კოლონიაში უკვე 1820 წლისათვის სახლობდა 51 მოახალშენე, ბალებისა და საკარმილოს საჭიროებისათვის მათ გამოეყოთ ერთი დესეტინა მიწის ნაკვეთი. მოახალშენეთა შორის იყვნენ ხელოსნები — თერძები, ხარაზები, კალატოზები, მეთუნეუბი, მცედლები, ყაბები, მეპურეები და სხვ. ბევრი მათგანი კოლონიიდან მიღიოდა ქალაქს, იქ ქრისტი დგებოდა საცხოვრებლად და იქვე მუშაობდა ხელოსნად⁷⁸. კოლონისტები ხელოსნობასთან ერთად მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც, კერძოდ მებალეობა-მევნანეობას.

ქალაქისა და მისი მიმდებარე სოფლების, გარეუბნების ეკონომიკურ ურთიერთობაზე შეუნიერ მასალას იძლევა ახლად გაჩენილი თბილისის გერმანელთა კოლონია.

«Тифлис, где до того времени население нуждалось в самых необходимых жизненных потребностях и за те предметы, которые можно было приобрести, платило дорогие деньги армянам, овладевшим всей торговлей, — стали получать из первых рук овощи, хорошую живность, молоко, масло, сливки, картофель и сдобный белый хлеб...»⁷⁹

75 Акты, т. VI, часть I, § 451, გვ. 535

76 Акты, т. VI, часть I, § 469, გვ. 352.

77 Акты, т. VI, част. I, § 469, გვ. 347—348.

78 Барон Торнау, Воспоминание о Кавказе и Грузии, жур. Рус.

ეს ცნობა განეკუთვნება XIX ს. 30-იან წლებს.

სულ მაღვ თბილისის კოლონისტები იწყებენ ერთი და ორ-სართულიანი, არქიტექტურულად გაფორმებული სახლების აგებას. ისინი სოფ. კუკიის ტერიტორიაზეც, მის ჩრდილოეთით სახლ-დებიან, რის მაჩევნებელიცაა აქ „გერმანელთა“ სახელის მატარებელი ქუჩის გაჩენა (ამჟამინდელი კიევის ქუჩა). ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით 1855 წ. წარმოიშვა აზრი გერმანელთა კოლონია შეერთებინათ თბილისისათვის⁷⁹. კოლონისტებს ამიერიდან ეკრძალებოდათ ქალაქის მმართველობის დაუკითხავად და ნებართვის გარეშე სახლების აგება⁸⁰.

ოფიციალურად გერმანელთა კოლონია თბილისის ფარგლებში შემოვიდა 1862 წ.

ძველი ქალაქის ტერიტორიაზე გერმანელთა თბილისის კოლონიის არსებობაზე დღეს მიგვანიშნებს ჩენს სალაპარაკო ლექ-სიკაში შემორჩენილი სიტყვა „კირიჩნის“ ხმარება. მისი გაჩენის მიზეზია, როგორც ზემოთა ვთქვით, გერმანელ კოლონისტთა მიერ აგებული ეკლესია (Kirche).

დ ი დ უ ბ ე

გვიანშუასაუკუნებში თბილის, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფ. ჩულურეთისა და ახალსოფლის (კუკიის) შემდეგ ემიგრებოდა სოფელი დიდუბე.

ქართულ წერილობით წყაროებში დიდუბე, როგორც ადგილის სახელი, პირველად გვხვდება XI ს. დავის სიგელში, კერძოდ, ბაგრატ IV-ის (1027—1072) მეფობის დროს. სიგელში მოთხოვილია იმ დავის შესახებ, რომელიც წარმოიშვა სამხრეთ საქართველოში მდებარე ოპიზისა და მიჯნაძორის სამონასტრო მამულების საზღვრების დადგენის გამო. საბუთში მიჯნაძორელთა სამონასტრო მამულის ერთ-ერთ მიჯნად დადებულია დიდუბის ხერთვისი :„...და ჩრდილოით დიდუბისა ხერთვისი და საქათმის კარი...“¹.

СКИИ Вестник. том 79, №.. 1869, Февральскими номер. გვ. 404, (ბართნი ტორნაუ თბილისში 1832 წელს ჩამოვიდა).

⁷⁹ სცია, ფ. 17, აღწ. 1, № 8962, გვ. 65.

⁸⁰ სცია, ფ. 205, აღწ. 1, № 1104, გვ. 16.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, 1965, გვ. 9.

დიდუბე თბილისისპირას მდებარე აღგილის სახელწოდებად რამდენჯერმე გვხედება XII ს. ისტორიკოსებთან: „...არამედ შეიყარნეს დიდუბეს, და შერთეს დავით თამარს.“² „...და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი“³, და კიდევ „ნამდვილვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუელა ტკრთითა, ცხენი ყუე/ლა შეკაზმული“⁴.

მაშასადამე, ამ ღროს დიდუბეში მდგარა მეფის სასახლე, საგულვებელია, რომ აქვე მდგარიყო კარის ეკლესიაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ გამარჯვებული ქართველი მხედრიონი თავის ნაალაფევს დიდუბის ეკლზე ფენს.

საინტერესოა, სანამ ამ აღგილს დიდუბე შეერქმეოდა ჰქონდა თუ არა მას სხვა სახელწოდება?

ქართველი მემარიანე ჯუანშერი მეფე ვახტანგ გორგასალის ამბების თხრობისას გვამცნობს, რომ: „ხოლო ვიდრე მიიჩეოდეს მოციქული ვახტანგ მეფისანი, წარსრულ იყო კეისარი ქუეყანით ხანარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცალებდა მოსლვად ქართლად. მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და უჩჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მკედარი და ასი ათასი ქუეითი იაყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღ/მით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბა/ნაკე ცხენის ტერფითგან ჩამართ“⁵. მოტანილი აღგილი გვამცნობს, რომ ქართველთა ჯარი ვახტანგ გორგასალის მეთაურობით განლაგებულა მტკერის მარჯვენა ნაპირზე დილმიდან ვიდრე ქართლის კარამდე, ხოლო სპარსთა ჯარი ცხენის ტერფიდან ჩამართ, ე. ი. ქვევრი მტკერის დინების მიმართულებით. ეჭვს გარეშეა, ამბავი ხდება თბილისის მისადგომებთან. მაგრამ, კერძოლ, რომელ აღგილს ერქვა „ცხენის ტერფი“? მის შესახებ მიგვანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილი: „—ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი...“⁶.

² ბასილი ეჭოს მოძღვანი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ.-ს; ც.-ხ; ტ. 2, 1959, გვ. 122.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქ-ს, ც.-ხ, ტ. 2, 1959, გვ. 47.

⁴ ბასილი ეჭოს მოძღვანი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ-ს, ც.-ხ; ტ. 2, 1959, გვ. 128.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 179.

⁶ ეპასუ მტ ა, აღწერა... ქ-ს; ც.-ხ., IV, 1973, გვ. 338.

ერთი შეხედვით ადგილისათვის ასეთი სახელის შერქმევა საცნაურია. ჩეკენის აზრით, ადგილმა ასეთი პოეტური, ხატოვანი სახელი მიიღო თავისი დუბე — ვაკე, დაცემული, სწორი რელიეფის გამო.

ადგილის სახელის (ცხენის ტერფი) გაჩენის დრო ჩვენთვის უცნობია. შეიძლება მას ეს სახელი შეარქვეს აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა. დიდუბის (ცხენის ტერფი) ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული გასალის „დიდი უმრავლესობა... ენეოლიტური პერიოდისაა, მცირე ნაწილი ძვ. წ. ა. I ათასეულის II ნახევრის და ჩვ. წ. ა. პირველი საუკუნეებისა“⁷.

დიდუბის ტერიტორიაზე აღრეული ხანის ცხოვრების კვალის გაჩვენებელია დღევანდელ ლენინის რაიონში, კიროვის ქარხანასთან 1958 წ. მიწის თხრისას ნაპოვნი II—I ს. (ძვ. წ. ა.) პართიის მეფის ფრაატ IV-ის დროინდელი დრაქმა.

როგორც დავინახეთ, სახელი ცხენის ტერფი ერთხელ გვხვდება, შემდეგ მოგვიანებით, XII—XIII სს. ამ ადგილის საკუთარ სახელად დიდუბე ჩნდება.

დიდუბე ორი სიტყვის ნაზავია: დიდი+დუბე.

დუბე — ვაკე, დაბლობი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა. დიდუბე საკუთარი სახელის მნიშვნელობით გვიანშუასაუკუნეებამდე აღარ გვხვდება. ამ სახელს ჩამოსცილდა მსაზღვრელი „დიდი“ და შემდეგი ხანის სიგელ-გუჯრებში. შემოგვრჩა გეოგრაფიული ცნების — „ვაკე“, დაბალი ადგილის შემცველ სიტყვად — „დუბე“.

„მოგვიდე: დუბის ვენაკი, ქევის რუს: ქუშე:“ ... (1592)⁸. „...საწისქუელოს: რომ: გიტნს: დუბეს: ქვემოთი:...“ (1678)⁹ „...ამ სამძლორით... ის დუბე: ვაკე: ადგილი და: იმ დუბეს: იქთ: რომ: კლდოვანი: სერსერი: ჩასდევს:“ (1707)¹⁰.

საბა თავის ლექსიკონში სიტყვა „დუბეს“ ასე ხსნის: დუბე—დაბალი ადგილი. მეორე ქართველი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვი-

7 ლ. ქ თ რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. II, 1958, გვ. 43; სამწუხაროდ, ამის შემდეგ დიდუბის ტერიტორიას აღარ შეხებია არქეოლოგიის წერაყინი და ბარი. დასანანია, რომ გვიანი ხანის დიდუბის ისტორიის გამოსავალ მეტად იშვიათად მოგვეპოვება განთხარი გასალა.

8 სარ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი III, 1913, გვ. 80.

9 საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd—10.

10 სარ. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი I, 1913, გვ. 12.

ლი ქართულ ლექსიკონში დუბეს ასეთ განმარტებას აძლევს: „დუ-
ბე—დაბალი აღგილი—ჩულო (დიდუბე), ტფილისის ზევით მინდო-
რი“.

თბილისის გარემოს სახელთა წარმოშობას და წარმომავლობას
არკვევს ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი: „...დიდუბე — ფარ-
თო უბე, ანუ წიაღი“¹¹.

პლატონ იოსელიანი თბილისის სანახების აღწერისას ამბობს, რომ
აქ გაშენებული იყო: ორთაკალის, დირსიჭალის, კრწანისის, სეიდა-
ლის, სოლოლაკის, გარეთუბნის, ვერის, კუკის, დიდუბის ბალები, ალ-
სანიშნავია, რომ მკელევარი დიდუბის ხეებისას გვაწვდის მისი ეტი-
მოლოგის ახსნას: «Дидубийские — великие лощины».¹²

„Лощина — низменность, низко расположенная долина“
(Д. Ушаков).

„Лощина — пло ская низменность“ (В. Даль).

სიტუა დიდუბის ახსნას, ასევე ვხვდებით: «Обозрение Россий-
ских владений за Кавказом. С. П. 1836, стр. 171—7.

При Российском управлении, большая часть этого предмес-
тия заселена причисленными къ городу поселениями, занимаю-
щими Кукния, Чугурети, пространство земли, называвшееся преж-
де Диудбе, т. е. большая долина». მოტანილი საბუთებიდან ნათ-
ლად ჩანს, რომ დიდუბე ნაწარმოებია სიტუა „დუბედან“.

დიდუბეს სხვა ახსნასაც უძებნიან, კერძოდ, ერთი გვიანი ხანის
(1826) რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში კითხულობთ: «... са-
мое название бывшего села и укрепления Диудбе значит на гру-
зиинском языке большая пазуха... по обширности равнина и дру-
гого рода земель»¹³.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სიტუა „დიდუბის“ წარმოშობას
უკავშირებენ უბეს.

საინტერესოა, რას წარმოადგენდა მე-XII—XIII სს. დიდუბე?
რა ურთიერთობა ჰქონდა ქალაქთან? რა სახის მეურნეობას ეწეო-
და აქაური მიწისმუშა—გლეხი?

სახელი „დიდუბე“ ქართული ისტორიის ასპარეზიდან უკვალოდ

11 თეოდურაზ ბაგრატიონი, ტფილისისათვეს, 1838, სანქტ-პეტერ-
ბურგი, მ. ბროსეს კოლექცია, E—82 (E—156), ლენინგრადის აზის ხალხთა ინს-
ტიტუტი

12 Платон Иоселиани, Опис. древн. г. Тифлиса, 1866, გვ. 271.

13 სცხია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 36.

ქრება კარგა ხანს, თითქმის მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე — XVII ს-მდე. რა იყო ამის მიზეზი?

XIII ს. ქალაქისპირიდან დიდუბის სახელის გაქრობა უთუოდ დაკავშირებულია იმ მოვლენებთან, რომლებსაც აღგილი ჰქონდათ XIII ს. მეორე მეოთხედში.

საქართველოს სახელმწიფოს გარშემო თანდათან ჩნდება და იყვრება ძლიერი მაპმაღიანური სამყაროს კოალიცია, ქართული ერთიანი სახელმწიფოს სიძლიერე ირყევა. საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით გამუდმებული დამანგრეველი შემოსევების შემდეგ მოიშალა საქართველოში ნორმალური ცხოვრება.

უამთააღმწერელი მოგვითხრობს იმ საშინელებაზე, რაც მოჰყვა ქალალ ედდინის შემოსევას: „...და ესრეთ ჩა ძლიერად კელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძვნვარედ მოსრვიდა, როგორ სავსე იყვნეს ფოლოცნი, ხრამნი და კნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკუდართა მტკუართა შეუტეობდეს... იწყო რღუევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძველადმდე აღფხურა“¹⁴...

შეიძლება ამ შემაძრწუნებელი შემოსევის დროს განადგურდა დიდუბე.

დიდუბე რომ მხოლოდ დუბე — ვაკე, დაბალი, დაცემული, დაბლობი აღგილის გეოგრაფიული ცნების შემცველი სიტყვა ყოფილიყო, რასაკვირველია, ის ქართული ისტორიოგრაფიიდან ასე უკვალოდ არ გაქრებოდა. ძეელის აღგილას მისი სახელის ტრადიციულად აღდგენას საუკუნეები არ დასჭირდებოდა.

ქალაქისპირიდან სახელი „დიდუბის“ გაქრობა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ XII—XIII სს. აქ იყო დასახლებული პუნქტი. ამის ყველა პირობა არსებობდა: საჩრიავი რუ, ცენტრალური გზა გატანილი ქალაქის კარიდან არაგვისაკენ, აქედან კი ჩრდილოეთი-საკენ, და დედაქალაქის სიახლოვე. ამის გარდა ძველი დიდუბის ტერიტორიაზე, მართალია ძუნწად, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ბინადარი ცხოვრების მიმანიშნებელია ისეთი ფაქტი, როგორიცაა იმდროინდელ საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის — მონეტის მოპოვება. ესაა 1938 წ. ლენინის რაიონში, საჭილაოს ქუჩა № 19-ში განათხარში აღმოჩენილი XI ს. ბიზანტიური, უსახელო მონეტა (საქ. სახ. მუზ. ნუმიზ. განყოფილება, საინვენტარო

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. 2, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959, გვ. 177.

№ 1091)), და 1941 წ. პირველი მაისის ჩაითვაში, ორჯონივიძის № 13-ში გათხრისას ნაპოვნი XIII ს. მეორე ნახევრის ქართულ-ჰულაგუიდური კერცხლის დრამა (საქ. სახ. მუხ. ნუმიზ. განყოფილება, საინვენტრო № 1161)¹⁵.

გარეშე თუ შინაური მტერი დიდ უბეს, დაბლობ აღგილს, თუ ეს მნიშვნელობით იხმარებოდა, ვერაფერს დაკლებდა; ის სწორედ გაქრა, როგორც დასახლებული პუნქტის მატარებელი სახელი. სწორედ დიდუბის, როგორც აღგილის საკუთარი სახელის გაქრობა ამართლებს ზემოთ გამოთქმული ჩვენი მოსაზრების უტყუარობას, რომ დიდუბე სოფლის დასახლებული პუნქტის სახელი იყო და მისი მოსახლეობის გაულერის, ტყვედ წასმის თუ აქედან აყრა-გადასახლების შემდეგ იგი წყვეტს თავის არსებობას.

ქალაქისპირა სოფლების — სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური უბნების ქალაქთან სიახლოვე აპირობებდა მათ დიდ მნიშვნელობას ქალაქის სამეურნეო და ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო მეტად. ვიდრე ქალაქს მოშორებული ამა თუ იმ დასახლებული პუნქტისა.

XII—XIII ს. დროინდელი დიდუბის არსისა და ჩაობის უკეთ გაგებისათვის მოვიხმობთ მისასადაგებელ მასალას, კერძოდ კი XII—XIII სს. ბიზანტიის დიდი ქალაქების და მათი გარეუბნების (პროასტიუმები — ამ სიტყვის სლავური შესატყვისია — ყველაზე კართულად ნიშნავს ქალაქგარეთს, გარეთუბანს) ურთიერთდამოკიდებულებას.

ცნობილი ბიზანტიოლოგი მ. სოუზიმოვი წერს, რომ «Большой византийский город экономически был связан районом, который должен был в основном снабжать население городов необходимыми продуктами питания и т. п. — международно Шедде гладиаторы — Разумеется, проастим могли служить и в качестве летней резиденции, дачи».¹⁶

დიდუბე თბილისის შემოგარენში მდებარე ერთ-ერთი აგარათაგანია. მართალია, ჩვენს ხელთ არსებული არცერთი წერილობითი წყარო თუ ზეპირი გადმოცემა დიდუბეს აგარად არ იხსენი-

15 ეს ცნობა მოგვაწოდა აწ გარდაცვლილმა პროფ. დ. კაბანაძემ.

16 М. Я. Сюзюмов, Экономика пригородов Византии крупных городов, журн. «В. В.», 1956, т. XI, გვ. 55.

ებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას ჰქონდა ყველა-ის ნიშანი, უფრო ზუსტად, პირობა, რაც საკიროა სამეფო აგარისათვის: მეფის სადგომი სასახლე, კარის ეკლესია, სარწყავი რუ, რომელიც რწყავს დიდუბის მინდვრებს, ზვრებს, ხოდაბუნებს და საძოვრებს, დიდუბის ველი მარჯვე აღგილია დიდალი ჭარის შესაყრელად და ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ მოპოვებული ნაალაფევის გამოსაფენად (1195 წ.) ისიც საგულისხმოა, რომ დიდუბე თავის მნიშვნელობას და სახეს კარგავს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის შერყევის, დაკნინების და დაცემის შემდებ.

ჩვენი ქვეყნის ბედუქულმართობაში ბევრი ქალაქი, დაბა, სოფელი და აგარა შეიწირა. ზოგის არსებობაზე მემატიანები მოგვითხრობენ, ზოგი კი ისე აღიგავა ამა ქვეყნიდან, რომ თუ არა არ-ქოლოგის წერაყინი, მათ სამარადეამისო დავიწყება ეწერათ.

ქართველი თუ უცხოელი მემატიანები მოგვითხრობენ და აგვიწერენ იმ გამანადგურებელი შემოსევების და მათი შედეგების ამბავს, რომლებიც თავს დატყდა საქართველოს, მის დედაქალაქ თბილისს და მის სანახებს XIII საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნემდე. გავიხსენოთ XIII ს. მესამე მეოთხედში ბათო ყავნის შეილის, ბერქა ყავნის ლაშქრობა. მისი მრავალრიცხოვანი ჭარის მიერ საქართველოს დალაშქრის შემდეგ ალაზან-ივრის ქვემო წელი და მდინარე მტკვრის მარცხენა ნაწილი ისე აოხრდა და იავარიქმნა, რომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე აქ მოსახლეობა ალარ გაჩენილა¹⁷.

XV ს. იტალიელი მოგზაური იოსაფა ბარბარო მოგვითხრობს: „12 ივლისს 1475 წ. მოვედით საქართველოს მეფის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ტფილისი (Tiflis), ეს ქალაქი დგას მცირე გორაზე. მეორე უფრო მაღალ გორაზე აშენებულია ტფილისის ციხე, საქმაოდ მაგარი. ტფილისი წინად სახელგანთქმული იყო თავისის სიდიდით და ამეამად კი დაცემულია. მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია ეხლაც კარგად არის დასახლებული“¹⁸.

თხოველი ბერი ეგნატაშვილი საქართველოში შაპ-თამაზის.

17 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 237.

18 იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-15 საუკუნეში, უკრნ. „მოამბე“, 1894, № 11, გვ. 55—56.

ერთ-ერთი შემოსევის (1546 წ.) შესახებ ამბობს: „მაშინ შაპ-თაგაზ
წარევიდა ყარაბალს, და შემდგომად მცირედისა წარმოემართა კუა-
ლად ტფილისსა ზედა, და ქმნა მრავალი ბოროტი, მოაოვრა სრუ-
ლიად ტფილისი და აღიღო ციხე ტფილისისა და შეაყენა მცველი
თვისნი...“¹⁹

XVI ს. სიმონ I-ის მეფობისას „...მუხრან-ბატონმა ატჩილმა
დაარბია ტფილისის არე-მარე...“²⁰ და მრავალი ასეთი მაგალითი.

ცნობილია, რომ ტფილისის გასანადგურებლად, ასაოხრებლად
და იავარსაყოფად მომხლური გარეშე თუ შინაური მტერი ქალაქ-
თან ერთად მის სანახებსაც ანადგურებდა, რომელთაგან ზოგიერთი
უკაცრიელდებოდა სამარადისოდ, ზოგიერთის ამ ქვეყნად მობრუ-
ნებას კი სჭირდებოდა დიდი დრო.

განადგურებული დასახლებული პუნქტის აღდგენას, რასაკვირ-
ველია, ხშირ შემთხვევაში თუ ყოველთვის არა, ხელს უწყობდა მი-
სი გეოგრაფიული მდებარეობა — სიახლოვე საქარავნო-სატრან-
ზიტო გზებთან, სამიმოსელო მდინარეებთან, დიდ ქალაქებთან.

სახელმწიფოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად შედარებით
მოძლავრების შემდეგ ბევრი ძეველი ქალაქი, დაბა, სოფელი, აგა-
რა ტრადიციულად აღდგა. ძეველი ნარუალები იწმინდება და იწ-
ყებს მოქმედებას.

ძეველი დიდების, როგორც დასახლებული პუნქტის, სოფლის
ხელმორედ წამოწევაში, ამქვეყნად დაბრუნებაში, დიდი წილი
უდევს ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად მის წარსულს,
იმას, რომ ძეველადაც აქ იყო სოფელი, ანდა სოფლური დასახლე-
ბის მაგვარი ადგილი, ჯერ კიდევ არ წაშლილიყო მეხსიერებიდან
დიდების ველის საჩრှვი რუს არსებობა.

სოფ. დიდუბის აღდგენა მოხდა მაშინეუ, როცა კი ამისათვის
ობიექტური პირობები შეიიქმნა.

ვახტანგ V-ის მეფობის ხანშიც (1658—1676) არ შეწყვეტილა
ის დიდი სააღმშენებლო სამუშაოები, რომლებიც დაიწყო როსტო-
მის მეფობის დროს, შავნავაზის მეფობის უაშს ხელახლა დასახლე-
ბულა სოფელი დიდუბე. ვახტანგის ძემ, მეფე გიორგი XI-ემ აღა-
ბი შეაწერა დიდუბელთ. აღაპის გადახდის გამო მეფე გიორგი XI
დიდუბელებს ანთავისუფლებს ყოველგვარი სახელმწიფო გამოსა-

19 ბ ე რ ი ე ვ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი,
ქართლის ცხოვრება, II, სიმონ ყაუხეჩიშვილის რედაქცით, 1973, გვ. 505.

20 ბ ა რ ი ბ რ ი ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 11, 1909, გვ. 11.

ლებისაგან „ქ...ჩვენ, მეფე პატრონი გიორგი, თანა-მეცხედრე ჩვენი დედოფალი პატრონი თამაზ და პირშო და სასურველი ძე ჩვენი პატრონი ბაგრატ და ძმანი ჩვენი ესე ვინებეთ პატივად და მოსახსნებლად მეფის, პატრონის მამის ჩვენის მეფის ვახტანგისა და დედის ჩვენის დედოფლის რვადამ ყოფილის ბარათაშვილის შვილის. ორბელის-შვილის ეკატერინესათუის. მათის სულისათვის დავდევით ალაპი. იმავ მამის ჩვენის აშენებულს სოფელს დიდუბეს რუ გამოილო ავჭალიდამ და ალაშენა სოფელი და უნაყოფო მიწა ნაყოფიერ ყო: ჩვენცა ესე სასულიერო სიხარული და მოხსენება აღაპი განუწესეთ: რადგან დიდუბელთ თავეთის ნება-მყოფლობით ეს აღაპი დაიდვეს, ასე ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ რომე არაფერი სათხოვარი არა ეთხოებიდეს რა: არა ცხვრისა და ლორის საბალახე, არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა კოდისპური. არა ლალა, არა კულუხი, არა ხვანა და თესვა, არა მკა და ლეწვა, და არა სხვა საბეგრო მუშაობა, არა სასახლისა, არცა სხვისა, არა ურემი, არა ულაყი, არა ტიყი-ტომარა, არა სათემო საწერი თქვენ არა გეთხოვებოდეს რა. რუ(ს) ზეით თუ მოხნათ, ლალა არ გეთხოვებოდეს და რუს ქვეით რაც მოხნათ, მოთესოთ, სამართალით გეთხოვებოდეს. არა მალი და ხარჯი თვინიერ ერთის სათათროს საურის მეტი არა კათალიკოზისა და სხვას საყდრიონს მღლელსა და მონაზონს კელი თქვენთან არა ჰქონდეს, რასაც ალაპს არ გარდაიხდიდე. ამისაგან კიდე.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ადამს აქაო შეგიდი ათას ას ოთხმოცდა ცხრასა, ქორონიკონისა ტო, ინდიკდიონსა მეფობისა ჩვენისა და კელითა თუმანიშვილის კარისა ჩვენის მწიგნობრის გივისითა“.

ირიგაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოფელ დიდუბის რსებობა და იმ ფუნქციების შესრულება, რომელიც მას ეყისრა, როგორც ქალაქის სამეურნეო რაიონს. დიდუბის ველის დამუშავება, სოფლის მეურნეობისათვის მისი გამოყენება ხელოვნური მორწყვის გარეშე წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ მდინარე მტკვარი (მარცხენა ნაპირი) საირიგაციოდ ვერ გამოიყენება, მოყოლებული მცხეთიდან ვიდრე დირსიჭალის და ლომელაურის ბალებამდე. ამ აღვილებში მდინარის გამოყენებას ხელს უშლიდა მტკვრის ფლატე და კლდოვანი ნაპირი. ამიტომ დიდუბის ველის მოსარწყავად რუ უნდა გამოეტანათ მდინარე არაგვიდან. ასეთი რუ აქ აღრეც არსებობდა: „...წიწამურ-ზაჟესის ხაზზე ანტიკურ ხანაში

სავარაუდოა საჩწყავი სისტემის არსებობა... უნდა ვითიქროთ, რომ ანტიკური ხანის არაგვის რუ ავჭალა-ლრმა-ლელემდე მაინც იქნებოდა მიტანილი, რადგან ავჭალა-დიდუბის შემდეგ რუს მოქმედების სავარაუდო რაიონში ანტიკური ძეგლები არ ჩანს²¹.

მკვლევარი ი. კიკეიძის მოსაზრების მართებულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ვახტანგ V-ის დროს ავჭალიდან გამოიტანეს დიდუბის რუ. ჩვენის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ძეველი საჩწყავი ტრასის აღდგენილი ხაზი, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა ანტიკურ ხანაში, როგორცა ჩანს იგი ჯერ განახლა თამარ მეფემ დიდუბის ველის და თბილისის სანახების მოსაზრისად, შემდეგ იგი მოიშალა (ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის დაცემასთან ერთად), ხოლო იგივე ნარუალი აღადგინეს. როგორც აღვნიშნეთ, ანდა ძეველ ტრასაზე ხელახლა გამოიტანეს. ავჭალიდან გამოტანილი დიდუბის რუ ტრადიციისამებრ ძეველი ნარუალის ადგილას უნდა ყოფილიყო. დიდუბის რუს ადგილმდებარეობის გარკვევაში გვეხმარება გვიანი ხანის (XIX საუკუნის) საარქივო დოკუმენტს თანდაართული გეომეტრიული გეგმა²².

ჩვენს ხელთ არსებული ქართული საისტორიო წყაროებით, საარქივო მასალით, რუკებით და გეგმებით შეძლებისდაგვარად ვადგენთ სოფ. დიდუბის ძეველ მიწნებს. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩულურეთის და კუკიის მიწები, თელისხევიდან გაუყვებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით მელის გორა, სწორხაზოვნად განიდული გორა (ულელტეხილი, თ. ბ.), ყევნის გორა (ყენისი), სათათრო გზა, ხევძმარი და აქედან ჩაუყვებოდა მდინარე მტკვარის. დასავლეთიდან მას ესაზღვრებოდა მდინარე მტკვარი.

სოფ. დიდუბე ქვემო ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია, „ო. კახეთის და ქართლის სამძლუიარი, კევ-ძმარის ყვთელი ფლატე²³...“. როგორც აღვნიშნეთ ხევ-ძმარი დიდუბეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა და მას ჰყოფთა სოფ. ავჭალისაგან.

ქართლი იყოფოდა ოთხ სასაპეტოდ ანუ სადროშოდ. ვახტატი ბაგრატიონს შედგენილი აქვს ქართლის რუკა, რომელზეც სათანადო ფერით დატანილი და აღნიშნულია თითოეული სადროშო. რუკას ასეთი სახელწოდება აქვს: „ქარტა ანუ რუკა ძეველად ზენა-

21 ი. კიკეიძე, მოჩუყა ძეველ საქართველოში, 1963, გვ. 87—93.

22 სცსია, ფ. 192, ლფ. 8, ჩ. 654, გვ. 20.

23 დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის გამოცემით, 1886, გვ. 44..

სოფლებისა ანუ შიდაქართლისა, და აწ წოდებული ქართლისა, რ-ლი განკუთხის აწინდელს უ-სა ამა ოთხ სასპასპეტო, წითელი არს მე-ფის თანამყოფი და მეფისავ საღროშოსი. მწვანე არს მესამე სას-პასპეტო და მესამე საღროშო მუხრანისა, მემარცხენე უვითელი არს მეორე სასპასპეტო და მემარცხენე ღროშა ზემოქართლისა ამი-ლახორის სასარდლო. უ-ლის საზღვრით თვისით დახაზული უმჯო-ბესათ სხვათა აქა მოხაზულთა რუკათაგან. ხ-წიგნი ვითარუა სხვა-თა ქართათა შ-ა. ეგრეთვე აქაცა იუწყე. ხ-აღმოსავლით აქუს კა-ხეთი სამყრით საბარათიანო. და დასავლით იმერეთი. და ჩრდი-ლოთ ისეთი, რ-ლისა დვალეთი წითლათ მოხაზულია²⁴.

სოფ. დიდუბე ვახუშტის რუკაზე შეფერადებულია უვითელი ფერით, ე. ი. იგი შედიოდა მეორე სასპასპეტოში.

სპარსეთის ყევნისათვის მისართმევი გამოსალები ხარჯის მი-ხედვით ირკვევა, რომ სოფ. დიდუბე XVIII ს. დასაწყისში მტკვ-რის მარცხენა ნაპირზე კარგა მოზრდილი და მჭიდრო დასახლება უნდა ყოფილიყო. „ქელმწიფის ტყვის კარჯისათვის... დიდუბელთ მინალთუნი ტ, შაური იდ...“²⁵. მინალთუნი უდრიდა ერთ მანეთს ე. ი. სოფ. დიდუბეს უნდა გამოელო 8 მანეთი და 14 შაური მაშინ, როცა სოფ. დიდუბის მეზობლად მდებარე სოფლებს—„საკას ლი-ლოს“ 9 აბაზი, „ქვითეკირის ლილოს“ მინალთუნი 3 (6).

1721 წ. მოეწყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და სოფელთა აღწერა. ეს აღწერა ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ ვიგებთ არა მარტო იმ სოფლის მფლობელის ვინაობას, სოფ-ლის ეთნიკურ-ეროვნულ შემადგენლობას და სხვ. მოტანილი აღწე-რიდან ირკვევა, რომ სამეფო სოფელ დიდუბიდან საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ გამოეყვანათ 30 მოლაშქრე, აქედან მეფის კუთვნილი 27 სახასო ყმაა, ხოლო მემამულე გილაქიშვილის 3 მოლაშქრე ყმა²⁶.

სოფ. დიდუბეში ისეთი კომლი, საიდანაც შეიძლებოდა გამო-ეყვანათ მოლაშქრე იყო 26, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ სოფელში მეტი მოსახლე არ იყო. 1721 წ. აღწერის შესავალი გვამუნობს, თუ დავთარში ვინ აღიწერა და რა მიზეზით: „აღვწერეთ ამა დავთარსა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და

²⁴ სესია, ფ. 1448, № 103.

²⁵ დასტურამანი, პეტრე უმიკაშვილის გამოცემით, 1886, გვ. 103.

²⁶ ე. თავათ შვილი, მასალები საქ. სტატ. აღწერილობისა მეორაშეტე საუკუნეში, 1907, გვ. 4, 89.

ცენტ ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოლებანი, ხოლო რომელთა არა ძალედების ყოვლისა ჩასამესი ქმნა და გამოლება განუტევით და არა აღვწერით წიგნსა ამასა შინა, რათა მწუხარე იქმნეს, მაღლობლენენ რმერთსა და აქებლენენ და ლოცვილენენ მეფესა ჩვენსა მრავალეამიერ დღეთა სიგრძეთა მეტყველებითა. დღეს ქ-კსა უთ, თვესა ივნისსა იბ, დღესა ხუთშაბათსა უამსა მერვესა...”²⁷.

XVIII ს. 20-იან წლებში ოსმალეთმა დაარღვია 1639 წ. სპარსეთთან დადებული ზავი და ქართლ-კახეთის ხელშეუვალობა ხელპყო. 1723 წ. ოსმალებმა დაიპყრეს თბილისი. ისევ აირია ქვეყანა. ამ ავბედობის უამს გზისპირა ბევრი სოფელი მოიშალა და აიყარა. ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობა გაიხიზნა მიუვალ მთებსა და სახიზნეებში.

ვახუშტის საქართველოს რუკაზე სოფ. დიდუბეს ახლავს პირობითი ნიშანი ბ. რუკას თანდართულ ექსპლიკაციაში ამ პირობით ნიშნის ახსნისას წერია: „ქრისტიანთ დაბა“²⁸. ე. ი. დიდუბის ტერიტორია დასახლებულია და დაბად იწოდება.

1724 წ. საქართველოდან რუსეთის ხელმწიფის კარს სამხედრო დახმარების სათხოვნელად წაბრძანებული ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მაგივრად ოსმალებმა 1725 წ. ქართლის მმართველად ისაყ ფაშა დასვეს.

1735 წ. ქართლში ოსმალები ყიზილბაშებმა შეცეალეს.

ერთ თავისი თვითმყოფალობისა და თავისითავადობის შენარჩუნებისათვის იმრჩოდა. ხალხს ეს ბრძოლა ძვირად უჯდებოდა. ქვეყანა იცლებოდა მწარმოებელი ძალისაგან. რაც კი წარსულში გაკეთდა. ალდგა და წელში გამართვა ვერ მოასწრო, ისევ ნაოხრად და ვერანად იქცა. თავნება თავადაზნაურთა მიერ ძმათა სისხლის ლვრას. ყმა-გლეხთა მოტაცებას და უცხოეთში გაყიდვას დაერთო ლეკთა გამუდმებული თარეში — აბრაგობა, რომელიც ცველაზე მეტად აწუხებდა და ილაჭს უწყვეტდა ქართველ ხალხს. სახელმწიფოში მოიშალა შეურნეობა, მოსახლეობის ჩიტკვი საბედისწეროდ შემცირდა, სახელმწიფო დაძაბუნდა. ლეკები ისეთი უტიფარნი და თავხედნი გახდნენ, რომ არათერს აღარ ეპუებოდნენ. მემატიანე პაპუნა ლრჩელიანი მოგვითხრობს: „ასე გათამამდნენ

²⁷ ექ. თავათვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. IХ.

²⁸ კარტა ანუ ქართულად ჩუქა სამეფოსა ქართლისა ყოველთა საზღვრითა თვისითა. აკად. კავკაციის სახულობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H—2079.

(ლეკები, თ. ბ.), რომ ქალაქის პირიდამ მუდამ ნაშოვარი მიქონდის”²⁹.

ირანის შაჰი ნადირი 1738—1740 წწ. ინდოეთს ლაშქრობს. მას ამ ლაშქრობაში ახლავს ქართველი ბატონიშვილი ერეკლე თე-იმერაზის ძე. მეფის ძესთან ერთად იყო ქართველი თავადაზნაურობა. 1740 წ. წყალობის სიგელით იჩქვევა, რომ ყველაზე მეტად მეფის ძისადმი ერთგულებაში ინდოეთს თავი გამოუჩენია ვინმე გურგენიძეს, რისთვისაც მეფე თეიმურაზ 11-ემ მას უბორა დიდუბის მოურაობა და თელავის ბაზრის ტარულობა. „ქ. წყალობითა ლ-თისათა ჩვენ ლ-თივ ზეცით გვრგენისანმა... მეფეთ მეფემან ჯატრონმან თეიმურაზ, და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედუფალთ დედუფალმან თამარ, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონისშვილმან ბატონმა ირაკლიმ: ეს წყალობის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და დაგიმტკიცეთ, თქვენ მრავალ ფერად თავ დადებულს, და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადმყოფსა და ერთგულება დაჯერებულს ყმათ, გურგენიძეს, და ჩვენს არმის ეშიკალაბაშთ ბეჭან ბეგის შვილს სოლომონს... მაშინ დაგვეაჯენით, და ვის-მენეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და ესოდენისა ჩვენზე თავგანწირვით... სამსახური მოვიკსენეთ და წყალობისა თვალითა მოგხედენით და შეგიწყალეთ, და გიბოძეთ თელავს ბაზრის ტარულობა, მერმე ნადირმა დალისტანიდამ მობრუნდა და კარგათ ვემსახურენით და მივეგებენით, და ქართველთ ბატონობა გვიბორა. მაშინ ძეელთა-განაც ჩვენ მამა პაპათაგან დიდუბის მოურაობის წყალობა გვიჩებოდათ ჩვენც იმჩიგათ დიდუბის მოურაობა გიბოძეთ როგორათაც ძეელს სიგელში გეწეროსთ... ჩლმ ქორონიკონს უკუ (1740 წ.)”³⁰. ბე-პედი აზის მეფე თეიმურაზისა.

უფრო მოგვიანებით, 1764 წ. ამავე სიგელს ხელმეორედ ამტკიცებს მეფე ერეკლე II და გურგენიძეებს ისევ დიდუბის მოურავობას უმტკიცებს. „ქ. ჩვენ ყოველისა ზემოხსა საქართველოსა მცყ-რობელმან მეფეთ მეფემან ერეკლე ესრეთ განვაწესეთ რომელ: რანიცა კახეთის ანუ მამული და ანუ სახელონი უპყრიან ამათ ბო-ძებულნი ჩვენგან ესე ყოველი სოლომონს და მისსა შვილსა დარჩეს; და რაც ქართლში მამული თუ სახელო და დიდუბის მოურაობა პქონდესთ ეს ყოველი ბარამს და მისს ძმას დარჩეს: ქე-ს შობის (ქ) ქ-ეს აქეთ ჩლ-ღ”³¹.

29 3 3 უ ნა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისამი, საქართველოს ცხოვ-რება, ზ. კიკინაძის გამოცემით, 1913, გვ. 80.

30 სცია, ფ. 226, აღწ. 1, № 9662.

31 დასახ. საბუთო.

თეიმურაზ II-ის მიერ ბოძებული ზემოთ მოტანილი სიგვლი-დან ირკევეა, რომ გურგენიძეთა გვარი ძველთაგანვე ფლობდა და-დუბის მოურავის სახელოს (აღვილი დასაშვებია, რომ მათ სოფელ დიდუბის მოურავობა შაპინავაზმა უბოძა).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, XVIII ს. 20-იანი წლებიდან მო-ყოლებული ქართლ-კახეთს ძნელბედობის ხანა დაუდგა. მიუხედა-ვად ამისა, მთელი XVIII ს. განმავლობაში სოფ. დიდუბეს იშვია-თად, მაგრამ მაინც კხვდებით ისტორიულ ძეგლებში.

1744 წ. ქართლში ბოლო მოელო 20 წლის უმეფობის ხანას. ირანის შაპმა ნადირმა თეიმურაზ II კახთა მეფის ერეკლე I-ის ძე დანიშნა ქართლის მეფედ, ხოლო მისი ძე ერეკლე II—კახეთის მე-ფედ. ეს ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო. ამიტომ თეიმურა-ზის თბილისში შემობრძანება და ხელდასმა საერთო ეროვნულ ზე-იმად იქცა. მემატიანე ამ ისტორიულ ამბავს ამაღლებულ ტონში, დიდი პათოსით მოვეთხოვდა: „აიყარა მეფე თეიმურაზ ლილო-და-მ, შემობრძანდა ქალაქესა თბილისისასა, თვესა ივლისსა თ, მიე-გებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამლელელონი, შეასხეს ქება და შესწირეს გაღლობა ღმერთისა. მოუვიდათ ეს სიხარულისა ამბავი ბატონის-შვილს ერეკლეს. მაშინვე წაბრძანდა ქალაქეს, გავიღნენ, დასცეს სევანი დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა, გავიდა იბრეიმ-ბეგ, მიუტანა რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიცვა იქ და ეგრე შე-მობრძანდა ქალაქში... გაეგება მამა თეისი, მოულოცეს ერთმანეთს. და ეგრე შემობრძანდნენ;³²...

მემატიანე პაპუნა ოჩბელიანის მონათხრობში კხვდებით მე-ტად საჭირო ცნობას, კერძოდ, „გავიდნენ დასცეს სევანი³³ დიდუ-ბეს, ჩამოხდა მას შინა...“. ეკვს გარეშე, ერეკლე ბატონიშვილი „სევანს“ არ დადგამდა დიდუბეში, ტრიალ მინდორში ყაენის რა-ყამის და ხალათის მისაღებად.

ქართველებმა საკუთარი ძალით ვერაფერი გააწყვეს მოძალე-ბულ ლეკტა თარეშის ასალაგმავად. გადაწყვდა: იმიერკავკასიაში და-ექირავებინათ უკხო ჯარი და მათი საშუალებით გაეწიათ წინააღმ-დეგობა. 1754 წ. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მოწვევით

32 ვ. ვ. ნა თ 6 პ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, საქ. ცხოვრება, 1913,
გვ. 91—92.

33 სევანი ბოძებზე შემდგარი ძვირფასი ქსოვილისაგან დაშანდებული კარა-ვია, „მეტებე მოაღებინა სევანი ერთი, რომლისა მსგავსი არა არს პირსა კევყა-ნისასა. ასე ხშირად ესხა მარგალიტი თვალი რომე მისი ალავი არა ჩანდა. მისი სევრები მარმარილოსი იყო“ — ჩუსულანიანი, 1957, — გვ. 104.

ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდა ჩერქეზების, კალმუხების, ჯიშების, ქისტების, ოსების, ნოღაელების და ლლილველებისაგან შემდგარი დაქირავებული ჯარი. დაქირავებულთ არაგვის ერისთავი ჯიშერ მეთაურობდა. ლაშქარი თბილისისაკენ მოემართებოდა, მტკვრის მარცხენა ნაპირით: „გამოუძლვა ერისთავი ჯიშერ და ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისა მახლობელ, დააყენეს დიდუბეს, დააყენეს მემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა საყოფელად მათდა...³⁴—მოგვითხრობს მემატიანე. მოტანილ წყაროში მოხსენიებულია სახელმწიფო მოხელე მემანდრე. ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს დიდუბის ისტორიის გარევევისათვის. ქვეყანაში მემანდრეს ევალებოდა: საპატიო სტუმრის მიღება-გაცილება, მგზავრობის უამს მისი პატივისცემა, უზრუნველყოფა მოსასვენებელი და ლამის გასათევი ბინით, სურათ-სანოვაგით. სტუმარი სადაც გაჩერდებოდა, მემანდრე მის სასარგებლოდ გადასახადს კრეფდა, ერთი სიტყვით, იგი მესტუმრება³⁵. მემანდრის უფლება-მოვალეობაზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო არაგვის ერისთავის ჯიშერის და მისი ლაშქრის დაბანაკება დიდუბეს. უთუოდ ეს სოფელი ეკონომიკურად იმდენად ლონიერია, რომ მას შეეძლო მასპინძლობა გაეწია მოსულთათვის.

პაპუნა ორბელიანი დიდუბის შესახებ კიდევ ერთ ცნობას გვაწედის. 1756 წ. თებერვალში კახთა ბატონის ერეკლე II-ის მეულემ დარეჯან დედოფალმა შვა ძე ლევან ბატონიშვილი. ეს სასიხა-ტულო ამბავი მთელს საქართველოს გასწვდა. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და მოსალოცად აღმოსავლეთ საქართველოში იმერეთის კათალიკოზი ბესარიონი მოდის. „...კათალიკოზი იმერეთისა ბესარიონ, ძმა რაჭის ერისთავისა: რა გარდმოვიდნენ საქართველოსა მიწაში და მოაგებნეს თავაღნი და მისცეს ულუფა საკადრად და კმა-საყოფელად მათდა: მოახლოვდნენ რა ქალაქს, ჩამოახდინეს დიდუბეს, მიაგებეს ბატონი-შვილი გიორგი დარბაზისა ერნი, ჩინებულნი თავაღნი, ყოველნი მოუძლევნენ აგრე პატივით ქალაქსა შინა“³⁶. ქართველი ისტორიკოსის შრომიდან ზემოთ მოტანილი მონაკვეთი მართალია მწირ ცნობებს გვაწვდის დიდუბის შესახებ, მაგრამ ისიც საქმარისია იმისათვის, რომ უცილობლად მივიჩნიოთ დი-

34 პაპუნა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 215.

35 ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, 1952, გვ. 275—278.

36 პაპუნა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 232.

დუბის, როგორც დასახლებული პუნქტის, სოფლის არსებობა იღებულ პერიოდში.

XVIII ს. 60-იანი წლების შემდეგ, თითქმის საუკუნის დასასრულამდე (1796 წ.) სოფ. დიდუბე ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში აღარა გვხვდება. გიულდენშტედტი, რომელმაც ჩვენში იმოგზაურა 1771—1772 წწ.. თავის ნაშრომში ახსენებს დიდუბის დანგრეულ ციხეს³⁷. მისივე საქართველოს 1772 წ. რუკაზე დატანილია დიდუბის გაპარტახებული ციხე. მოგზაურის მიერ დიდუბის ციხე-გალავნის ასეთ მდგომარეობაში ნახვა ლეკთა ჩბევა-ნამუსრევზე მიგვინიშვნებს. ამის გამო უნდა იყოს, რომ 1781 წ. სოფელთა ოლწერის სიაშიც ერ ვევდებით სოფელ დიდუბეს, მაგრამ მისი ასე პირშინდად გაქრობა თბილისის სანახებიდან ისე, რომ ერთი კომლიც არ დარჩენილიყო, ცოტა საეჭვოდ მიგვაჩინია. თვით ამ დოკუმენტის (1781 წ. სოფელთა ოლწერის სიი) შემკრების და გამომზეურებლის ივ. ჯავახიშვილის აზრით, ოლწერა ნაუცბადევად, ნაჩქარევად შედგენილის სახეს ატარებს³⁸. 1781 წ. ოლწერაში იმ დროს აჩსებული ბევრი სოფელია გამოტოვებული. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩადგანაც ოლწერა ემსახურებოდა ძირითადად სამხედრო საქმეს, კომლიდან მოლაშქრის გამოყვანას ამ დროს სოფელი დიდუბე ისე უნდა ყოფილიყო დაძაბუნებული და ათხელებული, რომ მისი ოლწერა საქიროდ არ ჩათვალეს.

ამავე დროს, ომიშნული ოლწერის მიხედვით, სოფ. კუკიაში სახლობენ დიდუბელი გლეხები.

ცოტა არ იყოს უცნაურად ჩანს, რომ დიდუბელებმა სახიზნავად, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საცხოვრებლად აირჩიეს სოფ. კუკია, რომელიც ემიგრებოდა დიდუბეს. შეიძლება ეს განაპირობა სოფ. კუკიის ქალაქთან სიახლოვებ...

პლატონ იოსელიანი სოფ. დიდუბის მოსახლეობის აურის მიზეზად, სრულიად სამართლიანად, ლეკთა თარეშს ახახელებს: «.. .бывшее там село Дикубе, опусташено нашествием лезгин еще до воцарения Ираклия II и часть жителей его поселились в предместия Тифлиса так называемых Кукия и Чугурети»³⁹.

³⁷ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის ჩედაქით, ტ. 1962, გვ. 67.

³⁸ ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები, ტ. I, 1967, გვ. 157.

³⁹ П. Иоселiani, Опис. древн. г. Тифлиса, 1866, გვ. 262.

მევლევარი აქ ერთ ადგილზე უშეებს უზუსტობას, როცა ლაპარაკობს, რომ ჯერ კიდევ მეფე ერეკლე II-ის გამეფებამდე სოფ. დიდუბე აყრილი იყო ლეკთა თარეშის გამო და მისი მოსახლეობა: დასახლებული იყო სოფ. კუკიასა და ჩილურეთში. ჩვენ არ ვთანხმებით მევლევარს დიდუბელების სოფ. კუკიაში დასახლების დროის მითითებისას. კუკიაში დიდუბელები დასახლდნენ არა ერეკლე II-ის გამეფებამდე, არამედ მისი მეფობის ხანაში და მის შემდეგაც. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მეფე თეიმურაზ II 1740 წ. დიდუბის მოურავად ნიშნავს გურგენიძეს, აღნიშნულ სიგელს ხელმეორედ ამტკიცებს 1764 წ. მეფე ერეკლე II. დიდუბე იხსენიება 1744, 1754, 1756 წლებშიც. სამწუხაროდ, გიულდენშტედტი არაფერს ამბობს სოფ. დიდუბეზე, ახსენებს მხოლოდ დანგრეულ, მიტოვებულ ციხე-გალავანს. სოფ. დიდუბე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც 1781 წ. აღწერაში გვხვდება. სამაგიეროდ, XVIII ს. ბოლოს, 1796 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით სოფ. დიდუბე იძეგრება საბატონო გამოსალებით, რაც უტყუარი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ დიდუბე დასახლებულია და იწოდება ქალაქისპირა სოფლად.

„ქ-ს უპდ იანვრის, კვ, ქალაქის ნაპირის სოფლებს შეშა შესწევდა. ეს იმისი პირია რომელმან ისაულად წაედნენ ისინიც აქა სწერიან... ა/ქ. დიდუბემ ურემი“⁴⁰, ჩვენს მიერ მოპოვებული მეორე საბუთი, რომელიც ამაგრებს პირველს, ღალადებს. „გ/ქ. დიდუბელთ ურემი“⁴¹.

იმანგ ბატონიშვილის მიერ ზემოთ ნახსენებ ქართლ-კახეთის სოფლების სიაში ვხვდებით დიდუბეს ოლონდ ასეთი ფორმით: „ქ. დიდუბე“⁴². ძნელი სათქმელია ამ დროს იგი „შენი მოსახლენია“ თუ არა.

1800 წ. გიორგი XIII-ის მეულლის მარიამ დედოფლის მიერ რუსი ხელისუფლებისადმი წარდგენილი დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ სოფ. დიდუბეში მოსახლე ექვსი კომლი გლეხი უწყალობებით ბატონიშვილებისათვის⁴³.

დრო და დრო სოფ. დიდუბის გაქრობა ქართული საისტორიო წერილობითი წყაროებიდან ნიშანდობლივია იმ ავბედითი უამისათვის, რომელიც ადგა საქართველოს XVIII ს. იმის საილუსტრა-

40 სცსია, ფ. 1448, № 1704.

41 სცსია, ფ. 1448, № 1703.

42 ი თ ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 128.

43 აქტე. თ. I, გვ. 216.

ციოდ თუ რამდენჯერ შეიძლებოდა ერთი და იგივე სოფელი აყრილიყო, გახიზნულიყო და ისევ იმავე აღგილზე დასახლებულიყო, მოვცყავს ამავე საუკუნეში თბილისის მახლობლად მდებარე სოფ. ავტალას თავსგადამხდარი ამბავი. დოკუმენტი შედგენილია 1779 წ. 8 მარტს. აქ ღ-თან ბელინიერის ხელმწიფის კირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს ყიზილბაშობას თრიალეთიდან ტერ-ყაზარა ჰავჭალს მამაჩემს მოსცელია, ყოფილა ჰავჭალას, არბაბობას ჰავჭალელები რომ აყრილან, ის ტერტერაც ჰავჭალელთ თან მიჰყოლიან: მას უკანა არბაბობა რომ გარდაეარდა და ჰავჭალელები თავიანთ ალაგს მოსულან, ის ტერტერაც ჰავჭალელებთან საგურამოს მისულა, იქიდან, რომ კიდევ წახდა ავჭალა, ის ტერტერაც ავჭალელებთან თიანეთს მივიღა... ამას წინათ ავჭალა რომ კიდევ აშენდა...⁴⁴

1803 წ. შედგენილი საბუთი გვამცნობს, რომ XIX ს. დასაწყისისთვის დიდებულები კუკიას სახლობენ და იქ იბეგრებიან: "...ქ აუკიას მოსახლეთ დიდებულებმა კოდი"⁴⁵.

სახელი დიდუბე შერჩა ძეელი სოფლის მცირე ტერიტორიას, რომელიც ითარებულებოდა (მიახლოებით შეგვიძლია ამის მინიშნება, თ. ბ.) დიდუბის ღვთისშობლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიით.

დიდუბის ეკლესიის მოშორებით, ჩრდილოეთით დიდუბის მიწაზე, 1818 წ. საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტთა წარილი დასახლდა. აქ გერმანელებმა შექმნეს თავიანთი კოლონია — ალექსანდრერორფი, მას „შორეულ ახალშენი“⁴⁶ უწოდებდნენ.

XIX ს. დიდუბეს აღარ დაბრუნებია ძეელი დიდება.

XIX ს. დასაწყისიდან წერილობით წყაროებში დიდუბე, როგორც ცალკე არსებული სოფელი, აღარა გვხვდება, დიდუბელები სახლდებიან სოფლებში — კუკიასა და ჩულურეთში, ასევე ქალაქშიც.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი სოფელ „დიდუბიდან მოსახლეობის გამოსვლასთან დაკავშირებით გვაწვდის საინტერესო“ ცნობას, თუმცალა იგი არაა დაზღვეული ავტორისეული უზუსტობისაგან. წმ. ჯვრის

⁴⁴ 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, მასალები საქ. ეკონომ. ისტ-სათვის, ნაწ. 3, 1955, გვ. 141.

⁴⁵ 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, მასალები საქ. ეკონომ. ისტ-სათვის ნაწ. 3, 1955, გვ. 141.

⁴⁶ მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს დედაქალაქი ტფილი, 1893, გვ. 9.

კლესია 1815 წ. აკურთხა მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა (1811—1817) «...для населения тамошняго в Кукие, после переселения их из опустевшей деревни Диудубе».⁴⁷ მოტანილი მონაკვეთი მიგვანიშნებს, რომ სოფ. დიდუბიდან წამოსული ხალხი იმდენად მრავალ-რიცხვები ყოფილა, რომ საქირო გამხდარი მათთვის სალოცავის აგება.

1813 წ. შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე დიდუბე უკვე აღარაა დატანილი. მოგვიანო ხანის—1884, 1887 წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე დიდუბე კვლავ გვხვდება, მაგრამ იგი უკვე ქ. თბილისის ფარგლებშია მოქცეული და გეგმებზე აღვალის სახელწოდების სახითაა დატანილი.

სოფ. ჩულურეთის მფლობელმა თავადმა ამატუნმა ისარეგბლა იმ ქასით, რაც სუფევდა XIX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების გამო. მან ატეხა დავა სოფ. ჩულურეთის საზღვრების დაღვენისათვის და სხვადასხვა ხერხებით ზოსკი-დული მოწმეების, თევთ აძალუნის არასწორი ჩვენებების საშუალებით ერთმანეთში არია მეზობელი სოფლების: ჩულურეთის, კუკიის და დიდუბის საზღვარი. კუკიილების და დიდუბელ თა მიერქვეთომდა უუფლებოდ და უსაფუძვლოდ დაკავებული სოფელ ჩულურეთის მიწის სანაცვლოდ სასამართლო ამატუნს მიუზომა მიწის ნაკვეთი: «Князю же Аматиони в месте селения Куки отведена двойная пропорция, Ди-дубийский с обеих сторон старой крепости до болѣшой догоги и поставлены столбы»⁴⁸. მოტანილი მონაკვეთი გვამცნობს, რომ ამატუნს კუთვნილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ დიდუბის ძევლი ციხის ორივე მხარეს მიუღია ორჯერ მეტი მიწის ნაკვეთი.

სად მდებარეობდა დიდუბის ძევლი ციხე? როგორც უკვე აღვინიშნეთ, დიდუბის ციხის გალავნის შესახებ პირველად ცნობას გვაწვდის გიულდენშტედტი: «...დილმიდან 1/2 საათში გავიარეთ ჭიშიძევიანი მთა და გადავედით მდინარე ვერისხევზე, რომელზე-დაც არის ქვის ხილი, აქედან ზედ მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩანს დანგრეული დიდუბის ციხე»⁴⁹. ამ ცნობის უტყუარობაში შე-

⁴⁷ Платон Иоселиани. Опис, древн. г. Тифлиса, 1866, гл. 86. პლატონ იოსელიანი ცდება წმ. ჯერის ეკლესიის აღვილის მინიშნებისას, როგორც არაერთგზის აღვინიშნავს, ამ სახელობის ეკლესია იდგა არა კუკიაში, არა მეღ სოფ. ჩულურეთში.

⁴⁸ სცია, ფ. 2, აღწ. 1, № 1553, გვ. 50.

⁴⁹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გვლაშვილის რედაქციით, ტომი I, 1962, გვ. 61,

შეგვეტანა ეჭვი, რადგანაც სოფ. დიდუბის მახლობელ სოფლებში, ქვემო და ზემო აკეთაშიც იღგა ციხე გალავანი და უცხო მოგზაურს შეიძლებოდა შეცდომა მოსვლოდა, მაგრამ მის დაკვირვებულ თვალს არ გამორჩენია მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქის სისირა სოფლების — ზემო და ქვემო ავჭალის ციხე-გალავნებიც და მათ თანმიმდევრულად ჩამოთვლის: „...როგორც კი ამ კუთხეს შემოუხვიეთ (ლაპარაკია დევისნამუხლარზე, თ. ბ.), მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე დავინახეთ დანგრეული ციხე ზემო ავჭალა, ხოლო ერთი ვერსით აღრე სამხრეთით მდინარე ავჭალის ხევის ჩრდილოეთ მხარეზე, ასევე დანგრეული სიმაგრე ქვემო ავჭალა“⁵⁰. საინტერესოა, თბილის მთახლოებული მოგზაური რომელი ადგილიდან ხედავდა დიდუბის მიტოვებულ, დანგრეულ ციხე-გალავანს?

მოგზაური გარკვევით წერს, რომ მდინარე ვერისხევზე გადებულ ხიდზე გასვლის შემდეგ დაინახა დიდუბის დანგრეული ციხე-გალავანი. გიულდენშტედტი ხიდზე გადასვლისთანავე ვერ დაინახავდა დიდუბეს, რაღანაც იგი მოფარებული იყო პატარა ქედს, რომელიც გაიკრა 1935 წ. (ჩელუსკინელების სახელობის ქეჩა). მგზავრს რომ მტკვრის მარცხენა ნაპირი დაენახა, ამისათვის უნდა აღნიშნულ ქედზე ასულიყო (რაც მას არ გაუკეთებია), ანდა გზის გაყოლებით სოფ. ვერემდე მისულიყო დაახლოებით იქ, სადაც დღეს კიროვის სახელობის პარკია გაშენებული, იქედან ჩრდილოეთით მდინარე მტკვრის ხეობა იხსნება. მოგზაური დიდუბის დანგრეულ ციხე-გალავანს უთუოდ აქედან დაინახავდა. სამწუხაროდ, იგი ქერდება მხოლოდ ციხის ხსნებას და არაფერს ამბობს მისი აღმშენებლის, ფორმის, დანიშნულების და აგების თარიღის შესახებ. გიულდენშტედტის მიერ მოწოდებული ცნობიდან ერც ციხე-გალავნის ზუსტ კოორდინატებს ვიგებთ.

ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხის, კერძოდ, ციხე-გალავნის მდგომარეობის ზუსტ მინიშნებაში და მისი ფორმის გარკვევაში გვეხმარება მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ-სამხედრო სახელმწიფო არქივში დაცული, ჩვენს მიერ ზემოთ არაერთხელ ნახსენები ორი გეგმა — კაპიტან ჩუიკის მიერ შედგენილი თბილის 1800 წლის, და პოლკოვნიკ ტიხონოვის მიერ შედგენილი თბილისის უთარილო გეგმა.

აღნიშნულ გეგმებზე დიდუბის ციხე-გალავანია დატანილი. ჩუიკის გეგმას აწერია: «Разаренное замок бывшего здесь селения

50 დაახლოებული ნაშრომი, იქვე.

Дидубе» ხოლო მეორეს — «Разаренныи замок бывшего сел. Ди-
дубе». ორივე გეგმაზე ციხე-გალავანი მდინარე მტკვრის მარცხენა ნა-
პირის სიახლოეს დგას. მისი მღებარეობის ზუსტად მინიჭნებაში გვე-
ხმარება ჩუიოს მიერ შედგენილ გეგმაზე დატანილი დიდუბის ღვთის-
მშობლის ეკლესია. გეგმაზე ეკლესიას აქვს წარწერა: «Грузинская
церковь пресвятой Богородицы». ეკლესია ციხე-გალავნის ჩრდილო-
ეთითა და დღევანდელი დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის
აღგილზე დგას. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ დიდუბის ცი-
ხე-გალავანი შეგვიძლია მოვათავსოთ დაახლოებით იქ, სადაც დღეს
„დინამის“ სტადიონია.

ზემოთ მოტანილი გეგმების მიხედვით თუ კიმსჯელებთ, დი-
დუბის ციხე-გალავანი ყოფილა მოგრძო სწორუკუთხა ფორმის, ოთ-
ხევე კეთხეში ცილინდრული ფორმის კოშკები ჰქონია დატანილი.
თუ გავითვალისწინებთ გეგმის მასშტაბს (100 საუენი ერთ დიუმ-
ში), ციხე-გალავანი არცთუ ისე პატარა მოცულობის უნდა ყოფი-
ლიყო. გეგმის მიხედვით ციხე-გალავნის შიგნით სხვა წაგებობა არ
არის. გეგმით ვერ დგინდება ციხე-გალავნას სად ჰქონდა დატანი-
ლი კარიბჭე და თუ ჰქონდა, რამდენი?

საინტერესოა, თუ ჩოლის ჩნდება ქართულ ხუროთმოძღვრებაში კინე-გალავნის ტიპის ნაგებობები?

დიდუბის ციხე-გალავნის რაობის გარკვევაში გვეხმარება მი-
სასადაგებელი მასალა, რომელიც საგანგებოდ გამორჩვეული და
შესწავლილი აქვს პროფესორ პ. ზაქარაიას. მკვლევარი ეხება და
აღწერს XVIII ს. ქართლის ციხე-გალავნებს. იგი მათ უწოდებს
„ახალი ტიპის“ სიმაგრეებს, ხალხი კი მათ „გალავანს“ უწოდებს.
ციხე-გალავნები შენდებოდა გაშლილ, დაცუმულ ადგილზე, მისი
შევალეობა იყო უცაპედი, მოულოდნელი უბედურების შემთხვე-
ვაში სწრაფად შეეხიზნა, შეეფარებინა სოფლის მოსახლეობა. „ამი-
ტომ მას ძველი ციხე-სიმაგრეების მიუვალი და ვიწრო შესასვლე-
ლების მაგიერ, ფართო კარს—კარიბჭეს ატანდნენ“⁵¹.

როგორც მევლევაზი აღნიშნავს, „ახალი ტიპის“ ციხე-გალავნის შექმნა განაპირობა ქართლ-კახეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ—გაუთავებელმა ლეკიანობამ. არავინ იყოდა ამა თუ იმ სოფელს დღის რომელ დროს ან საიდან დაეცემოდა აბრაგი-ლეკი. ყანაში გასული თუ საშოვარზე წასული გლეხი, ხელოსანი არ იყო უზრუნ-

51 3. ზაქარა ა ი ა, თავდაცვითი ღონისძიებანი, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, საქ. საბ. მცხევრების მომებე, ტ. XVIII, 1967, გვ. 238—243.

ველუოფილი და არ იცოდა შინ მობრუნებულს ჩოგორ დახვდებოლა ოჯახი — მშეიღობით თუ აწიოკებულ-დარბეული. კარ-მიღამოთი მოშორებული თანასოფლელები თავსდამტყდარ უბედურებაში ერთმანეთს ვერ ეხმარებოდნენ. გაჭირვებამ ქართველი კაცის ცხოვრების დღის წესრიგში საერთო თავდაცვითი ნაგებობის აგების საკითხი დააყენა, სადაც შეეძლებოდა თავის შეფარება-შეხიზვნა სოფლის მთელ მოსახლეობას — დიღსა თუ პატარას, გლეხსა თუ თავადაზნაურს. „ციხე გალავანში დამცველი ჯარი მუდმივად არ იდგა, მას საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ და მისი დაცვა ევალებოდათ იმათ, ვინც შიგ იხიზნებოდა ე. ი. იგი სათემო იყო“⁵².

ჩვენ არ ვიცით სოფ. დიღუბის ციხე-გალავნის აგების ზუსტი თარიღი. ჯერჯერობით ამის შესახებ ღუმან ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული წერილობითი წყაროები. სოფ. დიღუბის ციხე-გალავნის მიახლოებითი დათარიღების საშუალებას გვაძლევს ისტორიელს სეხნია ჩხეიძის ნაშრომში მოტრილი ცნობა: „ამავე ქრონიკონსა უკავები და ააშენა ისაყ-ფაშამ ციხე ავ-ჭალასა, კოშკები დიღმის ბოლოდან ატენის წყლამდის თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკტ გამოსავალი“⁵³. იგოვე ცნობას იმეორებს აკადემიკოსი მარი ბროსე⁵⁴. მოტრანილი მონაკვეთებიდან ირკვევა, რომ ისაყ-ფაშას (1725—1735) დროს აგებულ ციხე-გალავანთა რიცხვში არაა ციხე-დიღუბის გალავანი. მართალია, მემატიანე ლაპარაკობს მხოლოდ იმ ციხე-გალავნებზე, რომლებიც ააგო და შეაკეთა ისაყ-ფაშამ მოძალებული ლეკტა თარებშის ასალაგმავად, მაგრამ არა ვეკონია, რომ მემატიანეს უბრალოდ გამორჩებოდა სოფ. დიღუბე. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ისაყ-ფაშას დროს სოფ. დიღუბე არსებობს, აქ ჯერ კიდევ არ უნდა მდგარიყო ციხე-გალავანი, იგი 40-იან წლებში უნდა აგებულიყო. „ციხე-გალავნები XVIII საუკუნის შუა სანებში იგებოდა ქართლ-კახეთის მთელ ტერიტორიაზე“⁵⁵. მართლაც XVIII ს. შუა ხანებში თბილისში ჩრდილოეთიდან მომავალი თითქმის ყველა საპატიო სტუმარი ჩერქება დიღუბეში — 1744 წ. ერეკლე ბატონიშვილმა დასცა „სევანი დიღუბეს“, 1754 წ. ჯიმშერ არაგვის ერისთავი თავის ლაშქრით „დააყენეს დიღუბეს“, 1756 წ. ბესარიონ იმერეთის კათალიკოზი „ჩამოახდინეს დიღუბეს“.

52 3. ზაქარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 238.

53 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ქოვრება, ზ. კი-შინაძის გამოცემით, 1913, გვ. 45.

54 გ ა რ ი ბ რ ი ს ე, საქართველოს ისტორია, 1900, გვ. 68.

55 3. ზაქარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 242.

ვფიქრობთ, რომ თბილისის სიახლოეს, დიდუბეში საპატიო სტუმ-რის ჩამოხდომა-გაჩერება ამ დროს, ძნელბედობის ხანაში, როცა დღის ყოველ დროში მოსალოდნელი იყო ლეკ-დამრბეველ, ამწი-ოკებელთა გამოჩენა, განცირობებული უნდა ყოფილიყო სწორედ აქ მდგარი თავდაცვითი ნაგებობით, ციხე-გალავნით.

საქართველოს 1772 წ. რუკაზე დატანილია დიდუბე. რუკა შედგენილია ლათინურ ენაზე. დიდუბე აღნიშნულია გეომეტრიუ-ლი ნიშნით—Δ, რომელიც რუკას თანდართულ ექსპლიკაციაში ახ-სნილია ასე — Castellum desertum (გაპარტახებული ციხე-სიმა-გრე)⁵⁶. გიულდენშტედტის მიერ აღწერილი, ქალაქისპირას მდებარე დანგრეული, მიტოვებული ციხე-გალავნები მაჩვენებელია ლეკთა გამუდმებული და გამანადგურებელი რბევა-აწიოკების.

ლეკიანობამ ისე შეაწუხა საქართველო, რომ სამეფო კარი იძუ-ლებული იყო მათ ასალაგმავად და ერთის გადასარჩენად 1774 წ. შე-ექმნა „მორიგი ჯარი“. ამის შესახებ მორიგი ჯარის განჩინებაში სწე-რია: „...რადგანაც საქართველოს ქვეყანა ლეკთაგან ამდენს ხანს ამი-სთანას მოუსცენებელს მტერობით შეიწრდა, და მოუთმენელს ჭირს-მიეცა, ჩვენც მრავალ გზის ბევრ რიგის გარჯილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი ნაწილი და საქმე გვეყოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერგო რამე და ამხანად ლთით უველასგან უმჯობე-სად და უკეთესად ეს გამოვარჩიეთ, და საერთოდ უველამ ვამჯო-ბინეთ...“⁵⁷.

საუკუნის 60-70-იან წწ. დანგრეული დიდუბის ციხე-გალავანი, ეტყობა, აღარ აღუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის შესა-ხებ არაფერი ვიცით. XIX ს. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულ საქართველოს აღარ ესავითობობდა ხალხის გასახიზნავად თავდაც-ვითი ნაგებობანი — ციხე-გალავნები. დიდუბის ციხე-გალავანი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები რუსი ოფიციალების—ჩუიკოს და ტიხო-ნოვის მიერ შედგენილ გეგმებსა და საარქივო მასალაში იხსენიება, როგორც ძევლი ციხე, ანდა დიდუბის ციხე.

დიდუბის მეორე ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც 1800 წ. გეგმაზე⁵⁸ გვხვდება და ყურადღებას იქცევს, ესაა დიდუ-ბის ეკლესია.

გეგმაზე დატანილი ეკლესიის მიხედვით ძნელია რაიმეს თქმა.

56 ვ. გამ რეკელი, საქართველოს 1772 წლის რუკა, 1964, გვ. 45.

57 ექ. თავაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1920, გვ. 117.

58 ცГВИА, ფ. ВУА, დ. 19807.

მისი სიდიდის, ფორმის თუ სხეათა შესახებ. გეგმიდან ვიგებთ, რომ ეკლესია ქართულია და ლეთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული — „Грузинская церковь пресвятой Богородицы“. 1800 წ. გვემაზე არ ჩანს ეკლესია დანგრეულია თუ მოქმედი. დიდუბის ეკლესიაზე ცველაზე აღრეულ, არაპირდაპირ ცნობას გვაწედის მეფე თამარის დავით სოსლანზე ქორწინებასთან დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი: „და წარვიდეს დიდებული იმერნი და ამერნი, და წამოიყანეს დედოფალი გაზრდილი მისი დავით რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყესი და შემსგავსებული კელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“⁵⁹. თამარ მეფის ქორწინების შესახებ ასევე გვამცნობს ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძლუარი.


მართალია, მემატიანები უშუალოდ დიდუბის ეკლესიაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით უტყუარი ფაქტი დიდუბეში მეფის სრა-სასახლის არსებობისა და აქ ქორწინების გადახდისა გვაფიქრებინებს, რომ აქ სასახლესთან ერთად კარის ეკლესია უნდა მდგარიყო. მეფის სასახლე ხომ არ შეიძლებოდა კარის ეკლესის გარეშე. თამარ მეფის დროს რომ დიდუბეში უსათუოდ იდგა ეკლესია, ჩვენში ეკვე არ იწვევს. საეკვრა და სათუოა ის მოსაზრებანი, რომლებსაც გამოთქვამდნენ ისტორიკოსები დიდუბის ძველი (XII საუკ.) ეკლესის შესახებ, რომელმაც ვითომდა XIX ს. მოაღწია. პლატონ იოსელიანი დიდუბეზე საუბრისას ამბობს: იქ მდგარი სასახლე მონოლების შემოსევამ იძსხევერპლა, ოლონდ ძველმა ეკლესიამ ბოლო დრომდე მოაღწია.⁶⁰ იგივე პლატონ იოსელიანი სხვა ნაშრომში უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს და აღწერს დიდუბის ეკლესიას: «Церковь во имя пресвятой Богородицы Иверской, существует на левом берегу р. Куры, в долине Дикубийской в 3 верстах от Тифлиса между двумя немецкими колониями. Жители Тифлиса приходят туда на поклонение в понедельник святой недели. Церковь эта лишена свода»⁶¹.

მევლევარის აღწერის მიხედვით მის დროს ეკლესიას თალი ჰქონია ჩამონგრეული.

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხხიშვილის ჩედაქციით, ტ. 2, 1959, გვ. 47.

⁶⁰ Платон Иоселiani, Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, 1871, გვ. 79.

⁶¹ Платон Иоселiani, Описание древ. города Тифлиса, 1866, გვ. 262.



რუკა 7. სოფ. დიღუბე, კუკია, ჩულურეთი

1848 წ. 14 აპრილს ჩეუტისადმი წარდგენილ მოთხოვნაში კუკიელი მეტურქლები მოითხოვენ თიხის ახალ კარიერს მტკვრის პირას, თბილისის კოლონისტების კუთვნილ მიწაზე. მოტანილ დოკუმენტში ვხვდებით ალექსანდრელორფთან ახლოს მდებარე ძველ ეკლესიას. დარწმუნებით შევიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ძველი ეკლესია დიდუბის ლეთისმშობლის ეკლესიაა. ჩვენი მოსაზრების უეპველობაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ ალექსანდრელორფი სამხრეთით ემიჯნებოდა დიდუბის ეკლესიის მიდამოს (იხილეთ ზემოთ), და, რომ ამ ტერიტორიაზე ძველი ეკლესია სხვა არაფერია თუ არა დიდუბის ეკლესია.

დიდუბის ტერიტორიაზე მდგარი ჩვენამდე; მოღწეული ლეთისმშობლის ეკლესიის აგების თარიღად თბილისის გზამჟვლევის ავტორი პ. შამრავესკი ასახელებს 1884 წ.: «Прежней, древней церкви построенной царицей Тамарой нет, она разобрана и на ее месте построена в 1884 году новый храм»⁶².

б. ფ. კლემენტიევის მიერ თბილისის 1884 წ. შედგენილ გეგმაზე დატანილია დიდუბის ეკლესია და სასაფლაო.

XIX ს. თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლების მკლევარი პროფ. ვ. ბერიძე დიდუბის ეკლესიის აგების თარიღად 1884 წ. იღებს⁶³.

მოსე ჯანაშვილი, რომელიც 1882 წ. ჩუნიგზით თბილისიდან გცხეთამდე მოგზაურობს, დიდუბზე ლაპარაკისას დიდუბის ლეთისმშობლის ეკლესიასაც ეხება: „...ეკლესია, ის შესანიშნავი დიდუბის ეკლესია, რომელშიაც ბრწყინვალე მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა... ეხლა სამწუხარო მდგომარეობაშია: რამდენი წელიწადია ამის განახლება დაიწყეს მაგრამ ეხლაც სანახევროდ გაუთავებელი უგდიად“⁶⁴.

მკლევარის სიტყვიდან ჩანს, რომ დიდუბის ტაძრის განსაახლებელი-სააღმშენებლო სამუშაოები დიდი ხნის წინ დაუწყიათ.

დიდუბის ეკლესიის ისტორიას უფრო ვრცლად ეხება დეკანზი დ. ლამბაშიძე: „...დიდუბის ეკლესია აგებული იყო აგურით ლეთისმშობლის სახელობაზედ. მოთხოვნა არის, რომ თამარის დე-

62 П. Ф. Ш а м р а е в с к и й, Путеводитель-Справочник по гор. Тифлису на 1907, გვ. 44—45.

63 ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917, ტ. II, 1963, გვ. 75.

64 მოსე ჯანაშვილი, მოგზაურობა ქართლში, „დროება“, 1882 წ., № 39, გვ. 2.

და დედოფალი ბურდუხან მძიმელ შეიქნა, გიორგი მეფემ აღთქმა მისცა ლმერთს, დიდუბეში ეკკლესია აეშენებია, თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებათ. მშვიდობით მორჩა დედოფალი და აი გიორგი მეფემ ამ ადგილს ააგო სასახლე და ეკკლესია.

...შემდეგ თამარისა თან-და-თან გააძლიერდენ საქართველოს მტრები, დაიწყეს ისევ ოხრება თბილისისა და სხვა ეკკლესიებს შორის დიდუბის ეკკლესიაც დასწევეს და დააქციეს. აქ 17 და 18-ტე საუკუნეობაში იყო ძელი დიდუბის ეკკლ. ნანგრევი, რომელზედაც სალოცავად ისე იქადებოდა ხალხი, როგორც მთელს ეკკლესიაში. საქართველოს ექსარხოსის პავლეს ღროს აღიძრა კითხვა დიდუბის ეკკლესიის განახლების შესახებ. ამ საქმეში დიდი ლვაწლი მიუძღვის განსვენებულ დეკანოზს ბესარიონ ზედგინიდეს, რომელმანც დიდი შრომა მიიღო ამ ეკკლესიის აშენების საქმეში. ეკკლესია სხვა გეგმაზედ აშენდა და მართლაც კარგი ეკკლესია აშენდა. პირველად იგი უგუმბათო იყო, მაგრამ ეხლა მშენიერი გუმბათი აქვს და მთლად ამშენებს დიდუბის არე-მარეს. დიდუბის ეკკლესიასთან განსვენებულმა ზედგინიდებ სკოლის შენობაც კარგი ააგო და სკოლაც არსებობდა. ამ ეკკლესიას დიდი შემოსავალი აქვს სანთლისა-გან და თუ რიგიანი წინამძღვარი ეყოლა მშენიერად შეიმკობა იგი და სკოლასაც კარგად შეინახავს”⁶⁵.

დეკანოზი დ. ლამბაშიძე ეკლესიის განახლების საკითხის აღძვრას მიაწერს საქართველოს ეგზარქოს პავლეს⁶⁶. ეს კი სწორი არაა. აქ ლაპარაკია პავლე ლებედევზე, რომელიც საქართველოს ეგზარქოსად ეკურთხა — 1882 წ. და ეს მალალი სასულიერო თანამდებობა 1887 წ. ეკავა⁶⁷. წერილი 1893 წელსაა დაწერილი და მისი აკტორი შეიძლებოდა შემცირარიყო. როგორც მოსე ჯანაშვილის 1882 წ. წერილში კითხულობთ, დიდუბის ეკლესიის განახლება დიდი ხანია დაუწყით, ოლონდ ახლა „სანახევროდ გაუთავებელი უგდიათო“. ეტყობა ეს მიტოვებული მშენებლობა პავლე ეგზარქოსმა განახლებინა და იგი მისი ეგზარქოსობის ღროს დამთავრებულა — 1884 წ.

დიდუბის ტაძრის ისტორიას გ. წერეთელიც ეხება:... „ძველი ეკლესია აგურით ყოფილა ნაშენი; მისი ნანგრევი განახლდა პავლე

65 გ. ჯანაშვილი, მოგზაურობა ქართლში, „დროება“, 1882, № 39, გვ. 2.

66 დ. ლამბაშიძე, დიდუბის ლეთის-მშობლის ეკლესია, „მწყებრივი“, 1893, № 18, გვ. 13—14.

67 საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1963 წლისათვის.

ეგზარქოსის დროსა რუსულ გეგმაზედ. ძველთაგანვე დიდუბის ლეთის მშობლის ეკლესიაზე მრავალნი მლოცველნი დაღიოდენ, განსაკუთრებით უძეო დედა-კაცნი და მტყილედ სწამდათ, რომ დიდუბის ლეთის მშობლის ეკლესია მიაგებდა მათ ნაყოფიერებას. დედოფალი ბურდუხნ თამარ მეფის დედა რომ მძიმედ შეიქმნა, თურმე გიორგი მეფემ ლმერთს აღთქმა დაუდვა, რომ დედოფალის ქეთილად მორჩენისათვის ლეთის მშობლის სახელზედ დიდუბის ეკლესია აღვაგოვო. მართლაც ეყოლა თუ არა შეილი, მეფემ აქ სა-სახლე და წალკოტი აღუგო თავის ქალს და თან აღთქმაც ალასრულა ლეთის წინაშე; აღვა ტაძარი დედა ლეთისა, რომელსაც მიანდო თავისი პირმშო ქალწული.

თამარ მეფემ მეორედ ჯვარი დიდუბის ეკლესიაში დაიწერა⁶⁸.

ტაძარში არის სამარხები, რომელთა ეპიტაფიები ცოტაოდენ ნათელს პფენენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ტაძარში შესასვლელის მარცხენა მხარეს, სამხრეთ კედელთან, რუსულ ენაზე შესრულებული სამარხის ეპიტაფია გვამცნობს, რომ ვინმე დანკევიჩი გარდაიცვალა და დაუკრძალავთ 1871 წ. 16 მაისს; ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან ასევე რუსულ ენაზე შესრულებული ეპიტაფია გვაუწყებს, რომ აქ, ამ ადგილზე განისვენებს 1873 წ. 22 თებერვალს გარდაცვლილ ვინმე პოლკოვნიკ ივანე ივანეს ძე შევჩენკოს გვამი.

დიდუბის ტაძრის შიგნით მოთავსებული აღნიშნული ეპიტაფიები (1871, 1873) გვაფიქტებინებენ, რომ შეიძლება ძეგლის განახლება, თუ აშენება საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს ანდა 70-იან წლების დასაწყისში დაეწყოთ.

დიდუბის ტაძარში არსებული სამარხების წარწერებიდან უველაზე მნიშვნელოვანია ის, რომელიც გვამცნობს საყდრის აღმშენებლის ვინაობას. წარწერა შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე. იგი დატანილია ეკლესიის სამხრეთ კედელში, შესასვლელის მარჯვენა მხარეს, საკურთხევლის ახლოს. უფრო აღრეული ჩანს იატაკზე, მარმარილოს ფილაზე ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა. დროთა სელისაგან წარწერა გაცუდებულია.

„აქა მდებარეობს გვამი
დეკანოზ
ბესარიონ სიმონის ძის

⁶⁸ დიდუბის ტაძარი, „კვალი“, 1893, № 17, გვ. 11.

ზედგენიძისა
აღმშენებლისა ამა ტაძრისა
7 ოქ... 1835 წ. 17 იანვარი 1893 წ.“

მაშასადამე, საყდრის აღმშენებელი დეკანოზი ზედგენიძე ყო-
ფილა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეპიტაფია. არაფერს გვატყობინებს
ტაძრის ავების თარიღის შესახებ და არც იმას, ახლის აღვილას
იდგა თუ არა ძველი საკულტო ნაგებობა.

ეკლესიის სამხრეთ კედელში დატანილია მარმარილოს ფილა-
ზე შესრულებული ეპიტაფია, რომელიც ღალადებს: „ლოდსა ამას
ქვეშ განისვენებს გვამი საქართველო იმერეთის სინოდის კანტორის
წევრისა და ქვაბთახევის მონასტრის წინამდებრისა აჩქიმანლრიტის
ნიკოლოზისა (სიმონოვი) აღვსრულა იუნის 8 დღესა შობიდგან 55
წლისა.

დასკერ რისხეისაგან წყრომისა
შენისა, უფალო დალხინება ჰყავ
უკუთურებისათვის ძის ერისა შენისასა
(გამოს, ლბ. იბ.).“

ამასთან დაკავშირებით 1664 წლით დათარილებულ ნასყიდო-
ბის წიგნში ვხვდებით მეტად საინტერესო ტოპონიმს: „...ასე და
ამა პირსა ზან მოყვიდეთ ჩ-ნის ალალის საქონლით ნასყიდი ვენა-
კი დიდუბის პირს დ-ფლის ჭალაძე (?) ყ-ის ადამის მონათესავის-
კაცისაგან. მოუდევარი და მოუსარჩლელი, ზემოთ გოგლის ვენაკამ-
დი... და მტკუარისაკენ ხატის ვენაკამდი. მისის წყლითა და გზითა
და ყ-ის მისის სამართლიანის მზღვრითა... დაიწერა წიგნი და სი-
გელი ესე ჭ-ენსა. ტნბ. მარტისამ: კგ“⁶⁹. დიდუბის პირას მღებარე-
ვენახი ქობულაშვილი ქობულასა და მისი ძმებისაგან უყიდია ბა-
ტონიშვილ კათალიკოზ დომენტის. დოკუმენტში, უპირველეს
ყოვლისა, გვაინტერესებს დიდუბესთან დაკავშირებულ აღვილთა
სახელები: „დედოფლის ჭალაძე“ და „ხატის ვენაკამდე“; აქედან
პირველი — „დედოფლის ჭალაძე“ გაუგებარია. იგი საბუთის ხელმე-
ორედ გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. თუ ჩვენ ამ შეცდომას
გავაძრორებთ და „ჭალაძეს“ მაგივრად „ჭალაზე“ დავწერთ, მაშინ
ტექსტი გაიმართება და შინაარსობლივად გასაგები გახდება. მაშ-
ასე, ქობულაშვილებს დომენტი კათალიკოზისათვის მიუყიდიათ
„დედოფლის ჭალაზე“ მღებარე ვანახი. დღეს ჭირს იმის დადგენა,

69 ლოიბ. АН СССР. ф. Е-73, გვ. 73-6.

თუ დიდუბის ჭალა რომელ დედოფალს ეკუთვნოდა. მეორე ტოპონიმი — „ხატის ვენახი“ ნიშნავს, რომ ეს ზვარი ეკლესიას ეკუთვნოდა.

ზემოთ ვთქვით, რომ დიდუბის ეკლესიაზე, როგორც თამარ მეფის შემდეგ კიდევ არსებულ ძეგლზე ლაპარაკობენ: 1800 წ. შეღვენილი თბილისის გეგმა, პ. იოსელიანი, კუპირ მეპურპლეთა 1848 წ. მოთხოვნა, დეკანოზი დ. ლამბაშიძე, მ. ჯანაშვილი, გ. წერეთელი.

დიდუბის ეკლესიის გარშემო ძეგლი სასაფლაო ყოფილა. ეკლესიის ეზო ასფალტირებულია და მხოლოდ რამდენიმე საფლავილა გადარჩენილი. ჩვენს მიერ ფიქსირებული და ამოკრეფილი, საფლავის ქვებზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით იჩვევევა, რომ დიდუბის სასაფლაო მოქმედი ყოფილა XIX ს. და XX ს. 20-იან წლებამდე. წარწერებში მოხსენიებული მიცვალებულთა გვარებით დგინდება დიდუბეში მოსახლეთა ვინაობა: შუაქრაშვილი (1848 წ.), ნინო დოჩანაშვილი (1851 წ.), თეთრაძე (1861 წ.), სავანელი (1870 წ.) და სხვა.

დიდუბის ძეგლი სარწყავი რუს ტრასის დადგენაში გვეხმარება დიდუბის ძეგლი სასაფლაოს ზუსტი ადგილმდებარეობის გარკვევა. როგორც უკვე ზემოთ თავის. ადგილზე აღვნიშნეთ, ავჭალიდან სოფ. დიდუბის მამულების მოსარწყავად რუს გამოიტანა მეოუე შაპ-ნავაზმა. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის აზრით, თამარ მეფის დროინდელი რუს გამოტანილი იყო მდინარე არაგვიდან, რომელიც სათავეს სადღაც სოფ. ჟინვალის სიახლოეს იღებდა. მკვლევარმა არა მარტო აღნიშნული ძეგლი რუს არსებობის ფაქტი იცის, არამედ მისი ტრასის ნაშებზეც მიგვითითებს:

«...и след той канавы по подошве горной, которая будучи проведена из р. Арагви у Жинвали, орошала сады и поля до Руставской лощины (Караяэ) и далее...»⁷⁰

მკვლევარი აგრძელებს თხრობას და მმბობს. რომ აღნიშნული რუს აღდგენა ჯერ კიდევ მეფისნაცვლებს — მიხეილ ვორონცოვს და შემდეგ ბარიატინსკის უცდიათ, მაგრამ უშედეგოდ, მათ მიერ შედგენილი პროექტები განუხორციელებელი დარჩენილა და ისინი კიდევ მოელიან შემსრულებელ-განმახორციელებელს.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ, ჩვენს მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ საქმეს (XIX ს. 50-იან წ-ში)⁷¹ თან ახლავს

⁷⁰ Платон Носелланн. Путевые записки..., გვ. 77—79.

⁷¹ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ, ჩვენს მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ საქმეს (XIX ს. 50-იან წ-ში)⁷¹ თან ახლავს

დიდების ბალების გეგმა, რომელზეც დატანილია ორი მოქმედი რუ. ეწოდება «ნილაშალ კანავა შიხის-რუ», ხოლო მეორეს, რომელიც მდ. მტკვრის სიახლოესაა და პირველისაგან მოშორებით, დასავლეთითაა გატანილი, «სადოვალ კანავა». სარწყავი სისტემის თხრილის რუთა აღმიშვნელ სახელთა თუ ტერმინთა (py, კანავა) სხვა-დასხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროს არიან გატანილი. ასევე მეორე სარწყავი თხრილის, ტრასის ფუნქციაც უფრო ნათელია, იგი ადგილობრივი მნიშვნელობისაა და გამიზნულია დიდების ბალების მოსარწყავად (სადოვალ კანავა), სიგრძითაც არაა დიდი, გეგმის მიხედვით გატანილია მდ. მტკვრიდან⁷².

მეორე სარწყავი სისტემის სახელი უფრო აოქაული ჩასს (შიხის რუ) და ჩვენი ყურადღებაც საგანგებოდ მან მიიქცია.

გასარკვევია, სოფ. დიდებეს რომელ მხარეს ჩამოუვლიდა „შიხის რუ“.

ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარება ზემოთ მოხსენიებული დიდების ბალების გეგმაზე რუსული ასო Ц-თი დატანილი დიდების სასაფლაო. „შიხის რუ“ დიდების სასაფლაოს ჩაუვლის შორი-ახლოს, დასავლეთით, იგი მდ. მტკვარის პარალელურია და დაახლოებით იქ უნდა ყოფილიყო გატანილი, სადაც დღეს „დიდების“ სახელობის ქუჩაა. „შიხის რუ“ დიდების ბალ-ვენახების მორწყვის შემდეგ სამხრეთისაკენ, სოფ. კუკისაკენ მიდის.

თვით რუს სახელწოდება დამახინჯებული ჩანს. უფრო სწორად მისი სახელი „ციხის რუ“ უნდა იყოს, რომელიც, ვთიქრობთ, უნდა მიეღო რუს სათავესთან მდგარი რომელილაც ციხე-გალავნის ან ციხე-სიმაგრის გამო. ამ ტერმინს ჯერჯერობით სხვა ახსნა არა აქვს.

ეპეს გარეშეა, „ციხის რუს“ (შიხის რუ) სახით საქმე გვაქვს მეცე ვახტანგ V-ის მიერ ავჭალიდან დიდებეს გამოტანილ-აღლევენილ სარწყავ ტრასასთან. ჩვენში და სხვაგანაც ხშირად გვხვდება ძველი ნარტუალების აღდგენა-გამოყენების ტრადიცია.

XIX ს. დიდების მიწები ეკუთვნოდათ და მასზე ბალ-ვენახები ჰქონიათ გაშენებული ძველი დიდების მკვიდრთ: შუაქრიშვილებს, პაპაშვილებს, ღოჩანაშვილებს, ბერელაშვილებს...; კუკიელ გლუ-

72 „ბალის რუ“ რომ ვერინდელია და ადგილობრივი ხასიათისაა, ამაზე მიუთითებს მ. ჯანშევილი თავის ერთ-ერთ წერილში: „...ამათ (ლაპარაკია ალექსანდ-ეროვნულ გერმანელებზე თ. ბ.) უპირავთ უკეთესი მიწა თბილისის არებარესი, გამოუყანიათ მტკვრიდან რუ თავის მინდვრების და ბალების მოსარწყავად...“. მოგზაურობა ქართლში, „დროება“, 1893, № 39, გვ. 3.

ხებს: გიორგი და აბრამ იორდანიშვილს, ვარდიგულაშვილს; ... გერმანელ კოლონისტებს: გუსტაფ გაუქსს, გაუტბრახს...; თბილისში მცხოვრებლებს: ენიკოლოპოვებს, ზავრიევს, ბაიბაკოვს; მოქალაქე იაგორ ჩარაფაშვილს; თავაღებს: ლორის მელიქოვს, ამატუნს.

70-იან წლებში დიდუბის კუნძულები იჯარით აღებული ჰქონდა აზნაურ ლორთქითანიძეს. საერთოდ დიდუბის ძველ მიწაზე ბალვენახები გაშენებული ჰქონია 32 ოჯახს.

დიდუბის ტერიტორიაზე მცხოვრებ კუკიელ გლეხებს ეძლეოდათ შეღავათი: ისინი თავიანთი ვენახებიდან შემოსავლის ათ პროცენტს იხდიდნენ კულუხის სახით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა მოსახლე, არაუკიელი აიდებდა მათ კუთვნილ მიწას, ახალმოსახლე აღნიშნულ შეღავათს კარგავდა⁷³.

ამ დროის (XIX ს. II ნახ.) დიდუბის მიწების ზუსტ რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს აღნიშნულ გეგმას (1856 წ.) თანდართული ექსპლიკაცია. დიდუბის აგარაკის ფართობი მოიცავდა 66 დესეტინას და 118 კვ. საუენს., აქედან 18 დესეტინა და 1800 კვ. საუენი კუნძულებს ეყავათ, რომლებიც გამოიყენებოდნენ მტკვარზე დაცუტებული ხე-ტყის საწყობად, ხრეშისა და ქვიშის კარიერებად. სააწყავი არხების — „ბალისა“ და „უიხის რუსა“ ზევით მდებარე ფართობი მოიცავდა 47 დესეტინას და 1780 კვ. საუენს⁷⁴.

დღეს ძველი დიდუბის ტერიტორიაზე მიყროტოპონიშიყის სახით შემოგვრჩა არცთუ ისე ბევრი სახელი. მათგან ზოგი ძველია და ჭირს მათი სადაურობის და არსის დადგენა, ზოგი კი გასული საუკუნის წარმონაქმნია, ამდენად მათი ახსნა დიდ სიძნელეებთან არაა დაკავშირებული.

ძველი დიდუბის ტერიტორიაზე აღრეული სახელების დამოწმება ხერხდება ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად XIX ს. შეღენილი (რუსი ჩინოვნიკების და სამხედრო პირთა მიერ) საქართველოს თუ თბილისის და მისი მიდამოების რუკებითა და გეგმებით. აღნიშნულ რუკებზე და გეგმებზე არსებული ზოგიერთი სახელი დღეს ჩვენს სალაპარაკო ლექსიკიაში აღარ იხმარება და ამდენად მათი ზუსტი მინიშნება, აღგილმდებარეობის დადგენა და ეტიმოლოგიის ახსნა ჭირს. მიუხედავად ამ ხარვეზებისა ჩვენ მაინც შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, ზოგიერთი სახელი აღვედგინა, მათი დღევანდელი აღგილმდებარეობა დაგვედგინა და ეტიმოლოგიაც აგვეხსნა.

73 სცია, ფ. 192, აღწ. 8, № 654, გვ. 45.

74 სცია, ფ. 192, აღწ. 8, № 654, გვ. 4.

ძელი სახელები (შემორჩენილი): ხევ-ძმარი, ღრმა-ლელე, უე-
ნის გორა (ყენისი), ლოტიკის გორა (ლოტკინი), ლოტიკის თავის
გორა.

ახალი სახელებია: ნაძალადევი, ბოშათა დასახლება, ქურთთა
დასახლება.

დაკარგული სახელებია: თელის წყარო, სამგლეები, მეკერა-
ანთ ხევი (?), უმზეურას თავი, შავტუხის წყარო, მელის გორა, გა-
ხილულის გორა, სათათრო გზა, ბახუნდარის ხევი, ძეწვნარიანი ლე-
ლის თავის გორა, კვირიკობის გორა, მწარელელის გორა, მწარე-
ლელე.

ალსანიშნავია, რომ თბილისის გახლობლად, მტკვრის მარცხენა
ნაპირზე, გრინარისაკენ თითქმის ყველა დაშვებული ხევი უწყლო—
გშრალია. ხევებმა, ისევე როგორც ბეკრმა სხვა ადგილმა, თავიანთი
სახელი მიიღეს მდებარეობის, მათზე არსებული მცენარეულობის,
ან ცხოველთა მიხედვით.

„ხევ-ძმარი“ — სიტყვა თვითონ მიგვანიშნებს ამ ხევის ავკარ-
გიანობაზე. მეურნეობისათვის იგი გამოუსადეგარი, უწყლო—გშრა-
ლი იყო. „ამ ავჭალის ბოლოს — აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი—
არს ჰევ-ძმარი, ჩამოვარდების მშრალი ქევი ქვითკირის ლილო-
დან მტკვრამდე“⁷⁵.

ლრმა-ლელე“, ისევე როგორც „ხევ-ძმარი“, მშრალი ხევია, მას-
ში დიდი წვიმების შემდეგ მოვარდნა იცოდა დიდმა ნიალურებმა.
ლელედან გაღმოვარდნილი წყალი სასიკეთოს არას უქადდა ახლო-
მახლო სახანა-ნათესას.

„ყენის გორის“ სახელი შემორჩა დლევანდელი ლენინის რა-
იონში ხევძმარის დასახლებაში, თბილისის ზღვის უკიდურეს დასავ-
ლეთით მდებარე გორას.

„ყენის გორა“ დაკავშირებული უნდა იყოს იმ თამაშობასა თუ
სანახაობასთან, რომელიც იმართებოდა ხოლმე ყველიერში მთელს
აღმოსავლეთ საქართველოში. ყენი ხომ აღნიშნულ თამაშში განსას-
ვენებლად და მოსალხენად მაღალ ადგილს ირჩევდა. შეიძლება აქ
მოსახლე ხალხმა გორას „ყენისა“ შეარქვა იმიტომ, რომ აღნიშნუ-
ლი თამაშობისას ყენი საჯდომ ადგილად ამ გორას ირჩევდა.

სამგორის სანახებში ისეთი სახელების არსებობა, როგორიცაა:
კვირიკობის გორა, კვირა-ცხოველის ეკლესია, ყენის გორა, მახა-
თის მთაზე (მეხის მთა) ელია-ილია წინასწარმეტყველის სახელზე

75 ვახუშტი აღწერა..., გვ. 94.

მდგარი ეკლესია, შეიძლება ჩვენს მიერ ერთხელ გამოთქმულ აზრს ასაბუთებდეს, კერძოდ, ამ მიღამოებში ქართველი მიწამოქმედი უძველესი ტომის საცხოვრისზე მივვანიშნებდეს.

მეორე მხრივ კი, „ყევენის გორის“ სიახლოეს დიდუბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე „სათათრო გზა“, „მწარელელის ხევი“, ხოლო სამხრეთით „ბახუნდარის გორა“ (ბახუნდარეს თურქული სიტყვაა, ნაზავია: ბეხინ, ბახუნ — მზერა, ცქერა და დარე, დერე—ხევი) შეიძლება ჩვენი ქვეყნის ავედობის უამინდელი ისტორიის ერთ-ერთი მონაცემის გამოძახილიყა.

დღეს ძველი დიდუბის ტერიტორიაზე ვხვდებით „ლოტკინის გორის“ დასახლებას. საინტერესოა, საიდან შეერქვა ამ გორას ერთი შეხედვით სლავური ულერადობის სახელი (ვ. ბერიძე ლოტკინის გორას უწოდებს „ლოტკის“ გორას, რუსული ლიდკა-ს გაელენით)⁷⁶. ჩვენთვის საინტერესო საკითხის ასნა მთლიანად ვერ შევძელით; მხოლოდ პატარა კორექტივი შეეიტანეთ მისი სახელის სწორად წაყითხვისათვის.

1848 წ. თბილისის მიღამოების გეგმაზე, ზუსტად იქ, სადაც დღეს „ლოტკინის მთაა, დატანილია — ლოთიკის თავის გორა, ხოლო მის-გან სამხრეთით — ლოთიკის გორა. ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ წარწერა იმ სახით, რა სახითაც გეგმაზეა, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ადგილის სახელის ქართული წარმომავლობა. ეს რომ ასეა, ამ-აში ეკვის შეტანაც კა არ შეიძლება.

დღევანდელი „ლოტკინი“ რომ ძველი „ლოტკინი“ იქვედანაც ჩანს, რომ ჩვენ დღეს ორი „ლოტკინი“ გვექვს: „ლოტკინის გორა“ და „ლოტკინის მთა“, როგორც ვნახეთ, გეგმაზეც ორი „ლოტკინი“. „ლოტკინის მთაზე“ წყაროა (გეგმით), დღევანდელი „ლოტკინის გორაზეც“, გომარეთის ქუჩაზე მღლაშე წყარო იყო, რომელიც დასალევად უკარგისობისა და გამოუყენებლობის გამო გააუქმეს (ქუჩის კანალიზაციის ქსელს შეუერთება).

„ლოტკინის თავის გორის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდის ძირში, „ილლვიანის ტბის“ სიახლოეს „თელის წყაროა“, დღეს ამ ადგილზეც წყაროა, ოღონდ ის „ლევის წყაროს“ სახელს ატარებს. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელმა მოსახლეობამ, რომელ-საც აქ დასახლების სულ რაღაცა 30-40 წლის ისტორია აქვს⁷⁷, არ

76 ვ. გ. რ. ი. გ. თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801—1917 წწ. ტ. 2, 1960, გვ. 47.

77 ამჟამინდელი ქართული მოსახლეობა ჩამოსახლებულია ქვემო ქართლი-დან, ძირითადად სოფ. გომარეთიდან. ამიტომა, რომ აქ შეიძლო ქუჩა გომარეთის

იცის ძველი სახელი „ლოტიკი“, მისი წარმომავლობა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ სიტყვა „ლოტიკის“ არსი. შეიძლება იმიტო-მაც, რომ რომელიღაც ქართულმა სიტყვამ ჩვენამდე რუსული ტრანსკრიპციით მოაღწია.

1872 წ. თბილისი—ფოთი რკინიგზის ხაზის გახსნა-ამუშავებას მოჰყვა ძველი დიდუბის ტერიტორიის უგეგმოდ დასახლება-ათვი-სება. რკინიგზის მუშახელი ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თვით-ნებურად, ძალით იყავებდა ცარიელ სამოსახლოებს. ამის გამო ახალშენს ეწოდა „ნაძალადევი“, რუსულად „Накаловка“. მან თბი-ლისის მიკროტოპონიმიკაში თავისი ადგილი დაიკავა.

თავისუფალი მიწების „მიტაცების“ თავიდან აცილების მიზნით დიდუბეში მიწების გაყიდვის საქმეს სათავეში ადგილობრივი ხე-ლისუფლება ჩაუდგა და ამიერიდან ის აწარმოებდა სამოსახლეო-ბის სყიდვა-გაყიდვას.

1874 წ. გაზეთი „დროება“ (№ 445, გვ. 4) აქვეყნებს ოფიცია-ლურ განცხადებას: „...დიდუბეში ისყიდება ზომიერ ფასად სამო-სახლო ადგილები, რომელიც ეკუთვნის სტატსკი სოვეტნიკის ცოლს ეკატერინა ნადიროვისას. შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, ერევნის მეიდანზე, თამამშევის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება“.

რკინიგზამ ძველი დიდუბის ტერიტორია ორ ნაწილად გაყო. „ნაძალადევი“ გაშენდა რკინიგზის გალმა—აღმოსავლეთით, გამოლ-მა, დასავლეთ ნაწილს კი შერჩა ძველი სახელი — დიდუბე.


XIX ს. 70-იანი წწ. დიდუბის დაუსახლებელი მიწების ათვი-სებას მოჰყვა ის, რომ დიდუბე მჭიდროდ შეერწყა ქალაქს. აი, აშ დროს დაისვა საკითხი მისი თბილისთან შეერთების შესახებ. დიდუ-ბის აუთვისებელი და დაუსახლებელი მიწა გადაეცა ხაზინას.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მწირი დოკუმენ-ტური მასალით და წყაროებით დიდუბე თავდაპირეველად ჩანს, როგორც საქართველოს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს მეფის ქალაქისპირა ერთ-ერთი რეზიდენცია (სასახლით, კარის ეკლესიით, ველ-მინდვრებით, სარწყავი რუთი).

მე-17 ს. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მშევიდობიანობის უამს,

სახელს ატარებს. ლოტიკის გორა მათი დასახლების დროს უკაცრიელი ადგილი იყო, ისინი მისდევდნენ მესაქონლეობას — მეცხვარეობას. 1941—1942 წწ. ლოტიკის გორაზე ჩნდება ქურთებისა და ბოშათა ახალი დასახლებები. აქვე ჯურთების სასაფლაოც. (მას ადგილობრივი ბოსახლეობა ქურთების სასაფლაოს ეძახის). ბოშათა დასახლების მისანიშნებლად იქა მოლდავის სახ. ქუჩა.

გახტანგ V-ის მეფობის ხანაში (1658—1676) დიდუბე სოფელია, დწინაურებული სოფლის მეურნეობით, ამისათვის აუცილებელი პირობები არსებობდა: კელ-მინდვრები, ავჭალიდან გამოტანილი სარწყავი რუ და შედარებით მცირდოდ დასახლებული მოსახლეობა. XIX ს-მდე იგი სოფლური დასახლებაა, რომელიც იძეგრება საბატონო სხვადასხვა გამოსაღებით. XVIII ს. მიწურულიდან (1796 წლის შემდეგ) და XIX დასაქტისიდან სოფ. დიდუბე, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. მისი მოსახლეობა გაფანტული და განიჩნულია ქალაქისპირა სხვადასხვა სოფლებში, კერძოდ კი კუკიაში, ჩუღურეთსა და თვით თბილისში, ისინი იხსენიებიან ამა თუ იმ ადგილას მცხოვრებ დიდუბელებად, მაგალითად: „კუკიას მსახლობელი დიდუბელი“, „ქალაქში მდგომი დიდუბელი“ და სხვა.



კალაპისირა სოფლების ზოროვაობაზრდული კიბლები

მართლმადიდური ეკლესიები:

- № 1 დიდუბის—ლოთისმშობლის ეკლესია, XII—XIX სს.
- № 5 ჩუღურეთის—კერძოურებულის ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 7 ჩუღურეთის—წმ. ნიკოლოზის (ჯვრის გმოჩენის) ეკლესია, XIX ს.
- № 8 წმ. ელიას (ილიას) ეკლესია, XIV—XV სს.
- № 13 ავლაბრის—წმ. ირაკლისა და დარიას ეკლესია, XVIII ს.

- № 14 მეტების ლვოისმშობლის ეკლესია, XIII ს.
- № 16 ავლაბრის—წმ. მარინეს ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 18 ავლაბრის—წმ. მიხეილის (პეტრე-პავლეს) ეკლესია, XIX ს.
- № 19 ნავთლულის—წმ. ბარბარეს (ახალი) ეკლესია, XIX ს.
- № 20 ნავთლულის—წმ. ბარბარეს (ძველი) ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 21 საბურთალოს ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 22 კერეს—წმ. აღდრიას (ლურჯი მონასტერი) ეკლესია, XIII ს.
- № 23 კერეს—წმ. ესტატეს ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 25 გარეთუბნის—წმ. დავითის (მთაწმიდის) ეკლესია, XVI—XIX სს.
- № 26 გარეთუბნის—ქარეთის წმ. გიორგის ეკლესია VII—XV—XVII—XX სს.
- № 27 გარეთუბნის—წმ. სამების ეკლესია, XVIII ს.
- № 28 გარეთუბნის—კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, აღრეშუასაუკუნეები.
- № 33 თაბორის—ფერიცალების ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 34 ხარფეხის—წმ. ნიკოლოზის (ბერძნული) ეკლესია, 1853—1856 წწ.
- № 35 კრწანისის—წმ. გიორგის ეკლესია, შუასაუკუნეები.
- № 36 სონლალულის ეკლესია, შუასაუკუნეები.

სომხეთ—გრიგორიანული ეკლესიები:

- № 3 კუკიის—ასტრაწაწინის (ლვოისმშობლის) ეკლესია, XIX ს.
- № 4 კუკიის—სურბ-გვევორქის (წმ. გიორგის) ეკლესია, XVIII ს.
- № 6 ჩელურეთის—ასტრაწინი (ლვოისმშობლის) ეკლესია, XIX ს.
- № 9 ავლაბრის—სურბ-კარაპეტას (წმ. კარაპეტას) ეკლესია, XVIII ს.
- № 10 ავლაბრის—ხოჯა ვანქის ეკლესია, XVII ს.
- № 11 ავლაბრის—ეჩმიაძინის სურბ-გვევორქას (წმ. გიორგის) ეკლესია, XVIII ს.
- № 12 ავლაბრის—სურბ-მინასის (წმ. მინასას) ეკლესია, XVIII ს.
- № 15 ავლაბრის—კარმირ ავეტ-არანას (წითელი სახარების) ეკლესია, XIX ს.
- № 17 ავლაბრის—ძორაბაშ სურბ-გვევორქას (ხევისთავის წმ. გიორგის) ეკლესია, XVIII ს.
- № 24 გარეთუბნის—ზირეკინანთ ეკლესია, XVIII ს.
- № 29 გარეთუბნის—ქამოანთ ეკლესია, XVIII ს.
- № 30 გარეთუბნის—თეენემის (თუ ვიცხოვრებ) ეკლესია, XVIII ს.
- № 31 გარეთუბნის—ვანქის ეკლესია, XIV—XVI სს.
- № 32 სეიდაბად (ხარფეხის)—სურბ-სარქისას (წმ. სარქისის) ეკლესია, XVIII ს.
- № 37 ნავთლულის—წალიკ ვანქის (ჭავილის) ეკლესია, XIX ს.

ლუთერანული ეკლესია:

- № 2 კუკიის—კირხა (კირხა), XIX ს.

თავდაცვითი ნაგებობები:

- ა) ლილების ციხე-გალავანი, XVIII ს.
- ბ) თაბორის ციხე-კოშკი, XI ს.
- გ) სონლალულის ციხე-გალავანი, XVIII ს.
- დ) ნავთლულის (ერეკლეს ციხე) ციხე-გალავანი, XVIII ს.
- VIII ქალაქის სამხრეთთ მდგარე ძეველი, ე. წ. „განჯის“ კარის ზღუდე, XVIII ს.
- IX ისანის ძეველი თხჩილი, IX ს.

ზღვები დატანებული კარგი:

- I იბანოს კარი.
- II განჭის კარი.
- III კოერის (ზემო) კარი.
- IV ლილმის (შესა) კარი.
- V წყლის (ქვემო) კარი.
- VI პატარა (მცირე) კარი.
- VII ავლაბრის კარი.
- X გარეთუბანში მღვარი აშარათი (ემარათი).

დასკვა.

X—XI სს. ესაა ფეოდალური ქალაქის ზრდა-ჩამოყალიბების პროცესის დამთავრების პერიოდი. თბილისი, უკვე IX—X სს. სამნაწილადი ქალაქია, რომელსაც გარს არტყავა სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნები.

XIII ს. მოყოლებული იგი, ისევე როგორც მთელი საქართველო, განიცდიდა გარეშე მტერთა გამუღმებულ შემოსევებს, რასაც მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაკანინება, დაშვეითება, რაც გაგრძელდა XVII ს. 30-იან წლებამდე.

XVII ს. მეორე მეოთხედიდან სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ საფუძველი შექმნა ქალაქური ცხოვრების აღორძინებისათვის, რამაც თავისთავად განაპირობა ქალაქის შემოგარენში სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნების გაჩენა-დაწინაურება.

XVII ს. მეორე მეოთხედი ახალქალაქებისა და ახალსოფლების წარმოქმნის ხანაა, რაც განპირობებული იყო საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობით. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა საშინაო და საგარეო საქმეებში წარმოებული პოლიტიკის მოქნილობამ, მათმა გამჭრიახობამ, იჩან-ოსმალეთის სახელმწიფოების შორის დადებულმა საზაო ხელშეკრულებამ (1639 წ.), ქვეყანა საუკუნოვანი იზოლაციიდან, დეპრესიიდან თანდათან გამოიყვანა.

სახელმწიფოში პოლიტიკური მდგომარეობის შედარებით სტაბილურობას მოჰყვა: ხიდებისა და ქარვასლების მშენებლობა, სატრანზიტო, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ძველი და ახალი სავაჭრო გზების ამუშავება-გამოცოცლება; განვა — შამქორი — თბილისი — გორი — ახალქალაქი ე. წ. „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ განტოტებას წარმოადგენდა; ასევე გამოცოცლება დაეტყო თბილისთან დამაკავშირებელ დებედის ხეობას (სომხეთის გავლით მახლობელ აღმოსავლეთში გასასვლელ გზას) და დაზიალის გზას, რისი მეშვეობითაც უფრო აქტიური ხდება. კავშირი (პირველ ჩიგში სავაჭრო) კავკასიის ქედს იქით მდებარეობს.

სახელმწიფო ორგანიზაცია (რუსეთი, ბალტიისპირეთი, პოლონეთი...), რისი დასტურიყაა ევროპული მონეტების მიმოქცევა გვიანშუასაუკუნეების საქართველოში.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა, უპირველეს ყოვლისა, აისახა ქალაქის ცხოვრებაში, გაქტიურდა აღმ-დი-ცემობა და სავაჭრო-ეკონომიკური კაშირი გარე სამყაროსთან. იმდროინდელი თბილისის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების აღორძინების, აღმავლობის მაჩვენებელია ერთის მხრივ ქალაქის მოსახლეობის რიცხობრივი ზრდა-მატება, ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის მრავალსახოვანი ხელოსნური წარმოების შექმნა. სააღებ-მიცემო საქმიანობის დაწინაურებაზე მეტყველებდა თბილისელ, საერთოდ ქართველ ვაჭართა სიმრავლე უცხოურ ბაზარზე.

ქალაქის ეკონომიკურ-პოლიტიკური აღმავლობა, გაძლიერება და დაცემა თავისთავად ასახვას ჰპოვებდა მის შემოგარენში მდებარე სოფლების მდგომარეობაში. ქალაქური ცხოვრების აღმავლობის უცილობელი დასტურია თბილისის სანახებში ძეგლი და ახალი სოფლების აღდგენა, წარმოშობა.

ქალაქი თავისი სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო გარეუბნებით ქმნიდა ერთ მთლიან ეკონომიკურ რეგიონს. ქალაქის, ამ შემთხვევაში თბილისის, ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა და შესწავლა შეუძლებელია, მისი გარეუბნების ისტორიის გაუთვალისწინებლად.

ქალაქი ეკონომიკურად სოფელზე იყო დამოკიდებული. მტერი ქალაქის ეკონომიკურად დაბაზუნების, დასუსტების მიზნით, იქ მისასვლელი გზების ბლოკირება-ჩაკეტვის გარდა, აოხრებდა, სპობლა და აწილებდა ქალაქისპირა სოფლებსაც (პაპუნა ოჩბელიანი). მოსული მტერი სოფლის მოსპობით ეკონომიკურად აძაბუნებდა, ბოლოს უღებდა ქალაქს.

ქალაქისპირა სოფლების სასოფლო-სამეურნეო რეგიონში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის: მებალეობა-მებოსტნეობის, მევენახობის, მესაქონლეობის და სხვათა დაწინაურებას ხელს უწყობდა XVII—XVIII სს. აღდგენილი ძეგლი ნარუალების და ახალი სარწყავი აჩხების გაჭრა-გატანა, საგუბრებისა და აუზების, მტევარზე წყლის საქაჩი დოლაბების, ჩახხებისა და რუსხმულების მოწყობა. აქ სოფლის მეურნეობის დაწინაურებაზე ასევე მეტყველებს წარმოიდგინა სიმრავლე.

გვიანშუასაუკუნეების სოფლის გლეხობა სამეფო გამოსალების გარდა ფულითაც იმეგრებოდა, რენტის ნატურალურ ფორმას

ნაწილობრივ ფულადი გადასახადი ენაცვლება. სოფლის მუშა— გლეხი იძულებული იყო მეტი ემუშავნა, რათა შექმნილი ჭარბი პროდუქტია ქალაქის ბაზარზე გატანა გასაყიდად, ხოლო მოგებული ფულით შეწერილი ბეგარა გადაეხადა.

ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა მარტო ყიდვა-გაყიდვით არ განისაზღვრებოდა. ქალაქი სოფლიდან მუშახელს იღებდა. ფულადი რენტის შემოსვლა ყმა გლეხს აიძულებდა სოფელი მიეროვებინა და ქალაქში წასულიყო. მისთვის ქალაქი დიდი „სახელოსნო“ იყო, სადაც ის სხვადასხვა ხელობას სწავლობდა და ყმა გლეხიდან ყმა ხელოსანი ხდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი ყმა ხელოსანი ისევ თავის სოფლის მცხოვრებად ითვლებოდა, ეს იყო ბატონ-ყმობის გამოხატვის კიდევ ერთი ფორმა (იყო შემთკვევები, როცა ყმა გლეხი თავისუფლდებოდა თავის ბატონისაგას). ზოგჯერ ქალაქში ჩამოსული ყმა გლეხი ვაჭარი, ან შინამოსამსახურე ხდებოდა.

თბილისის შემოგარენში მდებარე სოფლები სახასო, სადედოფლო, საყათალიყოსო და სათავადო იყო, იქ მცხოვრებ ყმა გლეხებზე და უძრავ ქონებაზე (წისქვილი, ზეთსახდელი, ღუქანი, ქარგასლა, სახელოსნო-სავაჭრო, ბალი, ვენახი...) ხელი მიუწვდებოდათ ქალაქის მოურავს, მელიქს, მამასახლისს, თბილელს, ქალაქში მცხოვრებ პრივალეგირებული, სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლებს — თავად-აზნაურობას და თვით მოქალაქეებს.

ქალაქისპირა სოფლები (ზოგის გამოკლებით) თავისი სოციალური შემადგენლობით, მეურნეობის მრავალსახეობით, მრავალფეროვნებით განსხვავდებოდნენ სხვა სოფლებისაგან. ქალაქისპირა უბნის თუ სოფლის სამეურნეო ხასიათის მრავალგვარობა და ნაირსახეობა განპირობებული იყო მის მდებარეობაზე (რელიეფზე), ასევე მასზე გამავალი გზის მნიშვნელობაზე და ხასიათზე (ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ეპოქის გათვალისწინებით).

ქალაქის სანახებში იყო როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე სახელოსნო სოფლები და უბნები. ქალაქისპირა სოფლები, რომლებიც ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში შედიოდნენ და ქალაქის ბაზარს სოფლის მეურნეობის პროდუქტით ამარავებდნენ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო: სეიდაბადი, კრწანისი (ორთავალით), ვერე, ვეძისი, საბურთალო, სონლალული; მტკვრის მარცხენა ნაპირზე: ნავთლული, ღომელაური, ღირსიჭალა, ღიღუბე. ონიშნულ სოფლებში და უბნებში სოფლის მეურნეობის ღომინირე-

ბაზე მეტყველებს აქ არსებული საჩუავი სისტემა — არხები, რუები, რუსებმულები, წყლის საგუბრები და აუზები, მტკარზე მოწყობილი წყლის საქაჩი ჩარხები და ღოლაბები, წისქვილები...

სახელოსნო უბნებია: გარეთუბანი, ავლაბარი, ჩულურეთი, კუკია. დამოწმებულ სოფლებში და უბნებში სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ და თანაც ინტენსიურად (გარეთუბანში ბალებია და საჩუავი არხები, საგუბრები, აუზები, წისქვილები, ხოლო ავლაბარში და კუკიაში ყანები, სათიბი და საძოვარი ველ-მინდვრები მესაქონლეობის არსებობაზეც მიგვანიშნებენ...); აღნიშნულ ოთხ სახელოსნო უბნიდან ხელოსნობის ნაირგვარობითა და ნაირსახეობით გამოირჩეოდნენ გარეთუბანი და ავლაბარი. ამ ორ უპანში ცხოვრობდა და საქმიანობდა: მეჭურებლე, მეთუნე, მეაგურე, მეკრამიტე, მეჩახმახე, ჩილინდარი (იარალის მკეთებელი), ოქრომჭედელი, მეყანწე, მკუპრავი, მესანთლე, მეწულე, სარაჯი, მეჩონგურე, ქუქჩი (ქურქისა და ბეწვეულის დამამზადებელი), შილაჩი (წიოთლად მღებავი), დაბალი, მჩითავი, მეკონდახე, ყალთახჩი, მებურნიოთე, ხარაზი, მექებაქე, ნალბანდი, ბაზაზი (მეფართლე), ყაზაზი (ძაფის, ზონარის, თოვის მგრეხელი), მენაბდე.

გარეთუბანში და ავლაბარში (XVII—XVIII საუკუნეებში) რასტაბაზარის, დუქან-სავაჭროების, სახელოსნოების, ქარვასლების სიმრავლე ამ უბნებში ხელოსნობის, ვაჭრობისა და აღებმიცემობის მაღალი დონის მაჩვენებელია, რაც თავისთავად აქ ფულადი-სასაქონლო მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე ლაპარაკობს.

ქალაქისპირა სასოფლო-სამეურნეო რეგიონში შემავალ სოფლებშიც იყვნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები, მაგრამ ისინი აღგოლობრივი დანიშნულებისა უნდა ყოფილიყვნენ. რომელთა ნაწარმი ქალაქის ბაზარზე გასაყიდად არ გადიოდა.

გარეთუბანი, მიუხედავად თავისი სამეურნეო ხასიათის სხვადასხვაობისა (სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო), თითქმის ქალაქის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, რაც იქედანაც კარგადა ჩანს, რომ აქ ვერ ვხვდებით ვერცერთ ადგილობრივ მოხელეს (სადაც საყითხებს აგვარებენ: ქალაქის მელიქი, ქეთხუდა, მობეითალმანე, ოსტატი და სხვ.). შიდა აელაბარი XVIII ს. 70-იან წლებიდან. მას შემდეგ, რაც იგი შემოზღუდულია, თვისებრივად უნდა განსხვავდებოდეს და განსხვავდებოდა კიდევ გარე აელაბრისაგან. შიდა (შემოზღუდული) აელაბარი სავაჭროებით, სახელოსნო დუქნებით და ქარვასლით ხელოსნური უბანი იყო და იგი ქალაქური ტი-

პის დასახლებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სოფლურს, ხოლო გარეთა (შემოუზღუდავი) ავლაბარი სასოფლო-სამეურნეო უბანს წარმოადგენდა და იგი XIX ს. დასაწყისში თბილისთან შემოერთების შემდეგაც კარგა ხანს სოფლად იწოდებოდა.

თბილისის ტერიტორიის ზრდის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის თითოეული უბნის გაჩენის, წარმოშობის თარიღის ცოდნას. აღსანიშნავია, რომ ქალაქის შემოგარენში მდებარე თითქმის არცერთი სოფელი თუ უბანი ცარიელ, უკაცრიელ ადგილზე არ გაჩენილა, თითქმის ყველა ძეგლი ნასახლარზეა აღმოცენებული.

ნაშრომი ძირითადად ეხება გვიან შუასაუკუნეების თბილისისა და მისი შემოგარენის ისტორიის შესწავლას, რაც განპირობებულია აღრეფეოლდალური ხანის თბილისის შემოგარენის ისტორიის შემცველი როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური მასალის სიმცირით.

ИСТОРИЯ ОКРЕСТНОСТЕЙ СТАРОГО ТБИЛИСИ

Резюме

Об окрестностях Тбилиси раннефеодального периода нам почти ничего не известно. Историческая литература дает о них весьма скучные сведения.

Процесс феодализации, начавшийся в IV веке, завершается в X—XI веках. Тогда же завершается и процесс формирования феодального города. Тбилиси расположен на обоих берегах реки Куры. Город, со своими крепостями (Кала, Исани, Табори), был окружен сельскохозяйственными угодьями и поселениями ремесленников.

С 20-х годов XIII века, в результате опустошительных нашествий Джалалэддина и монголов, население Тбилиси сокращается, соответственно сокращается и территория города. Ясное представление об этом дает уничтожение поселка мастеров гончарных дел, расположенного на территории нынешнего сада имени «300 арагвинцев» в южной части Тбилиси. Археологические раскопки, проведенные на этой территории в 1948—1949 гг., выявили печи для обжига глиняной посуды, поливную и простую керамику и др. предметы. Памятник датируется XI—XIII вв. (Г. Ломтатидзе, О. Джапаридзе).

Начиная с конца XIV века Грузия и ее столица Тбилиси подвергаются постоянным нашествиям (Тамерлан, Шах-Джехан, Шах-Исмаил, Шах-Тамаз и т. д.), в результате чего Грузия распалась на три царства и несколько княжеств (Самтавро и Сатавадо). Прекратили существование многие из старых международных транзитных путей, а некоторые из них изменили направление. Бесконечные междуусобицы экономически и политически ослабляли страну. Сократи-

лась численность городского и сельского населения Грузии, некоторые города и села окончательно исчезли с лица земли. Цветущие и многолюдные окрестности города Тбилиси были разорены. Некоторые густонаселенные части города полностью обезлюдили. К концу XVI века в Тбилиси было всего десять тысяч жителей.

В 1639 году между Ираном и Османской империей был заключен мир, согласно которому Грузия была поделена на сферы влияния Ирана и Османской империи — Восточная Грузия осталась за Ираном, а Западная Грузия, и Самцхе-Саатабаго — за Османской империей. Соглашение это не нарушилось до 1723 года. Грузия вступила в относительно спокойную пору развития. Постепенно возродилась ее духовная жизнь, возвратилось сбежавшее из-за постоянных нашествий население, отстроились разрушенные села, появились новые города — Ахалкалаки (Новгороды).

Заселение старых и появление новых городов и сел привело к возрождению нарушенной в течение столетий хозяйственной жизни.

Царь Ростом (1632—1658) уделял большое внимание строительству дорог и мостов (следует отметить строительство мостов на реках Храми, Кура, Вере и т. д.).

Оживились караванные пути, связывающие Грузию с Ближним Востоком и Севером. Это обусловило появление на окраинах Тбилиси новых поселений (Чугурети, Ахалсопели — Кукия, Навтуги, Сейдабад, Гомелаури, Дирициала, Сонгалуги, Ведзиси) и восстановление старых (Авлабар, Диудубе, Крцаниси, Вере, Сабуртало).

Начавшийся в середине XVII века экономический подъем благоприятно повлиял и на рост городского населения. Если в конце XVI века население Тбилиси не превышало 10 тысяч человек, то уже к началу XVIII столетия численность его достигла 20 тысяч.

В XVII—XVIII веках Тбилиси представлял собой город, окруженный многочисленными и многолюдными селами, поселениями ремесленников.

Развитию различных отраслей сельскохозяйственного производства в пригородных селах способствовали иррига-

ционные мероприятия, проведенные центральным правительством в Картли в XVII и в XVIII веках. Были восстановлены старые и проложены новые оросительные каналы, построены пруды и водосборные бассейны, а также водоподъемные сооружения на Куре.

Почти столетний мир между Ираном и Османской империей был нарушен в 1722 году. В 1723 году царь Константин (Махмад Кули-хан) вручил в Сонгалуги ключи от города подступившей к Тбилиси турецкой армии.

Кызылбашей сменили турки.

Город экономически зависел от села. И когда военной силой не могли достигнуть желаемого результата, враги пытались сломить сопротивление города экономической блокадой, перекрывая ведущие в город дороги, уничтожая и разоряя пригородные села (Папуна Орбелшани).

Кроме различных выплат в пользу царя крестьяне были обложены и денежным налогом. Натуральную ренту постепенно заменяют денежные выплаты. Это вынуждало крестьянина больше работать, чтобы выносить излишки продукции на городской рынок для продажи, выплачивая полученные таким образом деньги в качестве налога.

Село поставляло городу и рабочую силу. Город являлся для крестьянина «большой мастерской», где он учился ремеслам. И это притягивало крестьянина в город, который превращал его в крепостного ремесленника.

До XV—XVI веков пригородные села административно и экономически подчинялись городскому амиртамиру.

Чин городского моурава, заменивший амиртамира, был создан в XV—XVI веках во время распада единого государства.

Городской моурав и мелик были чиновниками царского двора, в компетенцию которых входило управление пригородными селами. Это они направляли в пригородные села мелких чиновников, обязанных выполнять различные поручения.

В отличие от своего предшественника, моурав получал лишь часть урожая, собранного в пригородных селах.

Второй крупный городской чиновник — мелик — появ-

ляется в XVI веке, во время правления царя Луарсаба I (1534—1558). Ему был поручен сбор податей в городе, опись казенных крепостных крестьян, подписание царских грамот, упорядочение финансовых вопросов. Административные права городского мелика распространялись и на пригороды. Мелик принимал личное участие в урегулировании спорных вопросов, возникавших в пригородных поселениях и селах, а иногда посыпал для этих целей своих чиновников — мобенталмане, кетхуда, гзири, остати.

Бесконечные нашествия разорили многие села и пригородные поселения, в связи с чем в XVII—XVIII вв. появляется слово «партахи», «верана», «бейталман». Именно из этого последнего произошло название чиновника — «мобенталмане», на которого была возложена обязанность описания бесхозного, выморочного имущества — бейталмана, а также перепись крепостных крестьян. Это понятие должно было возникнуть во второй половине XVIII века.

В пригородных селах, принадлежащих царю, царице, каталикосу или князьям, были назначены местные чиновники: моурави, мамасахлиси, гзири, хасадари, милахвари, мегале, мекулухе и др.

«В чиновничьем строе Грузии имело место одно примечательное явление. Часто в руках одного человека было объединено несколько должностей» (В. Габашвили). В этом отношении не составляли исключения и расположенные в пригородах села. И здесь имеются случаи, когда одно и то же лицо занимало несколько должностей. Например, певчий Отар Антадзе является сборщиком податей и мекулухе в Ортачала; на Авлабаре, во владениях царицы, моуравом и милахваром был Иосиф Корганашвили, сборщиком податей в Кукни и Авлабаре являлся казначей (моляре) Петр и т. д.

В функции сельского моурава входило упорядочение административных и экономических вопросов в управляемом им имени, в чем ему помогали нацвали и мамасахлиси (И. Сургуладзе). Моурав занимался урегулированием спорных вопросов не только в селе, но был одним из главных

действующих лиц при решении разногласий, возникших между селами.

Царь является крупным владетелем. Управление его владениями, надсмотр за ними и ведение хозяйства возлагалось на хасадара. Хасадар является чиновником ранга мамасахлиса и нацвала, имевшим право пользоваться частью собранного оброка.

Из всех пригородных сел хасадар встречается только в Авлабаре и Крцаниси.

Чиновники, милахвары были у царя, царицы, наследников и отдельных князей-владетелей. На милахвара возлагалась обязанность ведения финансовых и хозяйственных дел в управляемых им поместьях, однако, в конце XVIII века в Авлабаре, милахвар царицы Иосиф Корганашвили кроме хозяйственных и административных дел ведал также и строительством.

В Дирсчале встречается уstabаш садовников. Это первый случай, когда упоминается уstabаш в пригородном селе и это крайне интересное сведение для изучения истории должностных лиц в пригородных села и поселениях. Подтверждается, что должность уstabаша дирсчальских садовников, также как и уstabашей городских ремесленных цехов, давалась и утверждалась царем. На уstabаша садовников, следует предположить, возлагалась обязанность руководства садовниками, обложения податью урожая, ее временный сбор и сдача в царские хранилища.

На царской службе находились также временные стражка-каракулы, получавшие из казны плату за должность. В XVIII веке с целью отражения постоянных набегов лезгин, как видно, были организованы постоянные караульные посты в пригородах. Караванные посты были на всех значительных караванно-транспортных путях и в ущельях. Тбилиси со всех сторон охранялся специально выделенными караульными, которым платили из денежных средств, выделенных на содержание «калакис-пирис моригис джари» (обязательное срочное ополчение).

Особое место среди пригородов занимал Авлабар. Он граничил с городом с востока и северо-востока. Топоним

«авлабар» является персидско-арабским словом композитом, который разъяснялся как «окрестности дворца» (С. Джанашна, Ш. Месхи и др.). Мы же увидели в этом слове другую семантику — *حَوَالَى* (окрестности) и *بَارِجَة* (рубеж, ров), т. е. «квартал (убани), расположенный за рвом». Наше предположение подтверждается армянским названием «авлабарских ворот» — таптаг (Ш. Месхиа). В 1795 году через «таптаг» в Тбилиси вступает армянский купец Артем Ааратский. *Թափ թաղ ոչ-*армянски означает ров (*թափ*) и квартал — убани (*թաղ*).

Авлабаром называлась территория за Метехской крепостью, а ворота в крепостной стене с восточной стороны — «авлабарскими воротами».

Позднесредневековый Авлабар делился на две части — внутреннюю и внешнюю. Внутренний Авлабар царицей Дареджан в 70-х годах XVIII века был обнесен стеной. Эта часть Авлабара представляла собой поселение городского типа, являясь торгово-ремесленным поселением, в котором были мастерские, базар и духаны. Внешний, неогороженный Авлабар в основном представлял собой сельскохозяйственное поселение. Село Авлабар было присоединено к Тбилиси в XIX веке. Авлабар выделялся наличием большого количества административных чиновников (моурав, мамасахлис, милахвар, хасадар, гзири, мегале, мекулухе и др.).

В Авлабарской стена было двое ворот, к которым стекались дороги с севера и востока. У этих ворот стоял привратник (мекаре и мебаже), собирающий подать с завозимого товара.

Авлабар являлся уделом царицы.

Название «Авлабар» в письменных источниках впервые встречается с XIV века, однако, как видно из грамот XVII—XVIII вв., его возрождение совпадает именно с этим периодом.

Особое значение среди пригородов города, как и Авлабар, имел Гаретубани со своим базаром, мастерскими, духанами, лавками, садами, каналами для полива земли и мельницами.

В Гаретубани, в отличие от Авлабара и других пригородов Тбилиси, мы не встречаем местных чиновников. Те или иные спорные вопросы, возникавшие здесь, решались на месте чиновником, присланным из города. Это свидетельствует о том, что пригород, расположенный к северо-западу от города, был уже слит с ним.

В Гаретубани вели трое имевшихся в городской стене ворот — Коджорские, Средние или Дигоцкие и Нижние или Водные ворота. Отсюда в Тбилиси попадали караваны из стран Ближнего Востока и России.

С севера к городу примыкало село Чугурети.

Название Чугурети произошло от турецкого слова чугур //чукур//чухур, обозначающего яму, углубление. Село должно было появиться на рубеже XVII—XVIII вв. Основным занятием населения являлось ремесленничество — гончарничество. Это подтверждается названием улиц — Кувшинная, Гончарная и т. д. Чугурети было царским селом, пожалованный в 1795 году царем Ираклием II князю Георгию Амлтуни.

В 1823 году село Чугурети было присоединено к городу.

С Чугурети граничило село Ахалсопели—Кукия.

Название Ахалсопели свидетельствует о возникновении нового поселения, а второе название села — «Кукия» должно быть этимологически связано с древнегрузинским земледельческим ритуалом. Куки принимала участие в магическом земледельческом ритуале «гонджи». Грузинский народ посредством «Куки» молил божество об урожае и погоде.

Во второй четверти XVIII столетия на месте пригородного села Ахалсопели под названием Кукия возникает новое село. Село Кукия сперва принадлежало царице Дареджан (супруге Ираклия II), а в конце XVIII века — царице Мариам (супруге Георгия XII). Так же, как и в Чугурети, население этого села в основном занималось ремесленничеством (обработка глины). Кукия была присоединена к городу в 1823 году.

После Кукия на Авчальской дороге пригородным селом является Дикубе. Древнее название этого села — Цхенистерпи (Вахушти Багратиони). Название Дикубе впервые

встречается в XII веке. Здесь стоял царский дворец с придворной церковью. В позднем средневековье (XVII в.), во время экономического и политического подъема страны, село Диудбе восстанавливается. Оно вновь упоминается в XVII веке как царское село. Царь Вахтанг V (Шах-Наваз — 1658—1676 г.г.) проводит новый канал (Цихис-Ру) по старой трассе античного и раннефеодального времени, а в XIX веке из реки Куры был отведен второй канал (Багис-архи), что свидетельствует о значении Диудбе, как сельскохозяйственного пригорода.

Диудбе — большая равнина, низменность (Н. Чубинашвили). В 40-х годах XVIII века в Диудбе была построена крепость (цихе-галавани), а в 80-х годах XIX века на месте древней церкви была построена новая, существующая и поныне.

Село Диудбе было присоединено к городу в 70-х годах XIX века.

С северо-востока с селом Авлабаром граничили села Гомелаури, Диричала и Навтлуги. Впервые эти названия в окрестностях Тбилиси встречаются в XVII—XVIII в. в. Села были царскими. Во второй половине XVIII века царь Ираклий II пожаловал село Навтлуги князю Сумбаташвили.

О сельскохозяйственном значении села Диричала свидетельствует существование здесь уставаша садовников.

На правом берегу Куры к югу от города находилось село Сеидабад. Это городская территория древнего Тбилиси IV—XIII в.в. которая по данным Г. Ломтатидзе и О. Джапаридзе в XI—XIII, а по данным М. Мицишвили — в IX—XIII веках представляла собой одну из передовых ремесленных частей (убани) города. В результате постоянных нашествий внешних врагов эта часть города обезлюдела. В XIV—XV в.в. она входила в границы села Крцаниси. В 30-х годах XVII века царь Ростом II поселяет здесь тюркское племя сеидов, в связи с чем эта местность получила название Сеидабад (Вахушти Багратиони). На рубеже XVIII—XIX в.в. вторым названием Сеидабада становится: Харпухи, что по-армянски означает «насморк».

На дороге, ведущей в Ганджу, неподалеку от города находились села Крцаниси и Сонгалуги.

Село Сонгалуг, ранее Куркута, со своими двумя оросительными каналами, выведенными из р. Куры, покосами и пастбищами, представляло собой один из значительных сельскохозяйственных пригородов. С. Сонгалуг было расположено в начале естественного узкого коридора между рекой и прибрежными утесами, который вел в город с юга и, поэтому, это село иногда называли Гэнскари (Дорожные ворота, Пл. Иоселнани).

Название Крцаниси встречается в XIV веке. Это село принадлежало католикосу. Крцаниси со своими заливными лугами, виноградниками и садами представлял собой один из развитых и имеющих большое значение для города сельскохозяйственных пригородов. Так же, как и все остальные пригороды Тбилиси, Крцаниси тоже начинает обновляться и развиваться с XVII века.

Среди пригородных сел, входящих в сельскохозяйственный регион города, значительное место занимали Ведзиси и Вере (старый сквириети) расположенные к западу от города.

Вере с XVI века являлось вотчиной князей Габашвили (Сагабашвило). Так же, как и Диубе, Сендабад, Сонганиуг, Крцаниси, Гаретубани, Вере тоже играло большое значение в снабжении города сельскохозяйственными продуктами. Здесь были оросительные каналы, отведенные из рек Вере и Куры, сады и виноградники, мельницы. В XIX веке на территории древнего Вере возникло несколько новых населенных пунктов — Вардисубани, Ваке, а Сабуртало появилось вторично.

Установление точной даты появления каждого пригорода, каждой части (убани) города, имеет большое значение для изучения истории г. Тбилиси. Следует отметить, что почти все села и пригороды, расположенные неподалеку от Тбилиси, возникли не на голом месте, а на месте древних поселений. Их точная датировка возможна лишь посредством данных предварительных археологических раскопок. К сожалению, археологическому изучению окрестностей Тбилиси мешает плотность заселения этих частей, но, не-

смотря на это, на территории некоторых из них появилась возможность производства археологических раскопок (Дидубе, Грмა-Геле, Сабуртало, Ведзиси, Навтуги, «Ганджискари» и др.). В результате этого установлено, что территория нынешнего Тбилиси (пригороды древнего Тбилиси) начиная со времен энеолита вплоть до конца феодального периода использовалась человеком для поселения (Д. Коридзе, Г. Ломтатидзе, Р. Абрамишвили и др.).

გეოგრაფიულ სახელთა საკითხები

- პბანობის უბანი — 72, 76, 87
 აბანოს კარი — 72, 73, 75, 76, 84
 აბანოს ხევი — 71
 აბანოს ხიდი — 76, 85
 აბოცი — 61
 აბრეშუმის გზა — 258
 აგარანი, აგარაები — 99, 106
 აგურხანა — 51
 აგლაბარი, ალობარი — 11, 21, 22, 27,
 30, 32, 34, 36, 37, 38, 39, 44, 49, 71,
 92, 103, 125, 126, 127, 129, 131, 132,
 133, 134, 135, 136, 137, 138, 139,
 140, 141, 142, 143, 144, 145, 146,
 147, 149, 152, 163, 171, 173, 177,
 178, 179, 186, 194, 195, 196, 208,
 261, 262
 ავლაბრის კარი — 13, 135, 140, 141,
 142,
 ავლაბრის ხიდი — 177
 ავლაბარ — 127, 134, 146, 189, 207,
 212, 219, 264, 266, 267, 268.
 ავეკალა — 16, 27, 28, 49, 130, 141, 142,
 156, 158, 159, 160, 162, 163, 176,
 197, 198, 207, 219, 221, 229, 239,
 241, 249, 252
 ავეკალის ხევი — 239
 აზრუში — 13
 აღაზანი — 226
 ალექსანდრორეფი — 237
 აღმატი — 156
 ათონი — 95
 ამიერკავკასია — 8, 9, 11, 40, 74, 187
 ამილახვერების თელეთი — 109, 110
 ალიხანა ალაქი — 119
 ანაგა — 192
 ანანური — 112, 122
 18. თ. ბერიძე
- ანტიოქია — 84
 ანისხატი — 11, 44, 129
 არაბეთი — 126, 187, 190
 არაგვი მდ. — 156, 159, 224, 228, 229,
 234, 249
 არაგვის ხეობა — 94
 არმაზი — 7
 არსენალის გორა — 183
 არტანეჭი — 45
 ასტრაბალი — 112
 ასტრახანი — 9, 14
 ატენის ციხე — 61
 აღმსავლეთი საქართველო — 9, 10, 18,
 20, 73, 74, 93, 118, 136, 163, 230,
 234, 238
 აფხაზეთი — 90
 აღწაყალა — 110
 ახალი ბალი მეოდნისა (ოჩბელიანების
 კენტრი) — 54
 ახალსოფელი (კუკია) — 21, 155, 157,
 193, 194, 198, 199, 202, 213, 220
 ახტალა (სომხეთის) — 108
 ახალქალაქი — 11, 52, 258
 ახალციხე — 16
 ახალ ჩუხური — 154, 155
 ახალა — 159, 219
 ათენი — 63
 ახალი (კუკია) — 264, 269
 ახთალა — 83
- ბაბ-ულ-აბვაბი (დარუბანდი) — 5
 ბაგები — 66
 ბაიდარი — 114
 ბალტიისპირეთი — 259
 ბალის რუ — 250
 ბალის ჭუჩა — 59

- ბალების გზა — 141
 ბახუნდარე (გორა, ხევი) — 252, 253
 ბათოლემი — 88
 ბაზანტია — 90, 225
 ბოლისი — 74
 ბოჩანალო — 80, 113, 114, 120
 ბოტანიკური ბაღი — 75
 ბოშის უბანი — 53, 54
 ბოშების დასახლება — 252
 ბაზ-უა-ანიან — 126
- ბაბაანთხევი — 63
 გამარჯვება (სოფ. კახეთში) — 192
 გაწა — 11, 13, 84, 95, 109, 113, 117,
 123, 196, 258
 განწისკარი — 21, 76, 77, 83, 96, 99, 121
 გარეუტებანი — 18, 25, 27, 29, 30, 37,
 41, 42, 43, 44, 46, 47, 48, 49, 50,
 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59,
 66, 71, 76, 124, 129, 130, 135, 137,
 138, 161, 174, 208, 223, 225, 261
 გარეჭას უდაბნო — 88
 გაზიდულის გორა — 229, 252
 გერმანელთა კოლონია (თბილისში) —
 183, 186, 207, 215, 218, 219, 220
 გზისკარი (სონდალული) — 109
 გმირთა მოედანი — 66
 გორი — 11, 52, 94, 258
 გრძელისი (დელისი) — 63
 Ганжинская (дорога, ворота) — 84,
 96, 270, 271, 272
 Гаретубани — 269, 271
 Гомелаури — 261, 270
 Грмагеле — 272
 Гзишкири — 109, 271
 Грузия — 63, 75, 263, 264, 266
- დაბახანა, დაბახანება მდ. — 58, 88
 დავით გრძეჭა — 40
 დამტენა (ბაზეცუბში) — 85
 დარიალის გზა — 258
 დასავლეთი ეკროპა — 9
 დასავლეთი საქართველო — 6, 10, 91
 დასო — 106
 დალესტნის გზა — 141, 231
- დებედა — 109
 დელოფლის ბაღი — 48, 57
 დედოფლის კალა — 248
 დელისი — 63
 დეისინამუხლარი — 239
 დეალეთი — 230
 დიდი აეპალის გზა (აეპალის დიდი გზა)
 — 194, 198, 207
 დიდგორი — 60, 61
 დიღუბე — 6, 21, 22, 112, 155, 157,
 160, 162, 163, 171, 173, 174, 198,
 218, 220, 221, 222, 223, 224, 225,
 226, 227, 228, 229, 230, 231, 232,
 233, 234, 235, 236, 237, 238, 239,
 240, 241, 242, 243, 245, 246, 247,
 248, 249, 250, 251, 253, 254, 255,
 260
- დიდხევი — 156, 160, 163, 172, 185,
 186, 197
 დირსიგალა (დარსიგალა) — 25, 38,
 136, 146, 147, 148, 149, 223, 228
 დილომი — 6, 41, 48, 52, 65, 66, 67,
 68, 157, 160, 162, 221, 238, 260
 მანისი — 109
 Дингомские ворота — 269
 Диудубе — 168, 223, 235, 238, 239, 240,
 243, 264, 269, 270, 271, 272
 Диришчала — 149, 264, 267, 270
- მეროპა — 187
 ელია — 88, 188, 189, 192, 252
 ერევანი — 33, 34, 73, 93
 ერევნის მოედანი — 254
 ერეკლეს ციხე (სოფ. ნავთლული) —
 149, 150, 151, 152, 153
 წ. ესტატეს ეკლესია (კერაზე) — 64,
 65
 ეჩმიაწინი — 145
- ვაკე — 63, 66, 67
 ვანქის უბანი — 47, 51, 53, 54, 56
 ვარაზის ხევი — 66
 ვარდისუბანი (სოფელი, მთა) — 66, 67
 ვერე (ვერა) — 11, 21, 25, 39, 48, 59,

- '60, 62, 63, 64, 65, 66, 67, 223, 234,
 260
 ვერასხევი — 25, 26, 39, 60, 61, 63,
 65, 238, 239
 ვერისი — 21, 38, 68, 69, 260
 ვოლგა — 14
 ვორონცოვის ხიდი — 70
 Ваке — 271
 Вардисубаши — 271
 Ведзиси — 264, 272
 Верс — 63, 264
 Витенберг — 219

 ჭაპესი — 228
 ზედა გზა — 80, 162
 ზემო ქართლი — 16, 94, 202, 230
 ზენა სოფელი — 230
 ზირუნიანთ (ეკლესია) — 54, 55
 ზოპაბი (სოფელი) — 10

 მაბორი (მთაბორი) — 58, 64, 77, 79,
 81, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94,
 95, 96, 97, 98, 99, 100
 თავრიზი — 13
 თათრების სასაფლაო — 72, 81
 ტათრის მოედანი — 72, 127
 თაფთალი — 135, 141
 ჭავი რაზ — 135, 268
 მბილისი (ტფილისი) — 3, 5, 6, 7, 8, 9,
 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 20, 21,
 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 40, 42,
 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 52,
 53, 55, 57, 58, 59, 60, 61, 63, 64,
 65, 69, 70, 71, 72, 73, 75, 76, 77,
 78, 79, 80, 81, 82, 85, 87, 88, 89,
 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98,
 100, 106, 108, 109, 110, 111, 112,
 113, 114, 117, 118, 121, 122, 123,
 124, 125, 126, 127, 128, 129, 130,
 132, 135, 136, 137, 138, 139, 140,
 142, 144, 146, 148, 149, 150, 151,
 153, 157, 158, 160, 161, 162, 167,
 169, 170, 174, 175, 176, 177, 179,
 180, 181, 182, 186, 187, 192, 193,
 197, 201, 206, 207, 209, 210, 211,
 214, 215, 217, 218, 220, 221, 223,
 226, 227, 233, 234, 238, 239, 241,
 242, 245, 246, 252, 254, 255, 258,
 259, 260, 262
 თბილისის ზღვა — 252
 თბილისის კოლონია (გერმანელთა) —
 210, 219, 220
 თბილისის ლილო — 194
 თეენაში (ეკლესია) — 54, 56
 თელავი — 86, 231
 თერეთი — 33, 78
 თელიანთ ხევი — 173
 თელის წყარო — 253
 თელის წყაროს ხევი — 229, 252
 თრიალეთი — 52, 60, 61, 88, 230
 თერეთი — 9, 14, 15, 113, 187
 თავილოვნა — 63
 თბილის უბანი (ავლაბარი) — 135
- იერუსალიმი — 7, 88, 89,
 ილას (ელია) უბანი — 88, 192, 252
 ილიგოანის ტბა — 172, 173
 იმერეთი — 62, 104, 112, 230, 234
 იმიერკავკასია — 233
 ინგლისი — 14
 ინდოეთი — 14, 89, 187, 231
 იორდანე მდ. — 88
 იორი მდ. — 226
 ირანი — 9, 10, 14, 15, 20, 25, 26, 28,
 74
 ისანი — 11, 43, 71, 91, 99, 123, 124,
 125, 126, 127, 128, 129, 130, 131,
 132, 133, 134, 135, 153, 156, 158
 ისპანია — 74
- ისერია — 63
 Исааки — 127, 135
 ქავკასია — 175, 177, 178
 ქავკასიის ქედი — 258
 ქალა — 43, 44, 46, 58, 71, 72
 ქალოუბანი — 42, 43, 44, 45, 53, 54,
 55
 ქართ (ყარსი) — 72
 ქარლ მარქსის მოედანი — 209, 215
 ქარმილის მთა — 190

- յանձնութեան — 14, 15
 յաջութեան — 9, 13, 14, 15, 38, 68, 79, 91,
 113, 121, 149, 201, 229, 230, 233
 յաջութեան ցիւ — 142, 149
 յաջութեան եռդո (Յոհաննութեան, Յոհաննութեան) — 85
 յարակեալուս ցործ — 88, 156, 157, 163,
 164, 165, 172, 185, 192, 197
 յարույքածած ցործ — 88, 161, 163, 192,
 252
 յօձահինայ եցու — 136, 172, 186, 188
 յօցու — 188
 յոհոնին (յոհոնին, յոհեա) — 216, 217,
 220
 յոհոյահու — 61, 90
 յոյորու (յոյորու — ցիւ, յահու) — 48,
 52, 58, 60, 63, 64, 66, 106, 162
 յոհոյահու — 96
 յոհոյանուս (տօնութեան) — 17, 18, 21, 25,
 28, 32, 33, 35, 36, 38, 80, 95, 98,
 99, 100, 101, 102, 103, 104, 105,
 106, 107, 223, 260
 յոյու — 17, 18, 21, 22, 32, 157, 162,
 167, 168, 171, 174, 175, 176, 177,
 178, 179, 181, 186, 193, 194, 195,
 196, 197, 198, 199, 200, 201, 202,
 203, 204, 205, 206, 207, 208, 209,
 210, 211, 212, 213, 214, 215, 216,
 217, 218, 220, 223, 229, 235, 236,
 237, 238, 245, 261
 յութեան (ընա) — 109
 Կала — 263
 Կалоубанի — 54
 Կартլի — 265
 Կարաչ — 249
 Կахетинский мост — 128
 Կօջօրսкие ворота — 269
 Կօնի — 195
 Կօրչա-կալա — 96
 Կրաсная горка — 164, 165
 Կүкция — 168, 177, 205, 207, 211,
 212, 215, 217, 219, 223, 235, 238, 263,
 264, 266, 269
- Կոբա — 109, 127, 166, 177, 219, 263,
 264, 265, 270
 Կորкуտա — 109, 270
 Կրցանիս — 264, 267, 270, 271
- Ընենոնս Ցոյդանո — 56, 58
 Ընելուս (Ընելութեան) եցու — 58, 88, 97,
 99, 100, 109
 Ընելուս Եցահու — 253
 Ընոլու — 16, 110, 155, 207, 233
 Ընորյ — 32, 34, 109, 139
 Ընորյուս տազու ցործ — 252, 253, 254
 Ընորյուս թու — 252
 Ընովոնու — 115
 Ընորյուս Ցոնսացըւրու (Քթ. անգլուան Այ.) —
 59, 60, 64, 65, 69
- Ցաօդանո (Ցաօդան. Ցոյդանո) — 53
 Ցաօդնոս յահու — 45, 46, 72, 73
 Ցալայնյեծուս լինանո — 217, 218
 Ցաշագացուտ (Ցտաշմուդա) — 61
 Ցանցլուսուս եցու — 61
 Ցաղալու լոլու — 194
 Ցեւատա — 88, 173, 188, 189, 190, 191,
 192, 252
 Ցելոնածելու ալմուսացլութեան — 14, 258
 Ցելոննուս յահու — 54
 Ցելոննուս յահու — 53, 76, 77
 Ցելոննուս Տաւակլու — 53
 Ցելոննուս, (Ցոնք, Այլուան) — 44, 94, 95,
 96, 99, 100, 123, 125, 130, 131, 132,
 133, 134, 136, 138, 140, 141, 144,
 217
 Ցյյեհանու եցու — 252
 Ցյյուս ցործ — 229, 252
 Ցյյետա թու — 88, 252
 Ցտաշմուդա — 48, 54, 59, 60, 61, 62, 66,
 88
 Ցոհածածու — 152
 Ցոյնածուրու — 220
 Ցոյսուրու — 64, 127
 Ցըյյահու — 11, 42, 43, 44, 45, 47, 51,
 53, 54, 56, 57, 58, 77, 85, 88, 92,
 94, 97, 98, 99, 107, 108, 109, 110,

- 118, 119, 121, 122, 123, 124, 125,
 126, 127, 128, 130, 131, 135, 136,
 147, 149, 150, 152, 153, 155, 156,
 157, 159, 161, 162, 165, 171, 172,
 173, 174, 177, 178, 179, 183, 184,
 187, 193, 194, 197, 198, 208, 209,
 210, 214, 220, 221, 224, 226, 228,
 229, 230, 239, 245, 250, 252, 259,
 260, 261
მუხათგეერდი — 41, 90
მუხანანატონის უბანი — 53, 56
მუხანი — 230
მუხანის ხილი — 11, 53, 161, 187,
 188
Махата — 189, 197
Михета — 103, 108, 159, 161, 228,
 245
ნავთლული — 21, 41, 119, 121, 141,
 146, 147, 149, 150, 151, 152, 153,
 157, 178, 179, 194, 260
ნარიყალა — 11, 58, 72, 94, 95, 129
ნაძალადევი — 252, 254
ნაიღური — 109
ნაჭირგორა — 68
წ. ნიკოლოზის ეკ. — 83, 86, 163, 165,
 167, 168, 186
ნიენინოვგოროლი — 205
Навтлуг — 147, 264, 270, 272
Нахаловка — 254
ორბელიანების უბანი — 53, 56, 201
ორბის ციხე — 61
ორთავალა — 25, 28, 42, 99, 101, 104,
 105, 106, 107, 149, 223, 260
ოსმალეთი — 8, 9, 10, 27, 231
ოსეთი — 230
ოქროყანა — 64
ოქუანთ ხილი — 64

პარიფი (პარიზი) — 110, 141
პატარა კარი (მცირე) 45, 46, 127, 140,
 141
პეტერბურგი — 209
პოლნეთი — 259
შინგალი — 52, 249
რაბალის კრი — 45, 46, 127
რიუე — 160, 162, 176, 182, 186, 217
რესეთი — 9, 14, 15, 52, 57, 93, 95, 97,
 107, 112, 117, 119, 120, 174, 178, 187,
 203, 259
რუსთა სასაფლაო — 149
რუსთავი — 41, 194
Пшав-Хевсуретіში — 177
Россия — 159, 197, 269

საკახა ლილო — 194, 230
სამილახორო — 112
საასპარეზო — 49, 53
საბაჟო — 85
საბაზიერო — 53
საბარათიანო — 120, 160, 196, 201, 230:
საბატე — 200
საბურთალო — 63, 64, 66, 67, 68, 260
საგლებელი — 124, 125, 150
საგურე — 47
სახამთროს ბალი — 83
საკანი — 164
საგურამო — 110
სათათრო გზა — 229, 252, 253
სამასი არაგველის ბალი — 7
სამგლები — 252
სამგორი — 163, 192, 252
სამება (სოფ.) — 149
სამშვილდე — 52, 61
სამეხრეო — 200
სამცხე-საათაბაგო — 10, 62
სახერთ საქართველო — 220
სანგრის გორა — 109
საფრანგეთი — 14
საჭაომის კარი — 220
საქართველო — 6, 7, 8, 10, 15, 25, 28,
 31, 37, 40, 48, 57, 60, 65, 71, 74,
 75, 81, 90, 91, 95, 97, 100, 104, 107,
 111, 112, 118, 120, 121, 128, 130,
 133, 145, 146, 151, 159, 162, 164,
 166, 168, 169, 170, 171, 174, 175,
 199, 200, 201, 202, 204, 208, 209,

- 210, 213, 214, 221, 224, 226, 231,
 234, 238, 242, 259
Նայածետ ցնա — 112
Տայալուցնոն ցնա — 119
Տայահաւըլո (Հանգժո) — 149
Տայուսոնո — 115
Տալքենո — 112
Տեռուլածելո — 189
Տանինո — 130, 150
Տեղուածագոն ցարո — 76, 79
Տեղուածագոն — 21, 22, 25, 74, 75, 76, 77,
 78, 79, 80, 81
Տեմունոյցա (Ըստածլեծա) — 63, 66
Տօռնո — 11, 43, 44, 80
Տորհամեանո — 130
Տորոս — 55
Տորոհյոտ (Տյորհյոտ) — 39, 59, 60, 61,
 62
Տոռուլայո (Տալալայո) — 47, 48, 53,
 58, 59, 62, 72, 78, 80, 88, 96, 216
Տռթյոտ — 52, 93, 108, 109, 258
Տռթյոտ — 93, 196, 201
Տռթյուն Տայֆարո — 56
Տռնճալւըլո (Տռնճալունո, Տռճալունո,
 Տռճլւըլո, Տալալունո) — 15, 21, 80,
 95, 108, 109, 110, 111, 112, 113,
 114, 115, 117, 118, 119, 120, 121,
 122, 123, 157, 260
Տռողդօծօնո (Տալողդօծելո) — 45, 46,
 124, 126, 127, 128, 141, 230
ՏՏահյոտ — 75, 91, 110, 111, 112, 187,
 231
ՏԵՐՃ-ԿԱՐԱՎԵՐՃ եզո — 136, 156, 172,
 188
ՏԵՐՃ-ՏԱՐԺՅՈՏ եզո — 84
Տաբурտալո — 67, 264, 271
Տագաբաշուլո — 271
Տամակա — 264
Տեղաբարակ — 75, 82, 264, 270, 271
Տամպուլ — 63
Տոնգալուգ — 108, 265, 270, 271
Տօգդեմական Տօգդեմական — 127
Տածականա — 250
Թաճամելա — 80, 84, 189
- Ծալոն** (Պալոն) յըա — 109
Ծա՛նիր — 61
Ծ-Թեահյան — 109
Ծիկանչոն — 62
Տախմելա — 84
Տաборская (крепость, гора) — 263
Տաможня — 85
Տալիտակские ворота — 127, 135, 268
Տիփլուս (Тиблиси) — 7, 17, 26, 60,
 67, 75, 82, 96, 108, 109, 122, 126,
 135, 161, 169, 177, 195, 212, 219,
 243, 263, 264, 267, 268, 271, 272
Տүրции — ուշ
Տչալոսուլի — 163
Տշարտալյսкое սովորություն — 163

Շահումյան — 6
Շմիջերհաս տայո — 252
Շռեւլութեանո — 223
Շոմուն թու — 88

Շոնթայահյան — 61
Շոռտո — 252, 254
Շոստ (Շոսցո) — 155, 158
Շուշո — 93

Քամոանտ յը. — 54, 56
Քանանցոտ — 190, 191
Քահուլո — 6, 7, 8, 9, 10, 15, 24, 25,
 26, 28, 33, 38, 49, 61, 66, 68, 69,
 75, 90, 92, 93, 94, 110, 112, 113, 114,
 117, 118, 119, 125, 150, 154, 221,
 229, 230, 231, 233, 240
Քահուլ-յանցոտ — 9, 14, 15, 31, 33, 57,
 64, 68, 74, 75, 95, 113, 114, 115, 118,
 120, 123, 137, 203, 233, 240, 241,
 255
Քամյոտ — 51, 52, 54, 55
Քոյուրո — 63
Քըլա գարեւծան (Տեղուածալո) — 76
Քըլոտ օվքալա — 239
Քըլոտ ցնա — 80
Քըլոտ ծողծյ — 192
Քըլոտ յարո — 52, 53, 162
Քըլոտ յարուլո — 121, 155, 194, 229,
 253

- ქვითკირის ლილო — 155, 230, 252
 ქზზიყი — 33
 ქანი — 94
 ქურთთა დასახლება — 252
 ქცია — 10, 200, 202
 ღომელაური — 136, 146, 147, 149, 194,
 228, 260
 ღრმა-ლელე — 21, 229, 252
 გაბახი — 49, 51
 ყაზახი — 68, 80, 109, 113, 114, 117,
 119
 ყერაბალი — 227
 ყარსი — 77
 ყენის გორა — 81, 164, 192, 229, 252,
 253
 ყენისი — 229, 252
 ყვითელი ფლატე — 229
 ყოჩის ქვა (გორა) — 109
 ყორჩიყალა — 96
 ყურაუთა — 108, 109, 110, 111, 113,
 114, 117, 118, 123

 შავი ზღვა — 187
 შავიზღვისპირეთი — 8
 შავი სოფელი — 149
 შპერორი — 109, 258
 შპრადილუ — 68
 შაქი — 113
 შავტების წყარო — 252
 შიდა ქართლი — 60, 230
 შილდა — 156
 შიძისი — 99, 106
 შირვანი — 113
 შიხის (კიხის) რუ — 250
 შემახა — 9
 შეუ კარი — 52, 54
 შუატბის გზა — 141
 შულავრის გზა — 109
 შუშა (კიხე) — 95
 შიხის (Цицихис) რუ — 270

 ჩრდილოეთი კევესით — 234
 ჩუღურეთი — 21, 22, 136, 153, 154,
 155, 156, 157, 158, 160, 162, 163,
 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172,
 173, 174, 175, 176, 177, 178, 179,
 180, 181, 182, 183, 184, 185, 186,
 188, 190, 192, 193, 194, 197, 204,
 206, 208, 210, 212, 215, 218, 220,
 229, 237, 238, 261
 ჩეხერი — 153, 154, 155, 167
 ჭუკრეთი — 166, 169, 170, 177, 205,
 207, 212, 223, 235, 264, 269

 ტიხის კარი — 72, 127
 ტიხის მოედანი — 72, 127
 ტიხის რუ — 252
 ტოლვიანის ხევი — 172
 ტენის ტერტი — 221, 222
 ტერა პურაანთ უბანი — 52, 53, 54
 ცხოველი-ხევი — 164

 ძალისი — 61
 ძალლის უბანი (სოფელი) — 149
 ძეგნარიანი — 252

 წავისი (წავისის წყალი) — 18, 44, 58,
 63, 64, 71, 75, 76, 77, 78, 84, 87,
 88
 წრენაქალაქი (აბანოების უბანი, სეიდა-
 ბაღი) — 76
 წითელი გორა — 165, 185
 წითელწყარო — 192
 წინწყარო — 30, 196
 წიწამური — 228
 წოლორეთი — 11, 136
 წყაროსუბანი — 83
 წყალყინისი — 91
 წყაროს ხევი — 172
 წყლის კარის უბანი — 47, 52, 53, 54,
 162
 წანეთის გზა — 66

 ზალა — 104, 105, 133, 148
 კალის ბაღი — 105
 ჭარი — 74

- ხაზარეთი — 221
ხალათყარი — 84, 85
ხალან ხანა — 83, 84, 85
ხალვათ-გარი — 79, 84, 85
ხანდუხდარეს ხევი — 109,
ხარტუხი — 22, 40, 81, 82, 174
ხატის ვენახი — 249
ხატის თელეთი — 99
ხევძმარი — 229, 252
ხერთვისი (დიდუბის) — 220
- ხრამი (მღინარე) — 10
Хавелли-бар — 139
Халат-хана — 83
Храми (река) — 264
- ჭავეთი — 159
ჭვარი — 159
- ჟაფრაბარი — 13, 135
ჟავებალა — 237

შ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

ტ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა	3
შ ე ს ა ვ ა ლ ი	5
ქალაქისპირა სოფელთა მოხელენი	24
გარეთუბანი	42
ვერე — ვერა	59
ვეძისი	68
სეიდაბადი	69
თაბორის ციხე	87
კრწანისი	98
ყურუკუთა (სონღალული)	108
აელაბარი	123
ღომელაური და ღირსიჭალა	146
ნაკოლული	149
ჩულურეთი	153
გლია-მახათა	188
კუკეა	193
ღიდუბე	220
დასკვნა	258
Р е 3 10 м е	263
საძიებელი	273

დაიბეჭდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქტურო-საგამომცემლო საბჭოს დაფუძნებით

*

რედაქტორი გ. ბერძნიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებენავა
ტექნიკური ც. კამუშაძე
მხატვარი გ. თალაკვაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი

გადაეცა წარმოებას 26.5.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.11.77;
ქაღალდის ზომა 60×90/1/16; კალალი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 17,50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 15,05;

უ 01197;

ტირაჟი 2000;

ფასი 2 ბაზ.

შეკვეთა № 2336

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Меценатереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19